K 216 170
3

Monumenta Georgica
Publicationes Universitatis Tphilisensis

V Diplomata
№ 2.

# დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები

გამოცემული
სარგის კაკაბაძის მიერ.

# DIPLOMATA ECCLESIASTICA GEORGIAE OCCIDENTALIS

edidit
Sergius Kakabadze

წიგნი II.

Lib. II.

ტფილისი
1921

ქართული ძეგლები.

ტფილისის უნივერსიტეტის გამოცემანი.

V სიგელ-გუჯრები.

№ 2.

სარგის კაკაბაძე.

# დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები.

წიგნი II.

დაიბეჭდა სიბრძნის-მეტყველების ფაკულ-
ტეტის დადგენილებით 3 მარტს 1920 წ.

ტფილისი

1921

281.97 + 9(C922)(001)

Monumenta Georgica

Publicationes Universitatis Tphilisensis

V Diplomata

№ 2.

Sergius Kakabadze

# Diplomata Ecclesiastica Georgiae Occidentalis

Lib. II.

Tphilisi

1921

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# სარჩევი

## მეორე წიგნისა.

გვერდი

1750 წ. გელათის საბუთი № 63, მღვდელ-მონაზონ ლაზარეს შეწირ. წიგნი 1
1753 წ. მარტვილის საბუთი, გაბრიელ ჭყონდიდლის შეწირ. წიგნი. . . . 2
1754 წ. გელათის საბუთი, № 19, გიორგი აბაშიძის ნასყიდობის წიგნი სოლომონ I-სადმი. . . . . . . . . . . . . . . . . . . 3
1755 წ. გელათის საბუთი, სიგელი სოლომონ I-ისა გელათის ტაძრისადმი 4
1755 წ. ბიჭვინტის საბუთი № 20, ბესარიონ კათალიკოზის შეწირ. წიგნი. 7
1755 წ. ხონის საბუთი № 33, მამუკა ბატონიშვილის შეწირ. წიგნი. . . . 8
1757 წ. ცაგერის საბუთი, ოდიშის დედოფლის თამარის შეწირ. წიგნი . . —
1758 წ. ცაგერის საბუთი, კაცია დადიანის შეწირ. წიგნი . . . . . . . . 9
1758 წ. სუჯუნის საბ., კაცია დადიანის შეწირ. წიგნი სუჯუნის მონასტრისადმი. 10
1750—1758 წ. სუჯუნის საბუთი, ოტია დადიანის შეწირ. წიგნი. . . . . —
1760 წ. ბიჭვინტის საბუთი № 12, მამია გურიელის შეწირ. წიგნი . . . . 11
1760 წ. ხონის საბუთი № 34, წულუკიძეებისაგან საფიცრის წიგნი. . . . . 12
1760 წ. მარტვილის საბუთი, კაცია დადიანის შეწირ. წიგნი. . . . . . . 13
1760 წ. მარტვილის საბუთი, გაბრიელ ჭყონდიდლის შეწირ. წიგნი. . . . 14
1760 წ. მარტვილის საბუთი, კაცია დადიანის შეწირ. წიგნი. . . . . . . —
1761 წ. გელათის საბუთი № 60, კაცია დადიანის შეწირ. წიგნი . . . . . 15
1761 წ. მარტვილის საბუთი, სოლომონ I-ის შეწირ. წიგნი . . . . . . . 16
1762 წ. გელათის საბუთი № 18, ნიკო აბაშიძის ნასყიდობის წიგნი სოლომონ I-ისადმი. . . . . . . . . . . . . . . . . . . . —
1762 წ. ხონის საბუთი № 8, სოლომონ I-ის შეწირ. წიგნი . . . . . . . 17
1763 წ. ხონის საბუთი № 32, მამუკა ჩხეიძის შეწირ. წიგნი. . . . . . . 18
1764 წ. გელათის საბუთი № 9, სოლომონ I-ის შეწირ. წიგნი. . . . . . —
1764 წ. ხონის საბუთი № 5, სოლომონ I-ის შეწირ. წიგნი. . . . . . . . 19
1764 წ. მარტვილის საბუთი, სოლომონ I-ის შეწირ. წიგნი . . . . . . . 20
1764 წ. ხონის საბუთი № 45, მამუკა მდივნის ხელწერილი . . . . . . . 21
1765 წ. გელათის წმ. გიორგის საბუთი, მაქსიმე ქუთათელის წყალობის წიგ. —
1758—1765 წ. ბიჭვინტის საბუთი № 18, კაცია დადიანის წიგნი შესახებ წალენჯიხის კათედრის მამულების გადაცემისა საკათალ. ტახტისადმი. 22
1758—1765 წ. ცაგერის საბუთი, კაცია დადიანის შეწირ. წიგნი. . . . . 28
1758—1765 წ. საირმის უდაბნოს საბუთი, კაცია დადიანის შეწირ. წიგნი. 29

ეროვნული
ბიბლიოთეკა

1766 წ. ბიჭვინტის საბუთი № 71, ნიკოლოზ დადიანისძის თავდებობის წიგ. 30
1766 წ. საირმის უდაბნოს საბუთი, კაცია დადიანის შეწირ. წიგნი. . . . —
1766 წ. მარტვილის საბუთი, კაცია დადიანის შეწირ. წიგნი. . . . . . . 33
1767 წ. მარტვილის საბუთი, კაცია დადიანის შეწირ. წიგნი. . . . . . . 34
1765—1767 წ. საირმის უდაბნოს საბუთი, კაცია დადიანის შეწირ. წიგნი. 35
1768 წ. ცაიშის საბუთი, კაცია დადიანის შეწირ. საბუთი. . . . . . . . —
1754—1768 წ. ხონის საბუთი № 10, ბარათი სოლომონ I-ისა ხონელებისადმი 36
1763—1768 წ. ხონის საბ. № 11, ბარათი სოლომონ I-ისა ხონელებისადმი. —
1764—1769 წ. ხონის საბ. № 24, განჩინება მაქს. ხონელისა და იოსებ გენათლისა. 37
1763—1769 წ. ხონის საბუთი № 24, მაქსიმე ხონელის შეწირ. წიგნი. . . —
1760—1769 წ. ხონის საბუთი № 78, რუხაძეების პირობის წიგნი მეფისადმი 38
1763—1769 წ. ხონის საბ. № 19, მარიამ იმერთ დედოფლის პირობის წიგნი. 39
1769 წ. გელათის საბუთი № 24, სვიმონ ნუქიფიშვილის შეწირ. წიგნი. . —
1769 წ. ბიჭვინტის საბუთი № 25, გურიის დედოფლის როდამის შეწირ.
წიგნი. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 40
1769 წ. ხონის საბუთი № 40, მამუკა ჩხეიძის შეწირ. წიგნი. . . . . . . 41
1770 წ. ბიჭვინტის საბუთი № 10, იოსებ კათალიკოზის შეწირ. წიგნი. . . —
1770 წ. საირმის უდაბნო საბუთი, ანტონ ცაგერელის შეწირ. წიგნი. . . . 42
1770 წ. მარტვილის საბუთი, გრიგოლ ჭყონდიდლის შეწირ. წიგნი. . . . 43
1771 წ. საირმის უდაბნოს საბუთი, ანტონ ცაგერელის შეწირ. წიგნი . . . —
1771 წ. საირმის უდაბნოს საბუთი, ნიკოლოზ დადიანისძის შეწირ. წიგნი . 44
1771 წ. მარტვილის საბუთი, კაცია დადიანის შეწირული წიგნი . . . . . 45
1771 წ. ხონის საბუთი № 36, ღოღაბერიძის სათავდებო წიგნი . . . . . 45
1772 წ. გელათის საბუთი № 29, იოსებ კათალიკოზის ნასყიდობის წიგნი. —
1773 წ. ხონის საბუთი № 6, სოლომონ I-ის შეწირ. წიგნი . . . . . . . 46
1774 წ. ბიჭვინტის საბუთი № 52, იოსებ კათალიკოზის დადებული წიგნი. 47
1774 წ. გელათის საბუთი № 31, იოსებ კათალიკოზის დადებული წიგნი 48
1774 წ. გელათის საბუთი № 6, დავით ბატონიშვილის შეწირულ. წიგნი . —
1774 წ. გელათის საბუთი № 112, წერეთლების მიერ მიცემული ნასყიდო-
ბის წიგნი . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 49
1775 წ. ნიკორწმინდის საბუთი № 14, სოლომონ I-ის შეწირ. წიგნი. . . —
1776 წ. ბიჭვინტის საბუთი № 57, სოლომონ I-ის მიერ მაქსიმე კათალიკო-
ლოზისადმი მიცემული პირობის წიგნი. . . . . . . . . . . . 50
1776 წ. ბიჭვინტის საბ. № 68, მაქსიმე კათალიკოზისაგან შეჩვენების წიგნი. 51
1776 წ. გელათის საბუთი № 109, სოლომონ I-ის შეწირ. წიგნი . . . . . 53
1776 წ. ბიჭვინტის საბუთი № 79, ნუსხა საკათალიკოზო ტახტის საგან-
ძურისა . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 54
1776 წ. ბიჭვინტის საბუთი № 74, ნუსხა საკათალიკოზო განძეულობისა. . 57
1770—1776 წ. საკათალიკოზო გელათის წმ. გიორგის საბუთი, მაქსიმე ქუთ-
თლისაგან შეჩვენების წიგნი. . . . . . . . . . . . . . . . 58

ეროვნული ბიბლიოთეკა

1777 წ. ბიჭვინტის საბუთი № 72, გიორგი გურიელის პირობის წიგნი მაქსიმე კათალიკოზისაგან. . . . . . . . . . . . . . . . . . . . 60

1777 წ. გელათის საბუთი № 3, მარიამ იმერთა დედოფლის შეწირ. წიგნი 61

1777 წ. ბიჭვინტის საბუთი № 73, მამუკა თავდგირიძისაგან პირობის წიგნი 62

1778 წ. ბიჭვინტის საბუთი № 87, მაქსიმე კათალიკოზის განჩინება გელათის წმ. გიორგის გლეხების შესახებ. . . . . . . . . . . . . 63

1778 წ. ხონის საბუთი № 14, მიცემული სოლომონ I-ის მიერ. . . . . . 66

1778 წ. ნიკორწმინდის საბუთი № 26, სოლომონ I-ის წიგნი ნიკორწმინდის ყმათათვის საურის ამოგდების შესახებ . . . . . . . . . . . . 67

1778 წ. ბიჭვინტის საბუთი № 84, ნუსხა საკათალიკოზო წიგნებისა გელათის წმ. გიორგის ეკლესიაში . . . . . . . . . . . . . . . . 68

1780 წ. ბიჭვინტის საბუთი № 63, გიორგი გურიელის შეწირ. წიგნი . . 69

1780 წ. ქუთაისის საბუთი № 13, მაქსიმე ქუთათლის შეწირ. წიგნი. . . . 70

1780 წ. გელათის საბუთი № 10, გიორგი ჩარკვიანის შეწირ. წიგნი. . . . 71

1781 წ. გელათის საბუთი № 84, სოლომონ I-ის შეწირ. წიგნი. . . . . . 72

1781 წ. ქუთაისის საბუთი № 40, ქუთათელ დოსითეოსის მიერ მიცემული ნასყიდობის წიგნი. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 73

1782 წ. ხონის საბუთი № 95, სოლომონ I-ის შეწირ. წიგნი. . . . . . . 74

1782 წ. ხონის საბუთი № 56, მათხონჯელების პირობის წიგნი, მიცემული იოანე მთავარეპისკოპოსისადმი . . . . . . . . . . . . . . 77

1770—1782 წ. ხონის საბუთი, ბერი ახვლედიანის პირობის წიგნი, მიცემული იოანე ნინოწმინდელისადმი. . . . . . . . . . . . . —

1783 წ. გელათის სოხასტრის საბუთი № 8, სოლომონ I-ის შეწირ. წიგნი . 78

1784 წ. სვირის წმ. გიორგის საბ. № 1, დავით ბატონიშვილის შეწირ. წიგნი. 81

1784 წ. გელათის საბუთი № 96, დავით მეფის წყალობის წიგნი ხუჯაძეებისადმი. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 82

1784 წ. სვირის წმ გიორგის საბუთი № 2, გულქან დედოფ. შეწირ. წიგნი 83

1785 წ. ხონის საბუთი № 35, ნიკოლოზ ლოლაბერიძის შეწირ. წიგნი. . . 84

1785 წ. ქუთაისის საბუთი № 8, დავით მეფის წყალობის წიგნი . . . . . —

1787 წ. გელათის სოხასტრის საბუთი № 5, ეფთვიმე გენათლის შეწირ. წიგნი გელათის წმ. ნიკოლოზის საყდრისადმი. . . . . . . . . . 85

1787 წ. გელათის საბ. № 86, წინამძღვრის სვიმონ ჭიჭინაძის შეწირ. წიგნი 88

1787 წ. გელათის წმ. გიორგის საბუთი, ნუსხა ქრისტეს საფლავის ყმებისა. —

1788 წ. ჭელიშის საბუთი № 2, პაატა წულუკიძის შეწირ. წიგნი. . . . . . 93

1789 წ. გელათის საბუთი № 2, სოლომონ II-ის შეწირ. წიგნი. . . . . . 94

1789 წ. გელათის საბუთი № 30, სოლომონ II-ის შეწირ. წიგნი. . . . . . 95

1778—1789 წ. ხონის საბუთი № 57, სარდ.-მოურავის ბერი წულუკიძის შეწირულობის წიგნი . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 96

1790 წ. ხონის საბუთი № 48, ბეჟან წულუკიძის შეწირ. წიგნი. . . . . . 97

1790 წ. გელათის საბ № 15, ბეგრის გარიგების წიგნი ეფთ. გენათლისაგან. —

ეროვნული ბიბლიოთეკა

1791 წ. ბიჭვინტის საბუთი № 88, სოლომონ II-ის წყალობის წიგნი გულქან დედოფლისადმი . . . . . . . . . . . . . . . . 98
1792 წ. ნიკორწმინდის ტაძრის საბუთი № 18, სარდლის გიორგი წულუკიძის შეწირ. წიგნი. . . . . . . . . . . . . . . . . . 100
1792 წ. ქუთაისის საბუთი № 41, სოლომონ II-ის წყალობის წიგნი . . . 101
1793 წ. ნიკორწმინდის საბუთი № 4, მანუჩარ ყიფიანის შეწირ. წიგნი. . —
1793 წ. ნიკორწმინდის საბუთი № 1, სოლომონ II ის შეწირ. წიგნი . . 102
1793 წ: ქუთაისის საბუთი № 4, მარიამ დედოფლის შეწირ. წიგნი . . . 103
1794 წ. ნიკორწმინდის საბუთი № 6, სოლომონ II-ის შეწირ. წიგნი. . . 104
1794 წ. ხონის საბუთი № 16, სოლომონ II-ის წყალობის წიგნი. . . . 105
1795 წ. ჭელიშის საბუთი № 5, ნიკოლოზ ყიფიანის შეწირ. წიგნი. . . . —
1795 წ. გელათის საბუთი № 7, მარიამ დედოფლის შეწირ. წიგნი. . . . 106
1795 წ. ნიკორწმანდის საბუთი № 25, მარიამ დედოფლის მიერ განახლებული მთის წმ. გიორგის გუჯარი. . . . . . . . . . . . . . 107
1796 წ. გელათის საბ. № 26, ჯვარისმამის ათანასეს მიერ დადებული წიგნი 109
1796 წ. ქუთაისის საბუთი № 5, მარიამ დედოფლის შეწირულ. წიგნი . . —
1796 წ. ჭელიშის უდაბნოს საბუთი № 3, ბეჟან წერეთლის შეწირ. წიგნი. 110
1796 წ. ხონის საბუთი № 13, სოლომონ II-ის შეწირულ. წიგნი. . . . . 111
1797 წ. ქუთაისის საბუთი № 6, გულქან დედოფლის შეწირ. წიგნი . . . 112
1797 წ. გელათის საბუთი № 70, ავალიშვილის ბეჟანის მიერ გენათელ ეფთვიმისადმი მიცემული წიგნი . . . . . . . . . . . . . . . 113
1798 წ. ქუთაისის საბუთი № 42, ჩარკვიანის ნასყიდობის წიგნი მეფე სოლომონ II-ისადმი. . . . . . . . . . . . . . . . . . —
1798 წ. ბიჭვინტის საბუთი № 54, სოლომონ II-ისაგან დავთრის დამტკიცების წიგნი. . . . . . . . . . . . . . . . . . . 114
1798 წ. გელათის საბუთი № 5, მარიამ დედოფლის შეწირ. წიგნი. . . . 115
1799 წ. გელათის საბუთი № 100, სოლომონ II-ის წყალობის წიგნი. . . —
1799 წ. ნიკორწმინდის საბუთი № 11, სარდლის გიორგი წულუკიძის შეწირულობის წიგნი. . . . . . . . . . . . . . . . . . 116
1800 წ. გელათის საბუთი № 25, საფიცრის წიგნი კუტივაძისაგან ეფთვიმე გენათლისადმი. . . . . . . . . . . . . . . . . . 117
1800 წ. გელათის საბუთი № 85, სოლომონ II-ის შეწირ. წიგნი. . . . . 118
1800 წ. ნიკორწმინდის საბუთი № 28, მარიამ დედოფლის შეწირ. წიგნი. —
1800 წ. ხონის საბუთი № 4, სოლომონ II-ის შეწირ. წიგნი. . . . . . . 119
1801 წ. გელათის საბუთი № 107, დარეჯან ბატონიშვილის შეწირ. წიგნი 120
1802 წ. გელათის საბუთი № 9, სოლომონ II-ის მიერ მიცემული წიგნი საგენათლო მამულებში მეფის მოურავის არდაყენების გამო. . . . 123
1802 წ. ხონის საბუთი № 69, კორძაიასაგან მიცემული მთავარეპისკოპოს ანტონისადმი თავდებობის წიგნი. . . . . . . . . . . . . . 123
1802 წ. ხონის საბუთი № 18, რუხაძისაგან თავდებობის წიგნი მთ.-ეპისკ. ანტონისადმი. . . . . . . . . . . . . . . . . . . —

ეროვნული ბიბლიოთეკა

1802 წ. ხონის საბუთი, პირი დაცული გუჯრების წიგნში № 103, შეწირულობის წიგნი სოლომონ. II-ისა . . . . . . . . . . . . . . . . . 124

1790—1803 წ. ხონის წმ. გიორგის ტაძრის საბეგრო ნუსხები, დაცული გუჯრების წიგნში № 103. . . . . . . . . . . . . . . . . . . .

1803 წ. გელათის საბუთი № 3, მხეიძეების მიერ მიცემული პირობის წიგნი 138

1803 წ. გელათის საბუთი № 23, სოლომონ II-ის შეწირული წიგნი. . . . 136

1803 წ. ქუთაისის საბუთი № 28, სოლომონ II-ის შეწირულობის წიგნი . 140

1803 წ. ხონის საბუთი, დაცული გუჯრების კრებულში № 103, მარიამ დედოფლის შეწირულობის წიგნი . . . . . . . . . . . . . . . —

1803 წ. ხონის საბუთი, დაცული გუჯრების კრებულში № 103, სოლომონ II-ის წყალობის წიგნი ტაბიძეებისადმი . . . . . . . . . . . 141

1803 წ. ხონის საბუთი, დაცული გუჯრების კრებულში № 103, სოლომიან II-ის წყალობის წიგნა სანაძეებისადმი . . . . . . . . . . .

1804 წ. ქუთაისის საბუთი № 19, დოსითეოს ქუთათლის და ერისთვეების მიერ დადებული წიგნი . . . . . . . . . . . . . . . . . 143

1804 წ. გელათის საბუთი № 14, ეფთვიმე გენათლის მიერ დადებული წიგნი . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 144

1804 წ. ბიჭვინტის საბუთი № 98, განჩინების წიგნი სოლომონ II-ისაგან . . 145

1804 წ. ბიჭვინტის საბუთი № 89, იმერთა დედოფლის ანნას წყალობის წიგნი . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 146

1805 წ. ქუთაისის საბუთი № 43, სოლომონ II-ის წყალობის წიგნი . 147

1805 წ. ხონის საბუთი № 77, სათავდებო წიგნი კიკალიშვილისა . . . . —

1805 წ. გელათის სოხასტრის საბუთი № 2, ნასყიდობის წიგნი დავით პურისშვილისაგან . . . . . . . . . . . . . . . . . . . 148

1805 წ. ქუთაისის საბუთი № 16, ნასყიდობის წიგნი ქუთათელ დოსითეოსისაგან . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 149

1805 წ. გელათის საბუთი № 8, ნასყიდობის წიგნი გოგოლაშვილებისაგან —

1805 წ. ნიკორწმინდის საბუთი № 3, შეწირულ. წიგნი სოლომონ II-ისა 159

1806 წ. ხონის საბუთი № 79, რუხაძისგან თავდებობის წიგნი . . . . . 151

1807 წ. ნიკორწმინდის საბ. № 9, ანზ. წერეთლების მიერ მიცემული წიგნი 152

1807 წ. გელათის სოხასტრის საბუთი № 1, სოლომონ I-ის შეწირულ წიგნ. 152

1807 წ. ხონის საბუთი № 21, მარიამ დედოფლის წყალობის წიგნი . . . 153

1807 წ. გელათის საბუთი № 43, ანდრია კანდელაკის შეწირულობის წიგ. 154

1807 წ. გელათის საბუთი № 115, მარიამ დედოფლის შეწირულ. წიგნი. 155

1807 წ. გელათის სოხასტრის საბუთი № 19, პატრიძეების პირობის წიგნი. 156

1807 წ. ხონის საბუთი № 76, ფალავების მიერ მიცემული წიგნი. . . . 157

1807 წ. ხონის საბუთი № 67, კორძაიას მიერ მიცემული წიგნი . . . . —

1807 წ. ხონის საბუთი № 58, განჩინების წიგნი ხონის ეკლესიასა და ფალავებს შორის დავის შესახებ . . . . . . . . . . . . . . 158

1808 წ. ხონის საბუთი № 61, წივწივაძეების სათავდებო წიგნი . . . . 159

1808 წ. სვირის წმ. გიორგის საბუთი № 4, კოსტანტინე ბატონიშვილის

შეწირულ. წიგნი . . . . . . . . . . . . . . . . . . .
1808 წ. გელათის საბუთი № 91, სოლომონ II-ის შეწირული წიგნი . . 160
1808 წ. ხონის საბუთი № 81, მარიამ დედოფლის შეწირული წიგნი . . . 161
1808 წ. ნიკორწმინდის საბუთი № 2, ბარბარე ბატონიშვილის შეწ. წიგნი —
1808 წ. ბიჭვინტის საბუთი № 86, სოლომონ II-ის წყალობის წიგნი . . 163
1809 წ. ხონის საბუთი № 41, ჩხეიძეების წიგნი ნიშანის მიცემის შესახებ ხონის მთ.-ეპისკოპოსისათვის . . . . . . . . . . . . . . . . 164
1809 წ. ბიჭვინტის საბუთი № 70, წყალობის წიგნი დოსითეოს ქუთათლისა ზაქარია არქიმანდრიტისადმი . . . . . . . . . . . . . . 165
1810 წ. ბიჭვინტის საბუთი № 64, წყალობის წიგნი დოსითეოს ქუთათლისა, მახარიკა და სხვა გურულებისადმი . . . . . . . . . . —
1810 წ. გელათის საბ. № 92, ალექსანდრე ბატონიშვილის შეწირულ. წიგნი 166
1805—1810 წ. გელათის წმ. გიორგის საბუთი, არზა სოლომონ II მეფის სახელზე . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 167
1810 წ. ხონის საბუთი № 20, მარიამ დედოფლის წერილი ანტონ მთავარ-ეპისკოპოსისადმი . . . . . . . . . . . . . . . . . . 168
1811 წ. ხონის საბუთი № 60, ვახუშტი ჩიჯავაძის მიერ ანტონ ხონელისადმი მიცემული წიგნი . . . . . . . . . . . . . . . . . —
1603—1811 წ. ხონის საბუთი № 30, ნინო ოდიშის დედოფლისაგან განჩინების წიგნი . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 169
1812 წ. ჭელიშის საბუთი № 11, ნიკ. იაშვილის შეწირულ. წიგნი . . . 170

**დამატება:**

1615—1620 წ. ახლ. ბიჭვინტის საბუთი № 16, გიორგი ლიპარტიანის შეწირული წიგნი . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 172
1660 წ. ხონის საბუთი № 9, მეფე ალექსანდრე III-ის მიერ მიცემული წიგნი ხონის ტაძრის გლეხების განთავისუფლების შესახებ სახვანთქრო გარდასახადისაგან . . . . . . . . . . . . . . . . . —
1717 წ. გელათის წმ. გიორგის საბ., ბეჟან დადიანისა და შოშიტა რაჭის ერისთავის მიერ დადებული პირობის წიგნი . . . . . . . . . 173
1720—1742 წ. ახლ. გელათის წმ. გიორგის საბუთი, პირობის წიგნი ტყვიროლ გლეხის შესახებ . . . . . . . . . . . . . . . . . 174
1696—1742 წ. გელათის წმ. გიორგის საბუთი, გიორგი ბერძენის პირობის წიგნი, მიცემული გრიგოლ კათალიკოზისადმი . . . . . . . . 175
1770 წ. ახლ. ხონის საბუთი № 73, ხაინდრავების პირობის წიგნი . . . —
1777 წ. ხონის საბუთი № 25, ანტონ ხონელის შეწირ. წიგნი . . . . .
1777 წ. კაცია დადიანის წიგნი ცაიშის კათედრის აღდგენის შესახებ . . 176
1751—1784 წ. გელათის წმ. გიორგის საბუთი, სოლომონ I-ის ბრძანება 178
1786 წ. გელათის წმ. გიორგის საბუთი, მხეიძეების მიერ წინამძღვარ სილიბისტროსადმი მიცემული წიგნი . . . . . . . . . . . . . —
1788 წ. ხონის საბუთი № 26, ანტონ ხონელის შეწირულ. წიგნი . . . . —
1799 წ. ხონის საბუთი № 59, ზურაბ მაჩაბლის პირობის წიგნი . . . . . 180

ეროვნული ბიბლიოთეკა

**1750 წ.** მღვდელმონაზონის ლაზარეს შეწირულობის წიგნი, გელათის საბუთთაგან № 62, თეთრს ქაღალდზე ზომით $86\frac{1}{4} \times 31\frac{1}{2}$ სანტიმ. ნიშნად ყოველ სიტყვის შემდეგ თითო წერტილია, ზოგან სამი.

(გრძელ ღვთისმეტყველურ წინასიტყვაობის შემდეგ).... მე ალქატი სიჩოდგან ამისდა სახელდებული მღდელ მონოზონი ლაზარე გვარისა უხმარებითა ერგებლიძე.... აწ შეიწირე ჩემ უღირსთაგან უბიწოვო დედაო ღთისაო გლეხი არგვეთს, რომელ არს ალისუბანი, ჩემის კონდაკით თითოულებ დახსნილი და მამულ ალაგი ჩემის თეთრით ნაყიდი არავისაგან არა საცილო.... თურქაძე მამუკა და მისი ძმა იმედა და სეხნია და დათუნა მისის ცოლშვილით მამულ ალაგით.... გელათისათვის შამომიწირავს.... და ასე შევვედრებივარ ამ ჩემს ხელმწიფის შვილს გენათელს იოსებს და შემდგომს კვალად გენათელს, რათა წელიწადშიდ თვითან მოხსენებას და წირვას ყოფდენ ჩემ ცოდვილითათვის. უკეთუ თვითან არ გაისაჯენ, ერთს წინამძღვარსა და ერთს დიაკონს გვიწირვინონ.... (გენათელს მსახურობა, შემდეგ გრძელი წყევა შემშლელთათვის).... კაცთაგან მოწამე ამისი თავად ბატონი ბატონის შვილი უფლისწული გენათელი იოსებ, ქუთათელ წოდებული აბაშიძე მაქსიმე, წინამძღვარ ჯვარმტვირთველი კანდელაკი დავით, წინამძღვარი მაჭავარიანი ნიკოლოზ, წინამძღვარი ჭიჭინაძე იოსებ, კანდელაკი მღდელი იესე, წინამძღვარი მღდელ მონოზონი ბასილ, მღდელ მონოზონი შავლანიძე, მგალობელი ჭიჭინაძე იესე და ერთობით კრებული, გელათის სახლთუხუცესი ნემსაძე შოშიტა და სხვანი მოხელენი ყოველნი და მე ალქატს მღდელ მონაზონს.... წმინდის მოწამეთის წინამძღვარს და ჩემის ხელმწიფის კარის მღდელს ღოღობერიძეს სილიბისტროს დამიწერია და მოწამეცა ვარ ამისი. დაიწერა ქრისტეს აქეთ ჩღნ დასაბამიდგან ვიდრე აქამომდე კ (sic) თვესა ინდიკტონსა (sic) იგ. (ხუცურად:) ამპყრობასა ჯვარისასა სრულ იქმნა დღესა პარასკევსა შეწევნითა ღთისათა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**1753 წ.** გაბრიელ ჭყონდიდლის შეწირულობის წიგნი, მარტვილის საბუთთაგან, იბეჭდება პეტერბურგის აზიურ მუზეუმში დაცულ პირის მიხედვით.

.......მარტვირის ღვთისმშობელო... მე სიყრმიდგან მონამან და მადიდებელმან ტაძრისა შენისამან დადიანის ბეჟანის ძემან ბატონმან ჭყონდიდელ მიტროპოლიტმან გაბრიელ... მწვლილადი ეგე შესაწირავი ძღვნად მოგიძღვენ, ასე რომ გულუხეთს ჩვენი ყმა ბუჭუკელა გიგინეისშვილი იყო, მოკვდა ის და მისი კაცები რაც იყო სხვები. საყდრისა შენისა ყმა იყო, მაგრამ ეს სანთლის ბეგარა არ ემართა და ჩვენ დავადევით. ცხრა გლეხი არის თავს: ერთი სეხნიელა იობაძე და მისი ძმა ბუჭუელა, მეორე კიდევ მახარებელი იობაძე, მესამე ფირცხალავა გიორგი, მეოთხე კიდევ ფირცხალავა სეხნია, მეხუთე გიგინეისშვილი ტატუელა, მეექვსე გიგინეისშვილი ლაშკარა. ამ ექვს გლეხს ურმოული ღომის ბეგარა ემართა, ურმოული ღომი გარდავიღეთ და თითო მარჩილის სანთელი და თითო რუბის საკმეველი დავადევით და ამ სამს გლეხს, გოჩია გიგინეისშვილს, მამისთვალა გიგინეისშვილს და ბუჭუველა გიგინეისშვილს ურმოული არ ემართა და ღორის ბეგარა შევაწიეთ და თითო მარჩილის სანთელი დავადევით. ამას გარეთ კიდევ რობას სამი გლეხი იყო ჩვენი, ქოიავა ხუტუ და მისი ძმა კაცობა, მეორე გლეხი ჩიქობავა ბაძღუელა, მესამე გლეხი სვიმონა ჯგიმორდელა და მისი ძმა ხახუტელა. ეს სამი გლეხი რობას ესახლენ, მაგრამ მიქელაძეებმან არ დააყენეს და წამოვიყვანეთ და გამოღმა კოდორს დავასახლეთ. სამივე გლეხს ურმოული ღომი შევაწიეთ და თითო მარჩილის სანთელი თქვენის საყდრისათვინ დავადევით და თითო რუბის სანთელი სუჯუნის საყდრისათვინ. ამ რობელი კაცების დავთარი სუჯუნასაც დაგვიძს: აწ როგორც გარიგებით სანთელი და საკმეველი ამ წიგნში დაგვიწერია, ისე ყოველს დიდმარხვაშიდ.... შენის საყდრის სანთლის და საკმევლის ჩამომბოჭავს მისცემდეს ჩვენის სულის საოხად და თუ წყალობითა შენითა იმატონ და გაიყონ, რამდენიც გლეხი შეიქნას, ეს საყდრისა შენისა ბეგარა თითო გლეხზედ ისევ სრულად გაყვეს. ხოლო ჟამთა ვითარებისაგან რომელიმე გლეხი ამოსწყდეს, ვინც იმ გლეხის ნაპარტახი ალაგ მამული დაიკაოს, ეს ბეგარა როგორც სწერია იმ კაცმა გარდაიხადოს. ამას გარეთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ კაცებს თუ რამ ბეგარა მართებს, იმას ვინც ჭყონდიდელი იყოს, იმას მიართმევდეს და არც მიდღემჩი არას მებატონისაგან ეს თორმეტი გლეხი კაცები აზნაურსშვილს ყმათ არ მიეცეს....., დაიწერა ქკნსა უმა,

**1754 წ.** ნასყიდობის წიგნი, მიცემული გიორგი აბაშიძის მიერ მეფე სოლომონ I-ისადმი, დაცული გელათის ტაძრის საბუთებში № 19, დაწერილია თეთრს ქაღალდზე ზომით $43 \times 31^{1}/_{2}$ სანტიმ. ნიშნები დაცულია.

..... (გრძელ ღვთისმეტყველურ წინასიტყვაობის შემდეგ)...... ესე.. მტკიცედ.. შეუცვალებელი.. ნასყიდობის: საფიცარი: მოგართვით: ჩვენ: თქვენმა: ყმამ: აბაშიძე: გიორგი. მამუკაშვილმა: თქვენ. ჩვენს: ბატონს: კელმწიფეს: ღ̃ს: მიერ: ცხებულს: ლიხთამერეთის: მპყრობელს: მეფეთ. მეფეს: ბატონს: სოლომონს: შვილთა და: მომავალთა: თქვენთა: ასე რომ: დიდათ: გამიჭირდა: და: ვალმა.: ძალი: მიქნა და:. სხვა: ველარა: მოვიხერხე რა: და: სხვის მიყიდვას: თქვენ:. ვარჩიე და: მოგყიდეთ.. ციხე.. ბარაგაულის (sic) და. რაც.. ამისი: შემამავალი.. ამდაბლა: (sic) ჩვენი.. ყმა.. და ალაგი.. იყო.. აზნოურშვილი.. მსახური და.. გლეხი.. მიწა.. წყალი: ტყე: საძებრით და.. უძებრით.. შესავლით:. გასავლით:. ეკლესით.. და.. ეკლესიაშიდ.. დამარხვა.. ნუ დაგვეშლება.. ასე: მოგვიყიდია და.. მოგვირთმევია.. ამაშიდ.. რათაც: გული.. შეგვიჯერდებოდა.. ისე. სრული.. ფასი.. გვიბოძეთ და.. გაგვისტუმრეთ.. ახლა.. მოგვირთმევია.. ყოვლის.. კაცის.. უცილებლათ და: ღ̃ნ.. გამარჯვებაშიდ.. მოგახმაროს: ჭარტალასა და.. ელაზნაურს გარდა: კოსია.. ჩიკვაიძე: მისი კერძი მამულით: და კოსია: დუგლაძეს: გარდა.. ამათ.. ჩამოისათ.. სხვა.. ყველა: მოგართვი: კაცთაგან.. ამისი.. მოწმე.. სახლთხუცესი.. ჯაფარიძე: როსტომ.. აბაშიძე.. ზურაბ.. აბაშიძე.. ბერი.. წერეთელი.. ქაიხოსრო.. ბაზიერთხუცესი.. მიქელაძე.. ზურაბ.. მაჭავარიანი.. ქაიხოსრო.. წერეთელი.. სვიმონ.. წულუკიძე.. პატა.. და. ბერი.. ამირან.. მესხი.. მდივანი: დავით.. თამაზა.. მესხი.. ჟორჟოლაძე.. სეხნია.. ბეჟიაშვილი.. ბეჟია.. კიკნაძე.. თანდილა.. პაპუნაშვილი.. კიკნაძე.. პატა ხოსიაშვილი.. მე აბაშიძე.. ზაალს.. დამიწერია . მოწამეცა ვარ: ამისი: ალი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წერა: თვესა: სეკდენბერს: ვ: დღეს.. ქრისტესა აქეთ.. ჩღმიდ.. ქკს: უმზ.

არშიაზე სხვა ხელით: პაპუჩა. კიკნაიძეს: თანდილა. პატა. და. ხოსია. ესენი. ჩემი. ძირი. ყმა. არა. ყოფილა. ისე. მოსულარან. ნაყიდათ. არ მომირთმევია. და ისე. იმსხურეთ:

ბეჭედი წარწერით: მონა ღთისა აბაშიძე გიორგი (უკანასკნელი სიტყვა შუაში ასომთავრულად).

**1755 წ.** სიგელი სოლომონ I-ისა გელათის ტაძრისადმი, გელათის საბუთთაგან ზომით 572×28½ სანტ. დაწერილია თეთრს ქაღალდზე, ნიშნად ყოველ სიტყვის შემდეგ იხმარება თითო წერტილი.

(დვთისმეტყვ. წინასიტყვაობის შემდეგ).... ღთის მსახურსა მეფესა დავითს, სამართლად აღმაშენებელ წოდებულსა, ეგულსმოდგინა დაღეშენა (sic) ტაძარი ესე გენეთლისა... და შემდგომად მისსა ყოველთა მეტომეთა მისთა მრავლის შეწირულობით, დაბით და სავანით, სამწყსოთ და სამრევლოთ სრულ ექმნათ.... და განესრულებიათ ქალაქით, მამულით, ტყით, წყლით და მრავლის შესაწირავით დაღვსილიყო (sic) წმიდა ესე ეკლესია პატიოსანით ხატით და ჯვარით და შემდგომად ამისა აგარიანთაგან ლტოლვილთა მოესვენებიათ... კატსახე კახულისა და ვარძიისა მღთისმშობელისა ფდ ფდითა სამკაულითა მოსილი... და შემდგომად ამისა, ოდეს ვისმე ღთის მოძულესა დარიოზის უწარმართესსა ქუთათისის ციხე კელთ ეგდო მძვინვარისა აგარის ნაშობთათვის და მას ჟამსა საყდრისა ამის შემავალნი ქალაქნი და დაბანი მოკლებულ იყნენ დიდის ოხრობით ისმაილის ნაშობთაგან შეიწრებული სიყმილთა და უფროსად ჭირვეულ ყარვის მოღებითა დიდსა განსაცდელსა და იწროებასა შინა იყვნენ, ვიდრეღარა წარწირვად გონებდენ თავთა თვისთა ყოველნი შემავალნი ტაძრისა ამისნი და თვით სამეუფო ტაძარი სამკაულთაგან დაკლებულ ქმნილიყო აგარიანთა მოღებითა და შენნი მრავალნი ოხერ დაუშენ ჩნდ (sic) იყო დაწ (sic) ჩვენ... იესიან დავითიან სოლომონიან პანკრატოვანის ძისძემან ყოველთა უნარჩევესმან ღთივ გვირგვინოსანმან პატრონმან ლიკთ იმერეთისამან თვით მპყრობელმან მეფეთმეფემან სოლომონ და თანამეცხედრემან ჩემმან დიდისა დადიანის ოტიას ასულმან დე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დოფალთა დედოფალმნ კეთილ მორწმუნემან მარიამ და მკვიდრმან სახლისა ჩემისამან სასურველმან მამის ძმამან ჩემმან ლიკთ იმერეთისა უფლის წულმან მამუკამ და თანამეცხედრემან მისმან ღთის მოყვარებისა საუნჯემან სახელოვანის დადიანის ბეჟანის ასულმან დაჰრეჯან და კვალად უფლისწულმან ბიძამან ჩემმან გიორგიმ თანამეცხედრით, ძით და ასულით და სხვათა ძმთა და ძმისწულთა სახლისა ჩემისათა ყოველთავე ვიგულსმოდგინეთ ტაძრისა ამის განთავისუფლება (აქ ცარიელი ადგილია დატოვებული $^2/_3$ სტრიქონი) და მას ჟამსა ძმა ჩემი უმრწემესი.... იოსებ გენათლად იჯდა, გვევედრა კრებულით თვისით და დედის ოდნად სასურველი ბიცოლა ჩემი ზემოხსენებული დარეჯან შუამდგომელ იყო..... მრავალთა განსაცდელთაგან ოკერ ქმნილისა ამას ჩვეცა კლ ვყავით განთავისუფლებად დიდისა იწროებათაგან მოცულისა ტაძრისა ამის შემავალთათვის და თვით პატიოსანისა ამის ეკლესისა სასამსახურდ მოვაცალეთ შემავალთა ამისთა, რათ ამათ მიერ იმკობოდეს უკუნისამდე... (აქ არშიაზე ჩამატებულია სხვა ხელით: რომელიც სამეფო კაცსა და ან სხვას ნაყიდი ყავს, იმას გარდა მისდა საკუთრათ რაც არს) ...ასე დავამტკიცეთ რომ არც ჩემგან და არც შემდგომთა ჩემთა მეპატრონეთაგან ამ გელათის შემავალს არც აზნაურის შვილის ყმასა და არც გლეკს მისი საკუთარი სახასო ყმა (აქ არშიაზე ჩამატებულია სხვა ხელით: ოკრიბაშიდ და) სადაც იყოს არსად ჩვენგან და ჩვენის მორჩილისა და ბძანების ნება მყოფილის კაცისაგან არასოდეს საურის გარდასახადი კარაჯა არ ეთხოვებოდეს.... კაცთაგან ამისი მოწამე ყოვლად სანატრელი უფალი ჩვენი აფხაზეთისა კათალიკოზი ბესარიონ, კეთილ მეგობარი და ნება მყოფლობით მორჩილი სიტყვისა ჩვენისა მამად სახადი ჩემი დადიანი ოტია და ძმა მისი პირველ გენათელ წოდებული ყოვლად სამღვდელო ჭყონდიდის მიტროპოლიტი გაბრიელ და ძმა მისი უმრწემესი ცაგერელ მიტროპოლიტი ყოვლად სამღდელო გრიგოლ, ქუთათლად წოდებული მაქსიმე, მთავარ ეპისკოპოსი ხაპის ტარ (sic) წოდებულ ნიკოლოზ და სხვანი ყოვლად სამღდელონი დასნი ყოვლნი, გამრიგე და მუშაკი ამისი ჩემი სასურველის ბიძის მეუღლე ზემოკსენებული დარეჯან და დიდებულნი ჩემნი თავად სპასპეტი და ვიპატოსი ერისთავი როსტომ, ერისთავი გიორგი, აბაშიძე ლევან, წულუკიძე მერაბ, სახლთუხუცესი ჩაფარიძე როსტომ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

სარდალი წერეთელი ქაიხოსრო, მოლარეთუხუცესი აბაშიძე ბერი, დარბაზისერნი ჩვენნი მიქელაძე ბაქარი, ვახტანგ, ზურაბ და სხვანი მათთანა, ნიჟარაძე გიგი და პატა, ციხისთავი ქეშიკთუხუცესი ჩვენი აგიაშვილი ქაიხოსრო, მოურავი ჩვენი კეთილმორბედი დამ (sic) საქმის მუშაკი მაჭავარიანი ქაიხოსრო და ბიძის ჩემის სახლით უხუცესი ახლედიანი დათუნა, მხეიძე ვახუშტი და გიორგი, ლორთქიფანიძე ბერი და სვიმონ და სხვანი მათანა, იაშვილი ლევან და ვახტანგ, მესტუმრეთუხუცესი მესხი პატა და მისი ძმა ამირან, ვზინდართუხუცესი წერეთელი სვიმონ, კარისა ჩემისა მდივანი დავით და სხვანი კარისა ჩემისა გამგენი ყოველნივე და მე ალქატმან ფრიად ცოდვილმან მღდელ მონაზონმან.... წმინდის მოწამენის სამარხოს ყოვლად წმიდის ტაძრის იმლვიმენოსმან (sic) დამ ჩემის ხელმწიფის კარის წინამძღვარმან გვარისა უხმარებითა ლოლაბერიძემ სილიბისტრომ ბრძანებითა პატრონისა ჩემისა მეფის სოლომონისათა აღვსწერე სიგელი ესე.... მიეც... აგარიანთა მძლეობა მეფესა ჩვენსა, დამამტკიცებელსა ამისსა სოლომონს, ძეთა და ასულთა ამისთა... და აწ ვინც... შლად კელყოს კელმწიფემან გინა დედოფალმან, პატრიარქმან გინა ეპისკოპოსმან, თავადმან გინა დარბაზის ერმან, აზნაურმან გინა გლეხმან, დიდმან გინა მცირემან.... (გრძელი წყევა).

ნუსხა ხუცურად: დაიწერა ნებითა მღთისათა და ჯერ ჩინებითა მეფისა სოლომონისათა სიგელი ესე თსა ოკდონბერსა კთ ქეს აქეთ ჩღნე დასაბამითგან ვ́ე აქამომდე კსჲგ დღესა გ.

ხვეულად: მეფე სოლომონ ვამტკიცებ ნებითა ღვთისათა.

ბატონიშვილი მამუკა.
დადიანის ასული დარეჯან.
დედოფალი მარიამ.

აქვე დასმულია პატარა, სამსტრიქონიანი წარწერით ბეჭედი, რომელიც სოლომონ I მეფის უნდა იყოს. წარწერიდან სჩანს მხოლოდ პირველი სიტყვა: მონა...

აქვე დასმულია დიდი საკათალიკოზო ბეჭედი: შუაში გამოხატულია ღვთისმშობელი ძითურთ, ხოლო ირგვლივ აქვს წარწერა: ქ. მეფე და მღდელთმთავარი აფხაზეთისა კზი ბესარიონ 1742.

შემდეგ ხუცურად გრძლად ამტკიცებს კათალიკოზი ბესარიონ: ....მესახლ მენთთესვემნ (sic) რაჭის ერისთვის შვილმან კათალიკოზ ბესარიონ დამამტკიცებელობისა კელსა მოურთავ.... (წყევა)....

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბეჭედი ასომთავრული წარწერით: ქზი ბესარიონ. არშიაზე ამოკვეცებს დავით II და სოლომონ II, იქვე დასმულია ბეჭდები დავით II-სა, ანნა დედოფლისა და სოლომონ II-სა.

**1755 წ.** დაახლოვებით ამ წლის ახლო ხანებში უნდა იყოს დაწერილი შეწირულობის წიგნი ბესარიონ კათალიკოზისა, ბიჭვინტის საბუთთაგან № 20.

....ლიხთამერთა ოდიშირთა (sic) პონტო აფხაზ გურიათა, რაჭა ლეჩხუმთ, სვანთ, ოსთ, დვალთა და სრულიად ჩრდილოეთისა საჭეთმპყრობელმან რაჭის ერისთვის ძემან კათალიკოზ პატრიარხმან უფალმან ბატონმან ბესარიონ შემოგწირეთ კნინი ესე შესაწირავი ძირთანს ორი გლეხი ნასხიდა ტოფაძე და მისი ძმა მჭედელი ხუცია და მეორე გლეხი კუბლაშვილი ბაზიერის შვილები თამაზა, ნასხიდა და მამუკა შემომიწირავს. ეს ორი გლეხი მათის ცოლშვილით, სახლკარით, ალაგმამულით, საფლავსამარხით, წყალწისქვილით, ტყით, ველით, საძებრითა და უძებრით, რისაც მქონებელი იყონ, მისის სამართლიანის საქმით შამოგვიწირავს. ამ მიზეზით ჩვენს მემკვიდრე ყმას ბულაშვილს ამ ორმა გლეხმა კუბლაშვილმა და ტოფაძემ შინაყმა მოპარეს ჩილუნაძე და ახალციხეს გაუყიდეს და დიდის შრომით და ძიებით გამოიჩინა და სახსარი და სამთხრობლო ბულაშვილს ამათს ნაქურდალზედ ოთხასი მარჩილი დაეხარჯა და ეს ქურდები და ბულაშვილი გავასამართლეთ და მოსახლობით ვერ აუვიდენ ნაქურდალშიდ და ჩვენი კაცი ბულაშვილი წყალობით ჩვენ შევიჯერეთ. სხვას გარდა ერთი აყრილი გლეხი და ასი მარჩილი ბულაშვილს ჩვენ მივეცით და ეს გლეხი ყოვლის კაცის უცილებლათ შენთვის, ბიჭვინტისა ღ̃თისმშობელო, უმიზეზოდ ჩვენ შამოგვიწირავს. აწ ვინც ამათად გამოხვებად ხელყოს და ეს შენ გამოგწიროს ხელმწიფემან, ან პატრიაქმან, მიტრაპოლიტმან ანუ ეპისკოპოსმან, თავადმან ან დიდებულმან, ანუ აზნაურმან, დიდმან ანუ მცირემან, წყეულ, კრულ და შეჩვენებულმცა არის ღთისაგან და წმინდათა მისთაგან, ნუმცა იქმნების ხსნა სულისა და ხორცთა მისთა ნუცა წირვითა და ლოცვითა, ნუცა გლახთმოწყალებითა (sic) და ნუცა იერუსალიმს წასვლითა.

ხვეულად: ქზი ბესარიონ და აქვე მისი ბეჭედია დასმული.

**1755 წ,** შეწირულობის წიგნი მამუკა ბატონიშვილისა ხონის ტაძრის საბუთთაგან № 33, დაწერილი თეთრს ქაღალდზე, ნიშნად ყოველ სიტყვის შემდეგ ორი წერტილია.

....წმიდაო გიორგი ხონისაო, შემოგწირეთ მცირე შემოსაწირავი ჩვენ ბატონიშვილმა მამუკა და მეუღლემან ჩემან დადიანის ასულმან ბატონმა დარიჯან.... ქანტურიშვილი დავითა და ხუცესი გიორგი მისის ცოლშვილით და მამულ ადგილით.... ძველათაც თქვენი მედროშე ყოფილიყო და უდრობაშიდ სხვას ეჭირა და ჩვენ ხელახლა შამოგვიწირავს და მომირთმევია. ამ კაცმა წელიწადში ყოველს აღდგომის მეორე დღეს თითო ცხვარი დეიდვა და მღვდელს ჟამს გვიწირვინებდეს და მოგვიხსენებდეს. სხვა კაცს ხელი არქ (sic) ამასთან. კაცთაგან ამისი მოწამე წულუკიძე კაცია და შვილი მისი პაატა, მხეიძე ვახუშტი. დეიწერა (sic) მდივნის ჩვენის დათუნას ხელით.... ჩღნე.

ბეჭედი ასომთავრული წარწერით: მამუკა.

ხვეული ხელის მოწერა: მე ბატონიშვილი თეიმურაზ ვამტკიცებ სიგელსა ამას.

ბეჭედი წარწერით: დ˝თიანი ტომობით ვარ მე თეიმურაზ უფლისწული.

**1757 წ.** შეწირულობის წიგნი ოდიშის დედოფლის თამარისა ცაგერის საბუთთაგან, იბეჭდება პეტერბურგის აზიურ მუზეუმში დაცულ პირის მიხედვით.

...ცაგერის ღვთისმშობელო, გევედრები მე დედოფალი გელოვანის ქალი თამარ და მცირესა ამას შესაწირავსა წინაშე მეუფებისა თქვენისა ძლვნად მოვიღებ, ასე რომ ეს ორნი ძმანი სილაგაძენი ობოლი სადმე იყვნენ, იოანე და ძაღუტა. პირველად დავიხსენი, მის მოლმა ერთი ხუცათ გამიზდია და მეორე ერის კაცათ და წიფერჩს დამისახლებია და მიმიცემია ბერიკას ჩარკვიანის სოული სამოსახლო ალაგ მამული, ტყე და წყალი, მისის ყოვლისფრით, ყმებრ საძებრიანად და ამასთან კიდევ მომიმატებია ერთი საყანე ცხენის წყლის პირათ და მეორე საყანე ლარჩვალს და კიდევ ამასთან ოთია კოპალიანის სოული ტყე და ამას გარედ სასაფლაო, სასხვისშვილო (sic) იყო საფლავი და ის მიმიცემია და ასე მოსახლობიანათ

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენთვის შემომიწირავს, ცაგერის ღ̃ისმშობელო, ჩემის ცოდვილის სულის საოხად და მწირველ მლოცველად ჩამიბარებია ჩემის შვილების ცაგერელ მიტროპოლიტის გრიგოლისა და მისი ძმის მანუჩარისათვის.... აწ ამისთვის ბეგარა დამიცს ერთი რუბის სამთელი წელიწადში, ღვთისმშობლობას ცაგერის ღვთისმშობელს მიართმევდეს და წირვა დამიცს სხვები ბეგრების სამაგიეროთ ჩემის სულისათვის და ასე აზატობით შემომიწირავს და გამირიგებია ამ ორის ძმის სილოაგაძის იოანესა და ძაღუტას საქმე..... აღიწერა წიგნი ესე ქორონიკონსა უმე ხელითა მგალობლის გ̃ისათა და მოწამეცა ვარ ამისი.

წყალობითა და შეწევნითა ღვთისათა ვამტკიცებ მე დადიანის ბექანის ძისძე მანუჩარ მანუჩარის ძე ბატონისშვილი და ბატონის შვილი ბექან ბატონის ჩემის დედოფლის, ბებიის ჩემის წიგნსა ამას.....

აქ დასმული ყოფილა ბეჭედი.

**1758 წ.** შეწირულობის წიგნი კაცია დადიანისა ცაგერის საბუთთაგან, იბეჭდება პეტერბურგის აზიურ მუზეუმში დაცულ პირის მიხედვით.

......წყალობითა ღთისათა თვით ლეონ დადიანის ტახტსა ზედან აღხარისხებულმან და სრულიად ოდიშ ლეჩხუმის მპყრობელმან დადიანის ოტიას ძემან თვით პატრონმან დადიანმან კაციამ ნებითა, ჯერჩინებითა და განგებითა თქვნითა (ღვთის მშობელო), ხოლო განზრახვითა და თანაზედამდგომელ მნედ ყოფითა ბიძის ჩემის ცაგერელ მიტროპოლიტის გრიგოლისითა ვინებეთ და ვიგულისმოდგინეთ მცირედისა ამის ძღუნისა წინაშე შენსა შეწირვად ყუდრეშს, მოაშს და ნამკაშურს აქეთ რაც რომ ჭალა და ან მამული არის, სულ ყველა პირველად ცაგერისა ღ̃თის მშობლის საყდრის შეწირული ყოფილიყო და ჟამთა ვითარებისაგან უფროსი ერთი დიდი ხნით დაკარგული შექმნილიყო და ვინ გინდას ექირა. ახლათ ჩვენ გამოვიკითხეთ, მართალი გამოვიკვლიეთ და ხელახლა ისევ ცაგერის ღ̃თისმშობლის ეკლესიას შევსწირეთ, წიგნიც განგვიახლებია და დაგვიცს, ასე ხელშეუვალათ სამკვიდროთ საუკუნოდ ცაგერისა ღ̃თის მშობლისა და მისის საყდრისათვის შეგვიწირავს.... ცაგერლისაა და მეტს კაცს ხელი არა ქონდეს.... (შემშლელი შეჩვენებულ იყოს)

ეროვნული ბიბლიოთეკა

წ̃ისა და ყდ სანატრელისა კათალიკოზისა ჩვენისა ბესარიონისაგან, რომელსა ადგილსა ანუ საბერძნეთს გინა რუსეთს წმიდანი მღუდელთ მოძღვარნი, მღუდელნი ანუ დიაკონნი ყოფილიყვნენ და ანუ ახლათ იმყოფებოდენ, ამათ ყლთაგან ამ წიგნის შემშლელი შეკრულ შეჩვენებულ სულით, ხორცით, თავით, ტანით, ენით, სახით, საყნოსელით, ყ̃ლით შენადგამ ნაწევარითურთ..... დაიწერა ქკნსა უმვ ამინ, ა̃ნ და ა̃ნ.

**1758 წ.** შეწირულობის წიგნი კაცია დადიანისა სუჯუნის მონასტრისადმი. იბეჭდება აზიურ მუზეუმში პეტერბურგს დაცულ პირის მიხედვით.

...ჩვენ ღთის მიერ წყალობითა ბატონმან დადიანმან კაციამ.... წმიდა გ̃ის სუჯუნისას შემოგწირე მცირედნი ესე ძღვენნი, ასე რომ ერთი ჯოლიას ნაყმევი კაცი სამართლით კურთხეულს მამაჩემს დაჭირული ყავდა. მამაჩემი რომ მიიცვალა, ის კაცი ჩვენ გაუშვით. მისი ცოლშვილი, სახლკარი, ალაგ მამული, ყოველისფერი უკლისად მივეცით და ისევ დავასახლეთ. აწ ეს გაბრიელ გუგუშვილი.... შენდა შემომიწირავს... დაგვიცს შენდა მოსართმევად ბეგრად ერთი მარჩილის სანთელი, ერთი რუბის საკმეველი და წელიწადში ორსა მღდელსა და მთავარს მამიჩემის სულის საოხად ჟამს აწირვინებდეს და ამას გარდა ღვინის ბეგარა რვა კოკა მართებს და ჭყონდიდელი ვინც იყოს, იმან გამოართვას. ამის მეტი ამ კაცს არას მებატონისაგან არა ეთხოვოს რა. ასე აზატობით შემომიწირავს, დასტური ხატის სამსახური. სასოფლო რაც მართებდეს, ისევე ქნას... ქკნსა უმვ.

ბეჭედი

**1750—1758 წ.** ოტია დადიანის შეწირულობის წიგნი სუჯუნის მონასტრისადმი. იბეჭდება აზიურ მუზეუმში პეტერბურგს დაცულ პირის მიხედვით.

წმიდაო გ̃ი სუჯუნისაო, ჩვენ... ბატონმან დადიანმან ოტიამ და თანამეცხედრემან ჩვენმან რაჭის ერისთვის ასულმან ბატონმან დედოფალმან გულქან, ძემან ჩვენმან კაციამ, ნიკომ და გიორგიმ---....

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასე რომ ეს ჩართვალია კოჩობა დაკარგული იყო და ჩვენ ამოვიყვანეთ მისი ცოლშვილიანათ და თქვენ შუაქალაქს დაგისახლეთ და შემოგწირეთ. სხვა ბეგარა არა რა დაგვიც ამის მეტი, რომ ყოველს გიორგობას თვითო შამახურს სანთელს და ერთი რუბის საკმეველს ჩვენად სასულიეროდ თქვენ მოგართმევდეს. რასაც შემძლებელი იყოს, ეკლესიის მოსამსახურე იყოს.... არა სახარჯო ამას არ ეთხოვოს.

აქ დასმული ყოფილა ორი ბეჭედი.

**1760 წ.** შეწირულობის წიგნი მამია გურიელისა, ბიჭვინტის საბუთთაგან № 12, დაწერილია ქაღალდზე. ნიშნები სიტყვების შემდეგ არ არის.

....ესე ქრისტეს წინაშე მისატანი და აწდა უკუნისამდე საბოლოოდ გასათავებელი და უკუნისამდე დღეთა ჩვენთა დასამტკიცარი წიგნი, პირი და საფიცარი დაგიწერეთ და მოგართვით შენ ორისავე ცხოვრებისა ჩვენისა დიდს ნუგეშ შესავედრებელსა აფხაზეთისა კათოლიკოზსა უფალსა ბესარიონს ჩვენ გურიელმან ბატონმან მამიამ და თანამეცხედრემა ჩემმან მეფეთ მეფის ასულმან დედოფალმან ბატონმან როდამ, დაგიმტკიცეთ ეს კელთწერილი, ასე და ამა პირსა ზედან რომე თავათ ბატონმან მეფემან სოლომონ შემოკრიბნა დიდებულნი, დადიან გურიელი, ერისთავი, სამღთო ყოვლად სამღდელონი მიტროპოლიტ ეპისკოპოს არქიმანდრიტნი და ყოველივე ლიხთამერისა საღთო და საერო კრებული, დაგიმტკიცეს კრებით. როგორც შენის დავთრით შენის ბიჭვინტისა ღთისმშობლის შემოწირული ყმა ყოვლთან თავისუფალი ყოფილა, რომ კათალიკოზის მეტს კაცს შენს ხატის ყმაზედ კელი არ ქონია, ჩვენც მათის მოწმობითა და თანა ჯერჩინებითა მოგვირთმევია ესე წიგნი და პირობა. რაც ჩვენს ქვეყანაშიდ გურიას საკათალიკოზო ბიჭვინტისა ღთისმშობლის შეწირული ყმა ჩვენს საბრძანებელშიდ შენის ხატის ყმა იყოს, ამათ ჩვენგან და ჩვენის სიტყვის მორჩილის კაცისაგან არც წართმევით, არც მდგურის ჩაყენებით, არც სანადოს გამოწვევით, თუ მისისა ნებით გვემსახუროს, თვარამ არც ძალ და ძალ სმევა ჭმევით, არც საუდიეროს გარდასახადით, არას უსამართლობით ძალით ჩვენ

შენის ხატის ყმას არაფერი უსამართლო არ უყოთ რა. თუ რამე სამსახური დაგვჭირდეს, შენ დაგკითხოთ და შენის ბძანებით რაც ვიმსახუროთ, თორემ სხვეფ ჩვენის მოხვეჭითა და ძალით შენს ყმას უსამართლობა არა უყოთ რა. თუ ვინმე ჩვენის ქვეყნის კაცმან უსამართლობა და ურიგობა თქვენს კაცს უყოს, როგორც შევიძლოთ იმ თქვენის დავთრის სამართალი მოგართვათ (წყევა).... დაგვიმტკიცებია წიგნი ესე ბრძანება ჯერჩინებითა შამოქმედელ მიტროპოლიტის ბიძის ჩემის ბატონის ნიკოლოზისათა და ხინოწმინდელ მიტროპოლიტის მაქსიმესითა და სრულად ერთობით გურიულთა საღთოთა და საეროთა დასთა ერთკმობით ქეს აქეთ ჩღჲ ფებერვალის ი.

**1760 წ.** ამ წლის ახლო ხანებში უნდა იყოს დაწერილი ხონის ტაძრის საბუთი № 34, თეთრს ქაღალდზე ზომით $45 \times 33^3/_4$ სანტიმ. ნიშნად ყოველ სიტყვის შემდეგ იხმარება თითო წერტილი, თუმცა არა ყველგან.

...ესე... საფიცარი მოგართვი... მთავარ მოწამეს გიორგის ჩვენ წულუკიძემ კაციამ*), ძემან ჩემმან პატამ*), ბერმა და გიტეულმა*), ასე რომ ჭანტურისშვილი ძველათ თქვენი შეწირული ყოფილიყო, მერმეთ ჩვენს სახლის კაცს ყავდა და მის ყმას ჭუბაბრიას ყავდა, იმას ხელახლა წამოსლოდა და ისევე თქვენ მოგენდო. მერმეთ ის ჭუბაბრია მე მომივიდა და შენი·თავი მთხოვა. ბატონიშვილს ეჭირა მაშინ ხონი და ვთხოვე ეს გლეხი და ქრთამიც კარგი მივართვი და ისევ მე ვიშოვე. მერმეთ ამ ჭანტურისშვილის წყევლით თავისტოლი აზნაურსშვილი მომიკდა. მისი ბატონს ამას დავედევე და შენს ტაძარს შემოეხვეწა, მოვადექით სალაპარაკოთ და მთავარეპისკოპოსი იოსებ შუა ჩამოვარდა, მისი შეხვეწილი იყავით და წინამძღვარი სილიბისტრო შუა ჩამოგვივარდა და აზნაურის შვილის სიკდილიც გაუშვით და რაც შენზედ დავგხარჯოდა, ქრთამი ისეც ბევრი გაპატიევეთ და ასორმოცი მარჩილი გამოგართვით და თქვენ ორი გლეხი ჭანტურესშვილი ივანე ხუცესი და მისი შვილები დავითელა, გიორგი ხუცესი და მახარეი, მეორე კაცია, მისი შვილი ნასხიდა, ნატრია და თქვენი ძე და მომა-

*) ეს სიტყვები ხაზგადასმით წაშლილია.

ვალი ყველა წმიდის გიორგისათვის შეგვიწირავხარ.... არის ამისი მოწამე კაცთაგან კაცია წულუკიძე, მისი შვილი პატა და გიორგი, ქუთათელიძე ლომკაცა, დავით ჩხინკელა, კოჩობა ქუთათელიძე, იოსელიანი გიორგი, მამისთვალ ქუთათელიძე, გიორგი დეკანოზი, მოწამე დავით ქუთათელიძე, მოწამე მისი ძმა მახარობელი. მე გიორგი ლიტრაპოლიტის (sic) მღდელი მოწამე. მე წინამძღვარს ღოღობერიძეს სილიბისტროს დამიწერია, მოწამეცა ვარ ამისი.

აქ ჯვარია დასმული.

**1760 წ.** კაცია დადიანის შეწირულობის წიგნი, მარტვილის მონასტრის საბუთთაგან, იბეჭდება პეტერბურგის აზიურ მუზეუმში დაცულ პირის მიხედვით.

...მარტვილთა ღთისმშობელო... და წმიდაო გ̃ი სუჯუნისაო, ჩვენ.... დადიანმან ბატონმან კაცია და თანამეცხედრემან ჩვენმან დედოფალმან ბატონმან დარეჯან ვინებეთ საქმისა ამისა გამოძიებად, ასე რომ ჟამთა ვითარებისგან საჴყონდიდლოს ალაგ ალაგ ბევრი დაკლებოდა, კაცი თუ ალაგ მამული. ახლა რ̃ლიც ძველთაგან თუ ახალი შეწირული დავთრები იყო, მოვიკითხეთ და ზოგი უდროებით დაკარგულიყო და ზოგი კიდევ იყო. ყველანი გამოვიძიეთ და შევიტყვეთ და რიონის და ცხენისწყლის შესაყრიდგან ტეხურის შესაყრამდის სულ გაღმართი, კოდორა, ცხეპიჯი, კუკუთი, სამარღნაო და ანჯელი, ესენი ძველთაგან ჭილაძის ყოფილიყო და ჭილაძეს შეწირა. მაგრამ რომელიმეს კიდევ უდავებია, მერმეთ მაშინ ბ̃ნი ბაბუა ჩვენი ბეჟან დადიანი მჯდარიყო და მას მოეკითხა ამ ალაგ მამულის საქმე და რახან ძველთაგან შეწირული და გამოსული იყო, მასაც ხელახლავ შეეწირა. ახლა ის დავთარი ერთობ ძველი შეიქმნა და რახან პირველ ჭილაძის შეწირული გამოვიდა და მერმეთ ბაბუა ჩვენის, ჩვენც შეგვიწირავს და დავთარი გაგვიახლებია და შეგვიწირავს პირველ მარტვილისა ღ̃თისმშობლის ტაძრისათვის და მერმეთ წ̃ის გ̃ის სუჯუნის ეკლესიისათვის, რომ არც დადიანმან, არც დედოფალმან, არც უფლისწულმან, არც დიდმან, არც მცირემან ეს საჴყონდიდლო ალაგ მამული სახასოთ მისთვის არ დაიკაოს და დადიანი დასტურ ბატონი არის და ვისაც უნდა იმსახურებს და

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხვეფ ამაშიდ ხელი არავის აქუს. ასე ხელ მოწყვეტ შეგვიწირავს.... ქკნსა უმჱ.

აქ დასმული ყოფილა ორი ბეჭედი.

**1760 წ.** შეწირულობის წიგნი გაბრიელ ჰყონდიდლისა, იბეჭდება პეტერბურგის აზიურ მუზეუმში დაცულ პირის მიხედვით.

....მარტვილთა ღ̃თის მშობელო მე.... დადიანის ბეჟანის ძემან ჰყონდიდელ მიტროპოლიტმან გაბრიელ.... რაც რომ ჩემი საკუთარი შესამოსელი მისის გაწყობით მქონდა, ან რაც წიგნები მქონდა, ან წირვის იარაღი, ბარძიმფეშხუმი მისის გაწყობილებით საცეცხურიანათ, რომელიც ჩემის ხელით ნაშოვარი დღეს მქონდა, რომ სხვა არც ეკლესიის და არცა რა კაცის სხვისი სადეო არ იყო, ესენი სულ ყველა შენთვის შემომიწირავს.... ქეს აქეთ ჩღჲ წვლსა.

ბეჭედი.

ქ. აგრეთვე მე ჰყონდიდელ მიტროპოლიტმან კვალად, მარტვილთა. ღ̃თის მშობელო, შემომიწირავს შენთვის თავის ერთი სურა, მეორე პეტერა ბადია, მესამე პოლიტეს შემომიწირავს, მარტვილთა ღთის მშობელო, აზარფაშა, მეოთხე სუფრა ყაშუმი.... ამისთვინ რომ ვინცა ვინ მწირველი ეპისკოპოზი ამ შენს ეკლესიაზედ (იყოს), ორი ჩემი ხატი, ვინცა და რამანცა იჯდეს და შენის სამწყსოს მწყობა ხელთა ქონდეს, ის იხმარებდეს.....

**1760 წ.** კაცია დადიანის წიგნი საჰყონდიდლო ყმებისთვის საურის ამოკვეთის შესახებ, იბეჭდება პეტერბურგის აზიურ მუზეუმში დაცულ პირის მიხედვით.

...ჩვენ... წყალობითა შენითა (მარტვილთა ღვთის მშობელო) ოდიშის შავის ზღვის აქეთ მპყრობელმან და ხოლო სრულიად ლეჩხუმ ვიდრე სვანეთითურთ ძლიერებითა შენითა მქონებელმან ბატონმან დადიანმან კაციამ.... ასე რომ დიდის ხნიდამ ჩვენს ქვეყანაში საურის თეთრის გარდახდა იყო და ეკლესიასა შენსა სამსახური და მუშაობა დაკლებოდა შენის ყმის სიღარიბის და გარდახდის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიზეზით. ახლათ პირველად პირმშომან და ჩემდა სულით ხორცამდე სასიქადულომან ბიძამან ჩემმან ჭყონდიდელ მიტროპოლიტმან გაბრიელ მითხრა და მაუწყა კეთილისა ამის საქმისა სრულება და მეცა.... რომელიც მარტვილის მონასტრის საყდრისა შენისა შემავალი საჭყონდიდლო კაცები იყო, გლეხი თუ აზნაურშვილი და ან აზნაურშვილის ყმა წმინდისა ეკლესიისა შენისა მოსამსახურე, თვინიერ დაბლა საჭყონდიდლოს გარდა, ამათ საურის გარდახთა ასე გარდავიღეთ და აღმოუწერეთ, რომ ამიერითგან და უკუნისამდე არას დადიანის და არას ჭყონდიდლისაგან არცა ვინმე უდროვობით მყოფის დამჭირავის მეპატრონისაგან აქ, მარტვილს, შენს შემავალს საჭყონდიდლოს კაცს საური აღარ ეთხოვებოდეს. ასე აღმოგვიკვეთია და გარდაგვიწერია .....ქეს აქეთ ჩღჲ, ქნსა უმი (sic) ამინ.

ბეჭედი კაცია დადიანისა

**1761 წ.** შეწირულობის წიგნი კაცია დადიანისა, დაწერილი თეთრს ქაღალდზე ზომით $49^1/_2 \times 32^1/_2$ სანტიმ., გელათის ტაძრის საბუთთაგან № 60. ნიშნები დაცულია.

...ჩვენ... მთავარმან და განმგემან ოდიშ თაკვერ სვან აფხაზ შავ ზღვათამან.... დადიანმან კაციამ და ერთ სულ გვამულად მგებმან ჩვენმან შარვანშისძის (sic) ასულმან დედოფალმან დარეჯან და ახალ ნორჩმან ძემან ჩვენმან გიორგიმ ესე მწვლილებრ შესაწირავი დავდევით ფასის საცავსა შენსა. ვინათგან სიყრმითგანვე გული მითქმიდა დიდებულისა მის ეკლესიისა შენისა წმიდისა გაენათლისა ხილვად და თაყვანისცემად: და უზომომან მოწყალებამან შენმან ინება და ღირს მყო ხილვად ალაგთა ნანდვილ სულისა წმიდისა სადგურთა და რა მოვიწიენით და ვიხილეთ წმიდა ეკლესია შენი გაენათელია (sic).... უნდო ესე შესაწირავი ათი ლიტრა სანთელი შემოგწირეთ დღეითგან, ვიდრე ოჯახი დადიანობისა გიეს, საუკუნოდ მოუშლელად მიიძღვენ ესე წლითი წლად.... წარსამართებელად და განსაძლიერებელად მთავრობისა ჩემისა, უვნოდ დაცვად თანმეცხედრისა ჩემისა დედუფლის დარეჯანისათვის და აღზრდად სასურისა ძისა ჩვენისა გიორგისა, რათა იგიც შემდგომად ჩემსა ესრეთ გმსახურებდეს.... ქ˜ეს აქეთ ჩღჲ.

ბეჭედი წარწერით: ---შავზღვას აქეთი დადიანს მაქვს ლეჩხუმ სვანეთი. შუაში ასომთავრულად: კაცია.

**1761 წ.** შეწირულობის წიგნი სოლომონ I-ისა, მარტვილის საბუთთაგან, იბეჭდება პეტერბურგის აზიურ მუზეუმში დაცულ პირის მიხედვით.

ქ. ზეგარდმოთა განგებითა და წყალობითა ღვთისათა იესიან დავითიან სოლომონიან პანკრატიონმან ძირთა მათთაგან აღმოცენებულმან სრულიად ლიხთ იმერეთის მპყრობელმან ბატონმან მეფემან სოლომონ და თანამეცხედრემან ჩვენმან დადიანის ასულმან დედოფალმან ბატონმან მარიამ და პირმშომან ძემან ჩვენმან ალ˝ემ ესე წყალობის წიგნი... დავიწერეთ... დადიანის ბეჟანის ძეს ბატონს ჭყონდიდელ მიტროპოლიტის გრიგოლს ასე და ამა პირსა ზედან, რომ ძველათ მამა პაპასა ჩვენსა იმერეთში ფარცხანაყანევს თქვენის საყდრისა მარტვილთა ღვთის მშობელისათვინ გლეხები შეეწირათ და ყოფილიყო, მაგრამ ჟამთა ვითარებისაგან უდროებით საეროთ გამხთარიყო და შენის ეკლესიის სამსახურს ქვეშ აღარ იყვნენ. ახლა რა რომ ღ˝თის საფარველის მინდობით სამეფო ტახტი და ქვეყანა დავიპყარით ჩვენს ქვეყანასა და საბრძანებელში გამოვიძიეთ და სადაც რამ ეკლესიების ყმა თუ ალაგი საეროთ იყო, ამოვიღეთ და ისევ თავის ეკლესიას მივართვით. აგრევე თქვენის საყდრის მარტვილთა ღთის მშობლის გლეხები ფაცხანაყანევს მეტი აღარ იყო, ეს ოთხი გლეხი, ნუცუბიძე ხახუტა და მისი შვილები, კიდევ ნუცუბიძე მამუკა და მისი შვილები, კიდევ ნუცუბიძე ნიკოლოზ და მისი შვილები, ნიკოლოზის ძმანები მამიკაცა, მიქელა და მათი შვილები, ესენი ოთხ გლეხათ ესახლენ, მოვიყვანეთ და თავმოკვრით ხელში ჩაგვიბარებიათ. როგორც ძველათ თქვენის საყდრისა და ჭყონდიდლისათვინ ემსახურებინოს, ისე იმსახურეთ..... დაიწერა ქკნსა უმთ.

ბეჭდები მეფე სოლომონ I-ისა და მარიამ დედოფლისა.

**1762 წ.** ნასყიდობის წიგნი, მიცემული ნიკ. აბაშიძის მიერ მეფე სოლომონ I-ისადმი, დაცულია გელათის საბუთებში № 18, დაწერილია თეთრს ქაღალდზე ზომით $45^1/_2 \times 32$ სანტიმ. ნიშნები დედნისა დაცულია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

....ესე. საბოლოოთ. ჟამთა: ხანთა. და გრძელთა: გასათავებელი:. ნაყიდობის:. და გდაწყველობის:. წიგნი: მოგართვი: თქვენ. ბატონს: მეფეს:. სოლომონს: ჩვენ. თქვემა: (sic) ყმამ:. აბაშიძემ: ფინეზის. შვილ ნიკოლოზ. ასე. რომ: ჩემის. ნებით. შემოგაძლიე: და ჩხერის: ციხე. მოგყიდე:. მისის. შამომავლის: კაცით: რაც. ჩემი. სახასო: გლეხი. ესხლა: და მთლათ: უკლბლათ. კიკნძით. და მათის: მოსხლის. გლეხის. კაცით:. თქვენ. მოგყიდეთ: ციხე: მიწა. წყლით: მთით. და ბარით: და სამძლვრი. ამთი. ბრუისი. აქეთ. ჩხერის. შამომავლი. ახლა. მორე: სამძლვარი. ვახანისკენ: სამძლვარის: წყლის. აქეთ. კიდევ: ჩხერის შამომავლი: მოგართვი და მოგყიდე:. სულ. მთლათ. სოფლით: მთით. ბარით. წყარო. წისქვილით. საყდრით. (sic) და სასაფლაოთი:.. მათის. ყოვლის: ქონებით: საძებრით: და უძებრით:... კაცთაგან: არის. ამისი. მოწამე: და გამრიგე. და მაშუალი: ბატონის. შვილი. გენათელ. მიტრაპოლიტი. იოსებ: ავალისშვილი. პეტრე. მაჩაბელი. გიორგი: წულუკიძე. ბერი:. და მერაბ. და ბეჟან. ლორთქიფანიძე. ბუჭუა: და ნიჟარაძე. ვახტანგ: მიქელაძე. მამუკა: ზოურავი აბდუშელის. შვილი. გიორგი და მე. სვიმონს: მღვდელს. წერეთელს. მეფის. კარის. მწირველს და მოძღვარს დამიწერია. და მოწამეცა ვარ. ამისი. დაიწერა: წიგნი. ესე. თვესა. იანვარსა: ით: ქს. ქრისტეს. აქეთ. ჩღჲბ.

აქ დასმულია ორი ბეჭედი წარწერებით: ნიკოლოზ აბაშიძე; მონა ღთისა მაჩაბელი გიორგი.

სხვა ხელით: ქ. ჩვენ. პეტრე. ავალიშვილი, ამისი. მოწმე. ვართ. ბეჭედი. არა. მქონდა. ეს ჩემ. ხელი არის.

**1762 წ.** ხონის ტაძრის საბუთი № 8, მიცემული სოლომონ I-ის მიერ, თეთრ ქაღალდზე, ნიშნად ყოველ სიტყვის შემდეგ თითო წერტილია.

...ჩვენ ღვთისა მიერ აღმატებულმან და არავისგან ძლეულმან და მსასოებელმან შენმან სდ იმერთა მპყრობმან მეფეთ მეფემან პატრონმან სოლომონ და თანამეცხედრემან ჩემმან დადიანის ასულმან დედოფალთ დედოფალმან მარიამ და სასურველმან ძემან ჩვენმან ალექსანდრემ პირველად ჩვენგან შეწირული და ჟამთა ვითარებისა

და უდრობისაგან გაყიდული ორი გლეხი, ერთი მოსახლე ქანტურიშვილი ნატრია და დავითელა და მეორე გლეხი პაპავა დედულა ხუტუელა გაბუნიას ყავდა, ამოვიყვანეთ და ისევე შემოგვიწირავს მათის მამულ ალაგით... ოროლი ჩარექი სანთელი საღდგომოთ მოგართვან.... ხელითა უღირსის მღვდლის წერეთლის დავითისათა წელთა უფლისათა ჩღჲბ.

აქ დასმულია ბეჭედი მეფე სოლომონისა და ორი ბეჭედი მარიამ დედოფლისა.

**1763 წ.** შეწირულობის წიგნი მამუკა ჩხეიძისა, ხონის საბუთი № 32, დაწერილი თეთრს ქაღალდზე ზომით $43^{3}/_{4} \times 22^{3}/_{4}$ სანტ., ნიშნად ყოველ სიტყვის შემდეგ თითო წერტილია.

....ჩვენ ჩხეიძემან მამუკამ და სვიმონ ხოსიელა (შემოგწირეთ) ასე რომ მამის ჩვენისაგან ძველათ შეწირული იყო კუხს ერთი ძმა ბალანჩივაძე ძაღლუა მისის ადგილით და მამულით. ახლა კიდე მისი მეორე ძმა ქირშობელა ბალანჩივაძე შემოგვიწირავს მისის ადგილ მამულით.... ყოვლისფერით, ასე რომ სიტყვა იყო ერთმანეთშიდ და მოვრიგდით მთავარეპისკოპოზი მაქსიმე იაშვილი და დეკანოზი კრებულ(ი) იმათი, რითაც ჩვენი გული შეჯერდებოდა...... არის ამისი მოწამე სახლთუხუცესი პაატა მესხი, წულუკიძე პატა, ბერი და გიტული, მოურავი ხოსიელა ახვლედიანი. მე მეფის კარის მწირველს იშხნელს სვიმონ მღვდელს დამიწერია და მოწამეცა ვარ ამისი. დაიწერა... ჩღჲგ.

ბოლოს დასმულია 2 ჯვარი.

**1764 წ.** შეწირულობის წიგნი სოლომონ I-ისა, გელათის საბუთი № 9, თეთრს ქაღალდზე. ნიშნები დედნისა სანიმუშოდ დაცულია.

...რომელმან. სისხლითა. შენთაგან: ქსოვილისა. პორფირისა. შთაცმითა: იხსენ. ჯოჯოხეთით. წარწყმენდილთა: სული: დაწ: (sic) უმეტეს. მოველი. მე. ხსნასა: ცოდვათაგან: და ძლევასა: წინა. აღმდგომთასა: შენ. მიერ: ცხებით. გვირგვინოსანი: მეფე. იმერთა: რო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მელსა. თავი. სადცა. შენდა. მიწოდენ: არცა. თუ. მონად. გონებისა: ღირსსა:. სოლომონს. და თანა. მემცხედრესა: ჩვენსა: დადიანის ასულს დედოფალს. მარიამს. და პირმშთსა. და სასურველსა. ძესა. ჩვენსა: ალექსანდრეს...... აწ. მიმხედველმან. სიმდაბლისა: ჩემისამან:. მწვლილებრ: ძღვენი. მითვალე. დიდებულო. ხახულისა. მღთისმშობელო წმინდასა. შენსა. ეკლესიასა გეენათლისასა. (sic) მსახურად. და ბევრისა. მომრთმევად: შამოგწირეთ. ურია: ჩახვაშვილი. დავითა: და მისი: ძმა: ისხაკა: ასე. რომე. ათ ჩარექს. სანთელს: და ერთს. ჩარექს. საკმეველს: მარიობის თვეშიდ მოგართმევდეს. ყოველს: წლის: თავზე. ეს. ურია ძველათგანაც. თქვენის. საყდრის ყოფილიყო. გარნა. ჟამთა ვითარებისა და დროთა. ცვლილობისაგან. გამოხვებულიყო: ახლა. ვინათგან. ძალითა. შენითა: თვით. მპყრობზ. (sic) ვიქმნენით. კ̃დ განვახლეთ და თქვენვე: მოგართვით:..... დაიწერა: სიგელი ესე: თვესა მარტსა: იზ: დღესა: ოთხშაბათსა. ქორანიკონს: ქ̃ტეს: აქეთ: ჩ. ღ. ჲ. დ:

ბეჭედი წარწერით: კეთილის ძირთაგან რტონი მეფედ ვარ ბაგრატონი სოლომონ (უკანასკნელი სიტყვა ასომთავრ. შუაში).

**1764 წ.** სოლომონ I-ის შეწირულობის წიგნი, ხონის საბუთი № 5, თეთრ ქაღალდზე ზომით $39^1/_2 \times 22^1/_4$ სანტიმ.

...ჩვენ... იესიან დავითიან სოლომონიან პაკრატოვანმან მეფეთ მეფემან სოლომონ და დედოფალთ დედოფალმან დადიანის ასულმან მარიამ და ძემან ჩვენმან სასურველმან ალექსანდრემ... შემოგწირეთ გლეხი ყვიცარიძე სამი ძმები, ასე რომ ბახტაძის ქალი მამუკა მდივნის კაცს ყოლოდა ყვიცარიძეს და ის კაცი მომკვდარიყო და სამი წლის ბიჭი დედას გაყოლოდა და მდივანი დიდის ხნით დაობდა. ახლა კიდევ მამუკა მდივანი ედავებოდა. ახლა მისის დაობის და საქმისაგან გამოგვიყვანია და გაგვითავისუფლებია და თქვენის ტაძრისათვის შეგვიწირავს.... არის ამისი მოწამე სახლთხუცესი მესხი პატა, დედოფლის კარის მწირველი მღვდელი სვიმონ კროჭი, პუპუ მიქელაძე, ამირან მესხი, ხხვანი კარისა ჩვენისა გამგენი დიდებულნი ერნი. დაიწერა წიგნი ესე ქრისტეს აქეთ ჩღჲდ, ქრონიკონს უნბ

კელითა ჩხარის დეკანოზის შვილის მღვდლის სვიმონისათა თვესა აგვისტოსა ზ.

ბეჭედი წარწერით: დავითის ნორჩი ჯვარით მტერს მოვრჩი. შუაში ასომთავრულით: სოლომონ.

მეორე ბეჭედი: ქ სძალო შენთვის ვკმობ ტახტთა ამით ვპყრობ შუაში ასომთავრულით: დფლი მარიამ.

**1764 წ.** სოლომონ I-ის შეწირულობის წიგნი მარტვილის ტაძრისადმი. იბეჭდება პეტერბურგის აზიურ მუზეუმში დაცულ პირის მიხედვით.

ქ. ძირითგან საბრძნოთა და საწინასწარმეტყველოთა შთამომავალმან და ზეგარდმოთა განგებითა ღთივ ცხებულმან მეფეთაგან აღყვავებულმან იესიან დავითიან სოლომონიან პანკრატოვანმან ღლთივ გვირგვინოსანმან მეფემან სრულიად ლიხთ ამერთამან უფალმან სოლომონ და პირმშომან ძემან ჩვენმან ალემ ესე... წიგნი მოგართვით.... დადიანის ბეჟანის ძესა ყლდ სამღვდელოს ჭყონდიდელ მიტროპოლიტს უფალს გრიგოლს, ესე ვითარისა მიზეზისათვის, რომე ჩვენის ყმის იოსელიანის ბუჭუას შვილი მთავარდიაკონი სვიმონ კათალიკოზს ბესარიონს ახლდა და დროჟამ ცვლილობისაგან თქვენ გიახლათ და რადგან თქვენ გიახლათ, თქვენ ჩვენ დაგუეჯერით თქნის ეკლესიის შვილად და თქვენად ყმად გამოგვთხოვეთ.... და შევსწირეთ პირველთა მამათ ჩვენთა სამარხოსა დიდებულსა ეკლესიასა მარტვილს.... რათა წლითი წლად ერთს დღესასწაულსა დღესა ერთი მღვდელი და ერთი მთავარი ჩვენთვის წმიდასა ამას ეკლესიასა შინა ჟამს გვიწირებდეს, მოხსენებასა ჩვენსა საუკუნოდ აღასრულებდეს. ამისთვის მოგართვით თვითონ მთავარდიაკონი სვიმონ და ძენი მისნი ნიკოლოზ და იოანე..... არის ამისი მოწამე.... კაცთაგან ჩვენი ძმა გენათელი მიტროპოლიტი იოსებ, ქუთათელ მიტროპოლიტი მაქსიმე, ჩვენი სიძე დადიანის ძე მანუჩარ, ჩვენის კარის ყმა წულუკიძე ბერი, თამაზა მესხი, მდივანი დავით. დაიწერა წიგნი ესე ქეს აქეთ ჩღჟდ, თვესა აგვისტოსა თ დღესა კვირიაკესა.

აქ დასმული ყოფილა ორი ბეჭედი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**1764 წ.** მამუკა მდივნის ხელწერილი, დაცული ბოხის საბუთებში № 45, თეთრს ქაღალდზე. ნიშნად ყოველ სიტყვის შემდეგ თითო წერტილია, დაწერილია ცუდის ხელით.

...ესე უსადეობის წიგნი და პირობა მოგეცი მე მდივანმა მამუკამ და შვილმა ჩემმა სვიმონ და ზურაბ შენ ბაჩტაძეს დათუნას, სეხნიას და შენს ბიძებს, ასე რომ კვიცარიძეს რომ გედევებოდი, ის მეფემ და დედოფალმა შენს თავს ჩამომათხოვეს, ხატს შესწირეს. მე ასე უსადეობის წიგნი მომიცემია... (არც შვილი და არც მე და ჩემი მომავალი) არ გედეოს. არის ამისი მოწამე.... თვითან პატრონი ჩვენი მეფე სოლომონ და კარისა ჩვენისა დარბაისელნი წერეთელი ნიკოლოზ, წულუკიძე პტა, აგიაშვილი ქაიხოსრო, მესხი ამირან, მესხი თამაზა, მთლათა კარისა ჩვენისა დარბაისელნი. მე მღვდელს წერეთელს დავითს დამიწერია და მოწმეც ვარ ამისი... ათას შვიდას სამოცდა ოთხსა, თვესა სეკდენბერსა ათსა, დღესა პარასკევსა.

არშიაზე: კიდევ ამისი მოწმე დეკანოზი მიქელ, ჯვარისმტვირთველი იოვანე, მახარობელი ქუთათელაძე, ჟოჟუა ბაჩტაძე.

ტექსტის ხელით: ვამტკიცებ წიგნსა ამას მეფე სოლომონ.

აქ დასმულია ბეჭედი წარწერით: კეთილ ძირთაგან რტონი მეფე ვარ ბაგრატოანი. მუაში ასომთავრ.: სოლომონ.

**1765 წ.** წყალობის წიქნი მაქსიმე ქუთათელისა დაცული გელათის წმ. გიორგის ტაძრის საბუთებში, თეთრს ქაღალდზე, ზომით $31^{3}/_{4} \times 12^{3}/_{4}$ სანტიმ. ნიშნად ყოველ სიტყვის შემდეგ თითო წერტილია.

ქ.... ესე... წყალობის წიგნი დაგიწერე და გიბოძე მე ქუთათელ მიტროპოლიტმან მაქსიმემ შენ ჯანგვაძეს შაქარს და მის ძმებს დავითს, პაპუნას და სვიმონს... ჩვენი გლეხი შაშეიძე ამოწყდა, დაივსო. მერმე შეგვეხვეწე და იმ გლეხის სოფლი ადგილ მამული მოგეცით... ბეგარა ხადილიც იმ კაცის დაგადევით... მოწამე მოურავი აბულაძე სვიმონ, მოურავი ყიფიანი ქაიხოსრო, აბულაძე გიორგი, ფურცელაძე მახარებელი და სხვანი ფერსათელნი აზნაურნი და მსახურნი. დაიწერა წიგნი ესე ქორონიკონსა ქეს აქით ჩღჲე, აღიწერა ხელითა ავალიანის თომასითა.

ბეჭედი ასომთავრ. წარწერით: ქუთათელ მიტროპოლიტი მაქსიმე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**1758—1765 წ.** ამ დროს ახლო ხანში უნდა იყოს დაწერილი კაცია დადიანის მიერ დადებული წიგნი შესახებ წალენჯიხის კათედრის მამულების გადაცემისა საკათალიკოზოსადმი. დარეჯან დედოფალი, აქ მოხსენებული, იყო შერვაშიძის ქალი და პირველი ცოლი კაცია დადიანისა. საბუთი დაწერილია თეთრს ქაღალდზე ზომით $26^1/_2 \times 32^1/_2$ სანტიმ. ნიშნები დაცულია. სიგელი ინახება ბიჭვინტის საბუთებში № 18.

ქ. ვიტრფით რაჲ ყოველნი შერაბამებად შეურაბამებელისა მის გვარისა მას უფთქვსა მზესა რაჲ შეეჰრაბამების და შეჰასაზომილსა მას რაჲ შეჰეზომების ანუ უცნოსა მის გვარსა ვინ ცნობად დაეგვარების განაღა არსებითისა მის უკეთლესისა იგი ვეობითი მადლი იშთამოების ჩვენდა ამად რომელ შეჰარაგავს მისსა მას ნიჭ მრავლობასა რათამცა ვეანაგენით სრულიადსა მას უცნობასა მისსა და ამისთვის რა იგი შესაზომ იყო ცნობად: ბუნებისა ჩვენისა გვარი მცნობელობისა წინათვე გვეუწყა, ვითარ იგი მოსეს ღრუბლით გამოზრახვიდა ადონაჲ უფლი: მე ვარ ღ̃თი შენი ჩემსა გარეშე სხვა ღ̃თი არავინ არსო რომელსა მადლი და წყალობა მიეფინების რჩეულთ მისთა რამეთუ არა რაჲ ედედავები და არცა რაჲ ეთანხამევების რამეთუ მის მიერ ჩვენდამო შთამონაარსთა მადლთა ქვეშე ვრწმუნელობთ ამად რომელ: ჩვენ ალგებულებისა კანონსა ქვეშე ნაწესსა და მარწმუნ მამტკიცსა სამისა მის შეუთხვზველისა და შეურაბამებელისა ხატისა მსგავს ყოფა მოგვენიჭა ესრეთ ყოვლისა მამამან თქვა რაჲ: ვქმნეთ კაცი ხატად და მსგავსად ჩვენდაო ვითარ იგი ამა ჭეშმარიტსა ზესთა მეტყველებასა მზრახველივე ღ̃თისა მოსე: წარმოიტყვის და მყის თქმასავე თანა მამისასა: მოგვენიჭა მადლი იგი შვილებისა და მსგავსება იგი ღთისა ხოლო ესე ვითარისა და უსაღთოესისა მადლისა მიერ უაღრესსა მადლსა მოვიღებთ მის მიერ რამეთუ ჩვენ სოფლისა შინათა გვსმა მის შეუსაბამებელისა: და შეუთხზველისა სიტყვისა მიერ: რომელ გამოვიდა მამისაგან და მოვედ სოფლად ვინათგან სოფლად მოვიდა სიტყვა იგი: და მასზედა უწამებს მკერდსა მიყდნობილი და იტყვის: პირველითგან იყო სიტყვა და სიტყვა იგი იყო ღთისა თანა და ღ̃თი იყო სიტყვა იგი და შემდგომი მისთანა ცხორება იყო და ცხორება იგი იყო ნათელ კაცთა კვალად იტყვის უფალი ღ̃თი: გამოვიდეს კვერთხი ძირისაგან იესესა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ყვავილი ძირისაგან მისისა აღმოხდეს: და განისვენოს მის ზედა სულმან ღთისამან: სულმან სიბრძნისა და გულის ხმის ყოფნისამან. სულმან ზრახვისა და ძლიერებისამან: სულმან მეცნიერებისა და ღთის მსახურებისამან, არა დიდებისაებრ სჯიდეს: არამედ სჯიდეს სიმართლისა სასჯელითა: და იყოს მას დღესა შინა ძირი იესესი: და რომელი აღდგომად არს მთავრად წარმართთა: და მას წარმართნი ესვიდენ: და იყოს განსვენება მათი პატივითა და მოციქული უწამებს: მას დღესა შინა მივფინო სულისაგან ჩემისა გამოვიდეს ვითარცა ნათელი სიმართლე ჩემი: და მაცხოვარება ჩემი ვითარცა ცეცხლი აღატყდებოდეს: განვეცხადე მე მათ რომელი არა მკითხვიდეს: და ვეპოვე მათ რომელი არა მეძიებდეს: და ვარქვ აქა ვარ ნათესავსა რომელთა არა ხადეს სახლსა ჩემსა უწამებს მამა უფლისა: ავმაღლდე წარმართთა შორის და ავმაღლდე ქვეყანასა ზედა: და თაყვანის მცემდენ ყოველნი მეფენი ქვეყანისანი: აჰა რომელი იგი პირველითგან იყო, ვინ და რაბამი ადგილი არს განსასვენებელად მკვიდრობისა მისისა. და საყოფელალად (sic) დიდებისა მისისა. ჭჲ მეძიებელნო საღთოსა მის წინაგანგებისანო: არა ადვილ მიჩნს მე ესე: არამედ ყოველთა უძნელ განსახილველადცა, განაღა თვითვე ამგებელსა ყოვლისასა აღუგიეს სახლი სიწმიდისა და საყოფელი დიდებისა მისისა: და ხთნავსცა რათა განისვენოს მას შინა: და აღიშენოს კორცთა ტაძარი იგი. ვინ არს ესე ვითა ადგილი. რომელი უჰაეროვნეს არს ცისა და ქვეყანისა გამოვიძიოთ და ვიხილოთ. და ხილვასავე თანა მოვიხსენოთ ისაჲას -მიერ წინასწარმეტყველებით თქმული ჩვენდა: აწღა განცხადებულად ხილული ხმა ესე სანატრელი: გამოჩნდა მთა უფლისა და სახლი ღთისა ჩნისა. აჰა მთა იგი და სახლი რომელი ხთნდა უფალსა: დამკვიდრებად მას შინა რომელი იყო და არს ჩამონასქესით დავით მამისა ღთისათა ესე წინასწარვე ქადაგებული: და დაბეჭდული ქალწული რომლისათვის მოციქული იტყვის: გამოავლინა ღთნ ძე თვისი: მხოლოდ შობილი ქნილი დედაკაცისაგან ესე არს ქალწული მარიამ: რომლისა შვენიერებამ დაფარნა ცანი: და ქვეყანა აღავს. დიდებამან მისმან

ჭჲ შენ ქერაბინთა უმაღლესო ქალწულო: რამეთუ ცთომილებისაგან დედათასა: შენ მხოლო იქმენ უბრალო და ნივთიერმან მაგან უნივთოსა აღგებულისა: უუწმინდესობა შენ მხოლომან იშორის

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იანაგებე და შენ მხოლო ეგანრემზომე ნივთთა უწესოდ ძვრვასა, და აღგებული ეგე ყოვლისა აღგებულისა: უჰაეროვნეს და უკეთილეს შენ მხოლო გამოსჩნდი ამად და ესე ვითარისა მიზეზისათვის რამეთუ თვითვე დავით მამა ორღანო იგი წინასწარმეტყველებისა: წინასწარვე ხედვიდა შენსა მას ბუნებითსა სიკეთესა: და გეტყოდა ნორჩსა მას ძირით მისით აღმოცენებულსა ქალწულსა, ისმინე ასულო და იხილე: და მოყავ ყური შენი: და დაივიწყე ერი და სახლი მამისა შენისა: რამეთუ გულმან უთქვა მეუფესა სიკეთეთა შენთათვის, ხოლო თქმული დავით მამისა შენისა აღრაესრულა: მოივლინა შენდა გაბრიელ წოდებად გიხაროდენისა უფლისა მიერ: და გიწოდა რა უფალმან საყდრად თვისად არა დაიმალე ვითარცა იგი ადამ სამოთხესა შინა: არამედ ესე ხოლო სთქუ ანგელოზისა მიმართ: მეშინის ევას ცთომისაგანო და ვინათგან მიერვე ბუნებითად. უცხო იქმენ ცთომისაგან მყის თანადვე შესძინე და სთქუ: მეყავნ მე სიტყუისაებრ შენისაო, ხოლო შენ ცათა საყდრად და ქვეყანისა კვარცხლბეკად მქონებელმან: შენ სულიერად შემზადებულსა მაგას ცასა შინა: იშთამოვა სიბრძნემან მამისამან და გვეზიარა მაღალი იგი მეუფე: ჩვენ მონისა მორფსა: და შეჰერთა უქვემოესთა ნაწილთა ქვეყანისათა და მამულისა მის დიდებისაგან არნაკნინი: შთამოქვენავებითა ზე აღვიყვანენით: და პირველსავე დიდებასა დავეწესენით ნანდვილი ღმთის მშობელისა არს ნიჭი ესე: მოცემული კაცთა მიმართ, იგივე არს განმაქარვებელი ივას დანერგულისა მის მწუხარებისა და დამაგებელი ქვეყანისათა მათ ზეცისათა მიმართ, ჭეშმარიტად და სამართლად გეწოდა ტაკუკი ოქროსა: რომლისა მანანათა სულნელებისაგან: დამთვრალ იქმნა ყოველი ქვეყანა და თვინიერ შენსა ვინ ბუნებით მეერთესა განესხვავა ვითარ შენ: ქალწული ეგე სჯულსა დედათასა რამეთუ ოქრო ნეკტარმან დამასკელმან იოანემ სთქვა შენთვის: არავინ არს ბუნებით ქალწულ და მშობლად ევმანოელისა: თვინიერ შენსა ქალწულო, ეჰა რაბამ ეუაღრესე ცასა და ქვეყანასა: ცაო სიწმიდითა სფერთზეებრ ჩინილო რომელსა მაგალით გექმნა ცაჲ და მის შორისნი ყოველივე, ვითარ იგი ცისა მიერ აღმოუბრწყინდების სოფელსა დიდი იგი მთიები: უპირველესი მნათობთა შორის რომელ არს მზე ეგრეთვე შენ სულიერისა მაგის ცისაგან: აღმოგვიბრწყინდა მზე სიმართლისა ქრისტე ღ̃თი ჩვენი: რომლისა მიერ განბნეული იგი დრაქმა: რო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მელ არს ხატად თვისად აღგებული კაცი: მოიძია და მოუწოდა ძალთა მათ ზეცისათა: და რქვა მათ ჩემთანა გიხაროდენ: რამეთუ ვპოვე წარწყმედული დრაქმა. შენივე არს მიზეზი ესე: საყდარო უმიზეზოსა მის მიზეზისაო, შენ მიერვე მოვიდა მკურნალი იგი: ცხოვრებად წარწყმედულთა და რაჲმე უმეტესი ვსთქვა: შენ მიერ. უჟამო იგი ჟამისა შინათა დაეწესა: და ჩვენ ჟამიერნი უჟამოსა მას: და სანატრელსა ცხოვრებასა მივიცვალენით აწ ვინათგან ესე ვითარი მადლი მოვიღეთ შენ მიერ: ნაცვალად ამისსა: რაჲმე შესწიროს ჩვენმან მან უძლურებამან შენდა მომართ, რაჲ ესწორების ეგეოდენსა უამრავსა მოწყალებასა შენსა ანუ რაჲმე მის წილ მოგეგების რომელ შენ მომაგენ ჩვენ. განაღა მრჩობლნივე საქმენი შენნი: ნუგეშინის გვცემენ ერთი იგი ვითარ მიუწდომელ არს შენგან შობილი: ეგრეთვე მიუწდომელ არს მოწყალებაცა შენი მეოხედ მოლტოლვილი შენდა: არა ვინ სირცხვილეული იქმნა: და არცა ვინ მხმობელი შენი შენ მიერ უსმენელ იქმნა: მოწყალებისა და კაცთმოყვარებისა შენისაგან; ამად და ესე ვითარისა მოწყალებისა შენისა მგულვებელმან: დამცველ მფარველობისა შენისა მსასოებელმან დადიანმან კაციამ და შევრდომით მთაყვანებელმან შენმან დედოფალმან დარეჯან: გულის ხმა ვყავთ და ვისმინეთ და ვინებეთ: მოთხრობაჲ ყოვლად ნეტარისა: და სრულიად ამერთა საქართველოთა მაკურთხმაწმიდისაგან კათალიკოზ ბესარიონ მეფეთა ტომის რაჭის ერისთვის ძის ბიძის ჩემისაგან რათა რომელიც სიწმიდესა და ქალწულებასა შენსა სათნო უჩნდეს ესეთი რაჲმე შენდა შეწირულიყო ჩვენ მიერ გარნა უჯეროვნესი ვერა რაჲ ვპოვეთ თვინიერ ერთისა სათნო შენი, და ერთი იგი მყის თანად გულის ხმა ვყავთ, რომელ ვინათგან გადიდა უფროს ყოველთა ნათესავთა: სიტყუამან და საზღვარმან მამისამან შენცა ეგრეთ გსურის რათა ძისა შენისათანა იდიდებოდეს სახელი შენი და რათა ცნან ყოველთა მიუწდომელი იგი სიყვარული შენი: და ძისა შენისა ევმანოელისა, თუ ვითარ იყუარებით ურთიერთარს: ვითარცა შეჰგავს შენ მშობელთა: და შენგან შობილისა მიერ რამეთუ ვითარ იგი უსაკუირველეს არს შობა: ეგრეთვე უსაკვირველეს არს ერთობა თქვენი უფროს ყოველთასა ნანდვილ ქალწულო პირველად უწმიდეს იქმენ ყოვლისა ხილულისა შენ ქალწული ეგე სანატრელი: და შემდგომად სიტყვისა მის დაუსაბამოსა საყდრად განეწესე: ესრეთ შე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთებულხარ შენგან შობილისა მიმართ, ხოლო ვინათგან ესრეთ ერთარს შენდამო მაღალი იგი მეუფე: ჩვენ მიერ ადამის ძეთაცა ჯერარს. რათა ერთად გადიდებდეთ: ორთავე წყაროსა ცხოვრებისასა: და ჩვენცა ერთად შევსწირვიდეთ ნაყოფსა მას რაჲ იგი არს სათნო შენი: და ძისა შენისა ემმანოელისა, აწ რომელი გონებითა ჩემითა საგონებელ ჩემდა მნებავს: რათა საქმითაცა ცხად ვყო და შევაერთო მშობელი შობილსა, და რათა განგებულებასა თანა საღთოსა: საქმენიცა ერთ იყუენ შესაწირავთანი მოვედით და თაყუანი ვსცეთ ზეცისა და ქვეყანისა დედოფალსა: საყდარსა მზეებრ ნაბრწყინსა ბიჭვინტასა, მოვედით ერთობით უგალობდეთ მას შინა განსვენებულსა: საუკუნოსა მამისაგან სძლად წოდებულსა, იხილეთ და გულიის (sic) ხმა ყავთ: თუ ვითარ უდიდებიეს სახელი თვისისა ეკლესიისა რამეთუ ცათა სწორავს სიმაღლე ეკლესიისა მის მისისა: და ბრწყინვალება დიდებისა მისისა, აწ მნებავს რაჲმე რომელი იგი ზემორე წარმოვსთქუი: რამეთუ მშობელისა მიმართ ქალწულისათანა: მისგან შობილიცა ქრისტე განისვენებდეს. რამეთუ სათანადო არს რათა: მსგავსმან მსგავსისა თანა განისვენოს, და სახმარცა არს: მსგავსი მსგავსისა თანა შესწორებულად ეგოს, აწ მე ულირსსა ამის განმიწესებიეს: იესოს ღმერთმამაკაცისა სახელსა ზედან აღშენებული ეკლესია: რომელ არს ჭელენჯიხა. რათა ეგოს თანშეხმავებულად და თან შესწორებულად. მაღლისა ეკლესიისა ბიჭვინტისა არა თუ მხოლოდ ეკლესია: არამედ ყოველნივე სამსახურებელნი ეკლესიისანი; შენდა შეწირულ მიქმნიეს პირველად წმიდათა ხატთა წყობილობანი: და მერმე სამსახურებელნი ეკლესიათანი ყოველნი: და შემდგომად ძველთა და ახალთა წერილნი: და სამღდელოთა სამოსნი, ხოლო შემდგომად ყმანი მის ეკლესიისანი ყოველნივე უნაკლულოდ: მთანი და ბარნი მისნი: მდინარენი და ხევნი და წყარონი: ტყენი და ბაღჩანი და საყანენი და ყოველივე: რაცა ძველად მიძღვნილწირულ ქონებიეს: წმიდასა ეკლესიასა ჭელენჯიხისასა, ესრეთ სრულებით შევუერთებიეს ეკლესია ესე: მაღლისა ეკლესიისა ბიჭვინტისასა და ვითარ იგი არს პირველი ეკლესია და განსასვენებელი და საყდარი ყოვლად უსანატრელესისა კათალიკოზისა: ესეცა ეგოს თან სახმოდ და განსასვენებელად და შეერთებულად ბიჭვინტისა უკუნისამდე აწ განაღა ვითხოვ შენგან ვედრებით ქალწულო: რათა ვითარ იგი სათ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნოყოფისა შენისათვის შეერთებულ ჰყავ ეკლესია შენი და ძისა შენისა ევმანოელისა: თქვენცა ერთხმა იქმნენით მოწყალებასა ჩემსა ზედა: და მასწავეთ გზა რომელსაცა ვიდოდე და მიცევით გარემოდგომილისა ვნებისაგან: და წარმიმართეთ სვლვა ჩემი: აქაცა და მერმესა მას საუკუნესა მარჯვენით მდგომ მყავ, აწ ძენო ადამისნო ისმინეთ ხმა სიტყვათა პირისა ჩემისათა: და დაიმარხენით მცნებანი ჩემნი და ვედრებანი ჩემნი: რათა არა ხელ ყოთ შლად შენაწირავსა ამას ჩემსა, რომელმანცა კეთილად დაიცვათ შენაწირავი ესე ჩემი: თქვენცა დაგიცვას უფალმან მერმესა მას საუკუნესა: და გასმინოს ხმა იგი საწადელი: წარმავალი ესე საწუთო გცეს უფალმან მრავალ წელობით უკეთუ არა დაიცვათ და არა ისმინოთ: გცეს უფალმან პირველი იგი მაკვდინებელი ჭამადი მკვლელობისაებრ ძრწოლა კაენის უკეთურება იგი ლამექისი და გაქციოს უფალმან სახლი შენი შენზედა: ვითარცა გოდლისა მაშენებლისა, დაგამხვას უფალმან ვითარცა სოდომი და გომორაჲ: და ადამა და სელიმაჲ, გცეს უფალმან მბასვრველობაჲ ქამისი: ქვეყნით განდევნა ისმაილისი: ძეგლ მარილობა ლოთის ცოლისა:. და ედომობაჲ ესავისი და დასჯა უსამართლოსა რუბენისი დაგანთქას უფალმან ფარაოსებრ დამძიმებული: ზღვასა შინა საუკუნესა სიავნი და ჭამადნი მეგვიბტურნი გცეს მამულისაგან შენისა განგაშოროს უფალმან: ვითარცა რობუამ; მოგივლინოს უფალმან მეფობისა პატივითა საყდართა მჯდომისა იობის ღაღადისი, გზისაებრ ჰანგარიებით საუკუნო დაგიმკუიდროს და ოზიასი კეთროვნება მომავალითურთ გცეს ქრისტეს გამცემელისა იუდასებრ დაისაჯები, მოციქულთა წინა აღმდგომთა: სვიმონ მოგვისებრ და. აკვილასებრცა შთახდი ქვეკნელთა (sic) ჯოჯოხეთისათა შვიდთა კრებათა წინააღმდგომთა: პირველსა არიოზს: მეორე მაკედონელი: მესამე ნისტორ: მეოთხე დიოსკორე: მეხუთე ოროგინე: მეექვსე მაკარი და სტეფანე: მეშვიდე ანასტასი ხატთმბრძოლი: ამათებრ მიეცი ცეცხლსა მას საუკუნოსა შემცაჩვენებულხარ მშლელი ამისი: წმიდისა სამებისაგან: მამისა და ძისა და სულისა წმიდისაგან და ჩვენთვის განხორციელებულისა იესოს ქრისტესგან და წმიდისა ქალწულისა მარიამისგან და ცხოველს მყოფელისა ჯვარისაგან წყეულმცა არს მშლელი ამისი ყოველთა წინასწარმეტყველთაგან და ყოველთა წმიდათა რომელიცა სათნო ეყუნეს ღთსა შეჩვენებულმცაა რომელმნცა იკადროს: შენა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წირავისა ჩემისა შლა: შვილთა კრებათაგან და შემდგომთა მისთა, მასამცა სმია ხმა იგი რისხვისა: წარვედ ჩემგან წყეულნო: ცეცხლსა მას გარესკნელსა: მუნ იყოს ტირილი და ღრჭენა კბილთა, სადა ცეცხლი არა დაშრტების: და მატლი არა დაესრულების: თესლი მისი აღიხოცოს: და სახსენებელი მისი წყეულ იყოს უკუნითი უკუნისამდე ამინ:.

(მეტი არაფერია).

**1758—1765 წ.** აქ წლებშია მიცემული ცაგერის ტაძრისადმი კაცია დადიანის და მისი ცოლის დარეჯანის შეწირულობის წიგნი. იბეჭდება აზიურ მუზეუმში პეტერბურგს დაცულ პირის მიხედვით.

...ჩვენ ცვათვარვათა თქნთა (ღვთისმშობლისა) შევედრებულმან, წილხდომილსა ქვეყანასა შენსა მპყრობლად დადგინებულმან, შენ მიერ ოდიშ აფხაზთა, სვანთა, თაკვერთა და პონტოს ზღვისა მპყრობელმან მონამან შენმან დადიანმან კაციამ და თანამეცხედრემან ჩემმან შარვაშიძის ასულმან დედოფალმან დარეჯან, ასე რომ თქნის ეკლესიის ცაგერის სათავისთაოთ საბეგრო გლეხები ოჯოლას სახლებულიყო და ჟამ ცვლილობისა და თქვენის შფოთისაგან საერისკაცოდ გამხდარიყო და დაბნეულიყო. მერმეთ მრჩობლისა ცხოვრებისა ჩემისა სასოდ ნუგეში ძმა ყ̃დ სამღუდელო ცაგერელ მიტროპოლიტი ღირსი ანტონი დაგვეაჯა და ისევ ეკლესიის შეწირვა შეგვავგონა. აწ ჩვენცა კეთილად ვიჩინეთ მისი განზრახვა და ვისაც თქნი სათავისთავო ყმები ყავდა, გამოვართვით და ცხრა მოსახლე კაცი ოჯოლას შემოგწირეთ მათის ადგილ-მამულით.... ამისი მოწამე... ყ̃დ სამღუდელო ბიძა და მოძღვარი ჩვენი ჭყონდიდელ მიტროპოლიტი გრიგოლ, ბიძა ჩვენი მანუჩარ და სრულიად ჩვენი დარბაზის ერნი. აწ რომელმანცა ძემან ადამისმან, დიდმან გინა მცირემან, დადიანმან ანუ მპყრობელმან ესე შეწირულობა და წიგნი მოშალოს... (წყევა).

ბეჭედი კაცია დადიანისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**1758—1765 წ.** ამ წლებშია მიცემული კაცია დადიანის და მისი ცოლის დედოფალ დარეჯანის მიერ შეწირულობის წიგნი საირმეს უდაბნოსადმი. იბეჭდება აზიურ მუზეუმში პეტერბურგს დაცულ პირის მიხედვით.

....მე დადიანმან ხელმწიფემან ბატონმან კაცია და თანამეცხედრემან ჩვენმან დედოფალმან დარეჯან ვინებე და აღვიშენე უდაბნო საირმეს და შევსწირე ეკლესიასა საწინამძღრო ლაბეჭინა, ჯინჭარაძენი სულა ერთობით საწინამძღვრო სამწყსოთი, უძებარ საძებრით, მამულით, გამოსავალით, ტყით, წყლით, ადგილით, ბეგრით ყოვლის დებულობით. ამასთანა გენდეუში მთლათ რაც კოზიძისსეული იყოს საყანიან მამულიან, გულისთავს გადმოღმა რაც არის გენდეუშს. ამასდა გარდა შემომიწირავს რაც ლეჩხუმს ან პური ან ღვინო ან მჭადი ან ბეგარა და ან მოსავალი მომივიდეს, ყველას ათისთავი. ამასთან შემომიწირავს რასაც ქვეყანაში და ან რასაც ქვეყნიდამ მომივიდეს ლეჩხუმიდან ოდიშით ან სხვა ქვეყნიდამ და ან ჩემი ქვეყნიდა მოსავალი რითაც ვიშოვო, ყოველი ცხენის, ხარ ზროხის ცხვრის და თხის ათისთავი. ამას გარდა შემომიწირავს ოდიშს საბაჟო და ორმოცდაათი ქილა მარილი წელიწადში მიერთმეოდეს. ამას გარდა ზუთხობაზე ზუთხის ათისთავი მიერთმეოდეს. წინამძღვრად და უდაბნოს თავად დაგვიდგინებია დაყუდებული გერმანე. მისდა ხელად შეგვიგდია, სადამდი ცოცხალი იყოს, როგორაც ეპრიანებოდეს, მან არიგოს და ახმაროს და მოიხმაროს. ამასთან ეს პირობა მოგვირთმევია, ამის ყმას არც საური, არც ლაშქრობა, არც მგზავრობა, არც ტვირთი, არც გარდასახადი, არც საუდიერო, არასფერი ჩვენგან არ ეთხოვებოდეს, მამა და წინამძღვარმან მიართვას ყველა, ჩვენგან და ჩვენის ნების მყოფელი კაცისაგან არაფერ სამსახურზე ხელი არ ქონდეს ....

ბეჭედი კაცია დადიანისა.

შემდგომად ამისა მართლმადიდებელმა ბატონმა დადიანმა კაციამ მე უნდოს არხიმანდრიტს გვარისა უხმარებითა ლოლაბერიძეს სილივისტროს მიბრძანა ამ უდაბნოს მამობა და შემოსწირა უდაბნოსა ამას ოთხი მოსახლე სომეხი ლაილაში და ერთი მოსახლე მეთევზე კოპალეის შვილი საჭილაოშიდ, ღვინო ორმოცი გორა ჭყვიშს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ათისთავს გარდა და ათი მარჩილის სამთელი და სამი მარჩილის თაფლი ყოველ წელიწადს მოერთმეოდესო.....

**1766 წ.** თავდებობის წიგნი ნიკოლოზ დადიანისძისა, ბიქვინტის საბუთთაგან № 71, თეთრს ქაღალდზე. ნიშნები სიტყვების შემდეგ არ არის.

ქ. ესე წიგნი მოგეცი მე ნიკოლაოზ დადიანისშვილმა თქვენ კათალიკოზს ბესარიონს, ასე, რომ თუ შენ როსტომელა სალაყაია წაგვიდეს და ან თქვენს იქით იცოდეს რამე, თქვენ რომ გლეხი მიბოძეთ, ისიც მოგართვა და ერთი იმისთანა სხვა გლეხი მოგართვა. მე ზაქარია ქართლელს ბერს დამიწერია და მოწამეცა ვარ, ივნისს კჱ ქს აქეთ 1766.

ბეჭედი წარწერით: ქ. ჭეშმარიტად მწამს ღ̃თი ქ. მას ვესავ დადიანისძე (ასომთავ.:) ნიკოლოზ.

**1766 წ.** შეწირულობის წიგნი კაცია დადიანისა, საირმის უდაბნოს საბუთთაგან, იბეჭდება პეტერბურგის აზიურ მუზეუმში დაცულ პირის მიხედვით.

(შემდეგ გრძელ ღვთის მეტყველურ წინასიტყვაობის)..... მპყრობი სვანეთ ლეჩხუმისა და შავზღვით ოდიშისა დადიანის ოტიას ძე მეორე კაცია ალვიძრვი მხურვალითა გონებითა მკობად და განთავისუფლებად, რომელიცა პირველ ნამყო ჟამისა უდაბნოდ სახელდებულ იყო და შემდგომად ჟამთა ვითარებით შფოთთაგან ოხერ და უშენ ქმნილ იყო. სმენოდათ რა ადგილისა ამის უდაბნოობისა სახელი და ეხილათ რა, მსწრაფლ აღძრულ იყო ხელყოფად ნეტარ ხსენებული ბატონი მამაჩემი დადიანი ოტია და კეთილმორწმუნე ცხებულთა ასულთაგან აღმონეკტარი, წაროებული (?) ერისთვის ასული დედა ჩემი დედოფალი გულქან და ჯერ ჩინებითა დაყუდებულის მოძღვრისა მათისა გერმანესითა ენებათ, რათა ნამყო უდაბნო ესე არ მოშლილიყო და აწმყოსა უდაბნოთ აღეშენებინათ და მონასტრისა შენებად ხელ ეყოთ, ჟამთა ნაკლულევანებისაგან დაშთა ვერ სრულ ქმნილი. ამისა შემდგომად მე ძე მათი კაცია ვიქმენ მპყრობელ და

ეროვნული ბიბლიოთეკა

განგებელ საპატრონოსა ჩვენისა და ვიხილე რა უდაბნო ესე ვერ სრულ ქმნილი, წადიერ ვიქმენ, რათა სრულ მექმნა და არ წარმეწყმიდა ნამუშაკევი მამა დედათა ჩემთა და აწმყოსა ჟამსა განმეახლებინა. ამის წადიერ ვიქმენ რაჲ ჟამსა ამას და ვეძიებდი მამასა უდაბნოსასა და ვპოვე სანახებისა ჩვენისა მხრისა ადგილებით იმერელი სქეთი (sic) ლოლაბერიძე არხიმანდრიტი სილივისტრო და ვაწვიე რაჲ მანცა ჯერ იჩინა მამობა უდაბნოსა ამის ადგილობით ლეჩხუმის საირმედ სახელდებულისა და ჩვენცა კეთილად ალგვიჩნდა მამად დადგინება ამისი და სიგელი ესე დავსდევით და განვაწესეთ შესაწირავი უდაბნოსა ამის. პირველად მამა დედა ჩემს განეწესებინა და შეეწირა საწინამძღვრო ეკლესია ლებექინის და მისი შეწირული გლეხები მამულ ადგილი სამრევლოთა, ტყით, წყლით, საძებარ უძებარ საყანე სათიბით; შემდგომად გენდუშ კახიძის სოული სასახლე მამულ ადგილ ტყით, წყლით, სასაფლაო საწისქვილოთ, სახნავ სათეს სათიბით და ყოვლითურთ უნაკლულოდ და მოჯალაბე დაესახლებინათ ჭიხვარია ძალლუტა და უდაბნოსათვის შეეწირათ მოსამსახურეთ საფქვავ საცეხვათ და პირუტყვის მოსავლელად და პურის მრჩეველად. ახლა მე ეს, რაც შეწირული იყო, ესეც განუახლე და შევსწირე უცილებელად და ამას გარდა ლაილაშ ოთხი კვამლი სომეხი ვაჭარი, რომელიმე ქრისტიანი არის, ხელშეულად საკუთრობით შევსწირე, ხუთი მაინდერს შვილები ბექან, დათუა, გაბრიელა, აკოფა, ბერუკა და მათი ცოლშვილით და ქონებით. დათუა მისი ცოლშვილით და ქონებით უძებარ საძებრით, რაც მამაჩემს შეეწირა, იმის გარდა ჩემი საკუთარი ესენი მე. ამას გარდა კიდევ შევსწირე სანავარდოს საჭილაოშიდ ჩიტია, ბუჭუა, გორგელა, ჯოლორია , იესიკა და ივანიკა მეთევზედ თავისი ცოლშვილით, ადგილით, მამულით, ტყით, წყლით, მიწით, საძებრით, უძებრით, მათი გამოსავალით ყოვლის კაცის უდავებლად. ამას გარდა კიდევ შევსწირე ჟოშხას კარგი გლეხი გორდეძიანი გაბრიელა მისი ცოლშვილით, ადგილ მამულით.... და მივაბარეთ ასკის წყალში საკაკაბოზე უცილებელად და უდაბნოს შევსწირე, ბეგარასა და სამსახურს გარდა თევზობა დავადევით და რასაც იშოვიდეს, უდაბნოს კალმახს მიართმიდეს და ესეც განვაწესეთ, ასკის წყალშიდ სათევზედ არავინ ეცილებოდეს. ესენი ასე განგვიწესებია და ასე დაგვიმტკიცებია, რომ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რომელიც ამ ზემო წერილი არის და ჩვენ მიერ შეწირული ჩვენი და ჩვენი მოურავისა და მოხელე კაცის გარდასახადი და ძალი უსამართლობა რა მიადგეს რა, არც გლეხებსა და არც ვაჭრებს, არც ლაშქრობა, არც ნადობა, არც ნადირობა და არც საუდიერო. ამას გარდა განუწესეთ და შევსწირეთ წლის მოსავალი ლეჩხუმის პურღვინის ცერც ლომ სიმიდის ათისთავი და ორმოცი გორო ღვინო ქვიშიდგან წლითი წლად მოუშლელად, ასი მარჩილი თეთრი, ხუთი ხარი და ზროხა, ცხენი, ათი შამახური სამთელი, სამი მარჩილის თაფლი, ოცდაათი ქილა მარილი და სამოცი ფარგა, ათი ზროხის ტყავნი, ესენი ყოველს წელიწადს მიერთმეოდეს ამ უდაბნოსა და კრებულს სამოსლად და საზრდოდ. ამას გარდა უდაბნოს მამას ჩვენგან წლის თავს ტანისამოსი ჩვენგან მიერთმეოდეს ხალათი და ვითარცა ჯეროვანი იყოს, ეგრეთ წყალობა და მისართმევი ჩვენგან ცალკე მიერთმეოდეს. ესენი ასე საფიცრით და გუჯრით დაგვიმტკიცებია მრჩობლისა ცხოვრებისა ჩვენისა წარსამართებლად მე თვითმპყრობელს დადიანს კაციას და თანამეფერცხლესა (sic) ჩემსა ქართველთ ბატონის ასულს ბატონს დედუფალს ელისაბედს და შემდგომთა ძეთა, ძმათა და ნათესავთა ჩვენთა ასე დაამტკიცეთ და ამ ზემოხსენებულს შეწირულობას ამ უდაბნოს ნუ მოუშლით. ამას გარდა ეკლესიას რაც მოუნდებოდა სამკაული, ტრაპეზის იარაღი, საცეცხლური, სასამთლე, ტრაპეზის საფენი, კრეტსამბელი და შესამოსელი ან წიგნი, რაოდენი ძალ გვედვა, ეგრეთ შევსწირეთ, რომელი მზა ქმნილი და რომელიმე ვეცხლათ სულთა ჩვენთა საოხად და ძეთა და ასულთა ჩვენთა კეთილ წარსამართებლად.... კაცთაგან მოწამე ამისი თავად ყოვლად სანატრელი კათოლიკოსი ბესარიონ, ყოვლად სამღუდელო ბიძა ჩემი ჭყონდიდელ მიტროპოლიტი მამათ მთავარი გრიგოლ და მწყემსი და უფლად სახადი ლეჩხუმისა და უდაბნოსა ამის ძმა ჩემი ყოვლად სამღუდელო ცაგერელი მიტროპოლიტი ანტონი, ცაიშელ მიტროპოლიტი სოფრონ, ძმა ჩემი სასურველი ნიკოლოზ და გ̃ი და კვალად ბიძა ჩემი მანუჩარ და ძმა კაციას შვილი გიორგი და სხვანი დიდებულნი თავადნი დარბაზის ერნი ოდიშ ლეჩხუმის და სვანეთისანი და განმგენი მსახურნი და მოხელენი სახლისა ჩვენისანი, დიდნი და მცირედნი, აზნაურნი და მსახურნი... (წყვეტა) მდივანს დარჩენოდა, ათისთავი ლეჩხუმის პური,

ღვინო, ლომებზედ სიმიდ ცერცვს უკლისათ შევსწირეთ, მამა ჩვენს ნეტარად ხსენებულს შეეწირა და ჩვენც დაუმტკიცეთ. საღვინე მამული არა ქონდა და ამ ათისთავს გარდა ორმოცი გორა ღვინო ჭყვიშიდგან გაუჩინეთ, ყოველს წელიწადს. მიერთმეოდეს. რამაც მოხელემ ესენი მოშალოს და დააკლოს ჩვენ უბრალო ვიყოთ და ამ წერილის წყევა თქვენზედ იყოს... აღიწერა სიგელი ესე დასაბამითგან ვიდრე აქამომდე ქრისტეს აქეთ ჩღა (უნდა იყოს ჩღჲვ) ქორონიკონსა თუჱსა მაისის ია დღესა.

ბეჭედი

ნებითა ღთისათა ჩვენ ოდიშ ლეჩხუმის დედოფალი ანნა ვამტკიცებთ სიგელსა ლეჩხუმის უდაბნოსასა მრჩობლთა ცხოვრებათა ჩვენთა წარსამართებელად და ძეთა ჩვენთა გრიგოლ, მანუჩარ, გიორგი, ლევან, ოტიასა და ასულთა ჩვენთთვის მარიამ, თამარისა, ხვარამზესა და მზეხათუნისათვის აღსაზრდელად და წარსამართებელად, ქრისტეს აქეთ ჩღოჱ.

ბეჭედი

ქ. ნებითა ღთისათა ვამტკიცებ დადიანი გრიგოლ წიგნსა ამას.

ბეჭედი

ქ. ნებითა ღთისათა ვამტკიცებ მრჩობლთა მეფეთა ასული დედოფალი ნინო, ქრისტეს აქეთ ჩღდ.

ბეჭედი.

**1767 წ.** შეწირულობის წიგნი კაცია დადიანისა, მარტვილის ხაბუთთაგან. იბეჭდება პეტერბურგის აზიურ მუზეუმში დაცულ პირის მიხედვით

ქ. წყალობითა ღვთისათა ოდიშ ლეჩხუმთა, სვანთა და პონტოსა ზღვისა მპყრობელმან დადიანის ოტიას ძემან თვით დადიანმან ბატონმან კაცია და თანამეცხედრემან ჩვენმან საქართველოს მეფის ასულმან დედუფალმან ბატონმან ელისაბედ ესე... წყალობის მტკიცე წიგნი მოგართვით... დადიანის ბეჟანის ძეს ბიძას ჭყონდიდელ მიტროპოლიტს გრიგოლს, ასე და ამა პირსა ზედა რომელ ჩვენი ვაჭარი ურია გებარათ ჩვენგან. მერმეთ ჩვენ გამოგთხოვეთ და წასაყვანათ მოვინდომეთ, მაგრამ თქვენ მეტად სიყვარულით და ვედრებით

გამოგვთხოვეთ და ჩვენ თქვენი სიტყვა ველარ დავაგდეთ და თქვენგან სამასი მარჩილი ქრთამათ ავიღეთ და მოგართვით ვაჭარი ურია მარდახა და მისი ძმა იაკობა მაგის ცოლშვილით, მათის უძებრით და საძებრით, სადაც ვისმე ამათი ვალი რამე მართებს, იმიანათ და ყოვლის მათის მონაშოები მონაგებით.... კიდევ ასრე განთავისუფლებით მოგართვით, რომ ჩვენს საბრძანებელშიდ ამათ საუკუნოდ ჩვენის მოხელისაგან ბაჟი არ ეთხოვებოდეს. არის ამისი მოწამე თვით ჩემი ძმა ნიკოლოზ და გ͠ი, ბიძა ჩემი მანუჩარ, დაყუდებული გერმანე, არხიმანდრიტი აბაშიძე საბელონ და სხვანი ჩვენნი ქვეყანის კაცნი, დიდნი და მცირენი.... დაიწერა ჭყონდიდელის არხიდიაკონის იოსელიანის სვიმონისაგან ქ͠ს აქეთ ჩღჲზ, აგვისტოს კდ.

ბეჭედი კაცია დადიანისა.

**1767 წ.** შეწირულობის წიგნი კაცია დადიანისა, მარტვილის საბუთთაგან, იბეჭდება პეტერბურგის აზიურ მუზეუმში დადაცულ პირის მიხედვით.

ქ. ღთის მიერისა ნიჭითა მპყრობელმან მმართებელმან და განმგებელმან ოდიშ აფხაზთა ლეჩხუმთა და სვანთამან დადიანის ოტიას ძემან თვით დადიანმან ბატონმან კაცია და თანამეცხედრემან ჩემმან საქართველოს მეფის ასულმან დედოფალმან ბატონმან ელისაბედ ასე მტკიცე და შეუცვალებელი წყალობის წიგნი გიბოძეთ შენ მარტვილის ეკკლესიის დეკანოზს არქიმანდრიტს ელიავას გერმანეს, ასე რომ ფადავას კაცს ერთს სარჯულო და საკანონო საქმე დასდებოდა და ის ხელათ მქნელი კაცი შენ გყოლოდა საეკკლესიოთ და სხვა მისი ცოლშვილი. მერმეთ მარტვილის ეკლესიას შეხვეწოდა, მერმეთ შენ ჩვენგან წყალობით ითხოვე და ჩვენ მისი შვილები წყალობად გიბოძეთ და დაგიმტკიცეთ კუპრავა ხუტა თავისის ცოლშვილით და რომელიც ჯეროვანი იყო, კიდეც გვემსახურე. მაშინც მარადის ჩვენი მლოცველი იყავი და კიდევ წელიწადში სანამდი შენ სული გიდგია, ჩვენის სასაფლაო ეკვდრისათვის მისართმევათ თითო მარჩილის საკმეველი დაგადევით.... არის ამისი მოწამე თვითონ ბიძა ჩემი ჭყონდიდელი მიტროპოლიტი გრიგოლ, ჩემი ძმა ნიკო-

ლოზ და გ˜ი, წინამძღვარი სოფრომ.... დაიწერა ხელითა ჭყონდიდლის არქიდიაკონის იოსელიანის სვიმონისათა ქეს აქეთ ჩღჲზ.

ბეჭედი კაცია დადიანისა და ელისაბედ დედოფლისა.

**1765—1767 წ.** შეწირულობის წიგნი კაცია დადიანისა საირმის უდაბნოს საბუთთაგან. იბეჭდება პეტერბურგის აზიურ მუზეუმში დაცულ პირის მიხედვით.

ქ. სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა ამინ. მე მართლმადიდებელმან მპყრობელმან ოდიშ ლეჩხუმისამან პატრონმან დადიანმან მეორემან კაციამ და ღთივ ცხებულთ მეფეთა ქართველთ ბატონის ასულმან თანამეფერცხებამან (sic) ჩემმან დედუფალმან ბატონმან ელისაბედ და ძემან ჩვენმან ახალ ნორჩმან ოტიამ ესე მცირე ძღვენი აღვითქვით ჩვენს უდაბნოს ლეჩხუმისას, ასე რომ უდაბნოს მამად დავადგინეთ არხიმანდრიტი ლოლაბერიძე სილივისტრო და ეს მოსართმევი გაუჩინეთ წლითი წლად მოუშლელად ასი მარჩილი თეთრი, ხუთი ხარი და ზროხა, ორი ცხენი, ათი შამახური სამთელი, ოცდაათი ქილა მარილი, სამოცი ფარგა, სამი მარჩილის თაფლი, ესენი ყოველს წელიწადს მიერთმეოდეს უდაბნოს და კრებულის სამოსლად და საზრდოდ. ამას გარდა უდაბნოს მამას ჩვენგან წყალობა და ბატონის სამოსი ვითარცა ჯეროვანი არის და ან ღირსი პატივისა და წყალობისა უდაბნოს მამა, ეგრეთ ჩვენგან მიერთმეოდეს, სხვა მამული და სომეხები და მეთევზენი რაც შევსწირეთ იმას გარდა, ეს არას წელიწადს არ მოუშალოთ.....

ორი ბეჭედი. შემდეგ კიდევ ბეჭდები გრიგოლ დადიანისა და ნინო დედოფლისა.

**1768 წ.** კაცია დადიანის შეწირულობის წიგნი ცაიშის საბუთთაგან, იბეჭდება პეტერბურგის აზიურ მუზეუმში დაცულ პირის მიხედვით. სიგელი დაზიანებული ყოფილა.

---ღთისა---სასოებისა მაზედ დამდებმან და თვით უზო---ლეჩხუმთა სვანთა და აფხაზთა მპყრობელად და---ოჲს ძემან თვით ბატონმან დადიანმან კაციამ და თანამეცხედრემან ჩვენმან ღ˜თივ ცხებულთა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და გვირგვინოსანთა მეფეთა ტომმან საქართველოს მეფის ასულმან ბატონმან დედოფალმან ელისაბედ ესე საუკუნოდ და ჟამთა და დროთაგან შეუცვალებელად გასასრულებელი წყალობის წიგნი გიბოძეთ თქვენ ცაიშის ეკლესიის საყმოს კაცს აზნაურსა და გლეხს, ასე რომე ჟამ დრო ცვლილობისაგან ბატონს მამა ჩემს ცაიშის საყმო კაცი ჩიჩუასათვის საყმოთ მიეცა. ჩვენ ძალითა და შეწევნითა ღთისათა მამული იგი კვალად ვაგეთ და ისევ საეკლესიოთ გავხადეთ და მისდა ნაცულად ჩიჩუას სხვა ადგილი მივეცით და თქვენ ისევ ეკლესიას დავასაკუთრეთ. ამასთან კიდევ ეს წყალობა გვიქნია, რომ ვინც თქვენი ეპისკოპოსი იქმნეს, მან თუ რამ გთხოვოს და გარდაგახდევინოს, თორემ არც ჩვენგან და არც ჩვენის შემდეგის დადიანისა და მებატონისაგან თქვენ საური არ გეთხოვებოდეს და არც რამე უსამართლობა დაგემართებოდეს---გვიმტკიცებია ორთა ცხოვრებათა ჩვენთა კეთილად წარმართებისათვის.... ქრისტეს აქეთ ჩღჲწ თვესა აპრილის იდ.

აქ დასმული ყოფილა ორი ბეჭედი.

**1754—1768 წ.** ამ დროში უნდა იყოს დაწერილი სოლომონ მეფის მიერ მიცემული ბარათი, დაცული ხონის წმ. გიორგის საბუთებში № 10, თეთრს ქაღალდზე ზომით $15^{1}/_{2}\times9$ სანტიმ. ნიშნად ყოველ სიტყვის შემდეგ თითო წერტილია. საბუთი დაზიანებულია.

ქ· მეფე სოლო[მონ გიბძანებ სულ ერთობით ხონელ]ებო, ღმერთი მომიცემი [თქვენთვის] თავდებათ. თუ დიდი თათრის ძალი და გარდასახადი არ მომდგეს, წრეულს იქით ჩემთვის საური თითო მარჩილის მეტი არ გადაგახდევიოთ ჩემთვის და ჩემის ცოლისა და შვი[ლის] სალოცველათ და ჩვენ[ი მლო]ცველი იყავით.

ბეჭედი წარწერით: დავითის ნორჩი ჯვარით მტერს მოვრჩი (ასომთავრ.:) სოლომონ.

**1754—1768 წ.** იმავე ხასიათის ბარათი, დაცული ხონის საბუთებში № 11, თეთრს ქაღალდზე ზომით $14\times9^{1}/_{2}$ სანტიმ.

ქ. მეფე ფე (sic) სოლომონ გიბძანებ სულ ერთობით ხონელებო, ღმერთი მომიცემია თქვენთვის თავდებათ, დიდი თათრის ძალი და

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადასახადი თუ არ მომდგეს, ჩემთვის წრეულს იქით მის დღემჩი წელიწადში თითო მარჩილის მეტი არ გადაგახდევინოთ საური. ჩემი მლოცველი იყავით და ჩემის ცოლისა და შვილის.

ბეჭედი ისეთივე, როგორც წინა საბუთში.

**1763—1769 წ.** განჩინება მაქსიმე ხონელისა და იოსებ გენათლისა ხონის საბუთთაგან № 23, თეთრს ქაღალდზე ზომით $29^1/_2 \times 18$ სანტიმ. ნიშნად ზოგ ადგილას თითო წერტილია.

....ჩვენ წმიდისა ამის ეკლესიისა ხონისა მოსაყდრემან მთავარ ეპისკოპოსმან მაქსიმე და გენათელ მიტროპოლიტ ბტონიშვილმა იოსებ სამართლიანი კანონით ძეგლის წერით დავამტკიცეთ. ოდესმე ჟამთა ვითარებით წმიდის ამის ეკლესიის აჩნის კატი (sic) ვინ გინდა ხუცისგან გამოსვენდებოდა და მისი შესაწირავი და მისართმევი ერთ ხუცეს უნდა ექამა და საყდარს ამისი გამოსავალი არაფერი არ ერგებოდა. ახლა ეს საქმე კათალიკოზ ბესარიონს კარგათ გაეშინჯა, გამოერთმია ის ხატი და თავისთვის დაესვენებინა, მისი გამოსავალი ხუცისათვის არ დაენებებია. ამ საქმეზე ჩვენც ერთკმა ვექმენით და სიგელით დავსდევით. ამ დღეს აქეთ ვინც ამ აჩნის კატის შესაწირავი დავსდევით, ამ დღეს აქეთ ვინც ამ აჩნის კატის შესაწირავი და მისართმევი ამ ეკკლესიას არ მიართვას და თავისთვის მოიხმაროს, შეჩვენებულ იყოს წმიდათა შვიდთა კრებათა და ოთხთა პატრიაქთაგან....

სამი ბეჭედი წარწერებით: 1) მეფისძე იოსებ (ასომთავრ.), 2) მთავარეპისკოპოსი მაქსიმე (ეს სიტყვა შუაშია ასომთავრ.) ჩღჲგ, 3) მთავარეპისკოპოსი ანტონი (ასომთავ.).

**1763—1769 წ.** ამ წლის ახლო ხანებში უნდა იყოს დაწერილი მაქსიმე ხონელის შეწირულობის წიგნი, ხონის საბუთთაგან № 24, თეთრს ქაღალდზე ზომით $44^1/_2 \times 16^1/_4$ სანტიმ. ნიშნად ყოველ სიტყვის შემდეგ თითო წერტილია.

...შენ წმიდაო გიორგი ხონისაო გევედრები მე მთავარ ეპისკოპოსი იაშვილი მაქსიმე რათა... იძლენა მცირე ესე ჩემ მიერ მორთმეული ძღვენი, რამეთუ თვინიერ მეუფისა შენისა სხვა შენს მეტი

აქა სოფელსა შინა ჩემთვის ნუგეშ შესავედრი და სულისა ჩემისათვინ განმგე არავინ მივის და თუ რამ ან შესამოსლათ ან წიგნათ მე კი რამ მქონდა, აღსრულებისა ჩემისა ჟამსა წმიდასა შენსა ეკლესიასა შევსწირეთ.... ეს ჩემი შემოწირული წიგნი თუ შესამოსელი რაც რამ არის, ჩემი საკუთარი არის, არავისი არც სხვა ეკლესიის, არც ნათხოვარი ვისმესი არ არის და.... შემომიწირავს... (წყევა ვინც გამოწიროს მთავარეპისკოპოსმან გინა მთურავ უხუცესმან)...

ბეჭედი წარწერით: მთავარეპისკოპოსი მაქსიმე (ეს სიტყვა ასომთავრ). ჩღჲგ.

განწე: ამ შესაწირავთან ყოველს პარასკევს ჩემი საკერძო ერთი აბაზი ერთი ვაჴრის გარდასახადი ნაბაჟი სანთელ საკმეველის ფასათ მიერთმეოდეს....

ხვეული ხელის მოწერა.

**1760—1769 წ.** პირობის წიგნი მიცემული რუხაძების მიერ სოლომონ I-ისადმი ხონის ტაძრის საბუთთაგან № 78, დაწერილია თეთრს ქაღალდზე. ნიშნად იხმარება ხშირად, მაგრამ არა ყველგან ორი წერტილი.

ქ. ესე წიგნი მოგართვით თქვენ ჩვენს ხემწიფეს ბატონს მეფეს სოლომონ და თანამემცხედრესა თქვენსა ბატონს დედოფალს დადიანის ასულს მარიამს ჩვენ თქვენმა კაცმა რუხაძემ გამსახურდიმ, ბახუელა რხაძის შვილებმა კვირიკა რუხაძის შვილებმა, შოშიტა რუხაძის შვილებმა, სვიმონიკა კოპეშავიძემ, კაცია რუხაძის შვილებმა, ასე რომ ძველათ წმინდის გიორგის ხონის შეწირული ვიყავით თქვენის ძველათ მამაპაპისაგნ და თქვენის უდრობისაგან და ჟამთა ვითარებისაგან გამოხვებული ვიყავით და ღმერთმან თქვენ რომ დრო მოგცთ, თქვენი კაცი მოგვიკითხეთ და ხელ ახლა გუჯარი გაგვიახლეთ და წმინდას გიორგის ხონისას შეგვწირეთ და ჩვენ თქვენი წირვა და მოხსენება დაგვადევით, ყოველს წელიწადს სამს მღდელს ჟამს გვიწირვინებდეთ... (სიცოცხლის დროს და სიკვდილის შემდეგაც სულის მოსახსენებელათ)... ამისი მოწამე გენათელი ბატონიშვილი იოსებ, წულუკიძე ბერი, მესხი პატა და თამაზა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**1763—1769 წ.** ამ წლის ახლო ხანებში უნდა იყოს მიცემული პირობის წიგნი მარიამ დედოფლისა ხონის საბუთთაგან № 19, თეთრს ქაღალდზე ზომით $32^1/_2 / 22^1/_2$ სანტიმ. ნიშნად ყოველ სიტყვის შემდეგ ორი წერტილია.

....ესე წყალობის წიგნი გიბოძე ჩვენ დედოფალმან ბატონმან მარიამ თქვენ ხონის ეკლესიის ყმას ყოველთავე დიდთა და მცირეთა, ამა პირსა ზედან რომე ჩვენ ჟამთა ვითარებისაგნ გაგვიჭირდა და ხონი კზმან დაიჭირა და ჩვენს ხელში რომ პირველითგან ბაჟი იყო, იმაზედ უსამართლო ექნა, ხორცის, მარილის, თევზის და მატყლის ბაჟი დაედვა თქვენთვის. შემოგვეხვეწეთ და ვისმინეთ თქვენი შეხვეწა და ჩვენის ქმარის და შვილის სადღეგრძელოთ და გასამარჯვებლათ წის გიორგის ეკლესიაზე წელიწადში ყოველს ხუცებს წირვა დაგადევით და გადაგიწერეთ სახასო ამ ეკლესის ყმას მარილის, ხორცის, თევზის და მატყლის ბაჟი. არ ეთხოვებოდეს, ვერც ჩვენმა მაგიერმნ კაცმნ და ვერც ვინც იყოს მთვარებისკობოზმან, ვერც არავინ სხვამა ვერ გთხოვოსყე.... ამის მოწამე არის თავად ბატონისშვილი გენათელი იოსებ, მთავრებისკობოზი მაქსიმე, ჩვენი კარის მწირველი სვიმონ კროჭი და მოურავი სვიმონ იშხნელი, სხვა ჩვენი კარის დარბაზის ერნი ყოველნი, დიდნი და მცირენი. დამიწერია დაყუდებულს გერმანეს.

ბეჭედი წარწერით: ქ სძალო შენთვის ვკმობ ტახტთა ამით ვპყრობ (ასომთ.: დფლი მრმ).

**1769 წ.** შეწირულობის წიგნი სვიმონ ნუქიფიშვილისა, გელათის საბუთთაგან № 24, თეთრს ქაღალდზე ზომით $44^1/_3 \times 18^2/_3$ სანტიმ.

....ცათა მობაძავსა ამის გეენათის ეკკლესიასა შინა დიდებით განსვენებულსა კახულისა გეენათისა და საკურთხეველისა ღ̃თის მშობელსა გკადრე და შემოგწირე მცირე ესე შესაწირავი რაჭას ორი გლეხი შალვაძე ხახუტა შავრს და ბუგაულს იმედაძე მამუკა. ის შალვაძე ნაყიდი მყავს ოთხმოც მარჩილათ და ადგილი, რომელზედაც დღეს სახლობს, ძირათ საგენათლო არის და იმედაძე ჩემი მწყალობელის ბატონის პირველ კათოლიკოსის გერმან ნიკოლაოზ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წმიდელის ნაყიდი არის და მე მისგან წყალობათ მყავს სამართლით. თუ ჩემი დარჩეს, ისიც ცოლშვილით შემომიწირავს და შალვაძეც მისის ცოლშვილით. შალვაძესთან მაინც კაცს კელი არა აქვს, ისე ჩემი თეთრით ნაყიდია, სულისა ჩემისა საოხად და ცოდვათა ჩემთა შესანდობელად სრული გულით შემომიწირავს შემდგომად სიკვდილისა ჩემისა მე უნდოსა და ცოდვილსა, ისევე შენს ძირს ყმას ნუქიფიშვილს სვიმონ მგალობელს. სანამდის მე ცოცხალი ვიყო მე მემსახურონ, როგორც აქამდის მმსახურებია... და შემდგომად ჩემისა ამიერ მიცვალებისა სამკვიდროთ მოგერთვას..... აღიწერა ქკს ქსითგან ჩღჲთ ივლისს ბ კელითა მღვდელ მონაზნის დიონისისათა:

აქ ჯვარია დასმული. შემდეგ ბეჭედის წარწერით: ქ̃ს სძალო შენთვის ვკმობ ტახტთ ამით ვპყრობ (ასომთ.:) დ̃ფლი მარიამ.

განზე: ჩვენ ყოვლისა საჲმერეთოსა კათოლიკოს ბატონიშვილი იოსებ ვამტკიცებთ წიგნსა. ვინც ბტონი დედოფლის ერთგულად სამსახურშიდ შენს სიცოცხლეშიდ ეს გლეხი მოგიშალოს სასამსახუროდ და მას უკან საყდარს წაართვას, შეჩვენებულ იყოს.

ბეჭედი ასომთავრული წარწერით: მეფისძე იოსებ.

**1769 წ.** შეწირულობის წიგნი გურიის დედოფლის როდამისა ბიჭვინტის საბუთთაგან № 25.

....ყოვლად სანატრელო ბიჭვინტისა ღმთისმშობელო, ჩვენ ცვაფარვათ შენთა მინდობილმან და მსასოებელმან და შენგან მორჩენისა მომლოდემან მეფის ასულმან დედოფალმან ბატონმან როდამ შემოგწირეთ კნინი ესე შესაწირავი ჩვენდა მოსარჩენად და სულისა ჩვენისა საოხად და მოსახსენებელად ჩემის მოძღვრის და სულიერის მამის იოსების ძმები ტუსკაია იობი და მისი ძმა ნიკოლოზ მათი ცოლშვილით, ყმითა და მოსამსახურით და მათი უძებარ საძებრით. ბატონის ჩემის ძმის ბატიანისშვილის კათალიკოზის იოსებისათვინ საყმოთ მიგვირთმევია, რათა დაცულ იქმნას მათითა საფარველითა და არას ძე კაცისაგან ამათ ძალა და უსამართლოება არ დაემართონ, არც ამათ და არც მისს კაცს, არც ქვეყნის მოსავალი მოსაკრეფულობა, საური თეთრი გარდახდენ, არც ლაშკრობა, არც საძმო მკვდრისსეული გადახდეს და ეთხუებოდეს ბატონის ჩემის ქმრის გუ-

რიელის მამიასა და ჩვენგან. ასე სიგელით განთავისუფლებული არიან და ჩვენც ასე ამისთვის დავამტკიცეთ, ყოველს ხორციელს შაბათს გინა სულის წმინდის მოსლვის შაბათს ჩვენის სულის საოხად და სალხინებელად შვიდს ხუცესს ჟამის (sic) გვიწირვინებდენ მათი სასმელ საჭმლით და მათი ნაწირავით.... ქორონიკონსა ქრისტეს აქეთ ათას შვიდას სამეოცდაცხრასა.

ხვეულად: დედოფალი როდამ.

**1769 წ.** ხონის საბუთი № 40, მამუკა ჩხეიძის შეწირულობის წიგნი, ქაღალდზე, ნიშნად ყოველ სიტყვის შემდეგ თითო წერტილია.

ქ: ეჰა შენ შვიდ წილ უძლეველო..... გევედრებით ჩვენ ...ჩხეიძე მამუკა... შემოგწირეთ ბალანჩივაძე მამისთვალა ....(მოწამე) დეკანოზი მიქელ, მღდელი პასარიონ ჯვარმტვირთველი, მღდელი იოანე ქითავა, ახლოდიანი (sic) ხოსია, ქუთათელაძე იოანე, მდივნიშვილი გიორგი, მახარობელი ქუთათელაძე, მღდელი მახარობელი გუნცაძე, ხელოსანი ბუჭუელა და ჟოჟუელა და დათეელა წიმწივაძე, ხელოსანი გიორგელა, დავითელა და ერთობით ხონის შემავალნი კაცნი და ხელიც მართლის გულით ჩამირთავს. მე მდივანს ანდრიას დამიწერია და მოწამეცა ვარ... ჩღჲთ.

**1770 წ.** იოსებ კათალიკოზის შეწირულობის წიგნი, ბიჭვინტის საბუთთაგან № 10 თეთრს ქაღალდზე.

.....ჩრდილოსა აფხაზეთისა და ყოვლისა იმერეთისა კათოლიკოს ბატონიშვილმან იოსებ განვიხილენ გულსმოდგინედ და განმკაცრებით ვსაჯენ, რათა მრავალჟამ ვითარებით შემცირებულსა მამულსა ჩვენსა სამართლით შემატებოდა და დანაკლები სრულ ქმნილიყო დიდებად ღთისმშობელისა და შეძინებად საყდრისა ჩემისა, რომელ არს საყდარი პირველწოდებულისა ანდრია მოციქულისა და მასზედა განსვენებულისა ღთისმშობელისად ბიჭვინტისადა, შემიწირავს ძირათ საერისთო, ბიძა მისის წინამძღვრის იაკობისგან სულის სამადლოთ ასორმოც მარჩილათ ნაყიდი ხუცესი მეგრელიძე ზაქარია და მასთან სამაჭუტავო კაცი გაბრიელ სირაძე, თექვსმეტ ფლურათ უყიდია და მასთან დაუყენებია და აწ ჩვენ ბიჭვინტისა ღთისმშობელისად შეგვიწირავს თხოვისაებრ ზემოკსენებულისა წინამძღვრისა იაკობისა. შეგვიწირავს მათი ცოლშვილით, მიწა ადგილით, მამულით, ჭურმარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნით, საყანით, წყლით და ტყით, საფლავ სამარხით, რისაც მქონებელი არის სამართლიანი საქმით, მათი საძებარ უძებრით, შეგვიწირავს სამკვიდროთ, რომ ამათზე კათალიკოსის და მისი კაცის მეტს კაცს ხელი აღარა აქვს. ასე ქვეყნის მპყრობელთა და მეპატრონეთაგან დამტკიცებით შეგვიწირავს ....აღიწერა ქკსა ჩღჲი ხელითა მღვდლ მონაზონისა დიონისისათა თვესა იანვარსა იე.

ბეჭედი ასომთ. წარწერით: მეფის ძე იოსებ. ხვეულად კზი იოსებ.

განზე: ამისგან სამსახური ხადილი მიერთმეოდეს კათოლიკოსს ერთი წელიწადი რომ შუაზე გავიდეს ერთი სამი ოთხი მარჩილის ზროხა, სამი საწყავი ღვინო, მისი პური, გვერდი ღომი, მიერთმოდეს კათოლიკოსს და შინა ყმათ ემსახუროს.

**1770 წ.** ანტონ ცაგარელის შეწირულობის წიგნი საირმის უდაბნოსადმი. იბეჭდება პეტერბურგის აზიურ მუზეუმში დაცულ პირის მიხედვით.

ქ. სახელითა სახიერისა ერთ არსისა მამისა ძისა და სულისა წმიდისათა, სათნო ყოფითა და ჯერჩინებითა ჩვენ ზეგარდამო მადლთაგან კურთხევითა კურთხეულმან დადიანის ოტიას ძემან ბატონმან ბატონისშვილმან ცაგერელ მიტროპოლიტმან ანტონიმ ესე საუკუნოდ უკუნისამდე გასათავებელი წიგნი მოგართვით ჩვენს სულით ვიდრე ხორცთამდე მცველს საირმეს უდაბნოს ყდ წმიდის ეკლესიას, ასე რომ ჩვენის ნებითა და გულს მოდგინებით ნასყიდი ვაჭრები გვყავდა და ესენი შემოგწირეთ თავს იოანე ვაჭარი, ამასთან ერთი მოსახლე ურია დავითია მოშიკა და მათი შვილები ერთობით და ამასთან კიდევ ერთი ურია, არონასთან რომ დგას ხახანიკა ისიც, ყველანი მათის ცოლშვილით, სახლკარით, ალაგ მამულით, საქონლით, რისაც მქონებელნი არიან ყოველის ფერამდის შენთვის შემომიწირავს, ყოვლად წმიდაო ღთის მშობელო უდაბნოს ეკლესიისაო..... ეს ასე გაგვირიგებია და ღირსის მამის უდაბნოს ზედამდეგის აფაქიძის არქიმანდრიტის ლაზარესათვინ ჩაგვიბარებია და ჩვენი შეწირული ვაჭრები. აღიწერა ქრისტეს აქეთ ჩღოი.

ბეჭედი.

**1770 წ.** შეწირულობის წიგნი გრიგოლ ჭყონდიდლისა, მარტვილის საბუთთაგან. იბეჭდება პეტერბურგის აზიურ მუზეუმში დაცულ პირის მიხედვით.

ქ. ზეგარდმოთა კჳრთხევითა კურთხეულმან ყდ სამღუდელომან დადიანის ბეჟანის ძემან ბატონმან ჭყონდიდელ მიტროპოლიტმან გრიგოლ შენ... მარტვილთა ღმრთის მშობელსა და... წასა გ~ის სუჯუნისასა შეგკადრეთ მცირე ესე შესაწირი, ასე რომ მარდახა ურია მისის ცოლშვილით და იაკობა მისი ძმა და მისი ცოლშვილი, ყიდდენ (sic), ძვირფასათ დავიხსენით და სუჯუნას საყდრის სიახლოვეს დავასახლეთ. მას მოღმა ამათაც ასე მოინდომეს და ჩვენც ასე ვაჯობინეთ და ასე შემოგწირეთ, რომ როგორც აქანა სხჳა ძირი კაცები არიან, ნოდია თუ მატკავა, ასე სამკვიდროთ შემოგვიწირავს მათის ცოლშვილით მარდახა ურია და მისი ძმა იაკობა და ბეგრათ ეს დაგვიცს, რომ ყოველს სააღდგომოთ ხუთი მარჩილის სანთელს საკმეველს მოგართმევდეს, წმიდის გ~ის დეკანოზს მოუტანდეს. თუ სანთელ საკმეველი ვერ იშოვოს, იმისთანა დრო მოხვდეს, ხუთ მარჩილს თეთრს მოართმიდეს. ასე გაგვირიგებია.... აღიწერა ქეს აქეთ ჩღჲ.

ბეჭედი.

**1771 წ.** ანტონ ცაგერელის შეწირულობის წიგნი საირმის უდაბნოსადმი. იბეჭდება პეტერბ. აზიურ მუზეუმში დაცულ პირის მიხედვით.

....ჩვენ... ძემან დადიანის ოტიასამან ბატონმან ცაგერელ მიტროპოლიტმან ანტონიმ ვინებეთ და ვიგულსმოდგინეთ მიცვალებისა შენისა (ღვთისმშობელო) ეკლესიასა საირმისასა უდაბნოთა შინა ყოფა და რადგან დავდევით და თავი ჩვენი შემოგწირეთ, რომელიცა ჩვენი მოგებული რამ იყო ისიც ყოველი შემოგწირე (უკანასკნელი 11 სიტყვა დედანში ხაზ გადასმული ყოფილა). ესე ყოველთა ჩვენთა მონაგებთა უმონაგებესა და ნასყიდი ძმისა ჩვენისა დადიანისა კაციასაგან კნინი და მცირე ძღვენი ნახარბოის სასახლე მისის ეკლესიის კარით და წყლით, ტყით და სათიბით, საყანით, მამულით.... და ამასთან გარეთ მოსახლით ორის გლეხით, მათის

ცოლშვილით და მათის ყოვლის ფერით, საძებრით და უძებრით და ამასთან კიდევ ძმისა ჩვენისა გიორგისაგან კვალად ქრთამით მოცემული ხუნწს ერთი გლეხი მოგვაძე მისის ცოლშვილით... ყოვლისფერიანათ შემოგვირწირავს.... ჩაგვიბარებია უდაბნოს მამის ღოღაბერიძისა არხიმანდრიტისა სილივისტროსათვის და შემდგომთა კვალად ვამათათვის მიგვიბარებია, ჩვენდა სამლოცველოდ შეგვიწირავს ჯერჩინებითა და მოწმობითა პირმშოსა ძმისა ჩვენისა დადიანისა კაციასათა და კვალად ნება დართვითა და მოწმობითა დადიანის ბეჟანის ძისა ყდ სამღუდელოსა ჭყონდიდელ მიტროპოლიტისა გრიგოლისათა და კვალად მოწმობითა ძმების ჩემისა ნიკოლოზ და გიორგისათა. თანამოწამე და დამამტკიცებელი ამისი ყოვლად სამღუდელო ცაიშელ მიტროპოლიტი სოფრონ, კვალად მოწამე არხიმანდრიტი ელიავა გერმანე..... (წყვეა) აღიწერა დასაბამიდგან კსოთ, ქრისტეს აქეთ ჩღოა თვესა აგვისტოსა აცხრამეტსა მღუდლისა ხელითა დადიანის კარის მწირველის პეტრესითა.

ბეჭედი.

**1771 წ.** შეწირულობის წიგნი ნიკოლოზ დადიანისძისა საირმის უდაბნოსადმი. იბეჭდება პეტერბ. აზიურ მუზეუმში დაცულ პირის მიხედვით.

......ჩვენ... დადიანის ოტიას ძემან უფლისწულმან ვოდიშ (sic) ლეჩხუმისამან ნიკოლოზ... ვინებეთ და ვიგულისმოდგინეთ და შემოგწირეთ კნინი ესე შესაწირავი. რაც სათავისთავო მამული ლეჩხუმს მაქუს ახლა და ან ამას იქეთ ვიშოვო, ყოვლისავე ათის თავის სახასოსი და გარეთშემავალის ბეგრებისა და საუდიეროსი და რაც რამ გარდასახადი კი არის და იქმნება ქერს გარდა ყოვლის ფერის ათისთავი შემომიწირავს საირმის უდაბნოს ყოვლად წმიდის მიცვალების საყდრისათვის დღეთა ჩემთა (sic) წარსამართებელად და სახსრად და საოხად მეცხედრეთა ჩემთა ერისთვის ასულის ანასტასიასათვის და ძეთა ჩემთა გიორგისა და ასულთა ჩვენთათვის აღსაზრდელად, შეგვიწირავს და დაგვიმტკიცებია და ჩაგვიბარებია უდაბნოს მამისა არხიმანდრიტის ღოღაბერიძის სილივისტროსათვის და შემდგომად ვინც მამა იქმნეს, მისთვისაც ჩაგვიბარებია და მიგვირთმევია სამღო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცველოდ ჩვენდა. არის ამისი მოწამე ჩვენი ძმა ყ̃დ სამღუდელო ცაგერელ მიტროპოლიტი ანტონი, ბატონიშვილი გ̃ი, ახვლედიანი გ̃ი, ჩიქოვანი ტატუ. დაიწერა დასაბამითგან კსოთ (sic) ქრისტეს აქეთ ჩღოა ხელითა მღუდლის პეტრესითა.

**1771 წ.** კაცია დადიანის შეწირულობის წიგნი მარტვილის საბუთთაგან. იბეჭდება პეტერბურგის აზიურ მუზეუმში დაცულ პირის მიხედვით.

ქ. წყალობითა ღთისათა ჩვენ ოდიშ ლეჩხუმ სვანთ მპყრობელმან დადიანის ოტიას ძემან პატრონმან დადიანმან კაცია ესე საუკუნოდ გასათავებელი... წიგნი მოგეცით თქვენ ბიძა ჩემს ყ̃დ სამღუდელოს ჭყონდიდელ მიტროპოლიტს გრიგოლს, ასე რომ ჭალადიდს გლეხი გვითხოვეთ და ქრთამიც გამოგართვით და მოგეცით სვანიძე ხუცესი გაბრიელ მისის ცოლშვილით შვილის შვილებით .....კაცთაგან არის ამისი მოწამე თვით ყ̃დ სამღუდელო ცაგერელ მიტროპოლიტი ანტონი, დადიანისძე ნიკოლოზ და გ̃ი, არ.ქიდიაკონი ჭყონდიდლის იოსელიანი სვიმონ. აღიწერა ხელითა მგალობლის გი̃სათა ქეს აქეთ ჩღოა.

ბეჭედი.

**1771 წ.** ხონის საბუთი № 36, წარმოადგენს სათავდებო წიგნს, დაწერილს თეთრს ქაღალდზე, ნიშნად ყოველ სიტყვის შემდეგ თითო წერტილია.

...ქ. ნებითა ღთისათა ესე სათავდებო წიგნი დაგიწერე და მოგეცი მე ლოლაბერიძე ბეჟანისშვილმან გოგიტამ შენ დეკანოზის ხონისას მიქელს, ასე რომ გაბრიელა ქუთათელაძე მისის ცოლშვილით იესე ჩიქვანის შვილებს გიორგის და მის ძმებს გამოექცა და ხატს შემოეხვეწა. მაშინც ძირათ ხატის ყმა ყოფილა, ახლათ ჩიქოვანმა გიორგიმ და მისმა ძმებმა ისევ შეგირიგა მისი კაცი, მაგრამ თქვენ უთავდებოთ არ მიეცით. აწ მე ამისი თავდები დაგდგომივარ, რომ ამ გაბრიელა ქუთათელაძეს და მის ცოლშვილს ჩიქოვანის გიორგისა და მისი ძმებისაგან არც გაყიდვით, არც გაღარიბებით აწ აღარა-

ფერი ფიქრი და ზიანი ქონდეს. თუ ეს წიგნი მე გამიმტყუნდეს მთავარ ეპისკოპოსმა ანტონიმ და მისმა დეკანოზმა ხონის წმიდის გიორგის გატახათ (sic) გვიკითხეთ და მეფემ სოლომონ.... არის ამისი მოწამე სრულობით ხონის შემავალი კრება სამღვდელო და საერო.... ჩღოა.

აქ ჯვარია დასმული.

**1772 წ.** ნასყიდობის წიგნი, მიცემული იოსებ კათალიკოსისადმი, გელათის საბუთთაგან № 29, თეთრს ქაღალდზე ზომით $24^3/_4 \times 11^1/_2$ სანტიმ. ნიშნად იხმარება ზოგს ადგილას ორი წერტილი.

ქ. ეს უდეობის წიგნი მოგართვით თქვენ ბატონს კათოლიკოს გენათელ ბატონიშვილს იოსებს ჩვენ ალისუბანს მოსახლემ ჩიკვაიძემ შოშიტამ და ჩემმა შვილებმა პაატამ და გოგიტამ, ჩემმა ძმამა იესემ და მისმა შვილმა ოთარამ, ამა პირსაზე რომ ქორიაშვილის სეული მიწა ადგილი ნაყიდი გვქონდა და რათაც ღირდა იმ მიწა ადგილის ფასი გვიბოძეთ.... მოწამე ამის გოგია კანდელაკი, ლოლაძე ქაიხოსრო, მღდელი სვიმონ დათიაშვილი, კელოსანი არაბიძე და ხეჯაძე დავითულა და მამუკელა. აღიწერა ქკსა ქრისტეს აქეთსა ჩღობ მღდელ მონაზონის დიონისის კელითა: აგვისტოს: იგ:

ბოლოს დასმულია 5 ჯვარი.

**1773 წ.** სოლომონ I-ის შეწირულობის წიგნი, ხონის საბუთთაგან № 6, თეთრს ქაღალდზე, ზომით $40 \times 18^3/_4$ სანტიმ. ნიშნად ყოველ სიტყვის შემდეგ თითო წერტილია. ამ სიგელის პირი მოიპოვება 1803 წ. ოსე გაბაონის მიერ გადაწერილ გუჯრების ნუსხაში № 103.

...ჩვენ.. მეფეთ მეფემან სოლომონ... შემოგწირეთ ერთი გლეხი ფარცხალაძის ივანელას ნაყმევი კაცი ბახტაძე ივანიკა და მისი ძმა გიორგი მათის ცოლშვილით, მამულ ალაგით ყდ სამღვდელოს მთავარეპისკოპოსის ჩიჯავაძის ანტონის ხელშიდ.... ამისი მოწამე ჩვენი თავადი სარდალ მოურავი წულუკიძე პაატა, ერისთვის ძე შოშიტა, ოტია და ბეჟან, აბაშიძე გედევან, მესხი თამაზ და

სხვანი კარისა ჩვენისა დარბაისელნი. აღიწერა ინდიკტიონსა მეფობისა ჩვენისას წელთა უფლისათა ჩღოგ თვესა კა (ნუსხაში ამის მაგივრად: თუესა ოკდონბერსა ა).

ბეჭედი ასომთ. წარწერით: მეფე იმერეთისა სოლომონ.

პირველ გვერდზე განზე: ვემოწმები ყდ სამღვდელო ქუთათელ მიტროპოლიტი მაქსიმე.

ვემოწმები ყდ სამღვდელო ნიკოლოზწმიდელი სილივსტრო.

გვირგვინიანი ბეჭედი წარწერით: ქუთათელი მიტროპოლიტი (ასომთ.:). მაქსიმე. ხვეულად: სილივისტრო.

**1774 წ.** იოსებ კათალიკოზის მიერ დაბადებული წიგნი, ბიქვინტის საბუთთაგან № 52, თეთრს ქაღალდზე ზომით 44× 8 სანტიმ. ნიშნად იშვიათად იხმარება წერტილი.

.... ჩ̃ნ წყალობითა ღთისათა პონტო ჩრდილოსა და აფხაზ იმერთა სავსებისა. კათოლოს (sic) მამათმთავარმან და ძემან მეფისამან იოსიბ შენ ბიქვინტისა ღთისმშობელსა შემოგწირეთ და დავამტკიცეთ ჟამთა და წელთა სიგრძესა შინა შეუცვალებელად უცილოდ სამკვიდროდ, რომელსაცა წინარევიტყვით და საფიცართა სიმტკიცითა მოგართვამთ სამართლის გზითა, მიზეზითა ამით რომ თქვენი ძირი ყმა და მოსამსახურე სანავარდოს მოსახლედ მყოფი კელოსნის სახლის კაცი მჭელიძე დიაკონი გიორგი გვევედრა და შეგვეხვეწა დიდათ გულსმოდგინებით, უშვილო იყო და ოთხი სული მოსამსახურე გრიგოლ კათოლიკოსს ეწყალობებინა მარტო ამ გიორგი მჭელიძე დიაკონისათვის დიდი სამსახურით და ქრთამის მირთმევით. ახლა რათგან ეს უშვილო იყო, ჩნი დასტურით და ბრძანებით ეს სხვის შვილები თავის შვილებათ მიიჩინა, სანამდის ცოცხალი იქნება, საკუთრად ყმად და შვილად ემსახურონ და ამონ თავის პატრონს და ამის სიკვდილს უკან შენ ბიქვიტისა ღთისმშობელისადა შემოგვიწირავს ზემოკსენებულნი იგი ოთხნი ძმანი, გვარობით გვარამია დავითელა, ბუჭუა, ხოსია და გაბრიელა...... აღიწერა ქკსა ქს აქეთ ჩღოდ მარტსა კვ კელითა მღვდელ მონაზონისა დიონისისათა.

ბეჭედი ასომთავრული წარწერით: მეფის ძე იოსიბ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**1774 წ.** კათალიკოზის იოსებ გენათელის მიერ დადებული წიგნი გლეხის ამოყვანის შესახებ, გელათის საბუთთაგან № 31 თეთრს ქაღალდზე ზომით $40^1/_2 \times 17^3/_4$ სანტიმ. თავი დაზიანებულია. ნიშნად იხმარება ზოგიერთ სიტყვის შემდეგ თითო წერტილი, იშვიათად ორი.

---.....ჩნ აფხაზ იმერთა სავსებისა კათოლიკოს მმათ მთავარმან და გენათელმან ძემან მეფისამან იოსიბ ვიღვაწეთ და ვიგულსმოდგინეთ ჟამთა ვითარებისა და უდრვობით შეტაცებულებისგან დავიწყებული გლეხი მახვილაძე ჩნსავე კაცს იესე ნიშნიანიძეს და მის ძმას სიმონს ყავდა, უწიგნოთ ჩუმათ შერჩენოდა დავიწყებით და ჩნ შევიტყვეთ, ჩ῀ნი ეკლესიის ძირი გლეხი ამოვიყვანეთ, სიტყვა არ ქონდა სადევოთ. ამისთვს ასე სამართლად ამოგვიყვანია და სამკვიდროთ კელახლა საფიცრით.... შემოგვიწირავს (ხახულისა, გელათის საკურთხევლის ღვთისმშობელთ) ლაფეთს სოფელს მოსახლე გლეხი გიორგი მახვილაძე და მისი შვილები მხიარულა, მახარიკა და კაციტა მათი ცოლშვილით და მათი ყოფით..... მოწამე ამის კანდელაკი იესე, კანდელაკი გოგია, მეღვინეთუხუცესი გოგოლაშვილი ზაზუტა და ერთობით საგენათლო აზნ[აუ]რიშვილნი მოწამე არის ამის. აღიწერ (sic) ქკს ქ῀ს აქეთ ჩღოდ თვესა ივლისს კე კელითა მღვდელ მონაზონისა დიონისისათა:

ბეჭედი ასომთავრ. წარწერით: მეფისძე იოსებ.

**1774 წ.** დავით ბატონიშვილის შეწირულობის წიგნი გელათის საბუთთაგან № 6, თეთრს ქაღალდზე ზომით $39^1/_2 \times 24^1/_2$ სანტიმ. ნიშნად ყოველ სიტყვის შემდეგ იხმარება თითო წერტილი.

...ესე... შეუცვალებელი წყალობის წიგნი და სიგელი დაგიწერეთ და გიბოძეთ ჩვენ ღთის ცხებულმან (sic) იესიან დავითიან სოლომონიან ბაგრატოანმან ბატონმან და ბატონისშვილმან დავით შენ ჩვენს ერდგულს ყმას კაპანაძეს ნიკოლოზ და ბიძაშენს კაციას, სხვათა შვილთა და მომავალთა სახლისა შენისათა, ასე და ამა პირსა ზედა რომე შამოგვეხვეწეთ და გვიაჯ·ეთ, ვისმენეთ (sic) აჯა და მოხსენება

თქვენი და ამოგიკვეთეთ ბეგარა ღვინისა და ბეგარა თეთრის მეტი საუდიერო, ღვინო, ხორცი, ლომი, თეთრი თუ რამ სათხოვარი არის, ყოვლის ფერი ბეგარას თეთრის და ღვინოს ბეგარს გარდა და დაგდევით ბატონს მამის ჩემის ბატონსშვილის გიორგისათვის ყოველს სულთას წირვა და ცხვარი და თითო ლიტრა სანთელი მის საფლავს უნდა მიართვა მღვიმეს ყოველს წელიწადს.... კაცთაგან მოწამე სახთუხუცესი ჭუმბურიძე გიორგი, აბაშიძე ამილღაბარ, გამყრელიძე ლევან, აბაშიძე ზაალ, წინამძღვარი მღვიმის დიონისი, ბარათაშვილი ქაიხოსრო, მოურავი ჭუმბურიძე გიორგი, მოხელე ჭყოიძე გიორგი, ლომინაშვილი პაპუნა და ერთობით ბატონს (sic) დარბაისელი მე მდივანს სვიმონს დამიწერია... წელსა ქეს აქეთ ჩღოდ თვესა აგვისტოს კვ დღეს დ.

ბეჭედი წარწერით: ბატონისშვილი (ასომთ.:) დავით.

**1774 წ.** ნასყიდობის წიგნი, გელათის საბუთთაგან № 112, თეთრს ქაღალდზე ზომით $39^1/_4 \times 16^1/_3$ სანტიმ. ნიშნად ყოველ სიტყვის შემდეგ თითო წერტილია.

...ესე... წიგნი და პირობა მოგეცით მე წერეთელმან დავით და ჩემა შვილმან ბერმან, ნიკოლოზ და ზურაბ შენ ჩვენს სულიერს მამას მღვდელს იდაძეს გიორგის და შენს შვილს ლაზარეს... ჩვენი ყმა ივანიკა აფრიდონიძე მოგყიდეთ და... ფასი სრული მოგვეცი.... ამისი მოწამე კანდელაკი გიორგი, მეღვინეთუხუცესი გოგოლაშვილი ზაუსტა, ბასილისშვილი გრგოლ, მეღვინე პატარიძე სვიმონ, ბასილისშვილი გიორგი. აღიწერა ხელითა ჭიჭინაძის ნიკოლოზისათა სეკდემბერს იდ ქრისტეს აქეთ ათას შვიდას სამოცდათოთხმეტს (მეტი არაფერი).

**1775 წ.** შეწირულობის წიგნი სოლომონ I-ისა, ნიკორწმინდის საბუთთაგან № 14 თეთრს ქაღალდზე.

ქ. ჵი შენ ყდ სანატრელო წმიდაო მღვდელთმთავარო ნიკოლოზ, ჩვენ ცვაფარვათა შენთა მინდობილმან აფხაზ იმერთა მეფეთ მეფემან პატრონმან სოლომონ და თანამეცხედრემან ჩემმან დედოფალთ დედოფალმან დადიანის ასულმან ბატონმნ მარიამ და სასურ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ველმან პირმშომან ძემან ჩვენმან ბატონიშვილმან ალექსანდრემ ვიგულსმოდგინეთ და ვინებეთ, ასე რომე ორცხილათი სოფელი პირველ ჩვენთა მამაპაპათაგან თქვენთვის შემოეწირათ. მერმე ჟამთა ვითარებისაგან და სოფლის შფოთთა მიმქცევისაგან ის ჩვენთა ძველთაგან შემოწირული სოფელი საერისკაცოდ გამხდარიყო. მერმეთ როდესაც შეწევნითა შენითა ხელთ ვიგდეთ, კვალად განგიახლეთ გუჯარი ესე და თქვენდავე შემოგვიწირავს, როგორც პირველ შეწირული ყოფილა, ისე მისის სამართლიანის ზღვრითა და სამართლით. შეიწირე, წმიდაო მღვდელთმთავარო ნიკოლოზ, მცირედი ესე შესაწირავი მეფობისა და ცხოვრებისა ჩვენისა წარსამართებელად და მრთლმსაჯულებისა წინაშე სულისა ჩვენისა საოხად და ძეთა და ასულთა ჩვენთა აღსაზრდელად.... აღიწერა ინდიკტიონსა მეფობისა ჩვენისასა ჩღოე თვესა ოკდონბერსა კგ.

ბეჭედი წარწერით: კეთილ ძირთაგან რტონი მეფედ ვარ ბაგრატონი (ასომთ.:) სოლომონ.

ქ. ჩუჱნ ძლიერებათა მღვდელთმთავრობისა შენისათა მოქადული და მსასოებელი წმინდისა სახელისა შენისა მოქადული ს҃დ იმერეთის დედოფალი დადიანის ასული მარიამ ვამტკიცებ დავთარსა ამას წმინდისა ეკლესიისა შენისასა განსაძლიერებელად უმაღლესისა მეფისა სოლომონისათვის.

ბეჭედი ასომთ. წარწერით: დედოფალი მარიამ.

განზე: ქ. ღვთით ჩნ ს҃დ საიმერეთო მეფის დავითის ძე უფლისწული კონსტანტინე ვამტკიცეფ (sic) სიგელსა ამას შეწევნითა ღმრთისათა.

ბეჭედი ასომთ. წარწერით: მეფის ძე კონსტანტინე.

მეორე გვერდის განზე ამტკიცებენ: ქუთათელი მიტროპოლიტი დოსითეოს, გენათელი მიტროპოლიტი ევთვიმი, მთავარეპისკოპოსი ანტონი, ნიკოლაოსწმინდელი არხიეპისკოპოსი სოფრონიოს (ბეჭდები).

**1776 წ.** პირობის წიგნი, მიცემული სოლომონ I-ის მიერ მაქსიმე კათალიკოზისადმი, ბიჭვინტის საბუთთაგან № 57, თეთრს ქაღალდზე ზომით $42^1/_2 \times 24^1/_2$ სანტიმ. დაწერილია ლამაზი ხელით. ნიშნები დაცულია. სტრიქონებში მე-4—6 სიტყვებს — სოლომონ, მარიამ ალექსანდრე — აქვს ანტონ I კათალიკოზის მიერ შემოღებული რგვალი ნიშანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

....ესე მტკიცე და ჟამიერისა მერყეობისა მიერ კიდეგან ქმნილი, და საუკუნობასა შ̃ა დამარხული წიგნი მოგართვით. ჩვენ ღთივ განძლიერებულმან ყოვლისა იმერეთისა მეფემან მეფეთამან სოლომონ დავითიანმან და თანკორცმან ჩვენმან დედუფალთ დედუფალმან დადიანის ასულმან მარიამ. და ყოვლად სასურველმან ძემან ჩვენმან პირმშომან ალექსანდრე. თქვენ სულისა ჩვენისა მწყემსსა და მამასა ჩნ̃სა აფხაზ იმერთა ყოვლობისა კათოლიკოს მამათ მთავარსა მაქსიმეს. ესრეთ და ესე ვითარად რომ მრავლის შფოთისა და მიმყოვრებულისაგან განსაცდელებისა ქვეყანისა ჩნისა, ღელვიდა სამეფო ჩვენი. და ბიჭვინტისა ღთისმშობელის ეკლესიის მამულები სამოურაოდ ჩვენს კაცებს ჰქონდა: ოდეს წყალობით მოხედვა ყო დედამან ღ̃ისამან სიმდაბლისამი (sic) ჩვენისა, და წინააღმდგომ განრემზომნი ჩვენნი დაგვიმორჩილნა. მას ჟამსა ვიძიეთ და ძველთა გუჯრებთა შ̃ა ბიჭვინტისა ეკლესიისათა ესრედ განცხადებულად ვპოვეთ. რომ ეკლესიის მამულშიდ სხვის მოხელე და მოურავი არ შევიდეს. და არცავინ ფლობდეს თვნიერ კათოლიკოზისა ბძანებისა და მის მიერ დადგინებულისა მოხელისა. აწ რადგან ესრეთ ნათლად ვიხილეთ დაიხსნა ყოველი იჭვი წინააღმდეგთა და ჩვენცა ესრეთვე დაგვიმტკიცებია რომ არც ჩვენგან, და არცა შემდგომთა ჩვენთა მეფეთაგან ბიჭვინტისა ღთისმშობლის ეკკლესიის მამულზედ მოხელე და მოურავი და განმგებელი არ დაიდგინოს და არცავინ ფლობდეს და განაგებდეს არც იმერეთს და არც რაჭაშიდ და არცა სხვასა ადგილსა, სადაცა ბრძანება ჩვენი განივლინების კიდეგან კათოლიკოსისა და მოხელისა მისისა:.... (წყევა) აღიწერა ბრძანება ესე მტკიცე ჴელითა სახლთუხუცისა იოსებ გაბაონისათა წელთა ქ̃ესითგან. ჩღოვ. 1776. და თთვესა აგვისტოსა კვ. 26.

ბეჭედი წარწერით: კეთილ ძირთაგან რტონი მეფედ ვარ ბაგრატოანი (ასომთ.:) სოლომონ.

**1776 წ.** შეჩვენების წიგნი კათალიკოზის მაქსიმესი, დაცული ბიჭვინტის საბუთებში № 68. იბეჭდება უცვლელად.

ქ. წყალობითა ღთისათა უ̃ისა იესოს ქს მონა მამათმთავარ კათოლიკოსი ზოგად ყოველთავე აფხაზ იმერთა და მჯდომარე საყ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დარსა ანდრია პირველ წოდებულისა მოციქულისასა. რ῀ კელმწიფებაჲ მისი, რომელსა სულისა მიერ ცეცხლის სახედ მოსრულისა მიეცა ესე იგი შეკრვად ურჩთა და მტერთა ეკკლესიისათა და განხსნად მორჩილთა და მოყვასთა ჭტბისათა ჩემდაცა მოცემულარს მისვე სულისა მიერ ყ῀დ წმიდისა თუცა ულირს ვარ და რლისა ჯერ არს შურისგებად შუვაგებ და განვკვეთ მისვე სულისა მახვილითა უხილავითა:

აწ უწყოდეთ ყოველთა ქს სისხლითა მოსყიდულთა ერთა. ჩიჩუა კაციამ ჩვენი ბიჭვინტისა ეკლესიის კაცის შვილები მძლავრებით და უსჯულოებით დაგვიყიდა და უსჯულოთა ოთმანიანთა მისცა წარსაწყმედელად და შესაგინებელად. და მიუხვნა დედასა თსსა ეკლესიასა ძენი ემბაზისა სანათლოსა აღმოშობილნი უწყალოებითა და უსამართლოებითა აწ ვინადგან არა შეიშინა დედისაგან ღთისა და არცა დედისაგან თვსისა წმიდისა ეკკლესიისა და განეხვა ნებსით ორთავე საფარველსა. ამისთვს შევაჩვენებ წყეულსა მას კაცია ჩიჩუას და განვახვამ ეკკლესიისაგან და განვაყენებ ქენობისაგნ წყეულ იყავნ და შეჩვენებულ. საკელითა ყ῀დ წმიდისა სამებისათ კ῀დ წყეულ იყავნ და შეჩვენებულ სისხლითა ქესითა რლიცა უხვად დაითხია ქვეყანასა ზედა სახსრად ჩვენდა კვალად წყეულ იყავნ და შეჩვენებულ მარიამ ყდ უმწიკვლოსაგან დედისა და ახდილ მფარველობა და მეოხება მისი თხემისაგან მისისა. კვალად წყეულ იყავნ და შეკრულ სულით და კორცით ათორმეტთა მოციქულთა მადლისაგან ოთხთა წმიდათა პატრიარხთაგან და ჩვენგან და ყოველთა მღუდელთ მთავართაგან უმკვიდრო იყავნ საკელი მისი ცასა შორის და ქვეყანასა განუხსნელ იყავნ კორცი მისი საძაგელი საფლავსა შინა და წარუმართებელ გზანი მისნი. მისთვს ცანი დახშულ ილიას მიერ მაგრიად. დანთქმულ იყავნ ცოცხლივ უხვაიშნოსა და ნახეთქსა ჯოჯოხეთისასა და წყეულ კრულ და შეჩვენებულ და აღკოცილ სახელი მისი აქა და მუნა:

აწ რომელმაც ჩვენი შეჩვენება შეურაცხოთ და არ ეკრძალნეთ ვითა განცოფებულსა ძაღლსა თქვენდაცა იყავენ წყევა ესე და შვილთა თქვენთა ზედა ამინ: სხვა ხელით: დეკემბერს კ῀ 1776.

ხვეულად: კათოლიკოსი მაქსიმე.

ბეჭედი წარწერით: ჭყონდიდელი გრიგოლ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**1776 წ.** შეწირულობის წიგნი სოლომონ I-ისა გელათის საბუთთაგან № 109, თეთრს ქაღალდზე ზომით 43×35 სანტიმ.

ქ: ჩვენ ცვაფარვათა შენთა მინდობილმან და შენ მიერვე კურთხევით გვირგვინოსანმა---აფხაზ იმერთა მეფეთ მეფემან პატრონმან სოლომონ და თანამეცხედრემან ჩემმან დედუფალთ დედუფალმან დადიანის ასულმან ბატონმან მარიამ და სულებრ საწყურ საწადმან ახალ ნორჩ შვენიერად ჩენილმან პირმშომან ძემან ჩვენმან ალექსანდრემ გკადრეთ და შემოგწირეთ მცირედი ესე შესაწირავი ჩვენს ეკვდერს და სასაფლაოს მაცხოვარს და მის წინამძღვარს ჭიჭინაძეს იოაკიმს ლეყერეთს შვი[დი კვამლი კაცი] შალიკიანები, ერთი მოსახლე კაცია და გიორგი, მეორე შოშიკა და გიორგი, [მე]სამე სიმონიკა და ნასიკა, მეოთხე მახარიკა და გოჭია, მეხუთე დავითელა და მამუკა, მექვსე ხახუტელა და პეტრე, მეშვიდე გიორგი, ასე რომ უწინ მამაპაპათაგან ჩვენთა შემოწირული ყოფილიყო და ჟამთა ვითარებისაგან წაგრთმეოდათ, მერმეთ ამოვიყვანეთ და ისევ შემოგწირეთ მათი ბეგრით, თუითო მოსახლეს ორორი ჩარექი სანთელი, ოთხი კოდი ღომი, სამსამი თორმეტიანი ღვინო თქვენ წინამძღვარს მიერთმეოდესთ, თვისი ტვირთუით მოგიტანდესთ, არც გეთხოვოს ქრივი და არც ობოლი.... აღიწერა ინდიკტიონსა მეფობისა ჩვენისასა წელთა უფლისათა ქკს ჩღოვ.

ბეჭდები წარწერით: 1) კეთილ ძირთაგან რტონი მეფედ ვარ ბაგრატიანი (ასომთ.:) სოლომონ; 2) ქ́ეს სძალო შენთვის ვკმობ ტახტთა ამით ვპყრობ (ასომთ.:) დფლი მ́რმ.

იქვე ხვეულად: მეფის ძე ალექსანდრე.

განზე: [ქ. ჩვენ] სდ აფხაზ იმერთა ყოვლობისა მეფემან სოლომონ შევსწირეთ [ეკ ვდ]ერსა ამას შალიკიანი ხაბელიკა მისი ცოლშვილით ასე რომ. პირველ შეწირული ყოფილიყო... გაყიდათ (sic) და ქელბაქიანს გოგიტას დაეხსნა და თავისთვის დაესახლებინა. ვინათგან დრო გვეც და ეკლესიის მამულებს ძებნა დაუწყნთ, ეს კაცით (sic) ამ ეკვდრის ყოფილიყო, ვსცანთ (sic) და თვისი გამონაღები თეთრიც სრულებით მივეცით ქელბაქიანს და ნაყიდობის წიგნიც გამოართვით დეს (sic) ეს შალიკიანი მისის ცოლშვილით ამ ეკვდერს შევსწირეთ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბეჭედი სოლომონ II-ისა ასომთავრ. წარწერით: მეფე იმერეთისა სოლომონ.

მეორე გვერდზე: ქ. მე გაენათელ მიტროპოლიტი ეფთვიმი მოწამე ვარ ამ შეწირულობის....

**1776 წ.** ნუსხა საკათალიკოზო ტახტის საგანძურისა, დაცული ბიჭვინტის საბუთებში № 79, დაწერილია თეთრს ქაღალდზე. ნიშნები დაცულია.

ქ: კხლი კზი მეფისძე იოსებ რომ მიიცვალა. და მეფე სოლომონმა კათოლიკოსობა ჩვენ გვიბოძა ბერი წულუკიძისაგან მოგვებარა ეკლესიის სამკაული საკათოლიკოსო, და სახასო მამულები რომელიც ამათ ქვემო სწერია:

ქ ერთი ოქროს ჯ̃ი, ძელით თუალმარგალიტით და კუბოთი გაწყობილი, სამი ოქროს ღილი და ორი ვეცხლის თავისის ბუშტებით:

ქ დიბის სტიხარი. მეორე კიდე ძველი დიბის სტიხარი ორ რიგათ არშია ავლია თუალმარგალიტისა.

ქ ენქერი თუალმარგალიტით შეკერილი:

ქ: ერთი წყვილი მარგალიტის საბუხრები:

ქ რუსული ოქრომკედით შეკერილი ენქერი თავისი ღილით და ბუზუმეთებით, კიდევ მისივე ნაკერი სამკლავები:

ქ ორი ოდიკი ერთი ყვითელი და მეორე თეთრი.

ქ ერთი ხელი სირმით ნაკერი დაფარნები.

ქ ერთი ოლარი შავის ატლასით მარგალიტით შეკერილი.

ქ მეორე ოლარი სირმით შეკერილი.

ქ მარგალიტის ომფორი. სამი ოქროს ღილით.

ქ ერთი საბეჭური.

ქ თვლით და მარგალიტით შეკერილი სარტყელი ოქროს თავებით. და ოქროს გასაყარით.

ქ საკათოლიკოსო ბარტყულა. თუალმარგალიტით და ჯუარით გაწყობილი.

ქ ბისონი მწუანე ხავედის სირმით ნაკერი თორმეტის ოქროს ღილით. და ორი ვეცხლის ღილით გაწყობილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქ თეთრი სტობის ბისონი. ყვითელის არშიით. და ბუზუმეთით გაწყობილი.

ქ ერთი წყვილი მარგალიტის ქოში.

ქ ერთი ხელი ბარძიმ ფეშხუმი კოვზი კამარა ოქროსი თუალ-მარგალიტით გაწყობილი

ქ ხატი უნცროსი ბიჭვინთისა ღთისმშობლისა

ქ ხუთი არწივი

ქ ერთი თეთრი არდაგი. ესენი ერთს სკივრში აწყვია:

ქ: ესენი წ̃ის გიორგის ეკლესიაში დაკრძალულია:

ქ: ორი სჯულის კანონი.

ქ ერთი სამოციქულოს თარგმანი.

ქ იოსიპოსი:

ქ მეტფრასი სეკდენბრისა და ოკდონბრისა ერთად

ქ დეკენბრის მეტაფრასი:

ქ ფებერვლის და აგვისტოსის მეტაფრასი ერთად

ქ მარტის მეტაფრასი

ქ აპრილის მეტაფრასი

ქ ივნისის და ივლისის მეტფრასი ერთად

ქ დიონისი არიოპაგელის წიგნი

ქ საწინასწარმეტყველო სტამბისა.

ქართველთ მამათცხოვრება.

ქ ძველი სძლის (sic) პირი:

ქ გიორგი მთაწმიდელის ცხოვრება

ქ პატარა ძველი წიგნი კითხუა მიგებისა

ქ ჭრელი ნუსხა: ერთი ძველი კონდაკი

ქ გამოკრებული ძველი კითხუა მიგება

ქ დამასკელის კათილორია ფორფირით: (sic)

ქ ერთი წმიდათ საგალობელი საზიარო

ქ გამოკრებული დოლმატიკა

ქ პატარა გულანი:

ქ სრულიად საკათოლიკოსო მამულის დავთარი

ქ ამათ გარდა . ეკლესიაში სამრად (sic) რომელიც წიგნი ძეს ესენი არიან

ქ ერთი დიდი გულანი

ქ სტამბის სახარება სამოციქულო დავითნი

ქ მოჭედილი სახარება ტრაპეზედ სასვენი

ქ: ეგრეთვე სახასო მამულები ძველითგან შეწირულნი რომელიც ბერი წულუკიძისაგან მოგვებარა საკათოლიკოსო:

ქ რაჭას სოფელი ბარი და სასახლე.

ქ მუხს ყიფიანი, და ხიმშს ყიფიანისეული გლეხები

ქ კრიხს გლეხები და ზუარი

ქ გაბაშვილი იოსებ. თავისი მამულით კუაცხუტით.

ქ ოკრიბას სოფლები წ̃ის გიორგის ეკლესიისა,

ქ კ̃დ ოკრიბას სორმონი

ქ ჩხარს ლალიძეები და სომხები სოფელი

ქ გალმართში სოფელი ოფჩა

ქუთაის. სოფია წმიდის ეკლესია და სასახლე ერთის მოჯალაბით.

ქალაქში სვანიძეები მამუკელა.

ქ კვაცხუტელი სომეხი სამი

ქ მამუკელა მურადაშვილი

ქ ვაკისუბანს გლეხები გიორგაძენი.

ქ მესხეთს მოსახლე გლეხნი: გეგუთს ლაზარეშვილი

ქ ფარცხანაყანევს ერთი პატარა სოფელი

ქ მათხოჯი სოფელი და სასახლე. რატიანით აზნაურშვილით:

ქ ივანდითს ათი კუამლი კაცი.

ქ ჯიგთუბანის სოფელი.

ქ სანავარდოს გელაზონიები.

ქ ტყვირის საყდარი და ზედ მოსახლე გლეხნი:

ქ საჩინოს ავალიანი ლაზარე და გლეხები

ქ გუაზაურს ხამაშურაძე და ბოლქვაძე გლეხებით:.

ქ ერთი კოლოფი ძველი დავთრები. მეფეთაგან და სხუათა დიდებულთა შეწირულობისა რიცხვით ოცდათორმეტი.

ქ კ̃დ დადიანთა და სხუათა ოდიშის თავადთაგან ორმოცდაერთი

ქ თორმეტი გურიელის და გურიის თავადთა:

ქ თორმეტი კათოლიკოსების შეწირულობის წიგნები და ერთი სჯულისდების წიგნი.

ქ. ოცდარვა ძველი წირვის იარაღის და ბეგრების ნუსხის წიგნი არის. და სხუანიც არიან ძველნი დავთარნი რ̃ლთა აღმო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კითხუა შეუძლებელ არს. ესე ყოველნი მე კათოლიკოსს მაქსიმეს მომებარა

ბეჭედი წარწერით: ჩრდილო აფხაზეთის იმერთა კათალიკოსი (ასომთავ.:) მაქსიმე.

**1776 წ.** ნუსხა საკათალიკოზო განძეულობისა, დაცული ბიჭვინტის საბუთებში № 74, დაწერილია თეთრს ქაღალდზე. ნიშნები არა აქვს.

ქ. ბიჭვინთისა ღთისმშობელი თავის ვეცხლის კუბოთი.

ქ. საკათოლიკოსო დიდი ჯვარი ოქროთა და თვლით შემკობილი

ქ. გვირგვინი და ბარტყულა.

ქ. სამსქვალი და მწვანე მინითა და თვლით გაწყობილი გულსაკიდი ხატი.

ქ. ბარძიმფეშხუმი ოქროსა და თვლით გაწყობილი კოვზკამარათურთ.

ქ. დიდი ომფორი მარგალიტისა.

ქ. ნაკერი ბისონი.

ქ. სტიხარი თვლითა და მარგალიტით ნაკერი.

ქ. სარტყელი ნაკერი თვალმარგალიტით და ოქროს ბალთებით

ქ. ჯვარი მოჭედილი მარგალიტიანი.

ქ. მარგალიტის საბუხრები.

ქ. ორარი თვალმარგალიტით ნაკერი.

ქ. ენქერი თვლითა და მარგალიტით.

ქ. დიდი საბეჭური სირმისა.

ქ. მაშიები მარგალიტისა.

ქ. პერექლები და დაფარნა სირმით ნაკერი.

ქ. ომფორის ნარღვევი მარგალიტი ხატები და ქეჩები მარგალიტი არის (ეს ხუთი სიტყვა წაშლილია ხაზგადასმით) და ოქროს გამოყვანილი ხატები და ქულიჩები ოქროთვლიანი.

ქ. ათი ომფორის ღილები დაფერილი ფოჩებიანათ.

ქ. თეთრის სტოფის ბისონი.

ქ. დიბის სტიხარი ყვითელი.

ქ. ერთი სარტყელი ვეცხლის ბალთებიანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქ. ოლარი კიდევ სირმით ნაკერი.

ქ. ატლასის ოდიკი ყვითელი.

ქ. შვიდი არწივი ძველი და ახალი.

ქ. ოცდაშვიდი მსხვილი ლილი დაფერილი.

ქ. ორი ხელსახოცი.

ქ. სასაკმევლე ქვისა შავი.

ქ. ერთი არდაგი და ერთი უსუპი გატეხილი.

ქ. ერთი კონდაკი უფურცლოდ გრძლად დაწერილი და ერთი კურთხევანივე.

ქ. ერთი გულანი.

ქ. ერთი შეკერილი სრული დავთარი.

ქ. სამას ორმოცდათოთხმეტი ფუნდუხის წონა ზოდები ოქროსი ექვსი და პატარა კიდევ ნარჩენი.

ქ. ერთი კოლოფი დავთრები.

ქ. ერთი ლაინის ომფორი.

ქ. ენქერი და საბუხრები სირმით ნაკერი რუსული.

ქ. ერთი ძველის დორის პირი.

ქ. ჩვენ კათალიკოსს ქუთათელს მოგვებარა მეფის ბძანებით ეს ზემოწერილი ნუსხა ბერი წულიკიძის და ჩიჯავაძე ვახუშტის ხელით, ივნისს იგ წელთა ჩლოვ.

ქ. ამას ზეით რომ ომფორის ნარღვევი მარგალიტი და ხატები სწერია, ისინი სამი ხატი არის, ერთი მაცხოვრის, მეორე ყ̃დ წ̃იდის და მესამე ნათლისმცემელის თვალმარგალიტით გაწყობილი და მაცხოვრის ხატს ერთი თვალი აკლია მარცხენის მხრისკენ. სხუას არა აკლია რა. და ორმოცდაცხრა ქულიჩის ბალთები არის თვლით გაწყობილი, სხუ̃ა კიდე ომფორის ნარღვევი მარგალიტი დიდი და პატარა რვათ არის ქაღალდის პარკში გახვეული. ესენი ამ ომფორის ნარღვევი რაც არის და ის ოქროს ზოდები ერთს პატარა ჩითის პარკში არის და ჩემის ბეჭდით არის დაბეჭდილი.

**1770 - 1776 წ.** შეჩვენების წიგნი ტექსტი, შედგენილი ქუთათელ მიტროპოლიტის მაქსიმეს მიერ, რომელიც 1776 წლიდან კათალიკოზად იყო. დაცულია საკათალიკოზო გელათის წმ. გიორგის საბუთებში, რაც უნდა გვიჩვენებდეს ტექსტის შედგენას მაქსიმეს ქუთათლობის ხოლო ხანში. ნიშნად იხმარება იშვიათად თითო წერტილი.

ქ. წყალობითა ღისათა ჩვენ ქუთათელ მიტროპოლიტმან მაქსიმემ ჭ[ეშმარიტითა] მსჯავრითა წისა კათოლიკე და სამოციქულო ეკლესიისათა ესე წყევისა და სა[უკუ]ნოსა რისხვისა და შეჩვენებისა და საღთოსა შურის გების წიგნი აღგიწერეთ და მოგივლინეთ შენ ჩვენის წ̃ის ეკლესიის ურჩსა და წინააღმდეგსა სახელით (აქ ცარიელი ადგილია დატოვებული), ასე რომე რომელიცა ეკლესიის განჩინება არის და ყოველთა მართლმადიდებელთა ქეანეთაგან დამტკიცებული არის, შენ ამის დამხსნელ და წინააღმდეგ ხარ და წდას ეკლესიას მისს განწესებულს შესავალს ნიშანს უკარგავ და მძლავრებით ართმევ და რადგან შენ ურჩ ექმნები წისა ეკლესიისა განწესებასა, ჩვენცა შურ გაგებთ კელმწიფებითა მით, რომელი მოგვცა სიბრძნემან მამისამან კაც ქმნილმან ღთნ. წყეულ იყავნ მრჩობლსავე შინა ცხოვრებასა. და აღკოცილ წიგნისაგან ცხოვრებისა, ნურაოდეს შეგიწყნარებს მიწა ყოვლითურთ წყეულსა გვამსა შენსა განსახრწნელად, არამედ იყავნ შემწყნარებელად შენდა ურჩითა და ბოროტთა ეშმაკთაებრ ცეცხლი საუკუნო და ჯოჯოხეთი უნათლო და ულხინოი. კვალად გეწიოს შენ ამასავე შინა ცხოვრებასა ძრწოლა, კვნესა და ყოველი სენი კაინ უკეთურისა, რათა იხილონ მართალთა და შეეშინოს და თქვან, აჰა კაცი, რომელმან არა ყო ღ̃თი მწე მისა მისა (sic). აწ დაგვიყენებიხარ ქ̃ენეთა ერთა ძმობისა და მახლობელობისაგან, ეკლესიად მისვლისაგან, აღსარებისა, ზიარებისა და ყოვლისა ქ̃ეანობისა განწესებულობისაგან და იყავნ კრულ და შეჩვენებული სახელითა მხოლოდ შობილისა ძისა ღისათა, რომლისა არს დიდება ძლიერება და სიმდიდრე აწ და უკუნისამდე ამინ.

**1777 წ.** პირობის წიგნი გიორგი გურიელისა მაქსიმე კათალიკოზისადმი, ბიჭვინტის საბუთთაკან № 72, დაწერილია თეთრს ქაღალდზე ზომით 28×11 სანტიმ. ნიშნები არა აქვს.

ქ. თქვენ მწყემსსა და უფალსა ჩემსა კათოლიკოსს მაქსიმეს ესე წიგნი მოგართვი მე გურიელმან გიორგი ამის მიზეზისათვის, რომ ჩვენს ქვეყანაშიდ მობძანდით და პირველად ეპისკოპოსების საქმეს დაგველაპარაკეთ და ვითა თქვენ გენებათ, ეპისკოპოსები ეგრეთ დავადგინეთ და ეკლესიებს თვისი მამული ყოველივე უცილოდ დავა-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნებეთ და შემდგომად ამისსა თქვენ მიერ შეჩვენებულის ტყვის მყიდველი კაცის შეუწყნარებლობის პირობა გვთხოვეთ და ჩვენ ეს პირობა მოგვირთმევია თქვენის უწმიდესობისათვის, რომელიცა რომ ტყვის მსყიდველი კაცი თქვენგან სახელდობ შეიჩვენოს, ის კაცი ჩვენთან არ მოუშვათ არც ჩვენს სიახლოვეს გავარონინოთ, არც ვსვათ, არც ვჭამოთ მასთან, არამედ ვითარცა ძაღლი განცოფებული ეგრეთ შევრაცხოთ კაცი იგი და რომელიც შევიძლო, მისს მტერობისა და ავათ მოპყრობასაც ვეცადო და უკეთუ აღთქმა ესე და ვერ სრულ ვყო, თქვენგან და თქვენის კრებისაგან შეუნდობელი ვიყო. არის ამა აღთქმისა მოწამე გენათელი მიტროპოლიტი ეფთვიმე, შემოქმედელი მიტროპოლიტი იოსებ, ხინოწმიდელი ეპისკოპოსი იოანე, არხიმანდრიტი სიმეონ. დაიწერა წელთა ქეს აქეთ ჩღოზ თვესა იანვარსა ი.

ბეჭედი.

**1777 წ.** პირობის წიგნი მერაბ ლორთქიფანიძისა მაქსიმე კათალიკოზისადმი, დაცული ბიქვინტის საბუთებში № 97, დაწერილია თეთრს ქაღალდზე.

ქ. ჩვენს უფალს ბატონს, კათოლიკოზს მაქსიმეს ესე წიგნი მოგართვი მე ლორთქიფანიძემ მერაბ, ასე რომ ტყვის გაყიდვისათვის გამიწყერით და კიდეც შემაჩვენე. მერე ის ტყვე თქვენი კაცისშვილი იყო თეკლანელი, ამოვიყვანე და თქვენ მოგართვი და მერმე თქვენ კიდევ ტყვის გაუყიდველობის პირობა გვთხოვეთ და მე ასე პირობა მომირთმევია. ჩემს სიცოცხლეში ქრისტიანი კაცის შვილი არც მივყიდო თათარს, არც სხვას უსჯულო კაცსა და არც მეგრელს და ეგების დიდის გაჭირვებისათვის ჩემს მეზობელს ან ჩემი ქვეყნის კაცს გლეხობით მივყიდო და ან ცოლქმარი, სხუა ამას გარდა ჩემგან საუსჯულეთ ტყვე არ გაიყიდოს და თუ ამაშიდ ვიმტყუნო, თქვენი შეჩვენება თავსავე ზედა ჩვენსა იყოს უკუნისამდე. ესეც მოგვიხსენებია, თუ ვისმე ჩემის ქვეყნის კაცს მივყიდო, იმასაც პირობა დავადებიო ძალიანი, რომ უსჯულოს ხელში არ ჩავარდეს. არის ამისი მოწამე ჩვენი სახლთხუცესი იოსებ და ხამაშურიძე იოანე. დაიწერა ქს აქეთ ჩღოზ იანვარს კვ.

ჯვარი.

**1777 წ.** შეწირულობის წიგნი მარიამ იმერთა დედოფლისა, დაცული გელათის საბუთებში № 3, დაწერილია თეთრს ქაღალდზე. ნიშნად ყოველ სიტყვის შემდეგ თითო წერტილია.

....ჩვენ ცვაფარვათა შენთა მონდობილმან.... დიდად სახელოვანისა დავითიანთა ნერგთაგან შთამობილისა მეფისა უფლისა სოლომონისა მეცხედრემან და დიდად სახელოვანისა დადიანის ასულმან და სრულიად ლიხთამერთა დედუფლმან ბატონმან მარიამ ესე ძღვენი მიგიძღვანე და შემოგწირე ორი მოსახლე კაცი ქუტირს იამანიძე სვიმონიკა და მეორე მოსახლე იამანიძე დავითელა მათის ცოლშვილითა, სახლკარითა, ტყითა, ველითა და სავენახითა და მათის ქონებულის განსაზღრულის ადგილით ყოვლითავე, ასე რომე ძველთაგან შენის ეკლესის ყოფილიყო, მაგრამ ჟამთა ვითარებისაგან და აგარიანთა მძლავრებისაგან დაკარგულიყო და თათარს ყვანდა და ოდესც წყალობა აურაცხელმან ღ̃თნ და ძემან შენმან მოხედა წილხდომილსა ქვეყანასა შენსა იმერეთს და აღჭურა მათ ზედა რისხვად მეფე ბატონი სოლომონ და ძალითა ძლიერებისა შენისათა განიდევნა მაჰმადიანთა ერი ქვეყანისაგან შენისა და სიმაგრენიცა ციხეთა მათთანი დაირღვეს ვითა ზღუდენი იერიქოსნი, მაშინ ვიღვაწე მეცა სახელისათვის შენისა და მიუღე იგი თათართა და შენი შენთავე შევწირე.... (ღთისმშობელო შემწე მექმენ, აგრეთვე დიდად სახელოვანს მეფეს სოლომონს და ამათი ძეს ალექსანდრეს... შემდეგ წყევა ვინც შეშალოს ანუ მეფემან, ანუ დედოფალმან, ანუ უფლისწულმან, მთავარმან, ან თავადმან. დიდებულმან ანუ ხელისუფალმან ან ეკლესისა შენისა მნემან ეპისკოპოსმან...).... და ამათ ორთა მოსახლეთა კაცთა ზედა ესეცა განჩინება უყავთ, რომა შაბათსა სულთაობისასა (sic) თვითოს ცხვარს ჩვენთვის დაკვლიდენ და მღვდელს გვიწირვინებდენ.... დაიწერა ქს აქეთ ჩღოზ თვესა იანვარსა კთ დღესა ორშაბათსა. სულთაობის ცხვარი, რომელიც შეწირულის კაცისათვის დაგვიდს, კანდელაკს მოუვიდოდეს და ეს გვიწირევდეს.

ბეჭედი ასომთ. წარწერით: მარიამ.

ხელის მოწერა: ბატონიშვილი ალექსანდრე ვამტკიცებ ნებითა ღვთისათა.

ბეჭედი წარწერით: მეფის ძე ალექსანდრე.

ბატონი მეფე სოლომონ ვამტკიცებ წიგნსა ამას ნებითა ღვთისათა ბეჭედი წარწერით: კეთილ ძირთაგან რტონი მეფედ ვარ ბაგრატონი (ასომთ.:) სოლომონ.

**1777 წ.** პირობის წიგნი, მიცემული მამუკა თავდგირიძის მიერ, დაცული ბიჭვინტის საბუთებში № 73, დაწერილია თეთრს ქაღალდზე ზომით 33×13½ სანტიმ.

ქ. ნებითა ღთისათა ესე მტკიცე და უცვლადო წიგნი მოგართვი მე თავდგირიძემ მამუკამ თქვენ ბატონს კზს მაქსიმეს, გენათელ მიტროპოლიტს ეფთვიმის შემოქმედელს იოსებს, ჯუმათელს სიმონს, ხინოწმინდელს იოანეს, ამისთვის რომ გურიის ქვეყანას ეპისკოპოსი არვინ იჯდა და ამის პირისათვის ბატონს გურიელის გიორგისთან მობძანდით თქვენის კრებულით და ეკკლესიების საქმეზედ დაელაპარაკეთ. ხ̃ მან მყის თანად მორჩილ ექმნა ბძანებასა თქვენსა და ეპ̃სები შემოქმედელი და ჯუმათელი ორივ დაადგინა და ეკლესიებს თვისი მამულიც უცილებლად დაანება და შემდგომად ამისსა ჩვენც გვიბძანეთ და დაგველაპარაკეთ ხინოწმიდლის მამულზედ, მარა იმ ჟამად ჩვენი მამულიც და სახინოწმიდლოც თათრისაგან დამძლავრებულიყო და ჩვენცა ფ̃დ შეიწრებულ ვიყავით და მრავალი კიდეც გაათათრეს ჩვენი მამული და ამისთვის არ შეიძლებოდა, რომ ხინოწმინდელს თავისი ეკკლესია და მამული დაეპყრა და არცა მე ძალმედვა და ესე წიგნი მოვართვი თქვენს უწმიდესობას ესრეთ და ესე ვიღარად, რომ აწ თუ ღთმან წყალობა ჰყოს და უსჯულოს თათრის მონებისაგან ჩვენი ქვეყანა გამოიხსნას და შევიძლოთ დაპყრობა ქვეყანისა ჩვენისა, მსწრაფლ მოვიხსენოთ ბრძანებული თქვენ უფლისა ჩემისა და რომელიც ხინოწმიდლის მამული ან სამწყსო იყოს, სრულებით ყოველივე უცილოდ დავანებო და არარაი მოვაკლო, რომელიც ძველად ჰქონებოდეს ხინოწმინდელს და მისს ეკკლესის (sic) და უკეთუ ვეცრუო ამ აღთქმას და ვერ სრულ ვყო, თქვენ და თქვენმან კრებულმან საუკუნოდ შემაჩვენეთ. არის ამისი მოწამე თვით დაუსაბამო ღ̃თი და ყოველნი მისნი წმიდანი. კაცთაგან ამისი მოწამე სრულებით გურიის დიდებულნი და მცირენი. დაიწერა წელთა ქ̃ეს აქეთ ჩღოზ თთვესა დეკენბერს ლ.

აქ ჯვარია დასმული.

**1778 წ.** მაქსიმე კათალიკოზის განჩინების წიგნი გელათის წმ. გიორგის გლეხების შესახებ, დაცულია ბიჭვინტის საბუთებში № 87, დაწერილია ძლიერ ლამაზი ხელით თეთრს ქაღალდზე ზომით 41×19 სანტიმ. იბეჭდება სანიმუშოდ უცვლელად.

იდიდებოდედ ღთ. იგი მამაჲ რლისაგან ყ˝ლი: იქველის მეტყველებოდედ პ˝ლი სიტყვა ქ˝ე უფალი რლისა შ˝ს ყლი: იმრავალქების მკვებოდედ სული ღმერთთმთავარი რლისა მიერ ყ˝ლი თანადგომითა და შეწევნითა მარიამ ღთისმშობლისა სარაფიმთა უწმიდესისათა: და ხვაიშნითა ყ˝თა წმიდათათა. ხ˝ თანა მინდობითა და კელისაპყრობითა მოწამეთა თხემ ყოვლადისა დიდისა სასოსა ჩემისა გეორგი მთავარ მოწამისათა: ჩვენ პონტო ჩრდილოით აფხაზ იმერთა და ყოვლისა ქვემოისა ივერიისა კათოლიკოს მამათმთავარმან აბაშიძემან: მაქსიმე. მრავლითა გონების მოწლეობითა ვიგულსვმოდგინეე: რათამცა გელათს საკათოლიკოსო წმიდის გიორგის ეკლესია თავისის წინამძღვრითა გამოყოფით თავისუფალ მექმნა: ამისდა მიმართ არა მცირედი ძიება ვყავ ძველთა მატიანეთა და გუჯრებთა შინა: მაგრა არა რომელიმე ძველი გუჯარი აცხადებდა განსაკუთრებით აგარაკსა და მამულსა მისსა: ხ˝ ოდეს საქმისა ამის განკარგვა მენება, მას ჟამსა იყო წინამძღვრად საყდარსა ამას ზედა მოძღვარი ჩემი არხიმანდრიტი ქ˝ეფორე და იგიცა ფ˝დ მოქენე იყო საქმისა ამის დამტკიცებასა და რ˝იცა მამული მას ეპყრა ყოველივე დავანებეთ და მიუძღვანეთ ეკლესიასა: (აქედან ნიშნები—ერთი წერტილი ზოგიერთ სიტყვის შემდეგ, იშვიათად ორი წერტილი—არ არის დაცული) ოხომირას სოფელში ხუციას ვირისალაძეს მართებს შვიდი თორმეტიანი ღვინო, ერთი კოდი ღომი, ორი აბაზი თეთრი, შობის ძღვენი, ერთი ჩარექი ყველი, ერთი დედალი, ოცი კვერცხი, ერთი ფოხალი ღომი, ერთი დოქი ღვინო. მის ძმას მახარებელს ვირისალაძეს მართებს ექვსი თორმეტიანი ღვინო, ერთი კოდი ღომი, ერთი ჩარექი ყველი, ერთი დედალი, ოცი კვერცხი, ერთი ფოხალი ღომი, ერთი დოქი ღვინო. მახარობელს და მის ძმას ხახუტას ვირისალაძეს მართებს ოთხი თორმეტიანი ღვინო, ერთი კოდი ღომი, ხუთი შაური თეთრი, შობის ძღვენი, ერთი დედალი, ერთი ჩარექი ყველი, ერთი ფოხალი ღომი, ოცი კვერცხი, ერთი დოქი ღვინო. ივანიკა ვირისალაძეს მართებს სამი მენახევრე ღვინო, ერთი ფოხალი ღომი, ხუთი ფარა თეთრი, შობის ძღვენი, ერთი დედალი. ოცი კვერცხი, ჩარექი ყველი, ფოხალი ღომი, ერთი დოქი ღვინო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მახარობელს ვირისალაძეს მართებს ორი თორმეტიანი ღვინო, ორი ფოხალი ღომი, ათი ფარა თეთრი, შობის ძღვენი, ერთი დედალი, ერთი ჩარექი ყველი, ოცი კვერცხი, ერთი ფოხალი ღომი, ერთი დოქი ღვინო. ბასილიკა ვირისალაძეს მართებს ოთხი თორმეტიანი ღვინო, ორი ფოხალი ღომი, ხუთი ფარა თეთრი, შობის ძღვენი, ერთი დედალი, ერთი ჩარექი ყველი, ოცი კვერცხი, ერთი ფოხალი ღომი, ერთი დოქი ღვინო. მამუკელა ცირეკიძეს მართებს ექვსი თორმეტიანი ღვინო, ექვსი ფოხალი ღომი, აბაზი თეთრი და შობის ძღვენი, ერთი დედალი, ერთი ჩარექი ყველი, ოცი კვერცხი, ერთი ფოხალი ღომი, ერთი დოქი ღვინო და მის ძმას ბერუკელას ცირეკიძეს მართებს ექვსი თორმეტიანი ღვინო, ექვსი ფოხალი ღომი, ორი შაური თეთრი, შობის ძღვენი, ერთი დედალი, ერთი ჩარექი ყველი, ოცი კვერცხი, ერთი ფოხალი ღომი, ერთი დოქი ღვინო. ბერი შავიანებისშვილებს სვიმონ ხუცეს და მის ძმას დავითელას მართებს ერთი შამახური სანთელი კიდევ ბერი შავიანიძის შვილისშვილებს ივანიკასა და ოქროპირას მართებს ერთი შამახური სანთელი. ნაბოსლევს სოფელში კოზოლაძისეულს პარტახს მართებს რვა თორმეტიანი ღვინო, მარჩილი თეთრი. სორმონს სოფელში გიორგი ხანთაძეს მართებს ერთი შამახური სანთელი, ათი თორმეტიანი ღვინო, ექვსი ფოხალი ღომი. დავითელა ფუცხუანიძეს ბუჭუელაშვილს მართებს ერთი შამახური სანთელი. გიორგი იამანიძეს მართებს ორი ჩარექი სანთელი. რიონს სოფელში კვანტრეშვილს ხომიკას მართებს ექვსი თორმეტიანი ღვინო, ერთი კოდი ღომი, ხუთი რუბი თეთრი. ესეც ზემო წერილისა არს. ბიჭიელას ფუცხუანიძეს მართებს ოთხი თორმეტიანი ღვინო, ექვსი ფოხალი ღომი, სამი რუბი თეთრი. ბუჭუელას ფუცხუანიძეს და მის სახლისკაცს მართებს ხუთი თორმეტიანი ღვინო, ერთი კოდი ღომი, ერთი მარჩილი თეთრი. მონაზვნის შვილებს ფუცხუანიძეს მართებს ხუთი მენახევრე ღვინო და ორი ფოხალი ღომი, ორი რუბი თეთრი. ესე ზემოწერილნი მამულნი პირველითგანვე აქვნდეს წინამძღვარსა: ხ̃ შემდგომნი ესე ჩვენ შევსძინეთ და მივართვით, რ̃ლ არიან ესენი: ხრესილის სოფელში ზაქარაშვილებს ობოლაძეს მართებს შამახური სანთელი, ოტიაშვილებს მართებს შამახური სანთელი, ივანა ობოლაძის შვილებს მართებს შამახური სანთელი, თამაზა ობოლაძის შვილებს მართებს შამახური სანთელი. (აქედან იბეჭდება ისევ ნიშნების დაცვით:)

ხახუტა ობოლაძის შვილებს მართებს შამახური სანთელი:

გიორგი ობოლაძის შვილებს მართებს შამახური სანთელი:

სეხნიკა ობოლაძეს მართებს შამახური სანთელი:

წყალწითელას სოფელში კუბულაშვილს მამუკელას მართებს შამახური სანთელი:

თამაზიკა კუბულაშვილს მართებს შამახური სანთელი:

მათე კუბულაშვილს მართებს შამახური სანთელი:

გოგიტა კუბულაშვილს მართებს შამახური სანთელი:

ახალდაბას სოფელში სვიმონიკა ობოლაძეს მართებს შამახური სანთელი:

გოგიტელას კუბულაშვილს მართებს შამახური სანთელი:

ძევრს სოფელში ჩიტიელსა და მათვალიკას აბჟანდაძეს მართებს თორმეტი კოდი წმიდა გარჩეული პური მართებს სასეფისკვრეთ და სხვა არაფერი:.

სანავარდოს სოფელში იესელა მჭედლიძეს მართებს ხუთი ზუთხი ბეგარა და ერთი სათხოვარი:

ბერო სომეხს დოშუაშვილს და მის ძმას მართებს ოროლი ჩარექი ბამბა სანთლის გულათ რომ ყოველს წელიწადს წ'ის გიორგის ეკკლესიას მიართმიდეს, და ამის მეტი სხვა ბეგარა არა ეთხოებოდეს რა: ესე ყოველნივე ერთბამად ამა ეკკლესიისათვის დამინებებია და მიმირთმევია. და წინამძღვარიც ზედ დამიდგინებია: და კდ ამასაცა განვაჩინებ რათა კათალიკოსის მოხელე მოურავი და ხელოსანი ამ საწინამძღვრ (sic) მამულში ვეროდეს შევიდეს: და წინამძღვარს ვ'რ ენებოს თავის მამულის საქმეს ეგრეთ განაგებდეს: და აწ შემდგომნო ჩემნო უფალნო კათოლიკოზ მამად მთავრნო მე ესრეთ განმიგიეს, და თქვენ ვითარ გენებოსთ და ჯეროვანი იყოს ეგრეთ განაგეთ: რაც რომ ამ წიგნში მესანთლე კაცი მიგვირთმევია ამათ გარდა: კიდევ რაც სორმონსა და ოკრიბაში კათოლიკოსის ყმა არის და ბევრად სანთელი აძევს. ამათი ბევრის სანთელიც უწინაც წ'ის გიორგის საყდრის შეწირული იყო და ახლა ჩვენც წ'ის გიორგის საყდრისათვის მიგვირთმევია და სანთელს გარდა სხუა მათი ბეგარა ისევ კათოლიკოსისა არის: როგორათაც გრიგოლი კათოლიკოსის დავთარში სწერია:.

აღიწერა თვესა ოკდომბერსა კ: ქრისტეს აქათ ჩღოზ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბეჭედი წარწერით: ჩრდილო აფხაზ იმერეთის კათალიკოსი (ასომთავრ.:) მაქსიმე.

განზე ბოლოს: ეს ბერი სომეხი დოშუაშვილი და მისი ძმა ქართლით აღელნი არიან: სანამ ამ ქვეყანაში იყვნენ. ეს ბეგარი ყლთვის მიართვან წიდას გ̃ის: და თუ რომე წასლვა მოინდომონ თავის ქ̃ყნაში ნურა კაცი ნუ დაუშლის. მშვიდობით გაისტუმრონ:

პირველ გვერდზე განზე სხვა ხელით: ქ. ჩვენ ყ̃დ სამღუდელო ქუთათელ მიტროპოლიტი დოსითეოს და განმგებელი საკათოლიკოსოსა. ამა მათი უწმიდესობის ბრძანებას ვამტკიცებთ ესრეთ რომ ამ საწინამძღროში ჩვენმა მოხელემ და მოურავმა. უწინამძღროთ აღარ იმოურავოს ამ კაცებზე:

ბეჭედი ასომთავრ. წარწერით: დოსითეოს.

**1778 წ.** სოლომონ I-ის წიგნი, მიცემული ხონის ტაძრისადმი № 14, დაწერილია თეთრს ქაღალდზე ზომით $42 \times 30^1/_2$ სანტიმ.

....ჩვენ.... ღირთამერთა მეფედ დადგინებულმან იესიან დავითიანმან მეფემან მეფეთამან პატრონმან სოლომონ და თანამეცხედრემან ჩემმან დედუფალთ დედუფალმან დადიანის ასულმან ბატონმან მარიამ და სასურველმან პირმშომან ძემან ჩვენმან ალექსანდრემ.... ჟამთა ვითარებისა და დროცვლილობით თქვენის ეკლესის მამულისათვის მეფეთა თუ სხვათა მოურავი და მებაჟე დაეყენებიათ ახლა... ჩვენი მოურავი და მებაჟე გადმოგაცალეთ. ვინც ვინ მეფემან, დედუფალმან გინა უფლისწულმან ანუ სხვამან ვინმე მეპატრონემან თქვენს ეკლესიას მოურავი და მებაჟე დაუსვას თვინიერ მთავარეპისკოპოსისა, იყავნ რისხვა მასზედა და შეჩვენება ...ოთხისა პატრიარხისაგან და ყდ სანატრელისა უფლისა კზისა მაქსიმესაგან ....აღიწერ ინდიკტიონსა მეფობისა ჩემისასა წელთა უფლისათ ჩღოჵ.

ბეჭდები ასომთ. წარწერით: 1) მეფე იმერეთისა სოლომონ, 2) მარიამ. ბატონიშვილი ალექსანდრე ვამტკიცებ ნებითა ღვთისათა.

ბეჭედი: მეფის ძე ალექსანდრე.

განზე: ქ. მეფე იმერეთისა და ძე არჩილისა მეორე სოლომონ დავითიანი ნებითა ღვთისათა ვამტკიცებ...

ბეჭედი ასომთ. წარწერით: მეფე იმერეთისა სოლომონ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აფხაზთ იმერთა მამად მთავარი კზი მაქსიმე ვამტკიცებ ბრძანებითა ღვთისათა.

ბეჭედი: ჩრდილო აფხაზ იმერთა კათალიკოსი მაქსიმე.

ჩვენ ყდ სამღუდელო ქუთათელ მიტროპოლიტი დოსითეოს ვამტკიცებ წერილსა ამას. ბეჭედი: ყდ სამღვდელო მიტროპოლიტი დოსითეოს.

ქ. ჩვენ სდ საიმერეთოს დედოფალი მარიან (sic) მარიამ ნებითა მღვთისათა ვამტკიცებ სიგელსა ამას. ბეჭედი: დედოფალი მარიამ.

მეორე გვერდზე: ჩვენ ცაგერელ მიტროპოლიტი იოანე დადიანის ძე და კავალერი ნირანთა (sic) პირველისა კლასისა ვმოწმობ და ვამტკიცებ წერილსა ამას.

**1778 წ.** სოლომონ I-ის წიგნი ნიკორწმინდის ყმათათვის საურის ამოგდების შესახებ, ნიკორწმინდის საბუთთაგან № 26, თეთრს ქაღალდზე. ნიშნად ყოველ სიტყვის შემდეგ თითო წერტილია.

ქ. ნებითა და შეწევნითა ღვთისათა, მამისა, ძისა და სულის წმიდისათა ესე წყალობის წიგნი დაგიწერეთ და გიბოძეთ ჩვენ ღვთივ ცხებით გვირგვინოსანმან პატრონმან მეფემან მეფეთამან დავითიანმან სოლომონ და თანამეცხედრემან ჩემმან დედოფალმან ბატონმან წულუკიძის ასულმან გულქან და სასურველმან პირმშომან ძემან ჩემმან ბატონიშვილმან ალექსანდრემ თქვენ წმიდის ნიკოლოზის ეკლესიის ყმას ერთობით ძმუელებს და წყნორელებს, ასე რომე დაგვეაჯენით და შემოგვეხვეწეთ, ამოგიწერეთ საური, არასოდეს ჩვენგან და შემდგომთა ჩვენთა მეფეთაგან თქვენ საური არ გეთხოვებოდესთ. ამისა ნაცვლად თქვენი (sic) ჩემი წირვა დაიდევით, მანამ ცოცხალი ვიყვნეთ, ჩვენის მეფობის წარსამართებელად და ძეთა და ასულთა ჩვენთა სადღეგრძელოდ ყოველს წელს ილოცვიდენ და მერმე სულისათვის მითვალე, მღვდელთ მთავარო წმიდაო ნიკოლოზ. ვინცა და რამანც ძემან კაცისამან, მეფემან გინა უფლისწულმან, ანუ რომელმანმე მეპატრონემან წიგნისა ამის შლად ხელ ყოს, ისიმც შეიშლება რჯულის ქრიტიანობისაგან, მასამც რისხავს სამებით დიდებული ღმერთი და დიდებული შენი ეკლესია და მეორეთ მოსვლას ჩვენის ცოდვისამც მაგიერ ის გაიკითხვის. არის ამისი მოწამე

ეროვნული ბიბლიოთეკა

და გამრიგე ჩვენი თავადი სარდალმოურავი წულუკიძე ბერი და მისი ძმა გიორგი, ლორთქიფანიძე ტეტუა. მე ჩემის ხელმწიფის კარის მწირველს მღვდელს წერეთელს დავითს დამიწერია და მოწამეც ვარ ამისი. აღიწერა წელთა უფლისათა ჩღოჱ.

ბეჭედი ასომთ. წარწერით: მეფე იმერეთისა სოლომონ.

განზე: ჩვენ სრულიად იმერეთის მეფე დავით ვამტკიცებთ სიგელსა ამას. მოწამე ამისი ელისბარ ერისთვისშვილი, სალთხუცესი აბშიძე ზალ, მდივანბეგი დავით.

ბეჭედი: მეფე იმერეთისა დავით.

ქ. ჩვენ მეფე იმერეთის მეორე ახალი სოლომონ ნებითა ღისათა ვამტკიცებ წიგნსა ამას.

ბეჭედი ასომთ. წარწ.: მეფე იმერეთისა სოლომონ.

**1778 წ.** ნუსხა საკათალიკოზო წიგნებისა გელათის წმ. გიორგის ეკლესიაში, შედგენილი მაქსიმე კათალიკოზის დროს 1778 წ., დაცულია ბიქვინტის საბუთებში № 84, თეთრს ქაღალდზე ზომით $32^1/_2 \times 11$ სანტიმ. იბეჭდება უცვლელად.

ქ საკათოლიკოსო წიგნები გელათს წ̃იდის გიორგის ეკლესიასა ესენი არიან.

ბ ქ სჯულის კანონი.
ა ქ სამოციქულოს თარგმანი.
ა ქ იოსიპოსი.
ა ქ მეტაფრასი სეკდემბერისა და ოკდომბერისა ერთად შეკრული.
ა ქ დეკემბერის მეტაფრასი.
ა ქ ფებერვლის და აგვისტოს მეტაფრასი ერთად.
ა ქ მარტის მეტაფრასი.
ა ქ აპრილის მეტაფრასი.
ა ქ ივნისის და ივლისის მეტაფრასი ერთად.
ა ქ დიონისი არიოპაგელის წიგნი.
ა ქ საწინასწარმეტყველო სტამბისა.
ა ქ ქართველთ მამათცხოვრება.
ბ ქ ძველი სძლის პირი.
ა ქ გიორგი მთაწმიდელის ცხოვრება.

ა ქ პატარა ძველი წიგნი კითხუა მიგებისა.

ა ქ ჭრელის ნუსხა ერთი ძველი კონდაკი.

ა ქ გამოკრებული ძველი კითხვა მიგება.

ა ქ დამასკელის კათიღორია პორფირითურთ.

ა ქ წმიდათ საგალობელი საზიხო.

ა ქ გამოკრებული დოღმატიკა.

ა ქ პატარა გულანი.

ა ქ სრულიად საკათალიკოსო მამულის დავთარი.

ქ მათს გარდა ეკლესიაშიდ სახმარად რომელიც წიგნი ძევს, ესენი არიან.

ა ქ დიდი გულანი.

ქ სტამბის სახარება, სამოციქულო, დავითნი.

ა ქ მოჭედილი სახარება ტრაპეზზედ სასვენი.

ქ. ერთი კოლოფით ძველი დავთრები არის რიცხვით ოცდათორმეტი მეფეების და სხუათა იმერეთის თავადთა და აზნაურთაგან შეწირულობის.

ქ ორმოცდაერთი დადიანის და სხუათა ოდიშის თავადთა და აზნაურთაგან.

ქ თოთხმეტი გურიელის და გურიის თავადთა და აზნაურთაგან.

ქ თორმეტი კათალიკოსების შეწირულობის დავთარი და ერთი სჯულის დების წიგნი.

ქ ოცდარვა ძველი წირვის იარაღისა და ბეგრების ნუსხის წიგნი არის და სხუანიც არიან ძველნი დავთარნი რომელთა აღმოკითხვა და ცნობა შეუძლებელ არს.

ქ მე კათალიკოსმან მაქსიმემ ესე წიგნები ერთად შევკრიბე და გელათს წ̃იდის გიორგის ეკლესიის სალაროშიდ დავაწყევ წელს ქესითგან ჩღოჱ.

**1780 წ.** შეწირულობის წიგნი გიორგი გურიელისა, ბიჭვინტის საბუთთაგან № 63, დაწერილია თეთრს ქაღალდზე.

ქ: ეჰა შენ შვიდთა კამარათა ცისათა უმაღლესსა, სერაბინთა უზეშთაესსა და ქერაბინთა უპატიოსნესსა ღმთისა და კაცთა შემაერთებელსა, იოაკიმის ასულსა და სძალსა ღმთისასა. [illegible]

ლად ბიწშეუხებელსა ბიჭვინტისა ღმთისმშობელსა ჩვენ ცვაფარვათა თქვენთა მონდობილმან ბტონმან გურიელმან გიორგი და თანამეცხედრემან ჩვენმან დედოფალმან მარიამ და პირმშომან ძემან ჩვენმან სვიმონ, ვახტანგ, ქაიხოსრო და ლევან ვიგულეთ და ვიგულსმოდგინეთ, ასე და ამა პირსა ზედა რომე ძველთაგან ჩვენი სახლის კაცს აკეთის საყდრის საწინამძღვრო ბიჭვინტისა ღმთის მშობელისათვინ შეეწირა. მერმეთ ბატონი კათალიკოზი მაქსიმე მობრძანდა ჩვენთან და აკეთის შეწირულობის სიგელი გვიჩვენა. ჭეშმარიტი და სარწმუნო იყო და ჩვენც კეთილად შევიწყნარეთ ბრძანება მათი და ჩვენც სიგელი დაგვიმტკიცებია. როგორათაცა პირველ ყოფილა, ისე თუ ვინმე არის ახლა იმისი შეწირული ყმები სამართლით თუ დარჩეს თქვენი და გამოჩნდეს იმიანათ და ახლათ მოგვირთმევია იმ საყდრის დეკანოზი პეტრე, გიორგი, მამუკა მჭელისშვილი მათი ცოლშვილით და ძმებით და მათი უძებრ საძებრით, საწინამძღრო სასახლით და მისი შესავალ გამოსავალით, მამულით, ტყე და წყლით და საყანით შევგვიწირავს ხელახლა. აწ რამაც ძემან კაცისამან ეს ჩვენი დამტკიცებული სიგლი და შეწირულობა შეგიშალოს, ისიმც შეიშლება ჭკუისა და მცნებისაგან და შჯულისა ქრისტიანობისაგნ და ჩემი ცოდვის მაგიერათ განიკითხოს ღმერთმან დღესა მას დიდსა განკითხვისასა. დამამტკიცებლნი ამისნი აკურთხნეს. აღიწერა ხელითა მღვდელმონაზონისა იოსებისათა ქრონიკონსა ქრისტეს აქეთ ათას შვიდას ოთხმეოცსა.

ბეჭედი წარწერით: მიხმობენ გურხანობით გურიელი ვარ ქებული.

**1780 წ.** შეწირულობის წიგნი მაქსიმე ქუთათელისა და კათალიკოზისა, ქუთაისის ტაძრის საბუთთაგან, № 13, თეთრს ქაღალდზე ზომით $42^1/_2 \times 15^1/_2$ სანტიმ.

ქ. წყალობითა ღთისათა ჩვენ აფხაზ იმერთა კათოლიკოს ქუთათელმან მაქსიმე ესე საუკუნოდ შეწირულობისა და ბევრის და სამსახურის წიგნი აღვსწერე და დავსდევით ქუთათისს წმიდასა ეკლესიასა ღთისმშობელისასა. ამის ესე ვითარისა მიზეზისათვის, რომ თქვენ სამნი ძმანი (ჯხოვრებაძის შვილები მამუკა (აქ ცალიერი ადგილია

დატოვებული) სიმონ მღუდელმა დაგიხსნათ და თავის სიცოცხლეში მას ჰყავდით და მსახურებდით და მერმე ის უშვილოდ გარდაიცვალა და რაც თავის სიცოცხლეში მოგებული საქონლით ნაყიდი ადგილ-მამული ქონდა თავის მამისსეულს გარდა და თქვენ სმნივე ძმანი ქუთათის წმიდის ღთისმშობლის ეკლესიას შეგწირათ და მისგან ნაყიდს თათელაშვილის სეულს ადგილსა და კარგარეთლის სეულს მამულზედ დაგაყენეთ. და ბეგარად ეს დაგადევით: თითო მარჩილის სამთელი, ერთი კოდი ღომი, ერთი ქათამი, ათი თორმეტიანი ღვინო ყოველს წელიწადს... უკლისად მიერთმეოდეს და ამას გარდა როგორც სხვა გლეხიკაცი გვემსახურებოდეს, თქვენც ისე გვემსახურებოდეთ.... დაიწერა... ჩღპ:.

ბეჭედი წარწერით: ჩრდილო აფხაზ იმერთა კათოლიკოსი (ასომთ.:) მაქსიმე.

**1780 წ.** შეწირულობის წიგნი გიორგი ჩარკვიანისა გელათის საბუთთაგან № 10, თეთრს ქაღალდზე დაწერილი.

...კნინი რაჲმე და მცირედ ძღვნად მოსაღებელი გკადრეთ და შემოგწირეთ. ჩვენ ოხათა შენთა მონეობით მსასოებელმან მონამან შენმან გიორგი ჩარკვიანმა და ძემან ჩემმან და ყოველს წელს ბეგრად დაგვიცს და მოგერთმეოდეს ესე ჩვენ მიერ სასოებით მიძღვანებული მცირედი სანთლის ბეგარა, ესრე და ესე ვითარად, რომ ჩორთისას ჩვენს კაცს იოანე მანაგიძის შვილებს მახარიკას, ბუჭუელას და ხუციელას ერთი ღორი ემართა სამი რუბის საღირალი და ის ამოუკვეთეთ და მისდა სანაცვლოდ სამი რუბის სანთელი დავადევით და შენთვის შემოგვიწირავს და ყოველს აღდგომას მოგერთმეოდეს როგორც იმ დროს ფასოფდეს (sic) და ის გლეხი რამდენათაც გაიყოფოდენ, ეს ბეგარა ყველას გაჰყვებოდეს და ყველასგან ასე უკლისად მოგერთმეოდეს და არაოდეს დაგაკლდებოდეს და არცა ვისგანმე მოგეშლებოდეს არც ჩვენგან და არც ჩვენის შვილისა და მომავალისაგან.... დაიწერა წელთა ქრისტეს აქეთ ჩღპ თვესა მარტსა: ი

მეორე გვერდზე ჯვარის დასმული.

განზე იმავე ხელით: მე გენათელ მიტროპოლიტი ეფთიმე მ შეწირულობის მოწმე და თან დამსწრე ვარ...

ბეჭედი: გენათელი მიტროპოლიტი (ასომთ.:) ეფთვიმი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**1781 წ.** შეწირულობის წიგნი სოლომონ I-ისა, გელათის საბუთთაგან № 81, თეთრს ქაღალდზე ზომით 61×38¾ სანტიმ. შავად აწყობილი წითურადაა. ნიშნები დაცულია.

...მეფე ს˝დ იმერთა **სოლომონ** დავითიანი და ერთხორც. ქმნილი. ჩემი დედოფალთ. დედოფალი. წულუკიძის ასული. **გულქან**.... ვიგულისმოდგინე მცირედისა მსახურებისა მოძღვანებად... გელათს. მაცხოვრის. ეკვდერს. ესრეთ. და ესე ვითარად. რომ. პირველად პაპასა. ჩემსა. მეფეს. გიორგის დაედგინებია წინამძღვრად. მღვდელ-მონაზონი ქიქინაძე დომენტი. და შვილი. მისი იოსებ. და. შეწირა მაცხოვრის. კარის. შემოსავალს. გვერდზედ ერთი ქვიტკირის სახლი და ადგილი. მცირედი. მოზღუდვილი. კდ გელათს შადრევანზედ მოსახლე ერთი კუბულაშვილი გიორგი თავისის ცოლშვილით. და თავისის ადგილ მამულით. მანდიკორს ასანბეგ კაკუშაძის. სეული. სასახლეთ. და. ოთხის სხვა ძმის კაკუშაძის სეული. რომ ესენი. უშვილონი. გარდასრულ. იყვნენ და. ერთი მოსახლე კაკუშაძე და იმაზედ მდგომის. წინამძღვრისათვის დაედვა. ვალად ყოველს. შაბათს. ვინც. მიცვალებული. მეფენი. არიან. მისთვის უნდა. ეწიროს და. ყოველს კვირს. ვინც ცოცხალი. **მეფე** იქმნება. მისი. მწირველი უნდა იქმნეს. და. სიგელიც. მეფეთა ესრეთ. აცხადებდა. სიგელი იგი. ნიკოლაოს გენათლისგანაც **მამისა** ჩემისა მეფის ალექსანდრეს. ბექდებითაც. დამტკიცებულ. იყო და **გენათლის** მარნისაგან სეფისკვერი. და ზედაში უნდა. მისცემოდა. ის. გლეხნი და მამულნი ყოვლითურთ ხელშეუალად ებოძებინა ოდეს. ძალ მწეობითა ევმანოილ განმაკაცებელისა. ჩვენისათა მტერთა ჩვენთა ზა ძლევა მოვიღეთ. და ქვეყანანი. ჩვენნი სრულებით. ხელთა ვიგდევით. მას ჟამსა. მოვიდა. წინაშე ჩვენსა. ღირსი. და. წმიდა. წინამძღვარი ქიქინაძე იოაკიმი და. სიგელი. პაპისა და მამისა ჩვენისა წინაშე. ჩვენსა. მოიღო და. ეკვდრისა. მის. ამბავი სრულებით მოგვითხრო სხვანი. გლეხნი და. მამულნი რომელიც ვისმეს. მძლავრებით შეეკრიბნეს და ამ ეკვდრისათვის. გამოხვნეს ამოვიღეთ რომელიც ვიპოვეთ და. თავთავისის სიგელით ისევ. ამ. ეკვდერს. შევსწირეთ. და პაპისა და. მამისა. ჩვენისა შეწირულობის სიგელი ჟამთა სიმრავლითა განრყვნილ. იყო და ბრძანებისა: მათისა. ებრ. განვახლეთ და. დავამტკიცეთ ამათ. ზემო აღწერილსა შინა. გლეხნი მამულნი ყოვლითურთ უნაკ-

ლულოდ და სრულებით გელათს. მაცხოვრის ეკვდერს. და მას ზედა. დადგინებულს წინამძღვარს. არასოდეს. გამოერთვას... ამად. წერილის. მოწმად. სარდალ მოურავი. კარისა ჩვენისა გნმგე დიდ თავადი წულუკიძე. ბერი. სარდალი და. თავადი წერეთელი პაპუნა. წულუკიძე გიორგი. სალთუხუცესი წერეთელი. ზურაბ მდივანბეგი. დავით. აღიწერა. ხელითა ქიქინაძის ნიკოლოსისათა წელთა უფლისათა ჩღპა ფებერვალს ზ.

ბეჭდები: 1) დავითის ნორჩი ჯვარით მტერს მოვრჩი (ასომთ.:) მეფე სოლომონ 2) წულუკიძის ასული დედოფალი გულქან.

ჩვენ ყოვლისა ჩრდილო იმერ აფხაზეთისა კათოლიკოს მამათმთავარი მაქსიმე. ამას თანა მოწამე და თანადამამტკიცებელ ვექმნებით:

ბეჭედი: ჩრდილო აფხაზ იმერთა კათოლიკოსი (ასომთ.:) მაქსიმე.

განზე: ქ. მე გაენათელ მიტროპოლიტი ეფთვიმი მოწამე ვარ ამ შეწირულობის დავთრის:....

ბეჭედი: გენათელი მიტროპოლიტი (ასომთ.:) ეფთვიმი.

პირველ გვერდზე განზე: ქ. ჩვენ. ყოვლისა სიმერეთოჲსა მეფე დავით დავითიანი ესრეთვე ვამტკიცებთ.

ბეჭედი: მეფე იმერეთისა დავით.

**1781 წ.** ნასყიდობის წიგნი, მიცემული ქუთათელ დოსითეოსისადმი, ქუთაისის საბუთთაგან № 40, თეთრს ქაღალდზე, ზომით $43^1/_2 \times 15^2/_4$ სანტიმ. საბუთის თარიღი გაურკვეველია. შეიძლება ის იყოს ჩღჟა.

ქ... ესე... ნასყიდობის წიგნი მოგართვით თქვენ ყდ სამღვდელოს ქუთათელ მიტროპოლიტს დოსითეოს მე ავალიან ხოსიამ, შვილმან ჩემმან პაატამ, მამუკამ, სეხნიამ, სვიმონ და ქაიხოსრომ... ოდეს მათმა უმაღლესობამ ბატონმა მეფემ სოლომონ აგარიანთაგან იმერეთი დაიხსნა და ქუთაისის ციხე აიღო, მაშინდელი გამოყვანილი ქუთაისიდგან გამოყვანილი კაცი სვიმონ ბახტურიძე მყავდა ნაყიდი და იმ კაცის სყიდვა თქვენ ინებეთ და ჩვენის მოძღვრის ზარათის ეკლესიაზე მდგომელის ღირსის მღვდელ მონაზონის დანიელ ბერის შუამდგომლობით მოგყიდეთ.... არის ამისი მოწამე

გრიგოლაშვილი მეფის კარის მწირველი, მღვდელი იესე ავალიანი, ჩემი ძმები მიქელ და ბეჟან და სულ მთლათ ავალიანები. მე მეფის კარის მწირველს ჯავარიძეს მღვდელს ონოფრეს დამიწერია.... აღიწერა აგვისტოს დ ქკს ქეს აქეთ ჩღპა.

სუთი ჯვარი.

**1782 წ.** შეწირულობის წიგნი სოლომონ I-ისა ხონის ტაძრის საბუთთაგან № 95, დაწერილი თეთრს ქაღალდზე ზომით $82 \times 29^1/_4$ სანტიმ.

...მეცა.... სდ აფხაზ იმერთა მეფემან მეფეთამან დიდად სახელოვანმან სოლომონ დავითიანმან და ერთხორცმან ჩემმან სდ იმერთა მნათმან დიდის მთავრის წულუკიძის ასულმან დედოფალთ დედოფალმან გულქან, მრჩობლთა ასულთა ჩემთა.... პირველთა მეფეთაგან შეწირულნი გლეხნი რომელნიმე თუ მამულნი სოფლისა მიმოკვეთებითა მიერ განებნიათ და ერის კაცთ სამკვიდრებელად თვისად განესაკუთრათ. ოდეს... ვსძლიეთ უშჯულოთა მაჰმადიანთა უსამართლოდ აღდგომილთა ქეს მოსახელეთა ერთა ზ̃ა.... შდ ამისსა ვიწყე მოსწრაფებით მოძიბად (sic) გლეხთა და აგარაკთა წმიდათა ეკკლესიათა და ტრფიალ ვიყავ, რ̃ა სამეფოსა ჩემისა ეკკლესიანი ყოველნი თავისუფალ მექმნეს და ძალმწეობითა წმიდათა ეკკლესიათა მივემთხვე საწადელსა ჩემსა მოკლეთა ჟამთა. შდ ამისსა განვიხილე გუჯარი მონასტრისა თქვენისა და რომელიცა დაკლებული იყო, ჭეშმარიტითა მშჯავრითა და მოწმობითა ძველთა გუჯართა გამოვიძიეთ, ამოვიყვანეთ და ისევ თქვენს წმიდას მონასტერს და მას ზ̃ა დადგინებულს მღვდელთმთავარს მივუძღვანეთ, რომ იმასთან სხვას ხელი არა ქონდეს თვინიერ მღვდელთმთავრისა თქვენისა. პდ გლეხი დიდს ჯიხაიშს სანაძე მახარებელი ნახიდა, სიმონა, მეორე მოსახლე სანაძე ბუჭუა, კონტოეთს მოსახლე კიკალისშვილი ძლინკიელა და მახობელა მისი შვილებით, კუხს მოსახლ (sic) ვაჭარაძე მახარებელა თავისის ცოლშვილით, ივანდიდს მოსახლე გარდავაძე კოტინელა და მისი შვილები, მისი ძმა გაბელა და მისი შვილები, მეორე მოსახლე კიდევ გარდავაძე გიორგელა და მისი შვილები, მესამე მოსახლე კიდევ გარდავაძე მახარობელი და მისი შვილები,

ეროვნული ბიბლიოთეკა



სამი მოსახლე კუხს შავლადაძენი, კაცისშვილები ჯახელა, დავითელა და ნასხიდელა, ხახუტელა, უნცროსელა, გიორგი შავლადაძის შვილები ივანელა, სეხნიელა და მამისთვალა. კიდევ ჯიხაიშს მახარებელი ხუცესი ყუფარაძე, მისი ბიძაშვილები მიკალანდა, სიმონიკა და მათი შვილები. ხონს ერთი მოსახლე სანაძე კოჩობელა, მისი ძმისწული ბუჭუელა და მათი შვილები. ფრიდონიანს ჯიხაიშს ერთი მოსახლე სანაძე დავითელა და დედულია. ჯიქთუბანს მოსახლე შაქარა მამფორიას შვილები ხახუტელა და ქიქიელა. ერთი მოსახლე ბაკისუბანს ბახუტელა სალდაძე. ეს გლეხები თავისის ცოლშვილით, ადგილ მამულით, სახლკარით, ჭურმარნით.... შემოგწირეთ. კდ შემოგწირეთ პარტახი ერთი ხონს ყლატიგისშვილის სეული ადგილი, მამული, ეზო, ვენახი, თავისის ტყით, წყლით, საძებ უძებრით. მეორე პარტახი წაწულილიკიძეოშიდ (sic) ჩიტი ღულაშვილის სეული ეზო..... ესენიც ხელშეუალად მოგვიძღვნია და დავბეჭდე სამეფოთა ბეჭდითა. ამას ზ̃ა გევედრები მე მონა შენი მეფე სოლომონ, რ̃ა წარმართო მეფობა ჩემი..... (მოწმე)... თ̃ა განმზრახი ჩვენი კარისა ჩვენისა განმგე დიდებული თავადი სარდალ ბოქაულთუხუცესი მოურავი წულუკიძე ბერი, სალთუხუცესი წერეთელი ზურაბ, სარდალი წერეთელი პაპუნა, სარდალი წულუკიძე გიორგი და სხვანი კარისა ჩვენისა დიდებული დარბაზისერნი. აღიწერა ხელითა ჭიჭინაძის ნიკოლაოსისათა წელთა უფლისათა ჩღპბ ნოემბრს კბ.

ბეჭდები წარწერით: 1) კეთილ ძირთაგან რტონი მეფედ ვარ ბაგრატოანი (ასომთ.:) სოლომონ 2) წულუკიძის ასული დედოფალი გულქან.

ჩვენ ყდ. სამღდელ. ქყონდიდელ. მიტროპოლიტი დადიანისძე ბესარიონ. მეფის სოლომონის. ბრძანების. სიგელს. ნებითა ღვთისათა ვამტკიცებ.

ბეჭედი: ქყონდიდელი მიტროპოლიტი (ასომთავრ.:) ბესარიონ.

ჩვენ ყდ სამღვდელო მიტროპოლიტი დადიანისძე ანტონი მეფის სოლომონის ბრძანების სიგელს ნებითა ღვთისათა ვამტკიცებ

ბეჭედი: ანტონი (ასომთავ.).

წყალობით ღვთისათა ჩვენ ცაგერელ მიტროპოლიტი იოანე დადიანისძე და კავალერი წისა ანნას პირველის კლასისა ვამტკიცებ...

ბეჭედი: ცაგერელ მიტროპოლიტი ი̃ნე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არშიაზე: ქ. ამ სიგელშიდ რომ ვაჭარაძეები სწერია, ლევან ლოლაბერიძე და მისი ძმები დაედევენ ეკლესიას და მთავარეფისკოპოსს და ის გლეხები იმათ დაიკავეს და მერეთ ლევან ლოლაბერიძემ და მისმა ძმებმა თავისის ნებით ხელი აიღეს, ეკკლესიას დაანებეს და მე იმერთა მეფე მეორე სოლომონ დავითიანი ნებითა ღისათა ვამტკიცებ სიგელსა ამას.

ქ მეფე იმერთა და ძე არჩილისა მეორე სოლომონ დავითიანი ვამტკიცებ... ბატონის ბიძის ჩემის აღწერილსა ამას სიგელსა.

ბეჭედი (ასომთავ.:) მეფე იმერეთისა სოლომონ.

ჩვენ ყდ სამღვდელო ქუთათელ მიტროპოლიტი დოსითეოს ვამტკიცებ... ბეჭედი.

...სდ იმერთა მეფემან მეფეთამან სოლომონ დავითიანმან შამოვსწირეთ თქვენს წმიდას ეკკლესიას გლეხი ერთი გოგავა დავითელა მისის ცოლშვილით ასე რომ.... გამოეწირათ და ჩვენ... ისევ თქვენ მოგიძღვნეთ. ხორცის ფასი სამთლათ მიერთმეოდეს თქვენს ეკკლესიას და სხვა ლომი და ღვინო ბეგარა მთავარეფისკოპოსს მიერთვას... ბეჭედი.

ესეცა უმჯობესი გნზრხუა ვყავ მსახურება ტაძრისა თქნისა მოწამეთა მთავარო, ესრეთ რომ ტაძარი თქნი სამნთელზედ ნაკლულევან იყო და რომელიც ამ გუჯარშიდ აღწერილი გლეხნი იყონ, მათის ხორცის ბეგრის მაგიერ სანთელი მოერთმეოდეს თქვენს ტაძარს, ყოველს წელიწადს მისმა მოხელემ გამოკვლევით გაშინჯოს და თითო გლეხს როგორიც ფასის კორცი მართებოდეს, იმ ფასის სამთელს გამოართმიდეს და წ̃ას ეკლესიას მიართმიდეს. აგრევე სამთლის გულსაც კორცის ფასში აიღებდეს. არას ეპისკოპოსთა და მოხელეთაგან ამ აღწერილის გლეხისაგან ხორცის ბეგრის აღება არ იქმნეს, არც ქათმით თვინიერ სამთლის და სამთლის გულისა.... მათხოჯი თქვენის მღვდელთმთავრის სამწყსო ყოფილიყო, ასე რომ სახუცო საკანონო საშჯულო და ჩამოსაწირავი თქვენს მღვდელთმთავარს უნდა მირთმეოდა და სოფლისა მიმოკვეთებათაგან ესეცა განრყვნილიყო და ამისდაც ღვწად ხელ ვყავ პირველისა აღწერილისა მსგავსად თქვენის ეკკლესის მღვდელთმთავრის მეშჯულით და ჯვარით იმწყსებოდეს ქვეყანა იგი მათხოჯისა.... ბეჭედი ასომთ.: მეფე იმერეთისა სოლომონ.

შემდეგ ამტკიცებს გენათელი ეფთვიმი (ბეჭედი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

**1782 წ.** პირობის წიგნი, მიცემული იოანე მთავარეპისკოპოსისადმი, ხონის საბუთთაგან № 56, დაწერილი თეთრს ქაღალდზე, ზომით $32^{1}/_{2} \times 21$ სანტიმ. ნიშნად ყოველ სიტყვის შემდეგ თითო წერტილია.

ქ ესე წიგნი და პირობა მოგართვი თქვენ ჩვენს სჯულის თავს და სულიერს მწყემსს ყდ სამღუდელოს მთავარეპისკოპოსს იოანეს ჩვენ მათხონჯის წის ბასილის ეკლესიის მათხონჯელმა თემის კაცმა, ერთობით დეკანოზმა, ხელოსანმა და სდ ხალხმა, ასე რომე ძველოთაც შენის ეკლესიის სამწყსო ყოფილიყო ჩვენი ქვეყანა და ახლა ბატონმა მეფე სოლომონ დავითრით ისევ თქვენს ეკლესიას მიართვა სამწყსოთ. მერმეთ მობრძანდით ჩვენს ქვეყანას დასამწყსელათ და და სასჯულოთ და რომელიც თქვენის ეკლესიის მახლობელს სოფელებს (sic) საწულუკიძოს, ნახახულევერს, და კონტოეთს ემართა (sic) ჩამომწყისა, ისე იმ გვარათ ჩამომწყსას შემოგეხვეწეთ ერთობი თემი და წყალობის თვალით მოგვხედეთ და შევვიხვეწიეთ და რაგვარათაც იმ სოფლებს ემართა, ისე თითო კეხი ღომი დაგვადევი მესამეს წელიწადს და ასე პირობა მოგართვით ერთობით, რომე რომელიც შეგვეძლოს შენის ეკლესიის სამსახური და მისი მღუდელმთავრის სამსახური, არ ვიუაროთ, არც კირის დაწვა და არც სხვა რამე და არც ეს გარიგებულობა სალაპარაკოთ და საყიჭინოთ გავხადოთ, თუ ამაში ვიმტყუნოთ, რაგვარათაც გენებოს, სულიერათ და ხორციელათ დაგვსაჯენ. არის ამის მოწამე და გამრიგე მოურავი წულუკიძე ბეჟან, მღვდელ მონაზონი იოსებ და საბა, წულუკიძე ნიკოლოზ, ადამია ბერუკა, მდივანი სვიმონ, ჯვარმტვირთველი მოსე და ივანე და ერთობით ხონის თემის კაცი და ასე ხელი ჩავვირთავს. მე დეკანოზისშვილს ნიკოლოზს დამიწერია და მოწამეც ვარ ამისი დაიწერა ქორონიკოს ქ̃ეს აქეთ ჩლპბ.

აქ დასმულია 19 ჯვარი.

**1770—1782 წ.** პირობის წიგხი, მიცემული იოანე ხინოწმიდელისადმი, ხონის საბუთთაგან, დაწერილი თეთრს ქაღალდზე. მიცემული უნდა იყოს მე-XVIII საუკ. მე-70 ან 80 წლებში.

ქ ზეგარდმო მადლთაგან კურთხეულო ყოვლად სამღვდელოვო ბატონო არქიერო ხინოწმინდელო ივანე, ესე ხელწერილი და პი-

რობა მოგართვი მე ახვლედიანმან ბერმა, ასე რომ მღდლათ საკურთხათ გეახელი და ცაგერლის დასტურით და თქვენ ბერობისა და სიწმინდის პირობა მთხოვე და რომელიც თქვენი ბრძანება მექნეს თუ არ აღვასრულო, თქვენგან და თქვენის ეკლესისაგან და ყოვლის ეფისკობოზისაგან შეუნდობელი ვიყო. არც ხორცი ვჭამო და არც ოთხშაბათსა და პარასკევს ღვინო დავლიო და კიდეც სამღდელოს საქმეს შეუდგე და მღდელობის რიგზე მტკიცეთ ვიქნე და თუ ყველა ეს ასე არ აღვასრულო, თქვენ მიერ ბოძებული მღდლობა ისევე თქვენ ამხადო.

ჯვარი.

**1783 წ.** სოლომონ I-ის შეწირულობის წიგნი გელათის ხოხასტრის საბუთთაგან № 8, თეთრს ქაღალდზე ზომით $114^{1}/_{2} \times 21$ სანტიმ.

...აფხაზ იმერთა მეფემან მეფეთამან დიდად სახელოვანმან სოლომონ დავითიანმან და ერთხორცმან ჩემმან დიდის მთავრის წულუკიძის ასულმან დედუფალთ დედუფალმან გულქან, მრჩობლთა ასულთა ჩემთა... პირველად მრავლის ჟამდგან ამ ეკლესის მამული და გლეხი განერყვნათ და ერის კაცთ თავთავისათვის განესაკუთრათ და ოდეს მფლობელად ივერთა ზა დადგინებულიყო დიდ სახელოვანი მამაჲ ჩემი და ბატონი, მოეპოვა გლეხი და მამული ამ აკლ----თავისის ხელის აღწერილითა სიგელითა შეეწირა ყოველივე ამ ეკლესიის საქმე განგება ჟამს არ მიეცა, სოფლისა ამისაგან განვიდა. შ҃დ გარდაცვალებისა მისისა.... მივიღეთ ივერთა მეფობაჲ და ჟამსა მოცალებისასა ვიწყეთ წმიდათა ეკკლესიათა, გლეხთა და მამულთა ძიება და ვისაც მძლავრებით მიეტაცა, ყოველივე ჭეშმარიტითა მშჯავრითა მოვიპოვეთ, წმიდას ეკკლესიას მიუძღვანე. შდ ამათსა ვიხილე მამისა ჩემისა სიგელი და ვჳავ ძიება სოხასტრის გლეხის და მამულის და ვისაც ერისკაცთ ქონდათ სიმართლისა საშჯელითა აღმოვიღეთ და წმიდას ეკკლესიას მიუძღვანე და სიგელი მამისა ჩემისა დავბეჭდე სამეფოთა ბეჭდითა და თანხმაობითა ყოვლად სამღვდელოსა გენათლ მიტროპოლიტისა ეფთვიმისათა განვაწესედ წინმძღვრად ღირსი მღვდელმნაზონი ავალიანი ამბერკი და სარჩოდ თვისათ განუწესეთ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თავისის გლეხებისაგან ღომი, ღვინო, ხორცი, სამთელი და საკმეველი, რ῀ა [სა]ზრუნველ მისსა არა რაჲ იყოს თვინიერ მსახურებისა ეკკლესიისა. აწ ვიწყოთ სოხასტრის შამოსავალის მოთხრობად:

ქ. ურახუნეს ბერიკელას დავადევით სამი კოდი ღომი, ექვსი თორმეტიანი ღვინო, ჩარექი სამთელი და ერთი ჩარექი ყველი და ორი რუბის ხორცი.

სიმონიკა ბაჯგიაშვილს გ კოდი ღომი, ვ თორმეტიანი ღვინო, ჩარექი სამთელი, ბ რუბის ხორცი და ჩარექი ყველი.

დავითელა ბაჯგიაშვილს გ კოდი ღომი, ვ თორმეტიანი ღვინო, ბ რუბის ხორცი, ჩარექი სამთელი და ჩარექი ყველი.

ქ. ბასილიკა ბაჯგიაშვილის გ კოდი ღომი, ვ თორმეტიანი ღვინო, ორი რუბის ხორცი, ჩარექი სამთელი და ჩარექი ყველი.

ქ. მჭედელს დავითელა პატარიძეს სამი კოდი ღომი, ექვსი თორმეტიანი ღვინო, ორი რუბის ხორცი, ჩარექი ყველი და ჩარექი სამთელი.

ქ. გოგიტელა პატარიძეს, სამი კოდი ღომი, ექვსი თორმეტიანი ღვინო, ორი რუბის ხორცი, ჩარექი ყველი და ჩარექი სამთელი.

(ამის შემდეგ რიცხვის აღსანუსხავად არაბულ ციფრებს ვხმარობთ).

ქ. მახარიკა პატარიძეს 3 კოდი ღომი, 6 თორმეტიანი ღვინო, 2 რუბის ხორცი, ჩარექი ყველი და ჩარექი სამთელი.

ქ. სეხნია ბრეგაძეს 3 კოდი ღომი, 6 თორმეტიანი ღვინო, 2 რუბის ხორცი, ჩარექი ყველი და ჩარექი სამთელი.

ქ. თამაზიკა ბრეგაძეს 3 კოდი ღომი, 6 თორმეტიანი ღვინო, 2 რუბის ხორცი, ჩარექი ყველი და ჩარექი სამთელი.

ქ. მამისბედა ბრეგაძეს 3 კოდი ღომი, 6 თორმეტიანი ღვინო, 2 რუბის ხორცი, ჩარექი ყველი და ჩარექი სამთელი.

ქ. გოჩოლიკა ბრეგაძეს 3 კოდი ღომი, 6 თორმეტიანი ღვინო, 2 რუბის ხორცი, ჩარექი ყველი და ჩარექი სამთელი.

ქ. მახარიკა პატარიძეს ან მარჩილი და ან მარჩილის საკმეველი.

ქ. კიდევ ივანიკა პატარიძემ ან მარჩილი და ან მარჩილის საკმეველი.

ქ. გოგიტელა ბრეგაძეს 3 კოდი ღომი, 6 თორმეტიანი ღვინო, 2 რუბის ხორცი, ჩარექი ყველი და ჩარექი სამთელი.

ქ. მახარიკა ბრეგაძეს 3 კოდი ღომი, 6 თორმეტიანი ღვინო, 2 რუბის ხორცი, ჩარექი ყველი და ჩარექი სამთელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქ. ხოსიკა ბრეგაძეს 3 კოდი ღომი, 6 თორმეტიანი ღვინო, 2 რუბის ხორცი, ჩარექი ყველი და ჩარექი სამთელი.

ქ. გოგიტელა გაბრიაძეს 3 კოდი ღომი, 6 თორმეტიანი ღვინო, 2 რუბის ხორცი, ჩარექი ყველი და ჩარექი სამთელი.

ქ. კიდევ გოგიტელა გაბრიაძეს 3 კოდი ღომი, 6 თორმეტიანი ღვინო, 2 რუბის ხორცი, ჩარექი ყველი და ჩარექი სამთელი.

ქ. მახარიკა გაბრიაძეს 3 კოდი ღომი, 6 თორმეტიანი ღვინო, 2 რუბის ხორცი, ჩარექი ყველი და ჩარექი სამთელი.

ქ. სიმონიკა გაბრიაძეს
ქ. დავითელა გაბრიაძეს
ქ. გოგიტელა გაბრიაძეს
ქ. კომელა გაბრიაძეს
ქ. ნასხიდა გაბრიაძეს
ქ. პაატელა ბანცაძეს
ქ. თამაზიკა გეწაძეს
ქ. მამუჩიკა გეწაძეს
ქ. დავითელა პატარიძეს
ქ. ხახუტელა ბუბაშვილს

სათითოდ ამ გლეხების გარდასახადი გამოთქმულია ამ სიტყვებით: სამი კოდი ღომი, ექვსი თორმეტიანი ღვინო, ორი რუბის ხორცი, ჩარექი ყველი და ჩარექი სამთელი.

ქ. ნასიკა ბრეგაძე ამ ჟამად ხელოსანი იყო და სადნამდის ხელოსნთ იყოს, თითო იჯრის ყოველისფერს უნდა თავისს სახლშიდ მოართმევდეს წინამძღვარს და უნდოდეს თვითონ მის სახლშიდ დაპატიჟებდეს, ისე გამასპინძლდებოდეს. როდესაც ხელოსნათ აღარ იქმნეს, როგორათაც სხვას, ისე გარდაიხდიდეს ღომს, ღვინოს, ხორცს, სამთელს და ყველს. საცა პარტახები აქვს, ვინც დაესახლოს, ისეც ისე გარდაიხდიდეს სამთელს, ღომს, ღვინოს, ხორცს და ყველს. არგვეთს პარტახი და ადგილები ამოვიღეთ და ამ ზედა ბევრი მსგავსად (sic) გარდაიხდიდეს, ვინც დაესახლოს და პურსა და ბამბასაც სამთლის გულათ.

ქ. გელათს მოჯალაბეები სახლობან (sic) პატარიძენი და როგორათაც მოჯალაბის მსახურება რიგი არის, ისე მსახურონ წინამძღვარს და რაც მიაბარონ, შეუნახონ და თუ დაეჭიროს, კიდეც უშმაოვნო (sic). სხვა ამ ზემო თქმულმა კაცებმან ნადაჲ თუ დაპატიჟოს, წინამძღვარმან ყანაშიდ მოეხმარონ, ვენახი სადაც ქონდეს, კიდეც დაუმუშაონ და კიდეც მოუკრიფონ საყდარს. როგორათაც

დაექიროს მუშაობა და წინამძღვარმან უბრძანოს, ისე იმუშაოს, სხვა ნიადაგი მუშაობა არ განგვიწესებია და გუჯარსა ამას აღწერილი ყოველს წელიწადს სოხასტერს მჯდომს წინამძღვარს მიერთმევდეს (sic). სხვა, ღომი, ღვინო, ხორცი ათასეულის მეტი არცა მეფისა, არცა გენათლისა, არცა დედუფლისა, არცა თავდისა, არცა აზნაურისა, არცა დიდთა, არცა მცირედთა მათს კარზედ არ მიდგეს.... (წყევა). განმგე და თვით ჩენილი საქმისა ამის კარისა ჩვენისა განმგე დიდებული თავადი სარდალ ბოქაულთუხუცეს მოურავი წულუკიძე ბერი, მოწამე სალთუხუცესი წერეთელი ზურაბ, სარდალი და თავადი წერეთელი პაპუნა, სარდალი წულუკიძე გიორგი და სხვანი კარისა ჩვენისა დიდებულნი დარბაზის ერნი. აღიწერა ხელითა ქიქინაძის ნიკოლაოსისათა წელთა უფლისათა ჩღპგ აპრილს იზ.

ბეჭდები: 1) კეთილ ძირთაგან რტონი შეფედ ვარ ბაგრატოანი (ასომთ.:) სოლომონ; 2) წულუკიძის ასული დედოფალი გულქან; 3) გენათელ მიტროპოლიტი (ასომთ.:) ეფთვიმი; 3) წულუკიძე ბერი; 4) ქ სახლთუხუცესი წერეთელი ზურაბ.

ქ. ბრძანებითა მისის უმაღლესობის სდ იმერთა მეფის სოლომონისათა იმ ეკკლესის ყმა პატარიძე ნიკოლოზა განვაწესე მე ყოვლად სამღვდელომ გენათელ მიტროპოლიტმან ეფთვიმიმ სოხასტრის ყმის მოურავათ. თუმც ის ნიკოლოზა პატარიძე სოხასტერზედ მჯდომის წინამძღვრის ჭემარიტის (sic) გონებით მოსამსახურე იქმნება და იმ ეკლესისათვის კეთილათ ილვაწოს და აგრევე მისმა შვილმა და მომავალმან თუ შეიძლოს იმისი მსახურება, არც მას და არც მის შვილს და მომავალს სოხასტრის ყმის მოხელობა არ გამოერთვას.

ბეჭედი: გენათელი მიტროპოლიტი (ასომთ.:) ეფთვიმი.

**1784 წ.** შეწირულობის წიგნი დავით ბატონიშვილისა სვირის წმ. გიორგის საბუთთაგან № 1, დაწერილია თეთრს ქაღალდზე. ნიშნად ყოველ სიტყვის შემდეგ თითო წერტილია. საბუთი ფრიად დაზიანებულია.

......----...ჩვენ... იესიან დავითიან სოლომონიან პანკრატიანმან სდ იმერთა უფლისწულმან ბატონისშვილმან დავით და თანამეცხედრემან ჩვენმან ყაფლანისშვილის ასულმან ანახანუმ, მრჩობლთა ასულთა ჩვენთა ვინებეთ და ვიგულისმოდგინეთ და შემოგწირეთ სვირს მიქა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაძე გოგიტელა---ით, კარით, ალაგ მამულით, ყოფაცხოვრებით...... [მო]გერთმეოდეს ორი ჩარექი სანთელი და ნახევარი ქსანი საკმეველი და ყოველს მარიამო[ბას] ჩვენთვის მღდელს აწირვინოს და მსახუროს და მეორე გლეხი კიდე მიქაბაძე ბერიკელა მისი ცოლ-შვილით.... ამისგან მოგერთმეოდეს ერთი ლიტრა სანთელი და ერთი ქსანი საკმელი და ყოველს მარიამობას დღეს ჩვენთვის მღდელს ჟამს აწირვინებდეს.... არც საური, არც საუდიერო, არც არაფერი სხვა გარდასახადი... არ ეთხოვებოდეს.... გამრიგე და მოწამე ამისი კარისა ჩვენისა განმგე სახლთუცესი (sic) აბაშიძე ზაალ, ბარათაშვილი ქაიხოსრო, კახიძე ვახტანგ, მოურავი სოფლისა ამის ჭუმბურიძე გიორგი, მღდელი ღიბრაძე სვიმონ და ერთობით ბატონს (sic) დარბაზის ერნი. აღიწერა წელსა განხორციელებითგან უფლისა ჩვენისა ჩღპდ თვესა ფებერვალსა ივ დღესა ვ კელითა კარისა ჩვენისა მდივან მღდლის სვიმეონისათა.

განზე ცუდის ხელით: ქ მე მეფე სდ იმერთა დავითიანი დავით ვამტკიცებ წიგნსა ამას.

ბეჭედი წარწერით: მეფე იმერეთისა დავით.

**1784 წ.** წყალობის წიგნი დავით მეფისა, გელათის საბუთთაგან № 96, თეთრს ქაღალდზე, ზომით 55×21$^{1}/_{3}$ სანტიმ. ნიშნად ყოველ სიტყვის შემდეგ თითო წერტილია. საბუთი ცოტათი დაზიანებულია.

....(მე) სდ იმერთა მეფემან მეფეთამან დავით და ერთხორცმან ჩემმან სდ იმერთა მნათმნ დედოფალთ დედოფალმან ანნამ ესე... წყალობის წიგნი და სიგელი გიბოძეთ თქვენ ჩვენს ერდ[illegible] ზედა[illegible] მარად სამკვიდროს ოჯახისა ჩვენისა ხაბაზებს ნაბოსლევს [illegible] და მათვალოს, გიორგის, ბააკას, სიხარულას, მათვალიკას, მამუ[illegible]ჯაძენს დავითელას, ნასხიდას, ჟოჟუას, ხვიმონიკას, ონანიკას, სხვათა თქკელას, შვილთა და მომავალთა და ჯიჯიხაძეს ბერიკელას, ხახუტას, სეხნ[illegible]ნთა მამუკელას, ბახუტაშვილს სეხნიკას, სხვათა თქვენთა შვილთა და [illegible]იას, მავალთა... თაობისათაც გელათის ხახულისა ღთისმშობლის მებეჭ[illegible]ო-და ჩვენი მემკვიდრე ხაბაზები ყოფილხართ და ბატონს მეფის სოლ[illegible]რე მნის და მეფის ალექსანდრესიც გქონდათ წიგნი და ჩვენც და[illegible]-

მტკიცეთ.... (გელათის) ბეგარაზე ჩვენი ხელი არა გვაქვს და მას გარდა ეს წყალობა გვიქნია, არც აზნაურშვილს საყმოთ გაგხადოთ...., არცა არაფერი ჩვენგან გეთხოვებოდეს ხაზაზობის მეტი, არც საძმო, არც საქვრიო, არც საური და არც საუდიერო... მოწამე და გამრიგე წერილისა ამის დიდებულისა კარისა ჩვენისა განმგე სარდალ ბოქოულთუხუცესი მოურავი წულუკიძე ბ[ერი], [სარ]დალი წერეთელი პაპუნა, სარდალი წულუკიძე გიორგი, სახლთუცესი წერეთელი ზურაბ, ქაჯაია ბუჭუა, აბაშიძე ზაალ და ერთობით დარბაზის ერნი. ხელითა მდივანის მღდლის სვიმეონისათა.... ჩღპდ თვესა ივლისს იზ.

ბეჭედი: მეფე იმერეთისა დავით.

ქ. ჩვენ ყდ სამღუდელო გაენათელი მიტროპოლიტი ეფთვიმი ამ დავთარს... ვამტკიცებ.

ბეჭედი: გაენათელ მიტროპოლიტი (ასომთ.:) ეფთვიმი.

**1784 წ.** შეწირულობის წიგნი გულქან დედოფლისა სვირის წმ. გიორგის საბუთთაგან № 2, თეთრს ქაღალდზე ზომით $45^1/_2 \times 24^1/_2$ სანტიმ. ნიშნად ყოველ სიტყვის შემდეგ თითო წერტილია.

ქ ეჰა შენ..... დიდო მთავარ მოწამეო გიორგი, რომელ სახელსა შენსა წმინდასა აღშენებულ არს სადიდებელი შენი ეკლესია შენი რომელ არს სვირს და მას შინა დაწიაღებულ არს მხსნელისა ჩვენისა იესოს ქრისტესთვის მრავალთა ტანჯვათა დამთმენელისა დიდებულის ქალწულ მოწამის წმინდის მარინას ფერხი სრულიად უნაკლულო... ჩვენ... ყოვლისა აფხაზ იმერთა მეფემან მეფეთამან (sic) და თანამეცხედრემან ჩვენმან დედოფალთ დედოფალმან წულუკიძის ასულმან ბატონმან გულქან მრჩობლთა ასულთა ჩვენთა თანა ვინებე და ვიგულსმოდგინეთ და შემოგწირეთ სვირს ორი კვამლი კაცი, ერთი მღვდელი ხათრიძე დავით მისის ცოლით, შვილით.... ამისგან მოგერთმეოდეს ერთი ჩარექი სანთელი, ხუთი თორმეტიანი ღვინო და ღვთისმშობლობას ჟამს გვიწერებდეთ (sic), მეორე გლეხი დავითელა ნიქაბაძე მისის ცოლშვილით... ამისგან მოგერთმეოდეს ერთი ლიტრა სანთელი და მის საკმეველი... ამას გარდა არც საური, არც საუდი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერო, არც არაფერი სხვა გარდასახადი, არც არაფერი სხვა გარდასახადი, არაფერი არც ჩვენგან და არც ჩვენთა შემდეგთაგან არ ეთხოებოდეს... (მხოლოდ ღვთისმშობლობას ჟამს გვიწირევდენო). შეიწირე ესე, ღვაწლით შემოსილო მთავარ მოწამეო გიორგი, მეფობისა ჩვენისა წარსამართებლად, დღეთა განსაგრძობელად და სულისა ჩვენისა საოხად (წყევა, ვინც შეშალოსო).... კაცთაგან გამრიგე და მოწამე ამისი კარისა ჩვენისა გამრიგე დიდი თავადი სარდალი და მოურავთ მოურავი წულუკიძე ბერი და ჩვენი სახლთუხუცესი წერეთელი ზურაბ, წულუკიძე გიორგი, თქვენი მოურავი მაჩაბელი ზურაბ და სხვანი დარბაზის ერნი. აღიწერა წელთა უფლისათა ჩღპდ ოკდომბერსა კვ დღესა ხუთშაბათსა ხელითა მღვდელის ჯაფარიძის ონოფრესითა.

ბეჭედი წარწერით: წულუკიძის ასული დედოფალი გულქან.

განზე ცუდი ხელით: ქ მე მეფე სდ იმერთა დავითიანი დავით ვამტკიცებ წიგნსა ამას.

ბეჭედი წარწერით: მეფე იმერეთისა დავით.

შემდეგ დასმულია სოლომონ II-ის ბეჭედი წარწერით: მეფე იმერეთისა სოლომონ (ასომთ.).

**1785 წ.** ნიკოლოზ ლოლაბერიძის მიერ მიცემული წიგნი ხონის საბუთთაგან № 35, თეთრს ქაღალდზე დაწერილი. ნიშნად ყოველ სიტყვის შემდეგ თითო წერტილია.

...ჩვენ... ქაიხოსრო ლოლაბერიძის შვილმან ნიკოლოზ... შემოგწირეთ კუხს ჩემი სახვედრო გლეხი გიორგელა ბალანჩივაძის შვილი საყვალია თავისი შვილით და მომავალით და მისი ყოფით ყოვლისფრით.... და მცირედ ფასიც გვებოძა წმიდისა ტაძრისა შენისაგან 32 მარჩილი... ხელითა დეკანოზის შვილის ნიკოლოზისათა თთუესა ივნისსა იე ქორონიკონს ქეს აქეთ ჩღპე.

**1785 წ.** წყალობის წიგნი დავით მეფისა ქუთაისის ტაძრის საბუთთაგან № 8, დაწერილი თეთრს ქაღალდზე ზომით $43 \times 19^2/_3$ სანტიმ.

წყალობითა და შეწევნითა ყ̃დ წისა სამებისათა ჩვენ სდ იმერთა მეფემან დავითიანმან დავით და თანამეცხედრემან ჩემმან დედუფალ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მან ასულმან ორბელიითმან (sic) ანნა... გიბოძეთ წიგნი ესე წყალობისა---თქვენ დიდს უფალს ქუთათელ მიტროპოლიტს წერეთელს დოსითეოს ესრეთ და ესე ვითარად, რომელ დიდითა ერთგულებითა მეფობასა ჩვენსა ფდ მსახურე და ჩვენისა ამაღლებისა და წარმატებისათვი (sic) მარადის მოსწრაფე იყავ და ესრეთ წესიერად და ჯეროვნად მრჩობლ კეცად ერთგულებით გუმსახურე.... შემოვსწირეთ წმიდასა ეკლესიასა თქვენსა ერთი მოსახლე ურია მოშაშვილი შალომა, მისი შვილი მოშა, შაბათა, მარდახ და არონა ცოლშვილით.... აწ არის ამა დამტკიცებისა მოწამენი და გამრიგენი კარისა ჩვენისანი ჩვენი სიძე ერისთვის ძე ელისბარ, აბაშიძე ზაალ და ჯღერია იოანე. აღიწერა კელითა მწირისა ნიკოლაოს გაბაონელისათა თვესა აღუსტოსა ე ქ`ეს აქათ ჩღპე.

ბეჭედი: მეფე იმერეთისა დავით.

**1787 წ.** გენათელ მიტროპოლიტის ეფთიმის შეწირულობის წიგნი გელათის წმ. ნიკოლოზის საყდრისადმი, დაცული გელათის სოხასტრის მონასტრის საბუთებში № 5. ნიშნად ყოველ სიტყვის შემდეგ თითო წერტილია, იშვიათად ორი.

.....შემოგწირეთ და მოგართვით თქვენ, წმინდის ნიკოლოზის სახელზედ აღშენებულს გელათს ოთხს სვეტოვანს საყდარს ჩვენ ყოვლად სამღდელომ გენათელ მიტრაპოლიტმა ეფთვიმიმ გურის ერისთვის შვილმან, ასე რომ მისის უეწინდესობის (sic) კათალიკოზ გენათლის იოსებ ბატონიშვილისაგანაც ასე იყო ნება და წადილი. იმ საყდარს წინამძღვარს უპიდა (sic) დაყენებას და გლეხების შეწირვას, ძველათაც ყოფილიყო, მისი დავთარი ჟამთა ვითარებისაგან დაკარგულიყო. მას აღარ დასცალდა განახლება. რადგან მისი გაზდილი შვილ დატოვებული ვიყავით, ჩვენც მისი ბძანება და ანდერძი აღვასრულეთ და ადრიდგან კელმწიფეთაგან ქსნის ერისთავს ქონდა ნაბოძები სასაფლაოთ. ამ ჟამში ერისთავის შვილი ელისბარი დიდად შემწე ეყოფოდა დიდებულს საყდარს გელათს. ოდესაც გამოუცხადეთ კათალიკოზის სიტყვა დაბარებული, მისმა სიმაღლემ და მისმა ძმამ ბატონმა მეფემან დავით ასე ინება და ჩვენც ზემო თქმული ბძანება და ამ მეფის ვისმინეთ და დავადგინეთ წინამძღვარი, დავ·

დგეით (sic) საუკუნოდ საწინამძღროთ, შევსწირეთ და განუჩინეთ გლეხები ამ ქსნის ერისთვის სასაფლაოს ოკრიბას საწირეს თავის მამულ ადგილით ოთხი მოსახლენი გლეხნი, ქარქაშაძენი გიგიტელა და მისი ძმა კაციელა მათის ცოლშვილით, მეორე მოსახლე იქავ ხოსიკაშვილი მისის ცოლვით (sic), მესამე დავითელა და მისი შვილები, მეოთხე ნასყიდელა და მისი შვილები. ესენი ნიშნიანიძის სახელო და სამოურაოთ ნურას დროს ნუ გამოერთმევა, წინამძღვარს ის მსახურებდეს. ამას გარდა ორი გლეხი გელათს იქავ საყდარს მახლობელად ბაკურაძენი, ერთი ბაკიჩელა თავისის შვილებით და მეორე დავითელა ბაკურაძეის შვილები ნიკოლოზა და მისი ძმა, ერთი გლეხი ნაგარევს კაციელა ერაძე და მისი შვილები, გოდოგანს ერთი მოსახლე ობლები ლევიძე ორი ძმანი. ეს გელათის სამკვიდრო ყმები იმ ოთხს სვეტოვანს შევსწირეთ სამსახურეთ. გელათის და ხატის სამსახური როგორც ემართოს ან სხვა საგელათო კაცი მსახურებდეს, ესენიც ისე ემსახურონ წინამძღვარიც (sic) და მორჩილი იყვნენ კაცებით გენათლის.... (წყევა)... არიან ამისი მოწამენი ჩვენი აზნაურშვილები კანდელაკები, ჩვენი სალთხუცესი გიორგი და ნიკოლოზ, სხვანი ერთობით ჩვენი საყდრის აზნაურშვილები. მე კინიაზ (sic) მდივანბეგს მეფისას დავითს დამიწერია მეფისა და გენათლის ბძანებით და მოწამეცა ვარ ამისი..... მ: (sic) ოთხს კვამლს ქარქაშაძეს მოსახლის თავს ხუთხუთი კოდი ღომი, ექვსექვსი თორმეტიანი ღვინო, შვიდი რუბი თეთრი, ყველას საერთოთ ესენი მართებს, საყდრის სამსახური გელათს მართებს, ორს ბაკურაძეს შვიდშვიდი თორმეტიანი ღვინო, წინამძღვარის სამსახური. ნაგარევს ერაძეს ექვსი თორმეტიანი ღვინო, ერთი კოდი ღომი, ლევიძის ბერიკელ ლევიძის შვილებს გოდოგანს მართებს ათი კოკა ღვინო, ხუთი კოდი ღომი და პური. ჯერ ობლებია, არ ეთხოვება. დაიწერა ქსა ქს აქეთ ჩღპზ თვესა აპრილსა ზ აღიწერა ქალაქსა ქუთათისისასა.

ბეჭედი წარწერით: გენათელ მიტროპოლიტი (ასომთავ.:) ეფთვიმი.

ქ. ჩვენ ყდ სამღვდელო მთავარეპისკოპოსი ანტონი ვამტკიცებ სიგელსა ამას.....

ბეჭედი ასომთავ. წარწერით: მთავარეპისკოპოსი ანტონი.

ჩვენ ყდ სამღვდელო ქუთათელი მიტროპოლიტი დოსითეოს ვამტკიცებ.....

ბეჭედი წარწერით: ყდ სამღვდელო ქუთათელი მიტროპოლიტი (ასოთმთავ.:) დოსითეოს

პირველ გვერდზე განზე: ქ. ჩვენ ყოვლისა საიმერეთოჲსა მეფე დავით დავითიანი ვამტკიცებთ ჭეშმარიტებით ვიდრე საუკუნისა სიმტკიცითა.

ბეჭედი წარწერით: მეფე იმერეთისა დავით.

ქ. ჩვენ ს~დ საიმერეთოსა დედუფალთ. დედუფალი ორბელიანის ასული ანნა ვამტკიცებ სიგელთა ამას ნებითა ღვთისათა.

ბეჭედი წარწერით: სრულიად იმერთა დედოფალი ანნა.

ორივე გვერდის განზე: ქ. სასოსა და მეოხსა ჩუჱნსა, მწუხარეთა და ჭირვეულთა და ნუგეშინის მცემელსა უსამღუდელოესსა მამასა საკვირველებით წარმოჩენილსა მწყემსსა და მოძღუარს მირონ ქალაქისასა ნიკოლაოსს შემოგწირეთ და გიძღუჱნ მცირედი ესე ძღუჱნი გაენათს სასაფლაოსა ჩუჱნსა ოთხსვეტოანსა სახელსა შენსა ზედა აღშენებულსა ჩუჱნ მესასოემან შენმან ქსნის ერისთვის ძემან ელისვარ, მოურავმან ქუთათისისამან და ბოქოულთუხუცესმან ძლიერის მეფისა დავითისამან, მოვიყვანეთ ონიდამ და დაგისახლეთ ქუთათის ურია ისრაელაშვილი აბრამა, მისი შვილი დავითა, მისი ძმისწული მარდახა, მისი ძმა ისაკა, მისი ბიძაშვილი მოშა, მისი ძმა დავითა, ხანანია, სულიელა და კიდევ ჯანიაშვილი იაკობ. შეიწირე და იძღუჱნ ჩუჱნთა შესაწევნელად მრჩობლთა ცხოვრებათათვის. ამათგან მოგერთმეოდეს ბეგარა წლითი წლად სანთლისა და საკმეველის ფარად ხუთი მარჩილი, მარჩილი (sic) ძველი და წინამძღუარსა ჩუჱნსა თხუთმეტი მარჩილი თეთრი და როდესაც გაიყვნენ, რამდესაც სახლად გავიდნენ, თითომ მოსახლემ ასე გარდაუხადონ თვის თვისად. როდესაც გაიყვნენ, ამ თხუთმეტს მარჩილ გარდა სხვა გადასახადი საყდარს მოახმაროს წინამძღუარმა. ეს ურიები, რომელიც ამ დავთარში შეგვიწირავს, არც ნაძალადევათ და არც სხვათ რათმე ნაშოვი არ მყავს, ჩემს მრავალის ნამსახურითა და სიყვარულით რაჭის ერისთავმა გიორგიმ მომცა და მე შენ შემოგწირე წ~ა ნიკოლოს.

ბეჭედი წარწერით: ელიზბარ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



**1787 წ.** წინამძღვარის სვიმონ ქიქინაძის შეწირულობის წიგნი გელათის საბუთთაგან № 86, კარგს თეთრს ქაღალდზე, ზომით 57×31½ სანტიმ. ნიშნად იხმარება ზოგ სიტყვის შემდეგ თითო და ხან ორი წერტილი.

....გელათის მაცხოვრის ეკვდრისადა შემწირველ ვიქმენ კნინისა ძღვენისა მისივე მეურნე და წინამძღუარი სვიმონ ქიქინაძე დროსა გენათელ მიტროპოლიტისა ეფთვიმისასა.... ვინათგან მამისა ჩემისა მღუდლისა გიორგის მიერ ნასყიდი იყო კაცი ესე დათუნიკა სვანისშვილი და სვანეთიდამ ჩამოეყუანა და ჩვენს სახლში აღიზარდა და მამაჩემი ამიერ სოფლით განვიდა,... შემდგომად ამისსა ბოროტთა ვიეთმე კაცთაგან დაფარვით მოპარულ იქმნა კაცი ესე და თათრისადმი მისყიდულ იქნა... და კვალად თათრისაგან მრავლითა შრომითა დავიხსენ.... შევსწირე გელათის ეკუდერსა მაცხოვრისასა და თანად მივეც სამკვიდროდ მამულად თჳსად ჩემის სამკვიდროს ყმის ნიშნიანიძის გვალიაშვილის მამული... აღიწერა მაისის იბ წელთ ჩღპზ.

განზე ცუდის ხელით: ქ მე სდ იმერთა მეფე. დავით ვამტკიცებ. შეწირულობისა. სიგელს ამს.

ბეჭედი: მეფე იმერეთისა დავით.

ქ: მე ყდ სამღვდელო გაენათელ მიტროპოლიტი ეფთვიმი... ვამტკიცებ.....

ბეჭედი: გენათელი მიტროპოლიტი (ასომთ.:) ეფთვიმი.

**1787 წ.** ნუსხა ქრისტეს საფლავის ყმებისა, რომელიც დაცულია გელათის საკათალიკოზო წმ. გიორგის საბუთებში. დაწერილია კარგს თეთრს ქაღალდზე ზომით 244×30½ სანტიმ. ლამაზი ხელით. სიგელის თავში დახატულია ქრისტეს საფლავის ეკლესია. საბუთი მიცემულია 1787 წ., როგორც სჩანს დავით მეფის მიერ, მაგრამ შემდეგ სოლომონ II-ის დროს სიგელი, როგორც ეტყობა, ხელახლავ გადაუწერიათ და მეფე-დედოფლის სახელიც შეუცვლიათ.

....კრძალვით სასოებისა მიერ აღძრულთა მამათა ჩვენთაცა კელ უყვეს შეძღუნა შეწირულად მსიტყვთა და უსიტყვთა ძღუენთა, რლთა ძველთა წერილთა მიერცა გვიხილავს და ყთა უწყიან სულთა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

კორცთა, შვილთა და მომავალთა მათთათვის შენდა შეწირულნი ყმანი და ადგილნი, რლი მრავალთა სარწმუნოთა კაცთა მიერ გამოძიებით მოკითხულ ექმნა კხლსა მეფესა და ბიძასა ჩვენსა ალექსანდრეს და ამის შდ შემტკიცებულ და აღწერილ იყო შენაწირი მატიანე და ეგრეთვე დამტკიცებულ იყო კხლისა ძმისა ჩვენისა მეფისა სოლომონის მიერ.... ხ̃ ვინაჲდგან ჟამსა მეფობისა ჩვენისასა მცირედ ხან შფოთი და მიმოკუეთებაჲ იყო ქუნასა· ამას ჩვენსა და მეფეთა იგი აღწერილი მატიანე შეწირულობისა სვერს სხიზარსა ადგილსა დაკრძალული ცეცხლითა დამწუარიყო, გარნა მადლისა შენისაგანვე თითოეულად გამოძიებად კელვყავთ და კეთილ გამოკულევითა გამოვიკითხეთ ჩვენ.... სდ იმერთა მეფემან სოლომონ თან ერთკორცისა ჩვენისა დედუფლით მარიამჲთურთ, ერთად და უნაკლულოდ აღგიწერეთ და შემოგვიწირავს პლთა მათ მეფეთაებრ და დედუფალთა და უფლისწულთა სამართლად და სიმართლით შეწირულნი ესე ყმანი შენნი და აგარაკნი.... ჩხარს ზარნაძე პეტრეშვილი ბერიკელა და გაბრიელა. ამათ მართებს ბეგარა ცხრა თორმეტიანი ღვინო, ორი ფოხალი პური, ორი ფოხალი ღომი, ორი ფოხალი ქერი, ორი ქათამი, ერთი საბაზიერო და საშობაო დედალი და ძღუენი და ეგრეთვე განაყოფსა მისსა მართებს დათუკას, იესეს, ხახუტელას და დამუკელას (sic) და ეგრეთვე ბერუა ქართველსა და შვილთა მისთა.

კდ ბასილა ზარნაძეს და ძმასა მისსა მიქელს მართებს ბეგარა თხუთმეტი თორმეტიანი ღვინო, ერთი კოდი პური, ერთი კოდი ღომი, ერთი კოდი ქერი, სამი ქათამი, საშობაო დედალი და ძღუენი და სამის დღის სეფობა.

სეხნიკა ზარნაძეს და გოჩინიკას მართებს თორმეტი კოკა ღვინო, ორი ფოხალი პური, ორი ფოხალი ქერი, ორი ფოხალი ღომი, სამი ქათამი, საშობაო დედალი და ძღუენი, ათი შაური საკლავი და სამი დღის სეფობა.

კდ მამუკელას და ბერიკელას ზარნაძეს მართებს თორმეტი კოკა ღვინო, ორი ფოხალი პური, ორი ფოხალი ქერი, ორი ფოხალი ღომი, ორი ქათამი, საშობაო დედალი და ძღუენი და სამი დღის სეფობა.

კდ ივანიკა ზარნაძეს და კოჩას მართებს თორმეტი კოკა ღვინო,

ეროვნული ბიბლიოთეკა



ორი ფოხალი პური, ორი ფოხალი ქერი, ორი ფოხალი ღომი, სამი ქათამი, საშობაო დედალი და ძღვენი, ათი შაურის საკლავი და სამი დღის სეფობა.

ესრეთვე მოგელას და ბექიას მართებს; ეგრეთვე ნასყიდას და მის შვილებს მართებს; ესრეთვე გოგიას და მის ძმას დავითს მართებს; ეგრეთვე თამაზა სიხარულაშვილს და მის ძმას მართებს; ესრეთვე გოგილას, მამუკას და თამაზიკას მართებს; ეგრეთვე მახარობელ ჩიტაძეს და მის ძმას ივანიკას მართებს; ესრეთვე თამაზა ჩიტიძეს ხელოსანს და მის ძმას მართებს; ეგრეთვე ოსიშვილს ნიკოლოზს და მის შვილებს მართებს.

კდ აბესაძე (sic) მახარიკს მართებს შვიდი კოკა ღვინო, ერთი ფოხალი პური, ერთი ფოხალი ქერი, ერთი ფოხალი ღომი, ორი ქათამი, სამი დღის სეფობა.

კდ ნიკოლოზა ზარნაძეს და მის ძმას ივანიკას მართებს ხუთი კოკა ღვინო, ორი ფოხალი პური, ორი ფოხალი ქერი, ორი ფოხალი ღომი, ორი ქათამი, საშობაო დედალი და ძღუენი.

სვიმონიკა ზარნაძეს და მის შვილებს მართებს ხუთი კოკა ღვინო, ორი ფოხალი პური, ორი ფოხალი ქერი, ორი ფოხალი ღომი, სამი ქათამი, საშობაო დედალი და ძღუენი, ათი შაურის საკლავი და სამი დღის სეფობა.

სოფრომაძის პარტახს მართებს თორმეტი კოკა ღვინო, ორი ფოხალი პური, ორი ფოხალი ღომი, ორი ქათამი, ათი შაურის საკლავი და სამი დღის სეფობა.

ტელეფაში ბებიაშვილს ივანიკას მართებს ოცი თორმეტიანი ღვინო, ერთი კოდი ღომი, ერთი საკლავი.

იქავ ზარნაძეს ივანიკას და ოდენიკას მართებს ცხრა რუბი თეთრი თითოს, ორი ფოხალი პური, ორი ფოხალი ქერი, ორი ფოხალი ღომი, ორი ქათამი.

იქავ ცხიფურიშვილებს (აქ ცარიელი ადგილია დატოვებული).

კაციელას და მის შვილებს, კუალად დავითელას და მის შვილებს, მამუკელას და მის შვილებს, გოგიტელა და მისი ძმა ბასილიკა და ობოლი ხახუტელა, კუალად მამუკელას და მის შვილებს, ესე ოთხი ახალი მოსახლენი არიან და ჯერეთ ხუთს მარჩილს იხდიან და შემდგომ თქუენმა სიწმიდემ განაგოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა



მწუხარელაში ზარნაძე ხახუტელა, მამუკელა, ბეჟიელა და გოგიტელაშვილი მართებს ცხრა კოკა ღვინო, ორი ფოხალი პური, ორი ფოხალი ქერი, ორი ფოხალი ღომი, ორი ქათამი.

საზაზოს აბესაძე სეხნიკას და ხუცეს ხარიტონს მართებს ბეგარა ერთი ოქრო.

იქავ საზანოს ქებაძე დათუნიკას და მის შვილებს და მისთა ძმათა მართებს ცხრა კოკა ღვინო, ორი ფოხალი ღომი, ათი შაურის საკლავი, და აგრეთვე მამუკელას მართებს. კდ საზანოს ჭუმბურიძისეული პარტახი.

საქარას ხახუტა ფერაძეს მართებს ოცი კოკა ღვინო, ორი კოდი პური, ერთი კოდი ქერი, ორი კოდი ღომი, ოთხი ქათამი, თოთხმეტი შაურის ხორცი, თოთხმეტი შაური თეთრი და როგორც ამ ხახუტას მართებს ბეგარა, ეგრეთვე მის სახლის კაცებს თითოეულად.

ბოსლევს ორი პარტახი წითაძისეული და ამაზედ სახლობს ფერაძე ნონია და მართებს ბეგარა ერთი ოქრო.

ღოდორას სტეფნაძენი თავისის ადგილმამულით და ბეგრით; გოგს გაბრიჭიძე დალაქისშვილი გოგიტელა და დათუნიკა; მართებს ამათ ცხრა კოკა ღვინო, მარჩილის საკლავი და ორი ქათამი.

ვაშლარას ორი გლეხი არაბიძენი, გოგიტელა და სვიმონიკა მათის ბეგრით; საწირეს ცქიფურიშვილები ხახუტა და მისი შვილები. ამათ მართებს ბეგარა ორი ფოხალი ღომი, ორი კოკა ღვინო და ოცი ფარა თეთრი; ესეთვე მჭედელს ნასყიდას მართებს და მის შვილებს; ეგრეთვე სიმონიკას და მის ძმებს მართებს; ესრეთვე დიაკონაშვილს გოგიას და პეტრეს მართებს; ეგრეთვე ნასყიდას და მის შვილს..., სულიაშვილს და მათს შვილებს..., პატიას და მის ძმებს მართებს. მათი სახლისკაცი დათუკა და ღომინა, ამათ მართებს ბეგარა რვა თორმეტიანი ღვინო, ორი რუბი თეთრი, ერთი კოდი ღომი და ორი ქათამი.

ოჯოლას ღომსაბერიძეებს, ხუთი კუამლს კაცს, პაატას, ნასყიდას, დათუკას და მამუკელას და ამას გარდა ერთი პარტახია. ამათ მართებს თითო ფრული (sic) თეთრი.

რიონს მორჩაძე ხახუტა მისის ადგილმამულით და ბეგრით.

ქუთათისს წ~ის ნიკოლაოსის ეკკლესია გუმბათიანი და მუნ სახ-

ლებულა ოთხი კუამლი კაცი; კ̃დ ბაბუნაშვილი ხახუტა მათის ბეგრით და ბაჟით: კ̃დ ცხადაბერიძე მახარობელა და მისი ბიძაშვილები, ამას მართებს ბეგარა ერთი ლიტრა სანთელი და ჩარექი საკმეველი.

კდ ფილორცსა და გალავანს შუა კოსტატაძისაგან გამოყიდული ვენახი და გარდამა ქანეთი. გეგუთს ხაჭიპერაძეს მახარობელას მართებს ბეგარა, ურმეული ღომი, ერთი საპალნე ღვინო, მარჩილის კორცი, ოთხი ქათამი. დათუნა ხონელს მართებს ბეგარა, ერთი კოდი ღომი, სამი თორმეტიანი ღვინო, რუბი თეთრი. ხოჯავას სვიმონიკას მართებს ბეგარა, ხუთი თორმეტიანი ღვინო, ათი შაური თეთრი და აგრევე მის სახლისკაცებს მამისთუალას, ნიკოლოზას და მხიარულას მართებს ბეგარა. პატრიკეთს ვაჩიბერაძეს ზაქარიას და მის შვილებს მართებს ბეგარა, ურმეული ღომი ოცი კოკა ცალი ღვინო მათი საწყავით და შვიდი შაური თეთრი. ქუტირს ლომსაბერიძე ივანიკას მართებს ბეგარა, ერთი მარჩილი თეთრი და ერთი პარტახია იქ და აგრევე მარჩილი იმას მართებს. ფარცხანაყანევს თევდორაძეს მამისთვალა ხელოსანს და მის ძმებს მართებს ბეგარა ათი მენახევრე ღვინო, ათი ფოხალი ღომი, ოთხი ქათამი, ერთი რუბი თეთრი და როგორც ამას მართებს, ეგრეთვე სხუათაცა თევდორაძეებს ასე მართებს. სანავარდოს ჭილაძისაგან შეწირული თავხელიძე ჟოჟუელა, ხელოსანი ანდრიელა და მისი ძმა ივანიკა და გაბრიელა, ორი გლეხი მჟავია, მესხისშვილი ნიკოლოზა. ნაფალაურს ჭიქაშუა ხუცესი გაბრიელა, გოგუაძე ივანიკა, ჭკადიშვილი ხუხუელა თავისი ძმებით და სახლისკაცით. ილორს მესხისშვილი ბუქუელა და მისი ძმისწულები ჯანჯარია, ივანიკა. გუგუნაყარს მიქელა ბოხუა. ეს ყლნი თავისის ბეგრით, ხადილითა და სამსახურითა. ტყვირს ჩაგანაველები თავეანთის ბეგრითა და სამსახურითა და ყოველსა წელსა რლიც ლთან მ.სცეს და ზუთხი დაიჭიროს, ჯუარისმამას ნახევარს მიართმიდეს, და ერთი გლეხი მესალობეა, მარჩილის მეტი არა ეთხოვება რა. და ამისა შემდგომად მეოცისთავე შემოწირულნი გლეხნი არიან, ერთი გურნას, ერთი ხონს, ერთი იანეთს, ერთი გეგუთს. ესე ყლნი იძლუენ უცილებლად ყოველთა კაცთა მიერ თვისითა შესავალითა და გამოსავალითა... არა რა ეთხოვებოდეს, არცა საური, არცა საუდიერო და არცა სხუა რამე მსახურებაჲ, თვინიერ ლოშ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქრობისა და ნადირობისა... აღიწერა კელითა იეროდიაკონის ნიკოლაოს იობიან გაბაონელისათა, თთუესა ფებერვალსა თ განკორციელებითგან სიტყვისა ღთისა ჩღპზ დასაბამითსა წელსა კსჟე.

**1788 წ.** შეწირულობის წიგნი პაატა წულუკიძისა შვილებითურთ ქელიშის მონასტრის საბუთთაგან № 2, დაწერილია თეთრს ქაღალდზე, ნიშნად ყოველ სიტყვის შემდეგ თითო წერტილია.

ქ:. ეჰა შენ... დედოფალო მღთის მშობელო მჭელისის უდაბნოსაო ქალწულო მარიამ, მე მონა შენი წულუკიძე პაატა და ძე ჩემი გიორგი და მერაბ გკადრებთ მცირესა ძღვენსა შამოწირვად, რამეთუ გულმან ჩემმან მითქვა კეთილისა ამის სულთა და ხორცთა სარგებელისა საქმისა და ჩემდა ცხოვრებისა შესაწევნელად და ძეთა ჩემთა აღსაზრდელად და ორთავე ცხოვრებათა შინა წასამართებლად. შამაგწირე ზემოთლხს (sic) გლეხი გურგენიძე თავათ შენი წინამძღვრის შვილი ზაქარიას ძე ხუცესი გიორგი და მისი ბიძის მარკოზ ბერის შვილები მღდელი სვიმონ და დავით მათის ცოლშვილით ალაგ მამულით.... ყოვლისფერიანათ რისიც მქონებელი იყოს და ან იქნეს, რომ ამას ჩვენგან და არც არას ჩვენის მოხელე კაცისაგან ამათ აღარაფერი ეთხოვებოდეს და სანამდის სული მედგას, ყოველს აღდგომას წინამძღვარი და მისი კრებული ჩემთვის ჟამს სწირებდეს და მათს მთს წმინდასა წირვასა და ლოცვაშიდ ნაწილს დაგვიდებდენ და მოგვიხსენებდენ და რომ მივიცვალო, მას მერმეთ სულის წმინდის შაფათს მიწირებდენ და ცოცხალს დაგვლოცებდენ და მოგვიხსენებდენ, ჩემის სულის სახსრად შამომიწირავს და შეიწირე წმინდაო მღვთისმშობელო მარიამ..... არის გამრიგე ბმისი გოცირიძე თამაზ და მოწამე წულუკიძე სვიმონ, მოურავი გოცირიძე პატა და ბეჟან, ხელოსანი გურგენიძე კაცია, კობახიძე პატია და სხვანი მრავალნი ჩვენი კარის კაცნი აზნაური და გლეხი. დამიწერია მდივანს ლეჟავას ქაიხოსროს და მოწამეც ვარ ამისი. აღიწერა ქორონიკონს ქრისტეს აქეთ ათას შვიდას ოთხმოცდარვას, თვესა იანვარს ცხრამეტს დღესა ოთხშაფათს წინამძღრობასა ზაქარიასასა.

ბეჭდები წარწერით: 1) მონა ღ̃სა წულუკიძე პატა; 2) მონა ღ̃ა ყმა ნეფისა წულუკიძე მერაბ; 3) მონა ღ̃ა ყმა მეფისა წულუკიძე (ასომთ.:) გიორგი.

**1789 წ.** შეწირულობის წიგნი სოლომონ II-ისა, გელათის საბუთთაგან № 2, დაწერილია თეთრს ქაღალდზე. სიგელს სათაურად აქვს მეორე გვერდზე: ბოსლევის დავთარი.

...მე... ტომებით დავითიანმან ს̃დ იმერთა მეფემან მეფეთამან ძემან არჩილისამან მეორემან ახალმან სოლომონ და ერთკორცმან ჩემან დედოფალთ დედოფალმან ასულმან დადიანისამან მარიამ შენ მეოხსა მფარველსა მტკიცესა ზღუდესა და შესავედრებელსა ცხორებისა ჩემისასა წ̃ა ტაძარსა შენ დედისა ღჲსა და მას შ̃ა სახესა დედუფლობისა შენისათა აღმართებულთა ხატთა ხახულისა და გენათისა მღვთის შობელს გკადრეთ კნინო (sic) ჩვენი ესე შესაწირავი ესრეთ. ბოსლევს ჭუმბურიძენი პირველად შენის წმიდის ტაძრის შეწირული ყოფილიყო და სოფლის დაუდგრომელობისაგან საერისკაცოთ გაეხადათ და როდესაც იმერთა მხსნელად ღვთისაგან დიდ სახელოვანი მეფე სოლომონ მოვლენილიყო, სხვა მრავალი ეკკლესიის მამული დაბნეული მოეკრიფა და ეკკლესიებისათვის შეეკრიბა, თავისის სამართლიანის დავთრით წმიდათა ეკლესიათათვის მიეძლვანა და ეს ჭუმბურიძებიც სამართლით ამოეყვანა დიდ სახელოვანს მეფეს და ძმასა მისსა უ̃ფს კათოლიკოსს იოსიბს და პირველი თქვენი შეწირული ყმა ისევ თქვენის წმიდის ტაძრისათვის შეეწირა და ბოსლევს დაესახლებინა და რაღაც რომლისამე ნაკლებლობისათვის იმ დიდს სახელოვანს მეფეს ის ბოსლევის ადგილი დაეტოვებინებია და ის კაცები სხვასა და სხვას ადგილს დაბნეული იყვნენ. და ოდეს ძალმწეობითა შენითა ივერთა მეფობა მივიღეთ, მას ჟამსა შ̃ა გამოვიძიეთ ეს საქმე და წმიდისა ტაძრისა შენისა დაბნეულნი ყმანი მოვიყვანეთ და ისევ რომელსაც ადგილზედ პირველ ბატონისშვილის კათოლიკოსის იოსების ხელშიდ სახლებულიყვნენ, ისევ იქ დავასახლეთ ბოსლევს და შენს წას ტაძრის შევსწირეთ, რომელიც კათოლიკოსის იოსების ხელშიდ მიწა ადგილი, მამული, წყალი, საყანე, სანადირო იმათ შჭიროდა (sic), ისევ თქვენს წმიდას ტაძარს შევსწირეთ ბოსლევს იაშვილის სეულობა, რომელიც ერთს მოსახლეს ჩაფიძეს არ უჭირავს იმას გარდა, სრულებით აქეთ ყვირილას გამოღმა დილიკაულის და საზანოს საზღვარს აქეთ, რომელიც კათოლიკოსის იოსების ხელშიდ შჭირვიათ, იმ საზღვრით თქვენის წმიდის ტაძრისათვის შემიწირავს.----- (წყევა შემშლელთა ზედა)....

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამა წერილისა შეუამდგომელი და მოწამე სარდალი და დიდებული თავადი ჩვენი წერეთელი პაპუნა, სალთუხუცესი წერეთელი ზურაბ, სარდალი წულუკიძე გიორგი და სხვანი კარისა ჩვენისა დიდებულნი დარბაზის ერნი. აღიწერა კელითა ჭიჭინაძის ნიკოლოსისათა წელთა უფლისათა ჩღპთ იანვარს იე.

ბეჭედი ხუც. ასომთავრული წარწერით: მეფე იმერეთისა სოლომონ.

**1789 წ.** შეწირულობის წიგნი მეფის სოლომონ II-ისა გელათის საბუთთაგან № 30 თეთრს ქაღალდზე ზომით 57¼×27 სანტიმ.

ქ:. ...მე მფარველობისა შა შევრდომილი დავითიანი სდ იმერთა მეფეთ მეფე სოლომონ ძე არჩილისა და ერთკორცი ჩემი დიდის მთავრის დადიანის ასული დედუფალთ დედუფალი მარიამ კნინ ოდენსა ამას მსახურებასა ვკადრებ წა ამას ეკკლესიასა შ͞ა გელათს და უპატიოსნესსა სახესა ზ͞ა შენ დედისა ღ͞ა მას შ͞ა აღმართებულთა ხატთა ხახულისა და გელათისა ღვთის მშობელს, ესრეთ რომ დიდ სახელოვანი ქვეყანასა ჩვენსა უშჯულოთა მამადიანთა ძირითურთ აღმომფხვრელი და ქსთვის მრავალგზის სისხლ დათხეული იმერთა მეორე აღმაშენებელი ბატონი ბიძა ჩემი მეფე სოლომონ გარდაიცვალა და ვ͞ა სურველ იყო, საფარველსა შენსა ეგრეთ მიემთხვია და მრავალ მოღვაწე გვამი მისი დაიდვა წ͞ა და დიდებულსა ტაძარსა შ͞ა და მეცა ვინებე კნინ ოდენისა მსახურებისა აღსრულება დიდ სახელოვანისა მის მეფისა, რ͞ა წ͞ა ტაძარსა შ͞ა უკუნისამდე სახელი მისი დაუვიწყებელად იხსენებოდეს და შევსწირე წ͞ა შენსა ეკკლესიას გელათს მთავნს (sic) საყდარს სამი მოსახლე ურია კოკასშვილები და ერთი მოსახლე სომეხი ანდრია მიქელასშვილი. ამ ვაჭრებს დავადევით ბეგრათ, ურიას კოკიას შაბათას შვილს დავადევით თუთხმეტი მარჩილი თეთრი, ლიტრა სამთელი, მეორეს მოსახლეს კოკისშვილს დანიელას დავადევით თუთხმეტი მარჩილი თეთრი და ერთი ლიტრა სამთელი, მესამეს მოსახლეს კოკიას შვილს დავადევით იოსებს რვა მარჩილი თეთრი და ნახევარი ლიტრა სამთელი, ანდრია სომეხს მიქელაშვილს დავადევით ხუთი მარჩილი თეთრი და ნახევარი ლიტრა სამთელი. ეს ორმოცდასამი მარჩილი თეთრი და სამი ლიტრა სამთელი ამ ვაჭრების ბეგარა კგ აპრილს გიორგობას დღეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

გენათელს მიერმთეოდეს. გენათელი იმ ეკკლესის პირვე (sic) დეკანოზს წელის შაბათს ყოველს წელიწადს მეფის სოლომონისათვის მწირველად დაყენებდეს, რომ არას შაბათს წირვა არ გასწყდეს მიცვალებულის მეფისათვის და საწირავათ თითოს წირვაშიდ ოროოს რუბოძებდეს (sic) და რომელიც კანდელაკის საწირავს გარდარჩეს თეთრი ყოველს გიორგობას დღეს თვითან გენათელი თავისის კრებულით მიცვალებულის მეფის სოლომონისათვის ჟამს სწირევდეს, თვითანაც საწირავს მიირთმევდეს და კრებულსაც უბოძებდეს საწირავს გენათელი. სამთელი თითო ჩამოსმული (sic) სანიადაგო კელაპტარი ყოველს წირვასა და ლოცვაზედ აინთებოდეს გაუწყვედლად საფლავზედ. გენათელმან ვაჭრების საქმე გაშინჯოს და თუმც შეიმატონ, ბეგარასაც მოუმატოს. წირვის საქმეც მომატებულის მსგავსად განუწესოს. თუ დაიკლონ, ბეგარაც ისე შეზავებით აალებინოს. ვი´რემდის ის ეკკლესია იყოს, არც ეს განწესება მოიშალოს. ეს ვაჭრები ასე ხელშეუალათ შეგვიწირას, მეფის კარის გამოსავალი არაფერი არ მიადგეს... დარღვევად ნუ ვინ ხელყოფთ, ღვაწლი მრავალი აქვს დადებული ქვეყანასა ამას ჩვენსა სახელოვანსა მას მეფესა და მრავალი ქვეყანა და ვაჭარნი ხრმლითა თვისითა შეუკრებია და დაუტოვებია და თავისდა სასაკუთროოთ ამათ მეტი წილშიდ არ უხვედრებია და ამ ვაჭრებთან კაცს ხელი არ გაქვსთ, საკუთრად იმ სახელოვანს მეფეს მსახურონ ამათ და ამათთა შვილთა და მომავალთა.... (წუევა) ამა წერილის მოწამე სარდალი და დიდებული თავადი ჩვენი წერეთელი პაპუნა, სალთხუცესი წერეთელი ზურაბ, სარდალი წულუკიძე გიორგი და სხვანი კარისა ჩვენისა დიდებულნ (sic) დარბაზის ერნი. აღიწერა ხელითა ქიქინაძის ნიკოლაოსისათა წელთა უფლისათა ჩღპთ დეკემბერს ივ.

ბეჭედი ასომთ.: მეფე იმერეთისა სოლომონ.

**1778—1789 წ.** შეწირულობის წიგნი სარდალ-მოურავის ბერი წულუკიძისა, ხონის საბუთთაგან № 57, თეთრს ქაღალდზე ზომით 31×14 სანტიმ. ნიშნად ყოველ სიტყვის შემდეგ თითო წერტილია.

...ჩვენ... სდ იმერთა მეფისა სარდალ მოურავმან წულუკიძემ ბერმა და სასურველმან ძემან ჩემმან სვიმონ ვინებეთ ტაძრისა შე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნისა მცირედი რამე... შესაწირავი,... შემოგწირეთ სასებისკვრეთ ორი კოდი პური და საზედაშეთ ორი მთელი კოკა ღვინო. სადამდის მე და ძე ჩემი ცოცხალი ვიყოთ,... წლისთავზე მარადის მოგერთმეოდეს.... ყოველს ნოენბერს მოიკითხევდეს შენი დეკანოზი და მოგერთმევა ცხოვრებისა ჩვენისა სადღეგრძელოდ.

ბეჭედი: მონა ღთისა წულუკიძე ბერი.

**1790 წ.** ბექან წულუკიძის შეწირულობის წიგნი, ხონის საბუთთაგან № 48, თეთრს ქაღალდზე ზომით $32^1/_2 \times 11^3/_4$ სანტიმ. ნიშნად ყოველ სიტყვის შემდეგ თითო წერტილია.

ქ ესე საუდაო წიგნი მოგართვით თქვენ ბატონს მთავარეპისკოპოს ჩიჯავაძეს ანტონის მე წულუკიძემ ბექანმა, ასე რომ თქვენის ეკლესიის კაცს ირ.ემაძეს გიორგელა ჯღარკის კაცის სულს ვედავებოდი და მოფიცარი მყავდა გაჩენილი და მომაყენა მოფიცარი საფიცრათ და შევატყვე, რომ მართალს ფიცებენ და აღარ ვაფიცე და მოურიგდი.... ამ საქმეში ამ თქვენს კაცს გიორგელა ირამაძეს. არც მე, არც ჩემა ძმამ და ძმისსწულებმა და არც ჩვენმა კაცმა არ ვედაოთ... ამისი მოწამე და გამრიგე დეკანოზი მიქელ, მღუდელი ქუთათელაძე პასარიონ, ჯვარიმტვირთველი ჩხენკელი ივანე, გოგოლაშვილი ბერი, ადამია ბერი და ერთობით ხონის შემავალი აზნაური და გლეხი და ჩვენი აზნაურიშვილები... ხელითა დეკანოზის შვილის მოურავის ნიკოლოზისათა... მაისს ათორმეტსა... ჩღჟ დღესა ორშაბათსა.

ჯვარი.

**1791 წ.** ეფთვიმე გენათელის ბეგრის გარიგების წიგნი, გელათის საბუთთაგან № 15, თეთრს ქაღალდზე ზომით $39 \times 30^1/_2$ სანტიმ.

ქ. წყალობითა ღვთისათა ჩვენ ყოვლად სამღვდელომ გაენათელ მიტროპოლიტმან ეფთვიმი ესე საუკუნოდ შეუშლელი წიგნი დავდევი წმინდას ამას გელათის ეკლესიასა შინა, ესრეთ და ესე ვითარად რომ ამ ეკლესიის გელათის მკვიდრის ყმას სიმონეთს მოსახლის ივანე კლდიაშვილის შვილს ბასილა კლდიაშვილს ვალები

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასდებოდა და გარდახდა თავის თავით ველარ შეეძლო და ჩვენ შემოგვეხვეწა და რომელიც ვალი დასდებოდა, ჩვენ გარდავიხადეთ და ამისდა ნაცვალად თვითან თავის ნებითაც ინება და ჩვენც განუწესეთ და დავადევით ყოველს წელიწადს, სანამ ამისი მომავალი იქმნეს, ბატონისშვილის კათოლიკოზის იოსების მიცვალების დღეს ცამეტს მაისს ხუთის რუბის ცხვარს გელათს მოიყვანდეს და გელათის დეკანოზს მოგვრიდეს და გელათის დეკანოზი თვითან იმ დღეს ცამეტს მაისს ბატონისშვილის კათოლიკოზის იოსებისათვის სწირევდეს და პანაშვიდს გარდეხდიდეს და კიდევ ისევ კლდიაშვილი კეთილობაზედ და პურის მოსვლის დროზედ ორს კოდს პურს გელათს სასებისკვრეთ მოიტანდეს და გენათელს მოერთმეოდეს. ამ სახსრის მაგიერი ბეგარა ეს დაგვიდს და განგვიწესებია. სანამდის მისი ნათესავი სოფელსა ამას შინა იმყოფებოდეს, არც ეს ბეგარა მოეშლებოდეს, ვიდრე დასასრულადმდე სოფლისა ეს ორი კოდი პური და ეს ხუთი რუბის ცხვარი.... არ მოიშლებოდეს. აწ არის ამა წერილის მოწამე მოხელე ჩვენი კანდელაკი გოგია, მოურავი კლდიაშვილი ბერი და მისი ბიძაშვილი დათიკა და სიმონეთის დეკანოზი ჭუმბურიძე მღვდელი გიორგი. ˈდაიწერა ხელითა ჩემის არხიდიაკვნის იოსელიანის დავით ბერისათა. მაისს იბ ქ̃ს აქეთ ჩღჟა. ....

ბეჭედი: გენათელი მიტროპოლიტი (ასომთავ.:) ეფთვიმი.

**1791 წ.** სოლომონ II-ის წყალობის წიგნი, მიცემული გულქან დედოფლისადმი. დაცულია ბიჭვინტის საბუთებში № 88.

ქ. წყალობითა ყდ უბიწოსა დედოფლისა ღთისმშობელისა მარიამისათა ჩუენ ღთივ კურთხევით ამაღლებულმან მეფემან სდ იმერთამან მეორემან სოლომონ ძემან არჩილისამან ესე მტკიცე და შეუცვალებელი წყალობის წიგნი მოგეცით თქუენ დედოფალს წულიკიძის ასულს გულქანს, ასე რომ ეს გიორგი ალფაიძე პირველად ბატონის ბიძიჩემის მეფე სოლომონისაგან მოცემული გყოლოდათ სათავისთაოდ. ახლა ჩვენ გვევედრეთ და გვთხოვე, ვისმინეთ თქვენი ვედრება და მოგეცით თავისი შვილით და მომავალით, ოჯახით და რისაც მქონებელი იყოს ყოვლითურთ. ამაშიდ სხვას კაცს ხელი არავის აქვს და აღარც საზნეურშვილოდ გახდეს და ხატისა და ეკლე-

სიის რაც ბეგარა მართებოდეს, დაუკლებელად მსახურონ და ჩემთვის გიორგობას დღეს წელიწადშიდ ყოველთვის ერთჯერ აწირვინოს და თემსაც დაალოცვინოს ჩვენი მეფობა. სხვა ჩვენგან გარდასახადი არც ბეგარა და არც საუდიერო ამის კარზედ არა მისდგეს რა, სანამდი ცოცხალი იყოთ, თქვენ გახლდეს და გმსახუროსთ, მერმეთ ისევ სამეფოთ იქმნეს ეს ალფაიძე. არ მოიშალოს ეს სიგელი არცა ჩვენგან და არც სხვათა ჩუნთა (sic) შემდგომთა მეფეთა და მეპატრონეთაგან. არის ამისი მოწამე და შუამდგომელი კარისა ჩუნისა სახლთუხუცესი წერეთელი ზურაბ, სარდალ მოურავი წულუკიძე გიორგი, მოლარეთუხუცესი წერეთელი გიორგი, წერეთელი ქველი, მოურავი მდივანი ბუჭუა, ჩვენი მესტუმრე საყვარელიძე დავით და სხვანი დარბაისელნი და გამგენი კარისა ჩუენისანი. მე მთავარ დიაკონს ამაშუკელს ბესარიონს დამიწერია და მოწამეცა ვარ ამისი. აღიწერა აგვისტოსს ე ქ~ს აქეთ წელსა ჩლჟა.

ბეჭდები ასომთავ.: მეფე იმერეთისა სოლომონ, მეფისძე კოსტანტინე, დედოფალი მარიამ.

ქ სრულიად იმერთა დედოფალი მარიამ ვამტკიცებ ნებითა ღვთისათა წიგნსა ამას.

ჩვენ საიმერეთოსა უფლისწული ბატონიშვილი კოსტანტინე ვამტკიცებ წიგნსა ამას:

ჯვარი.

განზ.: ქ ჩვენ ყდ სამღუდელო ქუთათელ მიტროპოლიტი დოსითეოს ჩვენის კელმწიფის მეფის ბრძანებას ჩვენცა ვამტკიცებთ.

ბეჭედი.

ქ ჩვენ ყდ სამღვდელო გაენათელ მიტროპოლიტი ეფთვიმი ჩვენის კემწიფის მეფის ბრძანებას ჩვენც ვამტკიცებთ.

ბეჭედი.

ქ ჩვენ სარდალ წერეთელი ქაიხოსრო ჩვენის ხელმწიფის მეფის სოლომნის ბრძანებას ვემოწმები და კიდეც ვამტკიცებ.

ბეჭედი ასომთ.: სარდ~ლ წ~რთ~ლი ქიხო~სრო.

ქ ჩვენ მეღვინეთუხუცესი წერეთელი სიმონ ჩვენის ხელმწიფის მეფის სოლომონის ბრძანებას ჩვენც ვემოწმებით და კიდეც ვამტკიცებთ.

ბეჭედი: მონა ღ~სა ყმა მეფისა წერეთელი სმნ.

**1792 წ.** შეწირულობის წიგნი სარდლის გიორგი წულუკიძისა ნიკორწმინდის ტაძრის საბუთთაგან № 18, თეთრს ქაღალდზე დ. წერილი. ნიშნები არ არის.

ქ. უწარჩინებულესო და ყოვლისა სოფლის მნათობო, დიდო და წარჩინებულო მწყემსო და მძლავრო ყოვლისა სოფლისაო, უსაკვირველესო მამაო წმიდაო ნიკოლოს, რომელმან სასწაულთა საკვირველთა მოქმედებითა აღავსენა ზღვანი და ხმელნი, მეცა მინდობილმან და მსასოებელმან უსაკვირველესთა მადლთა შენთამან და შეწევნითა მადლთა შენთათა დაცულმან, ივერიისა სარდალმან წულუკიძემ გიორგიმ და თანამეცხედრეულმან და ერთკორცმან ჩემმან მიქელაძის ასულმან ელენე, პირმშომან ძემან ჩემმან დავით და მერაბ გკადრეთ მცირედი და კნინ ოდენი ესე მსახურება ტაძარსა შენსა, სახელსა მღვდელთ მთავრობისა შენისასა აღმართებულსა ნიკოლაოსწმიდას ესე ვითარად, რომ განვიხილე და გამოვიძიე და ვსცან ტაძარი შენი მოსამსახურე ვაჭართაგან მოკლებულიყო და არას ადგილისაგან საკმეველი არ მიერთმეოდა და რომელიც ძალ მედვა, ვინებე ნაკლულევანისა ამის აღვსებ და შევსწირე ჩემის თეთრი (sic) ნაშოვნი და ნახსარი მოსახლე ერთი ურია მიხაელას შვილი შალომა თავისის ცოლშვილით და თავისის ყოფით რომლისაც მქონებელი არის და განუწესეთ ესრეთ. ვ დეკემბერს წმიდის ნიკოლაოსის დღესასწაულზედ თვითო ლიტრას საკმეველს წმიდის ნიკოლაოსისს (sic) ეკკლესიას ყოველს წელიწადს მოართმევდეს და თუმც მომრავლდეს და სხვა და სხვა გლეხათ გაიყონ, თითო თითო გლეხი პირველისა განწესებისამებრ მიართმევდეს და სხვა როგორათაც შემძლებელი იყოს, ნიკოლაოსწმიდელი ხელის შეწყობით იმსახურებდეს, იმ ეკკლესის მღვდელმთავარი, დეკანოზი და სამღდელონი კრებულნი დაუვიწყებელად მოხსენებასა ჩემსა ყოფდნენ, ვიდრემდის ეკლესია იგი იმყოფებოდეს.... ამა წერილსა მოწამე სალთხუცესი წერეთელი ზურაბ და სხვანი ერთობით მეფის კარისა დიდებულნი დარბაზის ერნი. აღიწერა ხელითა ჭიჭინაძის ნიკოლაოსისათა წელთა უფლისათ ჩღჟბ ივნისს ა.

ბეჭდები: წულუკიძე გ~ი; წულუკიძე დავით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**1792 წ.** წყალობის წიგნი სოლომონ II-ისა, ქუთაისის ტაძრის საბუთებში № 41 დაცული, თეთრს ქაღალდზე ზომით $30^{1}/_{2} \times 23^{1}/_{2}$ სანტიმ. ნიშნად იშვიათად იხმარება თითო წერტილი.

...სდ იმერთა მეფემან მეფეთამან ძემან არჩილისამან სოლომონ დავითიანმან და ერთკორცმან ჩემმან დედუფალთ დედუფალმან დადიანის ასულმან მარიამ ესე.... წყალობის წიგნი გიბოძე შენ მღვდელს ფორჩხიძეს იოვანეს და ძმასა შენსა გიორგის, ესე ვითარად რომე მათს უმაღლესობას დიდებულს მეფეს სოლომონს და მეცხედრესა მისსა დედუფალს მარიამს ცოლშვილით თათრისაგან დაეხსენი და ბარს საკათოლიკოზო მიწაზედ ესახლე. კათოლიკოზის ბესარიონის წერილიც ეკლესის ყმობას გიცხადებდა. ღროთა და ჟამთა მიმოკვეთებისაგან აზნაურისშვილს თავის საყმოთ განესაკუთრე. ოდეს... მეფობა მივიღე, გამოწვლილვით გამოვიძიე და ვსცან, მიწა ეკლესის ყოფილიყო, დახსნილი თათრისაგან პირველ ხსენებულის მეფის და დედუფლისაგან ხარ ცოლშვილით და მეც კათოლიკოსის წერილით დამიმტკიცებია შენშიდ, შენს ცოლსა და შვილშიდ, შენს მიწა ადგილსა და მამულშიდ და სახლსა და კარშიდ... საუკუნოდ აზნაურისშვილს, თავადს, თვინიერ მეფისა და ეკკლესისა,... ხელი არა ქონდეს... მოწამე და შუამდგომელი ამისი სალთუხუცესი წერეთელი ზურაბ და სხვანი ერთობით კარისა ჩემისა დიდებულნი დარბაზის ერნი. აღიწერა კელითა ქიჭინაძის ნიკოლაოსისათა წელთა უფლისათა ჩღჟბ ოკნდომბერს (sic) ვ.

ბეჭედი.

**1793 წ.** მანუჩარ ყიფიანის შეწირულობის წიგნი ნიკორწმინდის ტაძრის საბუთთაგან № 4, თეთრს ქაღალდზე დაწერილი. სათაურად აქვს: შიშინაშვილის დავთარი.

...(ვინებეთ)... ჩვენ ყიფიანმან მანუჩარ და ერთხორცმან ჩემმან მესხის ასულმან ანნამ და სასურველმან ძმამან ჩემმან კაცომ და შამოგწირე ტოლას გლეხი შიშინაშვილი თამაზიკა, ნასიკელა და სვიმონიკა მათის ცოლშვილით, სახლკარით ....აწ ეს განწესება დავგვიძს, სანამ სული გვედგას ფერის ცვალებას და მერმეთ რომ ამიერ სოფლით მივიცვალოთ ალების შაფათს ჩვენთვის ერთს ჟამს

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვწირევდენ და ცოცხალს დაგვლოცევდენ და მათს წმიდას წირვაში ნაწილს დაგვიდებდენ და მოგვიხსენებდენ:. (წყევა)....

ქ. კაცთაგან მოწამე და გამრიგე საქმისა ამის არის გიორგი ბუში და ყიფიანი ბეჟან და გელია, ხელოსანი ლომთაძე გოგელიტა და შოშინიკი ლომთაძე. აღიწერა წიგნი ესე ხელითა წულუკიძის ხუცის მდივნის გურგენიძის მღდლის გიორგისათა ქორანიკონს ქრისტეს აქეთ ათას შვიდას ოთხმოცდაცამეტს წინამძღრობასა ზაქარიასასა თვესა იანვარსა ოცდახუთსა დღესა სამშაბათსა ნებითა ღვთისათა და შეწევნითა წმიდისა ღ̃ვთისმშობელისა და მარადის ქალწულისა მარიამისათა.

ორი ჯვარი.

განზე: ჩვენ ყ̃დ უსამღვდელოესი ნიკოლაოწმიდელ არხიერი სოფრონ ვამტკიცებ წიგნსა ამას და დამარღვეველსა ამისსა ვსწყევ და შევაჩვენებ:

ბეჭედი: ყდ სამღვდელო ნკზწმიდელი არხიეპ̃ზი (ასომთ.:) სოფრონიოს.

**1793 წ.** შეწირულობის წიგნი სოლომონ II-ისა, ნიკორწმინდის ტაძრის საბუთთაგან № 1, თეთრს ქაღალდზე დაწერილი.

ქ.: შენ წაო და ყ̃დ მოწყალეო დედუფალო ზეცისა და ქვეყანისაო, სასოო და მეოხო, მცველო და მფარველო სულისა და ხორცისა ჩვენისაო, მინდობილმან სასოებისა შენისამან ს̃დ იმერთა მეფემან მეფეთამან ძემან არჩილისამან მეორემან სოლომონ და თანა ერთხორცმან ჩემან დედუფალთ დედუფალმან დადიანის ასულმან მარიამ ესე ამიერიდგან უკ̃ე უცვალადო წიგნი მოგართვით თქვენ ჭელიშის უდაბნოს წმინდის მღვთის მშობლის ეკლესიას და თქვენს წინაშე მდგომელს ბერებს ზაქარიას და სხვათა სამღვდელოებთა და შამოგწირეთ მცირე ესე შესაწირავი მშხივანის ერთი მოსახლე კაცი სუთიძე ზალიკი, მისი ძმისწულები წყალობიკი და ბასილიკი მათის ცოლშვილით, სახლკარით...... და არაოდეს ამ ჩვენს შამოწირულს გლეხს არც ჩვენგან და არც შემდგომთა ჩვენთა მეპატრონეთაგან არც საური, არც საუდიერო, არც ღომი, არც პური, არც ღვინო, არც ხორცი, არაფერი ჩვენი სათხოვარი არ ეთხოვებოდეს, ისე

ყოვლის კაცის უცილებლად შემოგვიწირავს.... რომელიც მწირველი ჴელიშის უდაბნოშიდ იქმნეს, წელიწადში სულთაობას ერთობით დედაჩემს ბატონისშვილს საქართველოს მეფის ასულს ელენეს უწირებდეთ და ჩვენც მოგვიხსენებდეთ და უკეთუ ვინმე იკადროს და ხელყოს შლად (წყევა).... აწ იქმნა მოწამედ ამისა ერთგულებითა კარისა ჩვენისა გამრიგე სახლთხუცესი წერეთელი ზურაბ, წულუკიძე გიორგი, სარდალი წერეთელი ქაიხოსრო, მოლარეთუხუცესი წერეთელი გიორგი, მაჩაბელი ზურაბ, მდივანი ბუჭუა, მოძღვარი სვიმონ აღიწერა ხელითა მეფის კარის მღვდლის გრიგოლაშვილის იესესითა ქკნს ქეს აქეთ ჩღჟგ თვესა მაისსა კ.

ბეჭედი ასომთ.: მეფე იმერეთისა სოლომონ.

ჩვენ ყ~დ სამღუდელო ქუთათელ მიტროპოლიტი დოსითეოს ვამტკიცებ წერილსა ამას და შლად კელმყოფსა ამისსა ვსწყევ და შევაჩვენებ ზეგარდმოსა მადლითა და მათ მაგიერად მათ მიერ ჩვენდამო მოცემულითა კელმწიფებითა:.

ბეჭედი: ყდ სამღვდელო ქუთათელ მიტროპოლიტი (ასომთ.:) დოსითეოს.

**1793 წ.** მარიამ დედოფლის შეწირულობის წიგნი, ქუთაისის ტაძრის საბუთთაგან № 4, თეთრს ქაღალდზე ზომით $42 \times 30^{3}/_{4}$ სანტიმ. ნიშნად ყოველ სიტყვის შემდეგ თითო წერტილია.

...ჩვენ... სდ იმერთა დედოფალთ დედოფალმან დადიანის ასულმან მარიამ... შემოგწირე ქუთათისა ღმთისმშობელსა ერთი კაცი თევდორაძე ზაქარია ცოლით და შვილით..., ასე რომ კურთხეულს მამიდაჩემს დედოფალს მარიამს პატარა ბიჭი ქუთაისის ციხიდგან თათრისაგან დახსნა (sic) და მისის მეახლის მარგალიტისასათვის ებოძებინა და იმას გაეზარდა. ოდეს ღმერთმან ინება და იმერეთის დედოფლად მყო, ეს მამიდა ჩემის ნამსახური მეახლე მარგალიტისა გელათს დასდგა და ეს ბიჭი მე მომართვა და მე თქვენთვის შემომიწირავს. შეიწირე შენ წმინდაო ღვთისმშობელო მარიამ (ქუთაისისათ)..... ამის გამრიგე და მოწამე სახლთუხუცესი წერეთელი ზურაბ, ბოქაულთუხუცესი წერეთელი ვახუშტი, ნიჟარაძე კაცია, მეფის კარის დეკანოზი იმხნელი მღვდელი სვიმონ, წულუკიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

კაცია. დაიწერა... ჩღჟგ... კელითა იშხნელის გრიგოლისათა თვესა ივნისსა კგ.

ბეჭედი: დედოფალი მარიამ.

განზე პირველ გვერდზე: ქ სდ იმერთა მეფე მეორე სოლომონ ძე არჩილისა ვამტკიცებ...

ბეჭედი ასომთ.: მეფე იმერეთისა სოლომონ.

**1794 წ.** შეწირულობის წიგნი სოლომონ II-ისა, ნიკორწმინდის საბუთთაგან № 6 თეთრს ქაღალდზე.

....სდ ამერთა მეფემან მეფეთამან პანკრატოანმან ძემან არჩილისამან მეორემან სოლომონ დავითიანმან და ერთხორცმან ჩემმან დედოფალთ დედოფალმან დადიანის ასულმან მარიამ ვკადრეთ მწვლილებრივი ესე მსახურება წ̃ასა ტაძარსა შენსა ნიკოლაოზ წმინდის და მას შინა აღმართებულთა და დადგინებულთა ყ̃დ სამღვდელოთა მიტროპოლიტთა სოფრონიოს, ესრეთ და ესე ვითარად რომ ბუგოულს ადგილი, მამული და მოსახლენი კაცნი პირველთაც წმინდის ნიკოლაოზის შეწირული ყოფილიყო და ახლა ყოვლად სამღვდელო ნიკოლაოზ წმინდელი წულუკიძე სოფრომ გვევედრა შეწირულობის განახლებას, განვაახლეთ და შამოგწირეთ ბუგოულს მამული და ადგილი. არას კაცს ხელი არა აქვს არც რა მიზეზი, ისრე უსადეო და უცილებელი. ხუცესი მჭელიძე პეტრე კვამლი ერთი, იმედაძე მამუკა კვამლი ერთი, აბუთიძე კვამლი ერთი, აბანოეთს დათუა დვალი კვამლი ერთი, მისი განაყოფი კაცია დვალი კომლი ერთი, პაპუნა დვლისშვილები მათის ცოლშვილით, სახლკარითა, ტყითა, ყანითა, ვენახითა, საწისქვილოთა, სასაფლაოთა, მათის სამართლიანის საზღვრითა და რისაც მქონებელნი იყვნენ, საძებრითა და უძებრითა. შეიწირე წაო ნიკოლაოზ..... მსახურებისა ამის ჩვენისა მოწამედ ერთგულებით კარისა ჩვენისა განმგე სახლთუხუცესი წერეთელი ზურაბ, წულუკიძე გიორგი, ბოქაულთუხუცესი წერეთელი ვახუშტი, მისი ძმა მოლარეთუხუცესი წერეთელი გ̃ი და ერთობით კარისა ჩნისა დარბაისერნი. აღიწერა კელითა მეფის კარის მღვდლის გრიგოლაშვილის იესესითა ქკნს ქს აქეთ ჩღჟდ თვესა აპრილსა კ.

ბეჭედი ასომთ.: მეფე იმერეთისა სოლომონ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განზე ამტკიცებენ ქუთათელი მიტროპოლიტი დოსითეოს და გენათელი მიტროპოლიტი ევთჳმი (ბეჭდები).

**1794 წ.** წყალობის წიგნი სოლომონ II-ისა, ხონის ტაძრის საბუთთაგან № 16, თეთრს ქაღალდზე.

ქ. ესე მტკიცე წყალობის წიგნი გიბოძე მე სდ იმერთა მეფემან მეფეთამან ძემან არჩილისამან სოლომონ დავითიანმან შენ სანაძეს სიმონიკას, გოგიას და კიკოლას, ესე ვითარად რომ პირველითგან ხონის წმიდის გიორგის კაცი ყოფილიყავით და ახლა ერთგულად მსახურებისა შენისათვის მეც წყალობა გიყავი, ასე რომ თუ გიმსახურო მე, თორემ წმიდის გიორგის ტაძრის მეტს სხვა კაცს თქვენზედ საბატონყმოთ ხელი არ ქონდეს... ხელითა ქიქინაძის ნიკოლოზისათა წელთა უფლისათა ჩღჟდ დეკემბერს ე.

ბეჭედი ასომთ.: მეფე იმერეთისა სოლომონ.

**1795 წ.** ნიკოლოზ ყიფიანის შეწირულობის წიგნი ქელიშის უდაბნოს საბუთთაგან № 5, თეთრს ქაღალდზე. საბუთს სათაურად აქვს: ტყეშელაშვილის დავთარი.

..... ეს მტკიცედ შეუცვალებელი, საბოლოვოთ გასათავებელი წიგნი მომიცემია მე ყიფიანს ნიკოლოზს და მეუღლე მისმან გელოვანის ასულმან ფარანგ და ძემან მათმან ლევან და ბეჟან თქვენ, ქელიშ უდაბნოში მსხვერპლის შემწირველნო, ასე და ამა პირსა ზედან რომ ღვთისმშობელს გლეხი შემოვსწირეთ და თქვენ ოცი მარჩილი თეთრი მომართვით და ღვთისმშობლობას მორეთ (sic) მოსვლამდის წირვა დაიდევით და მესე (sic) ხიტულიკი ტყეშელაშვილი შემომიწირავს მისი ცოლიან შვილიანათ, ალაგმამულიანათ. არის კაცთაგან ამის გმრიგე და მოწამე ბერი სურლულიძე ნიკოლოზ. რამაც ძემან კაცისამან ეს შეშალოს, ისიმც შეიშლება რჯულის ქრისტიანობისაგან და მასამც შედების შიშთვილი იუდასი. მეფობას მეორე სოლომონისას ქრონიკონს ჩღჟე აღიწერა წიგნი ესე თვესა მარტს თ.

სამი ჯვარი.

განზე: ჩვენ ყ́დ სამღვდელო ნიკოლოოს წმიდელ არხიერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოფრონიოს ვამტკიცებ წიგნსა ამას და მომშლელსა ვსწყევ და შევაჩვენებ.

ბეჭედი: ყდ სამღვდელო ნკზწმიდელი არხიეპ̃ზი (ასომთ.:) სოფრონიოს.

**1795 წ.** შეწირულობის წიგნი მარიამ დედოფლისა გელათის საბუთთაგან № 7, თეთრს ქაღალდზე. ნიშნად იშვიათად სიტყვის შემდეგ წერტილია. სათაურად სიგელს აქვს: რაჭას დავლიანიძის შეწირულობისა.

.....ვინადგან მის მიერ მეფობენ მეფენი და ვინადგან მისგან მიიღებენ წიალსა დედოფლობისასა ასულნი და მისგან მიიწევიან საზომსა ცხოვრებისა და ცხოვნებისასა ნათესავნი ქრისტიანეთანი და ამისთვის მეცა ვიგულსმოდგინე და ვიმოსწრაფე შეწირვა ძღვნისა ჟამსა დაჭირვებისასა. ვინადგან მის მიერ ბოძებული და თანშეუღლვილი კელმწიფე ჩემი მეფე იმერეთისა ახალი სოლომონ სიცხისა მიერ სნეულებისა შესუსტებული ვ̃ე სიკვდილად მიწევნილი განიხილა გონებამან ჩემმან, მსწრაფლ მივმართე სასოსა ჩვენსა ღვთისმშობელსა მარიამს და ცრემლით შევსწირე სავედრებელი სიტყვა და აღუთქვი მსახურება ღვთის მშობესა (sic) გელათისასა და ისმინა მწუხარებით ვედრება ჩემი და მომცა რაცა ვსთხოვე და განათავისუფლა კელმწიფე ჩემი მეფე და მაშინ აღუთქვი, სადაცა ვპოო პირველიდგანვე ეკლესიისა მისისა გელათისა შეწირული ყმა, შეძლებისაებრ ჩემისა ვიმეცადინო კდვე მიძღვანვა მისი. ამისთვის ღვთისმშობელსა მარიამის მიერ ყ̃ისა იმერეთისა დედუფლად დადგინებულმან დედუფალთა დედუფალმან დიდისა და სახელოვანისა დადიანისა კაციას ასულმან დედუფალმან მარიამმან მოვიხსენე პირველი შეწუხება ქმრისა ჩემისა და მეფისა და ამისთვის ჟამთა ცვალებისაგან პირველ გელათის ღვთისმშობლის ყმა ყოფილი დავლიანიძე ამ ჟამებშიდ მისმა უმაღლესობამ მეფემ თავისს აზნაურს მისცა და მე რომ ვსცანი ღვთისმშობლის ყმობა, მოვახსენე მისს უმაღლესობას და სინანულით ნება დამრთო და მრავლის ჟამიდგან დაკარგული ავიღე და შენვე შევწირე ღვთისმშობელო გელათისაო, სასოო მეფეთაო, შესავედრებელო დედოფალთაო, ქალწულო მარიამ. შემოგწირე შენი შენ-

დავე დავლიანიძე დავით, მისი ძმა ნასხიდა და ნინია თავის ცოლშვილით, სახლკარით, ადგილმამულით, ტყით, წყლით, შესავალ გამოსავალით, საძებრითა და უძებრითა და ყოვლისავეს ქონებით. შეიწირე ღვთის მშობელო...... მომხედე, რ̃ არა განამწარო დღე ჩემი ქმრისა ჩემისაგან მოცილებითა, რ̃ იხსნა კელმწიფე ჩემი ჭირისაგან და განსაცდელისა და რ̃ა იხსნე მტერისაგან, რომელნი ერჩიან ქრისტიანეთა, დაგვიცევ ქალწულო მრჩობლსავე შ̃ა ცხოვრებისა ამინ...... თუ მეფე იქმნას (გამომწირველი), დაემხოს მეფობისაგან თვისისა... უკეთუ პატრიარხი ანუ მღვდელმთავარი.... დედუფალმან... უკეთუ უფლისწულმან ინებოს, ნუ ოდეს ალვალს საუფლოსა კარისხსა, უკეთუ სარდალმან ინებოს, სადაცა სარდლობს დაეცეს უწყალოდ..... შენი სასწაულთმოქმედება გამოაცხადე, ვინადგან მე მხევალმან შენმან შემოგწირე ჩვენდა სიცოცხლედ და მეფის სოლომონის განსაძლიერებლად აწ და საუკუნეთა ამინ. აღიწერა კელითა მისის უგანათლებულესობის დადიანის გრიგოლის კარის დეკანოსის და მდივნის იოანეს კელითა. ქეს აქეთ ჩღჟე თვესა აპრილსა დ.

ბეჭედი ასომთ.: დედოფალი მარიამ.

**1795 წ.** მარიამ დედოფლის მიერ პიცემული წიგნი, ნიკორწმინდის ტაძრის საბუთთაგან № 25, დაწერილი თეთრს ქაღალდზე.

ქ ნამდვილ ჰტისა ერთ ღთაებისა ერთ კეთილობისა და სამხატოვანისა სამებისა ნებართვითა და ჯერ ჩინებითა ჩვენ იესიან დავითიან სოლომონიან ბაგრატოვანის ძისა ძისა (sic) მეფეთ მეფის ალექსანდრესამან და განმანათლებელის ამერთა ნეტარ ხსენებულის მეფის სოლომონის ძმისწულის უმაღლესის მეფის მეორის სოლომონის თანამემცხედრემან დედუფალთ დედუფალმან დადიანის ასულმან მეორემან მარიამ დაგიმტკიცეთ და განგიახლეთ დავთარი და გუჯარი მთის წ̃ის გიორგის, ასე და ამა პირსა ზ̃ა რომე რომელსამე შეწირულს ადგილებზედ ჩვენ და ყ̃დ სამღვდელოს ნიკოლაოსწმინდელს (sic) ლაპარაკი მოგვიხდა უმეცრის და პირმოთნის კაცის შესმენით, მავრამ როდესაც ყ̃დ სამღვდელო ნიკოლაოსწმინდელი სოფრომ უმაღლესობის ტახტის წინარე სამართალს მოქენებდა,

ვისმინეთ ჩვენც აჯა და მოხსენება და მთას წმინდის გიორგის დავთარიც მოგვიტანა და განვიხილეთ რა, ქ̃ტი სწამა (sic) იმ კაციეთის ადგილის შეწირულობა და სარწმუნოთაც ეწერა, დგვარწმუნა (sic) და ჩვენც უჭეშმარიტეს ადრე დავამტკიცეთ და გიბოძეთ სიგელი კაციეთის ადგილი ს̃დ სომყეთის ქალას აქეთ და ზემოკერძო საზღვრავს ქვაყუნტა წოდებული ადგილი ზენათ შუა ველიეთის მინდორს აქეთ და სომყეთის ქალას აქეთ. ამ სამ საზღვრებს შუა საბატონო საძებარი ადგილი რაც იყო, ყოველსავე ზედან კელი ავიღეთ და სრულებით შემოგწირეთ. დავთარი ვით აცხადებდა, ჩვენც ისე დაგვიმტკიცებია და შემოგვიწირავს მთას წმინდის გიორგისათვის და წმინდის ნიკოლაოსის მოადგილის და მოურავის ყ̃დ სამღვდელოს ნიკოლაოსწმინდლის სოფრომისათვის დაგვიმტკიცებია (sic) და გვიბოძებია. მოგცესთ მან პირმშომან ძემან და გიბედნიეროსთ აწ და უკუნისამდე. მხოლოდ ამისდა ნაცვლად დაგვიძს მრჩობლისა ცხოვრებისა ჩვენისა წარსამართებელად ყოველს წელიწადს ყდ წმინდის მიცვალების დღეს მარიამობას მთაწმინდის გიორგის დეკანოზი, ერთი მღვდელი და მთავარდიაკონი ჟამს გვიწირევდეს, როდესაც ღთის ნება იქმნეს, მიცვალებულს გვიწირევდეს და მოგვიხსენებდეს. თუ ჩნი წირვა და მოხსენება თქვენ არ მოშალოთ, ეს ჩვენ მიერ ბოძებული დავთარი არც ჩვენგან და არცა შემდგომთა ჩვენთა მეპატრონეთაგან არ მოგეშალოსთ. აწ ვინც და რამანც ძემან კაცისამან, მეფემან ანუ დედოფალმან, კათალიკოსმან ანუ უფლისწულმან, თავადმან ანუ აზნაურმან, დიდმან ანუ მცირემან შლად ყოს ამა წერილისა, მასამცა რისხავს სამებით დიდებული ღ̃თი და ყოველნი მისნი წმინდანი ზეცისა და ქვეყანისანი, ხორციელნი და უხორცონი, წყეულ და შეჩვენებულიმც იყოს წმინდათა ათორთა მოციქულთაგან, შვიდთა მსოფლოთა კრებათაგან, ოთხთა პატრიახთაგან და ყოველთა სამღვდელოთა დასთაგან. მასამც ედების კეთრი გეზისა, შიშთვილი იუდასი, ზარტეხა დიოსკორესი, ხ̃ დამამტკიცებელნი ამისნი აკურთხნეს ღთ̃ნ აწ და უკუნისამდე ამინ. არის ამისი მოწამე სახლთუხუცესი წერეთელი გიორგი, ხაზაზთუხუცესი ნიჟარაძე კაცია, დედოფლის მოძღვარი იმხნელი მღვდელი სვიმონ, ნიჟარაძე ზურაბ, ნიჟარაძე აბესა. აღიწერა კელითა იმხნელის გრიგოლიხათა ქეს აქეთ ჩღჟე თვესა მაისსა ი.

ბეჭედი ასომთ.: დფლი მარიამ.

**1796 წ.** ჯვარის მამის ათანასეს მიერ დადებული წიგნი, დაცული გელათის საბუთებში № 26, თეთრს ქაღალდზე ზომით $7\times14^{3}/_{4}$ სანტიმ.

ქ. მისმა სიმაღლემ ბატონმა მეფემ სოლომონ არჩილისძემან მეორემან მიბოძა კარის მღვდელი წერეთელი დავით და გუმცაძე ქაიხოსრო. მე, ჯვარისმამას ათანასეს, გენათლის კაცებს და ჩვენსას ერთმანეთშიდ სადაოები მიწები ქონდათ, ილაპარაკეს და ძველი და ახალი სუყველა სადაო ადგილების ფიცით გარდასწყდა და მორიგდნ, რომ პირვანდელი ნაქმარი საქმეშიდ სიტყვა აღარა აქვსთ მთას გარდა და მთაზედ სამართალი არის გაჩენილი და მაშინ მორიგდენ ამ საქმეშიდ. ბატონის ყ̃დ სამღვდელო გენათლის ეფთვიმის მოხელებიც ამ სამართლებშიდ იყვნენ. ასე გარდასწყდა. ქორონიკონს ქრისტეს აქეთ ათას შვიდას ოთხმოცდათექვსმეტს თვესა აგვისტოსა ოცდაშვიდსა.

ბეჭედი ასომთ. წარწერით: ათნს არხმ ჯუარ მმ 1793.
შემდეგ ხელისმოწერა ბერძნულად.

**1796 წ.** მარიამ იმერთა დედოფლის შეწირულობის წიგნი ქუთაისის ტაძრის საბუთთაგან № 5, თეთრს ქაღალდზე ზომით $41\times29$ სანტიმ. ნიშნად ყოველ სიტყვის შემდეგ თითო წერტილია.

....ჩვენ... სდ ლიხთიმერთა დედოფალმან დადიანის ასულმან მარიამ... მოუძღვანე წმინდასა ეკლესიასა შენსა ჩემი გულისპირი მარგარიტისა, ხოლო აწ ნაცვლად ამისა ვინებე შესაწირავად შენდა თანამოწამებითა და ნებითა ყოვლად სამღვდელოსა ქუთათელ მიტროპოლიტისა წერეთლის დოსითეოსისათა და ქუთაის მოსახლე ჩვენი სახასო ერთი კვამლი კაცი ურია ბინიაშვილი მარდახა თავის ცოლშვილით აქედამ აყრილიყო და ზემოთ საწერეთლოში ესახლა ვალის მიზეზით... შეიწირე, ჵი ქუთათისისა ღვთისმშობელო... და ნაცვლად ამისა მიეც კეთილმსახურსა მეფესა სოლომონს დღეთა სიგრძე და

წელთა სიმრავლე და აღამაღლე კვერთხი მეფობისა მისისა მშვიდობასა და კეთილ სუფევასა შინა და წინააღმდგომნი მტერნი მისნი ქვეშე ფერხთა მისთა შემუსრენ.... არის ამა დამტკიცებისა მოწამე წულუკიძე გიორგი, ნიჟარაძე კაცია, ნაჟარაძე ზურაბ, ჩემი მოძღვარი იშხნელი მღვდელი სვიმონ. აღიწერა ხელითა იშხნელის მღვდლის ნიკოლოზისათა ქორანიკონს ქრისტეს აქეთ ჩღჟვ თვესა ოკნდობერს ით.

ბეჭედი ასომთ.: დფლი მარიამ.

**1796 წ.** ბეჟან წერეთლის შეწირულობის წიგნი, ქელიშის უდაბნოს საბუთთაგან № 3, თეთრს ქაღალდზე ცუდის ხელით დაწერილი.

ქ. ნებითა და შეწევნითა ღვთისათა მე ბეჟან წერეთელმა ვიგულე და ვიგულსმოდგინე, ქელიშის უდაბნოშიდ მიველი და ჩემი ახსარება ღირსსა და პატიოსანს მამებს მოვახსენე და წმინდა ღვთისმშობელს შევავედრე სული ჩემი, რომ წმინდა ღვთისმშობელმან დამიცვას აერის მცველისაგან. ღვთისმშობელო, ნუ განმაგდებ მე პირისა შენისაგან. ღვთისმშობელო, აღთქმა დამიძეს (sic) შენ წინაშენ, ასე რომ ჩემი საკუთარი გლეხი ქედისუბანს ხუცესი ტიმოთე გოქსაძე და მისი ძმა გოგია და იოვანე, ესამი (sic) ძმა შამომიწირავს. ეგება ჩემმა ან შვილმა და ან სხვამ თქვას რამე, მარა წმინდა ღვთისმშობელსა ვფიცავ და მის ძეს იესოს, ის გლეხი ჩემი საკუთარი იყოს, ჩემა გამდელმა დავითიკი ტიმოთეს მამა პატარა ბოვში იყიდა და შვილათ მომცა, გავზარდე და ალაგი მივეცი, დავასახლე ჩემთვინ სასაკუთროთ რომ არც დედის, არც მამის, არც ცოლის, არც შვილის იმ გლეხშიდ არა ერიოს რა, ისე საკუთარი ჩემი იყოს. წმინდა ღვთისმშობელო, რაღანც შეწინ მოვაწიე, შენის უდაბნოსათვინ შამომიწირავ.... შენმა წინამდეგებმა ბერებმა აღთქმა დამიდვეს, სანამდისი ეს უდაბნო იქნება, მანამდისი წელიწადშიდ თითო წირვა ხარებას არ მოგეშალოსთ.... მოწამე და გამრიგე ამისი ჯერ ღმერთია და კაცთაგან არის ამისი მოწამე წინამძღვარი გრიგოლ, დავით ბერი ჭოხონელიძე, ნიკოლოზ სურღულაძე, ბერი ნეთსაძე, ბესარიონ, მარკოზ, ბერი, დავით ნასრაძე, ბერი დიაკვნები, იოსელიანი ნიკოლოზა და სხვები თუთხმეტ თექვსმეტამდისი. ქრისტეს

აქეთ ათას შვიდას ოთხმოცდათექვსმეტს თვესა ოკდონბერსა ოცდაორსა მეფობასა სოლომონისსა, ყოვლად სამღდელო ნიკოლოზწმინდელი ლიკორწმინდის ბატონობდა.

ქ: მე მონამან ღვთისამან წულუკიძემ გიორგიმ ვიგულე და ვიგულსმოდგინე ქელიშის უდაბნოს სამსახური. ჩემმა კაცმა წერეთელმა ბეჟანმა მისი კაცი ღვთისმშობელს შესწირა მისის სულის სახსრად, მერმე მისი შვილები შემევედრა შლად მისა, მარა არც ღმერთმა ინება და არც კაცმან და როგორც ჩემს დიდებულობას ეკადრებოდა, ისე ხელი მომყვეს ცაგერელობა (sic) და ნიკოლოზწმინდელმან და მათის ბრძანებით მეც დავამტკიცე ეს ჩემი კაცის მოცემული წიგნი ტიმოთესა და მისი ძმების გოგიასა და იოანესაგან მე და ჩემი კაცი წერეთელი ყველა ხელაღებული იყოს. ახმაროს ღმერთმან წმინდის ღვთისმშობლის მონასტერს. აწ ასე აღთმა დამიდვეს წმინდის ღვთისმშობლის მონასტრის ბერებმა, სანამდისი ეს უდაბნო იქმნეს, მანამდისი შენ (sic) ლოცვა მოხსენება არ მეიშალოს.

ბეჭედი: მონა ღ̃ა ყმა მეფისა წულუკიძე (ასომთ.:) გიორგი.

განჩ̃ე: ჩვენ ყ̃დ უსამღვდელოესი ნიკოლაოსწმიდელ არხიერი სოფრონიოს ვამტკიცებ წიგნსა ამას და შემშლელსა ამისსა ვსწყევ და შევაჩვენებ.

ბეჭედი: ყდ სამღვდელო ნიკოლოზწმიდელი (ასომთ.:) სოფრონიოს.

**1796 წ.** შეწირულობის წიგნი სოლომონ II-სა, ხონის ტაძრის საბუთთაგან № 13, თეთრს ქაღალდზე ზომით $33 \times 30\frac{1}{3}$ სანტიმ.

...(მე)... სდ იმერთ მეფე დავითიანი მეორე სოლომონ და ერთკორცი ჩემი დედუფალთ დედუფალი დადიანის ასული მარიამ.... უბეგრუასშვილი სონაძე ივანე პირველითგან შენის წმიდის ტაძრის შეწირული ყოფილიყო და უჟამბისაგან გამოეწირათ და წულუკიძეს. დაეპყრა და ოდეს ძალშემწეობითა შენითა მივიღეთ მეფობა ივერთა, მას ჟამსა გამოვიძიეთ და ვსცანით ჭეშმარიტი და წულუკიძეს გამოვართვით და ის ჩემით გავისტუმრე და ეს უბეგროაშვილი სონაძე ივანე და მისი შვილები სიმონიკა, კიკოლა, გოგია და იოვანე თავისის ადგილ მამულით.... შენს წმიდას ტაძარს შევსწირე. ყოველს ღისმშობლობას დეკანოზს აწირვინებდეს გარდაცვალებულთა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ცოცხალთა მეფეთათვის იმ დღესასწაულზედ თემი დაგვლოცავდეს, ცხვარს დაკვლიდეს და საწირავათ ორს რუბს დეკანოზს მიართმევდეს, აღდგომას დღეს ერთს ჩარექს სამთელს ჩამოასხემდეს, თანაარსს გააკეთებდეს და შენს წმიდას ტაძარს მიართმევდეს.... ამა წერილის მოწამე სალთუხუცესი წერეთელი ზურაბ, წულუკიძე გიორგი, სარდალი წერეთელი ქაიხოსრო, წერეთელი გიორგი და სხვანი ერთობით კარისა ჩემისა დიდებულნი დარბაზის ერნი. აღიწერა ხელითა ქიქინაძის ნიკოლოსისათა წელთა უფლისათა ჩღჟვ ნოემბერს იტ.

ბეჭედი: მეფე იმერეთისა სოლომონ; დედოფლი მარიამ.

შემდეგ ხელისმოწერით და ბეჭდებით ამტკიცებენ გენათელი მიტროპოლიტი ეფთვიმი, ჭყონდიდელი მიტროპოლიტი ბესარიონ, ცაგერელ მიტროპოლიტი იოანე და ცაიშელ მიტროპოლიტი გრიგოლ.

**1797 წ.** გულქან დედოფლის შეწირულობის წიგნი, ქუთაისის ტაძრის საბუთთაგან № 6, თეთრს ქაღალდზე ზომით $46^1/_2 \times 22^1/_2$ სანტიმ. ნიშნად ყოველ სიტყვის შემდეგ თითო წერტილია.

...ჩვენ... დედოფალმან გულქან ასულმან წულუკიძისამან... საფასითა ჩემითა დავიხსენ და ამოვიგე ერთი გლეხი ივანიაძე დავითელა და მისი ძმები მათის ცოლშვილით... და შენს სახასო ადგილზედ დავასახლე ბაქს და სულისა ჩემისა საოხად მოგართვი და შემოვსწირე წასა ეკლესიასა შენსა, რომ ამ გლეხისაგან ყოველს წელს ერთი ჩარექი სანთელი ყოვლად წის ხატს (ქუთ. ღვთისმშობლისას) მიერთმეოდეს და ერთი მარჩილი თეთრი და ან მარჩილის სახორცე იმ ეკლესიაზედ მდგომს მღვდელთმთავარს მიერთმეოდეს. ამას გარდა სხვა გარდასახადი ბეგარა არასფერი ეთხოვოს.... არის ამისი მოწამე და გამრიგე მოურავი წულუკიძე გიორგი, სახლთუხუცესი წერეთელი ზურაბ, მაჩაბელი ზურაბ, მოურავი იაშვილი როსტომ, ჩემი მოძღვარი იმხნელი მღვდელი სვიმეონ. აღიწერა კელითა იმხნელის გრიგოლისათა ქეს აქეთ ჩღჟზ იანვარს ია.

ბეჭედი: წულუკიძის ასული დედოფალი გულქან.

განზე პირველ გვერდზე დამაზად: ალექსანდრეს ძე ბატონიშვილი. გიორგი ვამტკიცებ წიგნსა ამას ნებითა ღთისათა. (ბეჭედი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

**1797 წ.** ავალიშვილის ბეჟანის მიერ გენათელ ეფთვიმისადმი მიცემული წიგნი, გელათის საბუთთაგან № 70, ლურჯ ქაღალდზე ზომით $34^1/_3 \times 11^3/_4$ სანტიმ. ნიშნად ყოველ სიტყვის შემდეგ, თუმცა არა ყველგან, თითო წერტილია.

ქ. ესე მტკიცე და უცვალადო უდეობის წიგნი მოგართვით ჩვენ საზანოს მოურავმა ავალისშვილმა ბეჟან და ერთობით საზანოველებმა აზნაურშვილმა, მსახურმა და გლეხმა თქვენ ყდ სამღვდელოს გაენათელ მიტროპოლიტს ეფთვიმის და თქვენს კაცებს ბოსლევს მოსახლეს ერთობით ჭუმბურიძეებს, ესრეთ და ესე ვითარად რომ ბატონმა ჩვენმა ხელმწიფემ მეფე სოლომონმა ბოსლევს საიაშვილო ადგილმამული და რაც იოსებ კათოლიკოზის ხელშიდ სჭეროდათ, ხახულისა და გაენათის ღთისმშობელ შემოსწირა და იმ ადგილებზედ შამოგედევეთ, ვილაპარაკეთ, ფიცი გაგვიჩდა და ოთხმოცი კაცით რომ დაგვეფიცა, ზეით სამანს დაბლა, ჯვარიან მუხას დაბლა და დარჩიას წყაროს დაბლა ჩვენ უნდა დაგვრჩენოდა. მათმა უმაღლესობამ ბატონმა მეფე სოლომონ ავალისშვილი ბეჟან და ჩხეიძე დავით გვიჩინა. მოვედით საფიცრათ, ჩამოვარდენ შუამდგომლათ და ამათის დასწრებით და მოწმობით უფიცრათ მოვრიგდით, სამნები ჩავყარეთ..... აღიწერა ხელითა მეფის კარის მღვდლის გრიგოლაშვილის იესესითა ქკნს ქეს აქეთ ჩღჟზ ივლისს კტ.

ბეჭედი: მონა ღთისა ავალიშვილი ბეჟან.

**1798 წ.** ნასყიდობის წიგნი, მიცემული ჩარკვიანის მიერ მეფე სოლომონ II-ისადმი, დაცული ქუთაისის ტაძრის საბუთებში № 42, თეთრს ქაღალდზე ზომით $39^1/_4 \times 16^1/_2$ სანტიმ.

ქ. ჩვენს ხელმწიფეს ბატონს მეფე სოლომონს, ესე ნასყიდობის უსადეობის წიგნი მოგართვი მე ჩარკვიანმა გოგიამ და ჩემა შვილმა ტოტიამ და ფაციამ.... პეტრე ერისთვისშვილმა, ჩემა ბატონმა, ივანე ხუცესი ფორჩხიძე და მისი ძმა გიორგი მომყიდა... და თქვენ მიბრძანეთ და სამასი მარჩილი მიბოძეთ და ის ფოჩხიძე იოანე ხუცესი და მისი ძმა გიორგი მოგყიდე.... ამისი მოწამე სახლთუხუცესი წერეთელი ზურაბ, სარდალი წერეთელი ქაიხოსრო, მოლარეთუხუცესი წერეთელი გიორგი, აბაშიძე დავით, მდივანი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბუქუა, კვარის მოურავი აბაშიძე ბერი და სხვანი ერთობით თქუენი დარბაზის ერნი. აღიწერა ხელითა მეფის კარის მღვდლის გრიგოლაშვილის იესესითა ქკნს ქეს აქეთ ჩღჲ~ თვესა აგვისტოსა კე.

**1798 წ.** სოლომონ II-ის მიერ მიცემული წიგნი, ბიჭვინტის საბუთთაგან № 54, თეთრს ქაღალდზე ზომით 44×31½ სანტიმ. ნიშნად იშვიათად იხმარება წერტილი.

ქ ეჰა შენ ციერთა და ქვეყნიერთა დედოფალო, სიტყვისა ღთისა მშობელო მარიამ, რ~ლნ ერთარსი და თანამოსაყდრე საუკუნოისა მამისა სიბრძნე ღ~თი კორციითა გვიშევ ორთა შინა სრულთა ბუნებათა და აღმართე დაცემულება ჩვენი და აღიყვანე პირველსა შინა პატივსა. აწ მეცა სასოებისა შენ ზ~ა დამდებმან, ბიჭვინტისა ღთისმშობელო, და მფარველობისა შენისა მონდობილმან მეფემან იმერთამან ძმან არჩილისმან მეორემან სოლომონ ვინებე აღვედრა შენ ძლით ტახტსა სამეფოსა და გამოვიძიე მამული და აგარაკი ძველთა მამა პაპათაგან ჩვენთა შეწირულნ და მეცა ეგრეთ დავამტკიცე. ხოლო აწ განვიხილე ბიძისა ჩემისა მეფე სოლომონის დავთარი, რომელიცა შენთვის შემოეწირა საჭილაოს რიონს გაღმა ორწყალს შუა მიწა და ტყე და მამული და ეს ჩვენ არ ვიცოდით და ამ ჟამად არც კათოლიკოსი იმყოფებოდა და ეს ტყე და მამული მიქელაძე შაქარისშვილმა გუთხოვა და მას წერილით უბოძეთ და ამისა შ~დ ქუთათელ მიტროპოლიტს დოსითეოს კათოლიკოსობა უბოძეთ და ძველი ბიძის ჩვენისეული დავთარი მოგვიტანა და ეს ადგილი და მამული და ეგრეთვე სხუანი, რომელსაც ძველი დავთარი აცხადებს, ბიჭვინტისა ღთისმშობლის შეწირულად აღმოჩნდა და ამისთვის პირველსა მას დავთარსა ჩვენცა ვამტკიცებთ და განვაახლებთ და პირველს ძველს თარჯებზე ჩვენი თარჯიც დავსძინეთ და კელიც დავასვით და რომელიც ამ ძველსა და ახალს თარჯს შუა ან მამულია, ან ადგილი, ან ტყე, ის ბიჭვინტისა ღთისმშობლისათვის დავსდევით და დავამტკიცეთ და რომელიც გაუტეხელი ტევრია, ის ჩვენად სანადიროთ დავსდევით და ესრეთ ვამტკიცებთ, რომ არც ჩვენგან და არცა ჩვენთა შემდგომთა მეფეთაგან არ მიეღოს და ყოველივე ამ ადგილებისა და მამულების გამოსავალი კათოლიკოსს

მიერთმეოდეს უცილებელად ყოველთა კაცთა მიერ, რომ სხუას ხელი არა აქუს და ვინც ასე არ დაამტკიცოს, ბიჭვინტისა ღ̃თის მშობელო, შენ შერისხენ საშინელითა რისხვითა შენითა და ვ̃ე ჯოჯოხეთამდე შთახადე სულით და ხორცით, ვ̃ე უკ̃ე. აწ არიან ამა დამტკიცებისა მოწამენი ზოგად ერთობით ჩვენნი დიდებულნი და მოხელენი კარისა ჩვენისანი. აღიწერა ნოენბრის ვ ქს აქათ ჩღჟზ.

ბეჭედი ასომთ.: მეფე იმერთა სოლომონ.

**1798 წ.** მარიამ დედოფლის შეწირულობის წიგნი გელათის საბუთთაგან № 5, თეთრს ქაღალდზე ზომით $42^1/_2 \times 14$ სანტიმ.

....(ჩვენცა).... სდ საიმერეთოსა დედოფალთ დედუფალმან დადიანის ასულმან მარიამ გევედრეთ და შემოგწირეთ ხუცესი მაღალუraძე გაბრიელ მისი შვილით ანდრია, მათის ცოლშვილით, ესე ვითარად რომე ეს ხუცესი დავით მეფეს შემოეწირა თქვენთვის. მერმეთ ჩვენს ბატონობაშიდ კუჭუხიძემ იდევა და სამართლიანის საქმით შემოუვიდა კუჭუხიძე, თავისი და ამისი შვილის ფასი ჩვენ გარდუხადეთ და კუჭუხიძის ვალისაგან თავისუფალი ვამყოფეთ და თქვენ შემოგწირეთ.... არის ამისი მოწამე ნიჟარაძე კაცია, მოძღვარი იშხნელი მღვდელი სვიმონ, მოურავი საყვარელიძე ხუცია, მაჭავარიანი ზაალ. აღიწერა ხელითა იშხნელის გრიგოლისათა, ქს აქეთ ჩ ღ ჟ ჱ დეკემბრის ვ.

ბეჭედი ასომთ.: დ̃ფლი მარიამ.

**1799 წ.** წყალობის წიგნი სოლომონ II-ისა, დაცული გელათის საბუთებში № 100, დაწერილია თეთრს ქაღალდზე ზომით $32^1/_2 \times 16^1/_2$ სანტიმ. ნიშნად იშვიათად იხმარება ორი წერტილი.

ქ. წყალობითა ღ̃ისათა ჩვენ სდ იმერთა მეფემან მეფეთამან მეორემან სოლომონ დავითიანმან და თან ერთხორცმან ჩემმან დედუფალთ დედოფალმან დადიანის ასულმან მარიამ ესე მტკიცე წყალობის წიგნი გიბოძე თქვენ ერთობით მუხალრუის მოსახლე გლეხებს, ასე და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისე ვითარად რომ ჩემს სამოდო მიწას ვეძებდი და თქვენშიდაც მოვაკითხვინე და სამართალი გთხოვეყე და უფიცრათ წყალობა გიყავიყე და თქვენს ქვეყანაშიდ რომელიც ჩემი სმდეო მიწა იყო, ისევე თქვენ გიბოძე და თქვენ.... მოდი აღარ გეთხოვებოდისთ. არის ამისი მოწამე სარდალი წერეთელი ქაიხოსრო, წულუკიძე ოტია, მოურავი ლორთქიფანიძე ბერი, ლოლაძე დავით. აღიწერა ხელითა ჰიჰინაძის გიორგისათა წელთა უფლისათა ჩღჟთ თთვესა თებერვალსა ე.

ბეჭედი ასომთ.: მეფე იმერთა სოლომონ.

**1799 წ.** შეწირულობის წიგნი სარდლის გიორგი წულუკიძისა, ნიკორწმინდის ტაძრის საბუთთაგან № 11, თეთრს ქაღალდზე, ლამაზი ხელით.

....ესე მტკიცე და უცვალებელი, უკ̃ე ჟამთა დაუსრულებელი შეწირულობის წიგნი და სიგელი მოგართვით თქუენ ჩუენდა შვილად აღზრდილს ჩუენს ძმისწულს ყ̃დ სამღუდელს ნიკოლოოსწმიდელ არხიეპისკოპოსს სოფრონიოსს ჩუენ სარდალმოურავმან წულუკიძემ გიორგიმ და ძემან ჩვენმან დავითმან და მერაბმან, ესე ვითარად რომე გვევედრეთ და ჩვენ ვისმინეთ ვედრება თქვენი და მოგართვით და გიბოძეთ გიორგობიანი ბერი, შაქარა, რამაზა და დალაქი დავით მოსახსენებელად და წარსამართებელად მრჩობლთა ცხოვრებათა ჩუენთა სულიერად და კორციელად და ძეთა ჩუენთა აღსაზრდელად განსაძლიერებელად და კეთილ ცხოვრებად სიმართლით. მაგრამ ეს ჩუენ მიერ შეწირული დალაქი დავით სიცოცხლესა ჩემსა მე მმსახურებდეს და შდ ჩემსა იყოს ეკლესიისათვის თქუენისა.... არის ამისი მოწამე თავად ღ̃თი და კაცთაგან კარისა ჩვენისა მღუდელი ჰიჰინაძე მიქელ, მოურავი ჩვენი გოცირიძე ბეჟანიკა, ღვდელაძე სულთამი და კ̃დ თქუენი მღუდელ მონაზონი ბესარიონ და ჯუარმტვირთველი ტერენტი, წულუკიძე გოგია და მოურავი სანიკიძე გიორგი. აღიწერა წიგნი ესე წელს უ̃ისა ჩღჟთ.

ბეჭედი: წულუკიძე გიორგი.

განზე შემდეგ დროინდელი მინაწერია: ჩვენ იმერეთის მმართებ-

ლობის მდივანბეგნი ქ̃ის გამოძიებით ამ მტკიცე შეწირულობის წერილს ვამტკიცებთ ჩუ̃ენის ბეჭდების დასხმით.

ბეჭდები: მდივანბეგი წულუკიძე---; თავადი მდივანბეგი აბაშიძე (ასოთ.:) გიორგი; მიქელაძე (ასოთ.:) დავით.

**1800 წ.** საფიცრის წიგნი, მიცემული კუტივაძის მიერ ეფთვიმე გენათლისადმი, დაცულია გელათის საბუთებში № 25, დაწერილია თეთრს ქაღალდზე ზომით $50^2/_3 \times 15^1/_3$ სანტიმ.

ქ: თქვენ ყოვლად სამღვდელოს ჩემს მოწყალეს ბატონს გაენათელ მიტროპოლიტს უფალს ეფთვიმის მე თქვენმა მონამ და ყმამ დათუა კუტივაძემ და ჩემა შვილებმან გაბრიელმა და მამუკამ და ჩვენმა მომავალმა ერთობით ესე მტკიცე და ჭეშმარიტი უტყუარი და უცვალადო წიგნი და საფიცარი მოგართვით თქვენ და თქვენს ეკლესიას, გელათის ეკლესიას, ესრე და ესე ვითარად რომ ერთი ბიჭი ოდიშელი გოგია მეგრელი ჩემის ალალის ნასამართლის თეთრით ნაყიდი მყავდა და მე მოხუცებულობის ჟამმან მომისწრო და თქვენთვის და თქვენის ეკლესიის გელათისათვის თქვენს სასახლეშიდ არგვეთს თხილთაწყაროს დასაყენებლათ და დასასახლებლათ მოგართვით. თქვენს სასახლეშიდ თხილთაწყაროს მოჯალაბეთ დააყენეთ და მოჯალაბის რიგათ იმსახურეთ. გოგია მეგრელი და მისი ცოლი მიმირთმევა.... არასოდეს თქვენგან თქვენის ხელიდამ ეს ჩემი ბიჭი არ გაიცეს. თქვენთვის თქვენს სასახლეშიდ მოჯალაბეთ თუ გეყოლოსთ, თორემ და ეს სამოჯალაბოთ გოგია მეგრელი რომ ჩემგან მოგერთვათ, ამისდა ნაცვლად საურის წყალობა მიყავი და საური ამომიწერე და წიგნი მიბოძე და ქთამათ ეს მოჯალაბე მოგართვით.... არის ამისი მოწამე ჩვენი მოხელე კანდელაკი გიორგი, კანდელაკი ანდრია, მოურავები კახიძე ვახტანგ და სიმონ და სხვა საგენათლო კრებული სამღვდელო და საერო ერთობით და მე უღირს ბერს წინამძღვარს იოსელიანს დავით დამიწერია.... თვესა მარტსა: იგ: განხორციელებითგან უფლისა ჩყ:

ჯვარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**1800 წ.** შეწირულობის წიგნი სოლომონ II სა. გელათის ტაძრის საბუთთაგან № 85, თეთრს ქაღალდზე ზომით 62×40 3/4 სანტიმ., ლამაზი ხელით დაწერილი.

...აწ მეც ..... იესიან დავითიან პანკრატოვანმან მეფემან მეფეთამან სოლომონ მეორემან ძემან არჩილისამან და თანამეცხედრემან ჩემმან დედოფალთ დედოფალმან დადიანის ასულმან მარიამ ვინებეთ და ვიგულისმოდგინეთ წისა ეკუდრისა შენისათვის (მაცხოვრისა) და გამოვიძიეთ და განვიხილეთ, ძველთა და ახალთა მამაპაპათა ჩვენთა შეწირულნი გლეხნი და აგრაკნი .. ყოველთა მაქირვებელთა და მოხელეთაგან განვათავისუფლე... აწ ესე არიან წ̃ისა ეკკლესიისა შენისა გლეხნი, მამაპაპათაგან ჩვენთა შეწირულნი და ჩვენ მიერ დამტკიცებული: ლეყერეთს შვიდი კუამლი კაცი შალიკიანები... (ჩამოთვლილია). ესე ყოველნი თავისითა ცოლშვილითა, ადგილმამულითა და თავისითა სამართლიანითა სამზღურითა და ბევრითა ვითარცა ცხად ჰყოფს ძველი მატიანე .. აწ არიან დამამტკიცებელნი ამისნი სარდალ წერეთელი ქაიხოსრო, ბოქაულთუხუცესი წერეთელი ვახუშტი და ზოგად ერთობით ჩვენნი პალატის შინანი. აღიწერა კელითა ნიკოლაოს დეკონოზის იობიან გაბაონისათა თთვესა მარტსა იგ განკორციელებითგან სიტყვისა ღთისა ჩყ...

ბეჭდები ასომთ.: მეფე იმერთა სოლომონ; დედოფალი მარიამ.

**1800 წ.** შეწირულობის წიგნი მარიამ დედოფალისა, ნიკორწმინდის ტაძრის საბუთთაგან № 28, ლურჯ ქაღალდზე.

.... დიდო მოწამეო გ̃ი, ჩვენ მსასოებელმან ყ̃დ უპატიოსნესისა სახელისა შენისამან ს̃დ საიმერეთოს დედუფალთ დედუფალმან დადიანის ასულმან მარიამმა ვიგულსმოდგინე და აღვირჩიე მსახურება ყ̃დ პატიოსნისა სახელისა შენისა და შემოგწირე მცირე ესე ძღვენი ჩემგან დახსნილი და ყოვლის კაცის უცილო თამაზ ხიდიშელი მისის ცოლშვილით. შეიწირე წმიდაო გ̃ი ველიეთისაო.... კაცთაგან არის ამისი მოწამე სარდალ წერეთელი ქაიხოსრო, ბოქაულთუხუცესი წერეთელი ვახუშტი, წულუკიძე ოტია და სეხნია და სხვანი ერთობით კარისა ჩვენისა დარბაზის ერნი, დიდნი და

ეროვნული ბიბლიოთეკა

მცირენი. აღიწერა ხელითა მგალობლის კანდელაკის გიორგისათა ქორონიკონს ათას რუასს ივნისის კვ: რომელიც შეუძლია სანთლისა და საკმევლის ბეგარა, ყოველს წელიწადს უნდა მოგართვას.

ბეჭედი: დ˜ფლი მარიამ.

**1800 წ.** შეწირულობის წიგნი სოლომონ II-სა ხონის ტაძრის საბუთთაგან № 4, თეთრს ქაღალდზე ზომით $54^1/_2 \times 38$ სანტიმ.

...(მე)... იესიან დავითიან სოლომონიან პანკრატოანმან მეფემან მეფეთამან სოლომონ მეორემან ძემან არჩილისამან და თანამეცხედრემან ჩვენმან დედოფალთ დედოფალმან დადიანის ასულმან მარიამ ვინებეთ და ვიგულსმოდგინეთ კნინოდენისა რაჲსამე მსახურებაჲ წ˜ისა ეკლესიისა შენისა, ვინათგან გვაქუნდა შენ მიერ მრავალგზის შეწევნა წინააღმდგომთა მტერთა ზ˜ა და შნისა შეწევნისა მოქმედმნ... შემოგწირე და მიგიძღვანე ჩვენის გამოსავალის საურისაგან ასი მარჩილი თეთრი და სხუა შენის პატივისცემისათვის (წმიდაო გიორგი) შენის ეკლესიის კაცს სადაც არის ყოველთავე ამოუკვეთე, ესეთ რ˜ლ არცა ჩვენგან და არცა ჩვენთა შემდგომთა მეფეთაგან აროდეს არ ეთხოებოდეს, თვინიერ ამა ზემოწერილისა და ეს ასი მარჩილი ყოველს წელს შენის ეკლესიის კაცისაგან დეკანოზს მიებაროს და დეკანოზისაგან ეკლესიას მოხმარდეს, რაცა ესაჭიროებოდეს და ამის ანგარიში მის სიმაღლეს მეფეს მოხსენდებოდეს და ესეცა აღგვითქვეს, რათა დღესასწაულსა შენ ზა დეკანოზი და სხუანი სამღუდელონი ყოველნივე ყოველთა ეკლესიათა მსხვერპლსა შესწირვიდენ ჩვენთვის მეფობისა ჩვენისა წარსამართებელად და შდ სულთა ჩვენთა საოხად.. აწ არიან ამ დამტკიცების მოწამენი, ყდ სამღუდელო ქუთათელ მიტროპოლიტი დოსითეოს, ნიკოლოზწმიდელი სოფრონ, ჩვენი სიძე ქსნის ერისთვის ძე ელიზბარ, მოურავი წულუკიძე გიორგი, კაცია და სვიმონ, კ˜დ წულუკიძე სეხნია და ოტია, ნიჟარაძე როსტომ და ზოგად ერთობით პალატისა ჩვენისა მოხელენი. აღიწერა ჴელითა ნიკოლაოს დეკანოზის იობიან გაბაონელისათა.... ჩყ თთვესა ნოენბერსა ა.

ბეჭდები ასომთ.: 1) მეფე იმერთა სოლომონ; 2) დედოფალი მარიამ.

პირველ გვერდზე განზე: ქ ჩვენ ყდ სამღუდელო ქუთათელ მიტროპოლიტი დოსითეოს, გაენათელ მიტროპოლიტი ევთიმი და ნიკოლაოსწმიდელი სოფრონ ვამტკიცებთ ამა წერილსა მათის სიმაღლის მეფისასა...

ბეჭდები დოსითეოს ქუთათლისა და სოფრონ ნიკორწმინდელისა.

**1801 წ.** შეწირულობის წიგნი დარეჯან ბატონიშვილისა. ამ წიგნის ჩვენამდის მოაღწია ხუცურად დაწერილმა პირმა, რომელიც დაცულია გელათის საბუთებში № 107.

ქ... ჩ̃ნ ცვა ფარვათა შნთა მინდობილმან სახლოვანისა მეფის პირვლის სოლომონ დავითიანის ასულმან ბატონისშვლმან დარეჯან... გაენათს მაცხოვრის ეკვდერს გკადრე და შემოგწირე.... გლეხნი პატრიკეთს მამის ჩემისაგან ბოძებლი ჩმის ძიძის შვლი ქართველისშვლი თამაზა და მისი ძმის ნიკოლოზასი შვლბი. მართებს ექვსი თორმეტიანი ღვნო ჩმი სამლთო და წირვა ემართა და მასინძლობა ხუცბის და მისდა სამაგიეროთ დავიდვით სამი მარჩილი, ყლს შამოდეგზედ (sic) ერთს საპანე ღვნოს და სამს მარჩილს წინამძღვარს მიართმევდეს გაენათს. ორი ყურუშის საკმეველს წინამძღვარი იყიდდეს და ეკლესიაშიდ იხმარდეს და წინამძღვრი ჩმთჳს წირვდეს ბეგრის მიტანაზედ და ორ ყურუშს საწირავთ მიირთმევდეს. მეორე მოსახლე გეგუთს ხუტუბაშვლი ქიშობა ვახტანგიაშვილის იყო და ვახტანგ უშვილოთ გარდავიდა და ვახტანგის მამული მამაჩმს ეჭირა და ამ ქიშობას დედა ჩ̃ი შვილის დავითის ძიძათ გამოაყვანინა მამაჩემმა და ის ძიძა და ეს ბოვში ქაშაბია ობოლი იყო და თავისის ადგილ მამულით ჩმს დავითს უბოძა ბტონმა მამაჩემმა და გაენათს მაცხოვრის ეკვდერს შევსწირე. მართებს ჩარექი სამთელი სამი თორმეტიანი ღვნო და ოთხი ბათმანი პური.... არის წერილისა ამის მოწამე სარდალი წერეთელი ქაიხოსრო, წულიკიძე სეხნია, წულიკიძე ოტია. მე მეფის კარისა მღვდელი ნიკოლოზ იშხნელი ვწერ წერილსა ამას, თვესა სეკდენბერსა ი.... ჩყა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**1802 წ.** სოლომონ II-ის მიერ მიცემული წიგნი, გელათის საბუთთაგან № 9, კარგს თეთრს ქაღალდზე ზომით 55×37²/₃ სანტიმ. ნიშნად ყოველ სიტყვის შემდეგ თითო წერტილია. საბუთი ცოტათი დაზიანებულია.

ქ. ყოველთა მაცხოვარო და უფალო ჩემო, მე მონამან შენმან და შენზედა სასოებისა დამდებმან სდ იმერთა და სხვათა მეფეთ მეფემან იესიან დავითიან სოლომონიან ბაგრატოვანმან ძემან არჩილისამან მეორემან სოლომონ... პირველ დავით აღმაშენებელისაგან შენი ეკლესია აღშენებულიყო და მისვანვე მამულები, გლეხები და ადგილები შეწირულიყო და საწინამძღვროთ განეწესა და მათთვის საძვალოთ განეწესათ და ეგრეთვე შთამომავლობით ჩვენთა ძველთა პაპათა და მამათა ეს ეკლესია ედიდებიათ, მაგრამ უდროობისაგან და ჟამთა ვითარებისაგან თავადებს უსამართლოებით შენი ეკლესიის მამულები და ადგილები მათთვის მიეტაცათ, განერყვნათ, დაეყიდათ და დაებნიათ და აღარც წინამძღვარი მაზედ დაეყენებიათ და აღარც ძველი დავთარი იყო, ყოველივე ყოვლითურთ განეფხვრათ და მერმეთ მოწყალებით შენითა, მაცხოვარო და უფალო ჩვენო, სდ იმერთა მემკვიდრე ბაბუა ჩემი და ბიძა ჩემი მეფობისა მიერ პატივითა განაშვენე და ყოველთა მტერთა მმათთა (sic) და უარის მყოფელთა სახელისა შენისა მძლედ გამოაჩინე და უსაზომოთა მით მოწყალებითა შენითა ეკლესისა მძლენი და სხვანი მეფობისა მათისა წინა აღმდგომნი ღვთაებისა ძალითა ყოველნივე შემუსრნა და დაამხვნა და რომელიც ძველთა მეფეებისაგან შეწირულიყო, ყოველსავეს უკლებელად თავი მოუყარა. რომელსამეს ნასყიდობით სჭეროდა, რომელიმეს მამისსეულობით და რომელსამეს ნასისხლობით და ერთქმანერთში სამზითოთ ერთქმანერთისათვის მიეცათ, ყოვლადვე ყოველივე თავისუფლად აღმოეყვანა და შენის ეკლესიისათვის განესაკუთრებინა და ხელახლა თავისის სამეფოს ბეჭდითა და დავთრებით მოერთვა და მასზედ წინამძღვარი განეწესათ და დაედგნათ ტ... მეფობა სდ იმერეთისა შენგან შეწევნით მე მივიღე და მცირედს ხანს უკითხველობით და ვითარებისაგან მოუცლელობით შენს შეწირულს მამულსა და ყმებზედ მოურავი იდგა, შემდგომად მოვიკითხე, სდ და ჩემს სამეფოსშიდ არსად ხატის მამულშიდ მეფისაგან მოურავი არ დადგინებულა და არც განუწესებია[თ], სულ თავ თავისი ყმით თა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვის თავათ მსახურებდენ თავის ყმებს. პირველითგან მეფეთა და კათალიკოზთა და ყოველთა მიტროპოლიტთაგან ესრეთ განეწესათ. მხოლოდ შენს შეწირულს მამულზედ იყო მოურავი დაყენებული და ჩვენ რადგან ასე განწესება შევიტყვე, მეფობისა ჩემისა წარსამართებლად ესე მარად უტყუელი აღთქმა დაგიდევ თქვენ სასოსა და შესავედრებელსა ჩვენსა მაცხოვარს და შენს წმინდას სოხასტრის ეკლესიას, ესრეთ რომ არას რომელსამეს დროს და არას ჟამს თქვენს შეწირულს ყმას, მამულს, ადგილს და სადაც შენი ყმა ესახლოს, არც ოკრიბაშიდ და არც არგვეთში და თუ რომელიმე სხვაგან სადმე იყოს, არსად მოურავი არ დაგიყენოთ თვინიერ წინამძღვრისა, არც ლაშკარს წაყოლით და არც სხვაზედ რასმეზედ რომელიც სამსახური სამეფო მოვიდეს, მასზედ მდგომს წინამძღვარს ჩვენ უბრძანებთ და წინამძღვარი ჩვენს ბრძანებულს თვითან გაარიგებდეს. როცა ლაშკრობის საქმე მოვიდეს, წინამძღვარმა მისი ხელოსანი გაუძღვანოს და ჩვენს მეფობას ისე ამსახუროს, ასე ამ განწესებით... თვინიერ წინამძღვრისა არავისი ხელი არ შეუვიდოდეს იმ შენს მამულში... მოწამე და გამრიგე ამისი დიდებული თავადი სახლთუხუცესი წერეთელი ზურაბ, [ერის]თავი ელისბარ, წულუკიძე ოტია და სეხნია და მე მეფის კარის მღვდელს კვინიხიძეს სვი[მონს] დამიწერია და მოწამეცა ვარ ამისი. აღიწერა ფებერვალის ა ქორონიკონს ქრისტეს აქეთ ჩყბ

ბეჭედი ასომთ.: მეფე იმერეთისა სოლომონ.

პირველ გვერდზე განზედ: ქ ჩვენ სდ საიმერეთოს დედოფალი მარიამ ნებითა ღვთისათა ვამტკიცებ სიგელსა ამას.

ბეჭედი ასომთ.: დფლი მარიამ.

ქ ჩვენ ყდ სამღუდელო ჯუმათელ მიტროპოლიტი მაქსიმე ვამტკიცებ...

ხვეულად: მაქსიმე.

ჩუჱნ ყდ სამღუდელო ქუთათელ მიტროპოლიტი დოსითეოს, გაენათელ მიტროპოლიტი ევთიმი, მთავარეპისკოპოსი ანტონი ამ უმაღლესის მეფისა განწესებასა ვამტკიცებთ...

ბეჭდები: 1) ყ დსამღვდელო ქუთათელი მიტროპოლიტი (ასომთ.:)

ეროვნული ბიბლიოთეკა

დოსითეოს; 2) გენათელი მიტროპოლიტი (ასომთ.:) ეფთვიმი; 3) (ასომთ.:) მთავარეპისკოპოსი ანტონი.

**1802 წ.** თავდებობის წიგნი, ხონის ტაძრის საბუთთაგან № 69, ლურჯ ქაღალდზე დაწერილი.

ქ ესე სათავდებო წიგნი და პირობა მოვართვით თქვენ მთავარ ეპისკოპოს ანტონის მე ბაბუშია კორძაიამ, ასე რომ თქვენი ეკლესიის ყმანი განიბნენ სხვას სოფელში. ეს თქვენგან ბატონს მეფეს მოხსენდა, მეფემ ბოქაულები წარმოგზავნა, ბოქაულებმა უთავდებოთ არ გვენდვენ და ეს წიგნი მოგართვით, რომ ეს მათიელა სანოძე თუ მოიკითხოთ, მისი ცოლშვილით მოგართვათ, თორემ მისი ბეგარა ღვინო და ლომი, ხორცი, ქათამი, ბატკი ყოველ წელიწადს მოგერთვას უკლისათ. არის ამისი მოწამე ბაქრაძე იოვანე, წერეთელი ბუჭა. ალიწერა ქეს აქეთ ჩყბ თვესა ფებერვალსა კ.

ჯვარი.

**1802 წ.** პირობის წიგნი, მიცემული ანტონ მთავარეპისკოპოსისადმი, ხონის ტაძრის საბუთთაგან № 18, თეთრს ქაღალდზე დაწერილი. ნიშნად იხმარება წერტილი, იშვიათად ორი წერტილი.

ქ ესე სათავდებო წიგნი და პირობა მოგართვი თქვენ ბატონს მთავარეპისკოპოსს ანტონის მე თქვენმა მონამან რუხაძე დედულიამ, ასე რომ თქვენი ეკლესიის ყმანი ზოგნი რომელიმე ადგილის იწროებისათვის აიყარნენ და ზოგნი რომელიმე სხვა შეწუხებისათვის განიბნენ სხვა და სხვა სოფლებში. ეს ბატონს მეფეს მოხსენდა თქვენგან და ბოქაულები წარმოავლინა და უთავდებოთ აღარ ენდვნენ ივანიკა კოპეშავიძეს და მისს ძმებს გაბრიელს და სეხნიელას. აწ ასე სათავდებო წიგნი მოგვირთმევია, რომ ეს ივანიკა და მისი ძმები თქვენ და თქვენს ეკლესიას და თქვენს ქვეყანას არ განეშოროს და ერთგულად გმსახუროს და თუ გიმტყუნოს, ეს ივანიკა და მისი ძმები ცოლშვილით მოგართვა და სიმტყუ-

ნისათვის ასი მარჩ[ილი მო]გართვა. ამისი მოწამე წერეთელი ბუჭუა და ბაქრაძე იოანე. აღიწერა ხელითა იოანესითა ქეს აქეთ ჩ ყ ბ თვესა მარტს იჱ.

ჯვარი.

**1802 წ.** შეწირულობის წიგნი სოლომონ II-ისა. ამ საბუთის პირი მოთავსებულია ხონის გუჯრების წიგნში № 103, რომელიც 1803 წ. ოსე გაბაონის მიერ არის გადაწერილი ნუსხა ხუცურით. იბეჭდება პირის მიხედვით.

....მეფე იმერთა სოლომონ დავითიანი ერთკორცის ჩემის დედოფალთ დედოფლისა დადიანის ასულის მარიამითურთ გკადრებ მცირედსა და უნდოსა ამს შესაწირავსა ტაძარსა შნსა ხონს, ესე ვრითა გნზრახვითა ძალ მწეობითა შნითა ერთა, ტაძრისა შნისა შეწირულთა, სიმრავლე მიეცა და ესრეთ აღივსო სოფელი ტაძრისა შნისა, ადგილი ცალიერი აღარსად იპოებოდა და იწროებისაგნ სხუა და სხუა ქუჩყანაში გნბნევა დაიწყეს და მოიწია წ̃ე ჩნსა კ̃ცილისა პატიოსანი, ანგსთა ცხოვრებისა მობაძავი, მოსახელისა თჳსისა კუალსა შედგომილი, მთავარეპისკოპოსი ჩიჯავაძე ანტონი და ეკლესიისა თქნისა ყმათა გნბნევა მაუწყა და იწროება საყოფელთა მათთა წარმომითხრა და წარვავლინე ყ̃თა სამეფოთა ჩმთა კაცნი და შემოვკრიბენ გნბნეულნი გლეხნი და თჳსთჳს ადგილზედ მივიყუანენ და რადგნ იმ ადგილით მ̃თი რჩენა არ შეიძლებოდა და ესეცა ვედრება ვისმინე პატიოსნისა მმისა მთავარეპისკოპოსისა ანტონის და იქავ ხონს შევსწირე წ̃ა ტაძარსა შენსა ჩემი სახასო მიწა ხონიდამ მათხოჯის საზღურამდინ ვერხუას აქეთ წულუკიძეს საჩხეიძო ადგილი რომ უჭირავს, იმის გოჩამდის, მეფის ნასასახლამდის და კონტოეთის საზღურამდის. ამ საზღურებს შიგნით რლიც ჩმი სამოდო მიწა არის სრულად და უნაკლულოდ შენის წმინდის ტაძრისათს ესრეთ ხელშეუალად შემიწირავს, რომ არას კ̃ცი, არც მცირე და არცა დიდი, შნის ტაძრის ყმას შემცილე არ ჰყუანდეს და ვერცავინ მოდი და სამსახური იმ ადგილშიდ გამოართუას, საუკუნოდ თქნის ყმისათს გამისაკუთრებია.... ამა წერილისა მოწამე სარდალი წერეთელი ქაიხოსრო, სახლთუხუცისძე წერეთელი გიორგი, ნიჟარაძე როს-

ტომ, მაჩაბელი ზურაბ, სხუანი ერთობით კარისა ჩნისა დიდებულნი დარბაზისერნი. აღიწერა კელითა ჭიჭინაძის ნიკოლოსისათა აპრილსა ივ წელთა უფლისათა ჩყბ.

ესეცა სათანამდებო ვალად დავსდევ ეკლესიისა შნისა დეკანოზთ და მათთა შეკრებულთა მღუდელთა და დიაკონთა, ესრეთ რომ კგ აპრილს დღესასწაულსა შნსა, ვინემდის აქაჲსა ცხოვრებასა ვიყო, მეფობისა ჩემისა წარსამართებელად სწირვდენ და შდ გარდაცვალებისა ჩმისა სლისა ჩემისა საოხად უსისხლოსა მს მსხუერპლსა შესწირვიდენ და ეკლესიისა შნისა ერნი ერთობისა კმითა მომიკსენებდენ ტაძარსა შ̃ა შნსა. ვინემდის ტაძარი შნი იყო (sic), ეს მოკსენება და წირვ (sic) არ უნდა მოიშალოს, თორემ ვალისა თ̃ამდებ იქმნებიან.

**1790—1803 წ.** მე-XVIII საუკ. მეორე ნახევარში უნდა იყოს შედგენილი ქვემოდ დაბეჭდილი ხონის წმ. გიორგის ტაძრის საბეგრო ნუსხები. ეს ნუსხები შეტანილია 1803 წ. გადაწერილ გუჯრების წიგნში, რომელსაც აქვს შემდეგი მინაწერი: „ბრძანებითა და ჯერჩინებითა მთავარეპ̃სისა ანტონის ჩიჯავაძისათა ხონის მთავარ მოწამის დიდის გ̃ის გარდმოესწერე როგორც ძველ დედანს თავთრებში (sic) იყო დაწერილი, არც მომიკლია, არც მომიმატებია და თუ რამე გაბრუნდებული ლექსი და ან ასო ნაკლები იყო, ის კი გავასწორე მე ყ̃დ ულირსმნ მღვდელმნ ოსე ზაქარია მოძღურისძემნ გაბაონმნ თვესა აგვისტოსა კ ქეს აქათ ჩყგ. მხილველთაგნ შენდობასა ვითხოვ". ეს გუჯრების წიგნი გადაწერილია ნუსხა ხუცურით. ქვემოდ დაბეჭდილ საბეგრო ნუსხის ტექსტში რიცხვების მაჩვენებლად სიტყვების მაგივრად ჩვენ ვხმარობთ ციფრებს. შავად აწყობილი კიდევ გუჯრების წიგნში წითურით არის დაწერილი.

## ხონის სანთლის ბეგრების განწესება, ძუელთა გუჯართაგან გადმოწერილი.

მართებს ხონს ნახსტელა ჭანტურიშვილს და ნატრიელას 1 ჩარექი სამთელი.

მართებს მახარობელა მებუკეს და ძაღლუელას 1 ჩარექი სამთელი.

მართებს სანოძებს 2 ჩარექი სამთელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მართებს კაცელას 1 ჩარექი სამთელი.
მართებს სალარაძეს 1 შამახური სამთელი.
მართებს ჰავჰიანიძეებს ბუჰუელას და მის სახლის კაცებს 3 ჩარექი სამთელი.
მართებს მახატელა ჩკეკელს 1 (sic) ჩარექი სამთელი.
მართებს მოზვერა ყუფარაძეს 1 რუბი სანთლის ფასად.
მართებს სვმონა ფანცულეიას და მის ძმისწულებს 2 ჩარექი სამთელი.
მართებს სვანიძეს 2 ჩარექი სამთელი.
მართებს გიორგელა სვმონიძის სეულს პარტახს შამახური სამთელი.
მართებს გიორგა ქუთათელაძეს 1 მარჩილი სამთლის ფასად.
მართებს ივანა მათუალეიშვლს და დავითელას 1 ჩარექი სამთელი.
მართებს ერთობით ფრცხალაძეებს 2 ჩარექი სამთელი, ორორი ფარის სამთლის გული.
მართებს გოფაძეს ტილო და ნახევარი.
მართებს ლაიაძეს ტილო და ნახევარი.
მართებს ერთობით წინწივაძებს თითო მწყთა ტილო.
მართებს კოტიშაძეებს 1 ტილო.
მართებს მონადეებს მოზვერას ჩაბაყუას ბოიას ნახევარ ნახევარი ტილო.
მართებს ქიშმაძეიას ნახევარი ტილო.
მართებს შურიკა ქუთათელაძის შვილებს 2 ჩარქი სამთელი.
მართებს კიპარებს 3 მწყრთა ტილო.
მართებს გენძეხაძეს 1 ჩარექი სამთელი.
მართებს მერხიელა ჰავჰიანიძეს 1 შამახური სამთელი.

ბაკისუბნის სამთლის ბეგარა.

მართებს ბაკისუბანს ცხადაბერიძე რომ სახლობს იმ პარტახს 1 შამახური სამთელი.
მართებს ბახუტელა სალდაძეს 1 ჩარექი ბანბა სანთლის გულათ.

ივანდიდლების სამთლის ბეგარა.

მართებს ივანდიდს ხონის წ~ის გიორგის ბეგარა სანთელი ხუციშვილებს ტაბიძეს დიაკონას.
მართებს პაატელას და ხოხონიჩას 1 ჩარექი სამთელი.
მართებს მახარობელა მაჭარაძის შვილებს და გიორგელას შვილებს 1 შამახური სამთელი.
მართებს იესელა ქუათელაძეს (sic) და მის ძმებს 1 ჩარექი სამთელი.

მართებს სვიმონიძეს 1 შამახური სამთელი.

მართებს კუხს გ~ი ხუცისშვილს ჯივშელაშვილს და გაბრიელა ჯივშელაშვილს 2 ჩარექი სამთელი.

მართებს დავითელა და სეხნიელა ჯივშელაშვილის შვილებს ორი ჩარექი სამთელი.

მართებს ქრიშობელა ბალანჩივაძეს 2 ჩარექი სამთელი.

მართებს დავითელა და გაბრიელა კაკაბაძის შვილებს მარჩილი სანთლის ფასად.

მართებს ზედახონს მართებს ხუცეს ჯაბიძეს 1 ჩარექი სამთელი.

მართებს ბუთეიშვილს 1 ჩარექი სამთელი.

მართებს კონტოეთს მართებს კვრიკა და შოშიტა რუხუაძის შვილებს 2 ჩარექი სამთელი.

მართებს ძლინკიელა კიკალისშვილს 1 ჩარექი სამთელი.

მართებს ბანგას იესელას ფინთურიას და ბაბუშიას 1 ჩარექი სამთელი.

მართებს ერთობით წიქუაძეებს 1 შამახური სამთელი.

**ძუჱლთა გუჯართაგინ დიდად შემცირებული და მოკლებული ღომის და ღვნის ბეგრები ხონის წ~ის გიორგის შეწირულთა გლეხთა ახლად განწესებული მოხელეთაგან და შეკრებული.**

მართებს სეხნიელა წივწივაძეს ბეგარა 6 კუახი ღომი და 20 კოკა ღვინო.

მართებს კაციელა წინწივაძეს 1 კუახი ღომი, 3 კოკა ღვინო.

მართებს გიორგელა წინწივაძეს 2 კუახი ღომი, 6 კოკა ღვინო.

მართებს გაბრიელა ბაზიარს კუახნახევარი, 6 კოკა ღვინო.

მართებს დავითელა წინწივაძეს 6 კუახი ღომი, 17 კოკა ღვინო.

მართებს კიდევ გაბრიელა წინწავაძეს 6 კუახი ღომი, 15 კოკა ღვინო.

მართებს გოფაძეს 10 კუახი ღომი და 38 კოკა ღვინო.

მართებს მჭედელს წინწივაძეს 2 კუახი ღომი და 6 კოკა ღვინო.

მართებს კუსტანს 2 კუახი ღომი და 6 კოკა ღვინო.

მართებს ორი კუახი ღომი და ექუსი კოკა ღვინო იოსიას.

მართებს მამკაცა წინწივაძეს 2 კუახი ღომი და 6 კოკა ღვინო.

მართებს ქოლოფუა ლაითაძეს 17 კუახი ღომი და 38 კოკა ღვინო.

მართებს ბაური ხუცეს 2 კუახი ღომი და 6 კოკა ღვინო.

მართებს ივანიკა წინწივაძეს 6 კუახი ღომი და 14 კოკა ღვინო.

მართებს ყუაჩას 10 კუახი ღომი და 9 კოკა ღვინო.

მართებს პეტრე ბახტაძეს 3 კუახი ღომი და 6 კოკა ღვინო.

მართებს გაბრიელ ბახტაძეს 4 კუახი ღომი და 6 კოკა ღვინო.

მართებს სვიმონა ბახტაძეს 4 კუახი ღომი, 6 კოკა ღვინო.

მართებს ივანა ბახტაძეს 4 კუახი ღომი და 4 კოკა ღვინო.

მართებს სვიმონა ბახტაძეს 4 კუახი ღომი და 4 კოკა ღვინო.

მართებს გიორგობა ბახტაძეს 2 კუახი ღომი და 2 კოკა ღვინო.

მართებს გიორგი ხუცეს 2 კუახი ღომი და 2 კოკა ღვინო.

მართებს მატილეიშვილს გიორგელას 4 კუახი ღომი და 4 კოკა ღვინო.

მართებს გიორგელა ყვცარიძეს 2 რუბის საკლავი, 2 კუახი ღომი, 2 კოკა ღვინო, 1 ქათამი, 2 ფარის ყუჭლი და კუჭრცხი.

მართებს მოგელა ბახტაძეს 4 კუახი ღომი და 4 კოკა ღვინო.

მართებს სვიმონელა ბახტაძეს 4 კუახი ღომი და 4 კოკა ღვინო.

მართებს ბარძლია ბახტაძეს 4 კუახი ღომი და 4 კოკა ღვინო.

მართებს გიორგი ყვფრაძეს 6 კუახი ღომი და 5 კოკა ღვინო.

მართებს ბახუტას 4 კუახი ღომი და 4 კოკა ღვინო.

მართებს დათვა მაღლაკელიძეს 5 კუახი ღომი და 8 კოკა ღვინო.

მართებს ახალკოჩა ბახტაძეს 4 კუახი ღომი და 4 კოკა ღვინო.

მართებს ივანე ჩხეკელს 8 კუახი ღომი და 4 კოკა ღვინო.

მართებს ნიკოლოზ ხუცეს 4 კუახი ღომი და 4 კოკა ღვინო.

მართებს დავითა ხუხულისშვილს 4 კუახი ღომი და 4 კოკა ღვინო.

მართებს ივანა ყუფარიძეს 6 კუახი ღომი და 5 კოკა ღვინო.

მართებს გიორგი კოტიშაძეს 8 კუახი ღომი და 7 კოკა ღვინო.

მართებს კაცია მაღლაკელიძეს 5 კუახი ღომი და 9 კოკა ღვინო.

მართებს კაციელა ბახტაძეს ღუდარჩისშვილს 4 კუახი ღომი და 4 კოკა ღვინო.

მართებს მჭედელს ფანცულიას 5 კუახი ღომი და 5 კოკა ღვინო.

მართებს ხუცეს ფანცულიას 4 კუახი ღომი და 4 კოკა ღვინო.

მართებს ხახუტა ყუფარიძეს 6 კუახი ღომი და 5 კოკა ღვინო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მართებს მაჭია ხუცეს 4 კუახი ღომი და 4 კოკა ღვინო.
მართებს ხახუტა ბახტაძეს 4 კუახი ღომი და 8 კოკა ღვინო.
მართებს ხუტულია ყუფრაძეს 6 კუახი ღომი და 5 კოკა ღვინო.
მართებს დავით ხუცეს
ბურჩიასშვილს 8 კუახი ღომი და 4 კოკა ღვინო.
მართებს დედულა ყიფრაძეს 3 კუახი ღომი და 5 კოკა ღვინო.
მართებს კაცია ბახტაძეს 4 კუახი ღომი და 4 კოკა ღვინო.
მართებს ხოხია ბახტაძეს 2 კუახი ღომი და 2 კოკა ღვინო.
მართებს მოგელა ფარცხალაძეს სამ ნახევარი კუახი ღომი, სამი
კოკა ღვინო.
მრთებს ნასყიდელა ბახტაძეს 4 კუახი ღომი და 4 კოკა ღვინო.
მრთებს კეთილაძეს 1 კუახი ღომი და 8 კოკა ღვინო.
მრთებს ხახუტა ჩხეკელს 4 კუახი ღომი და 4 კოკა ღვინო.
მრთებს კაცობა ჩხეკელს 4 კუახი ღომი და 4 კოკა ღვინო.
მრთებს გაგულა მამფორიას 5 კუახი ღომი და 5 კოკა ღვინო.
მრთებს დავით მამფორიას 5 კუახი ღომი და 5 კოკა ღვინო.
მრთებს ხოხონა კვკაძისშვილს 4 კუახი ღომი და 4 კოკა ღვინო.
მრთებს ბუჭუა კოპეშავიძეს 4 კუახი ღომი და 3 კოკა ღვინო.
მრთებს ივანიკა კიკობეიშვილს 4 კუახი ღომი და 4 კოკა ღვინო.
მრთებს ლეკველა ფარცხალაძეს სამნახევარი კუახი ღომი და 3
კოკა ღვინო.
მრთებს სეხნიელა კოპეშავიძეს 4 კუახი ღომი და 4 კოკა ღვინო.
მრთებს პაატელა ფარცხალაძეს 7 კუახი ღომი და 6 კოკა ღვინო.
მრთებს გაბრიელა მამფორიას 5 კუახი ღომი და 5 კოკა ღვინო.
მრთებს ივანე ბახტაძეს 4 კუახი ღომი და 4 კოკა ღვინო.
მრთებს ხახუჩელა ბახტაძეს 4 კუახი ღომი და 4 კოკა ღვინო.
მრთებს დათუნა ბახტაძეს 4 კუახი ღომი და 4 კოკა ღვინო.
მრთებს ივანა ბახტაძეს 4 კოკა ღვინო და 4 კოდი ღომი.
მრთებს კოკონელა ბახტაძეს 2 კვახი ღომი და 2 კოკა ღვინო.
მრთებს საყუალა ფარცხალძეს 4 კვახი ღომი და 4 კოკა ღვინო.
მრთებს ფსონის 4 კუახი ღომი და 4 კოკა ღვინო.
მრთებს ხარაზს სანოძეს 4 კვახი ღომი და 4 კოკა ღვინო.
მრთებს კოკონელა ბახტაძეს 2 კვახი ღომი და 2 კოკა ღვინო.
მრთებს კოჩილა სანოძეს 4 კვახი ღომი და 4 კოკა ღვინო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | | |
|---|---|---|
| მრთეჳს | მახარობელ სანოძეს | 4 კვახი ღომი და 4 კოკა ღვინო. |
| მრთებს | ქოქუელა ბახტაძეს | 4 კვახი ღომი და 6 კოკა ღვინო. |
| მრთებს | სვმონა ძიძიგურს | 4 კუახი ღომი და ოთხი კოკა ღვინო. |
| მრთებს | მოგელა ბახტაძეს | 4 კოკა ღვნო და 4 კუახი ღომი. |
| მრთებს | გიორგელა ბახტაძეს | 2 კუახი ღომი და 2 კოკა ღვნო. |
| მრთებს | დათულია ბახტაძეს | 4 კოკა ღვინო და 4 კუახი ღომი. |
| მრთებს | ულ´ყს | 4 კუახი ღომი და 4 კოკა ღვნო. |
| მრთებს | ჩათქერილას | 4 კუახი ღომი და 4 კოკა ღვნო. |
| მრთებს | დედულა ბახტაძისშვილს | 4 კუახი ღომი და 4 კოკა ღვნო. |
| მრთებს | მანველა სვანაძეს | 4 კუახი ღომი და 4 კოკა ღვნო. |
| მრთებს | კატინა სვანაძეს | 4 კუახი ღომი და 4 კოკა ღვნო. |
| მრთებს | ხუტუნა თარგამაძეს | 10 კუახი ღომი და 13 კოკა ღვნო. |
| მრთებს | ძაღლუა მებუკეს | 3 კუახი ღომი და 4 კოკა ღვნო. |
| მრთებს | დავითელა ქანტური-შვილს | 3 კუახი ღომი და 10 კოკა ღვნო. |
| მრთებს | კაცობელა მებუკეს | 5 კუახი ღომი და 5 კოკა ღვნო. |
| მრთებს | ნასყიდა ქანტური-შვილს | 5 კუახი ღომი და 5 კოკა ღვნო. |
| მრთებს | გიორგი მებუკეს | 10 კუახი ღომი და 9 კოკა ღვნო. |
| მრთებს | ხუცეს მებუკეს | 5 კუახი ღომი და 5 კოკა ღვნო. |
| მრთებს | ნასყიდა კაკაბაძეს | 5 კოკა ღვინო. |
| მრთებს | მერცია კაკაბაძეს | 6 კოკა ღვინო. |
| მრთებს | ხოხონა კაკაბაძეს | 6 კოკა ღვინო. |
| მრთებს | დავითელა მაცაციას | 2 კუახი ღომი და 4 კოკა ღვნო. |
| მრთებს | გიორგი სანაძეს | 2 კუახი ღომი და 4 კოკა ღვნო. |
| მრთებს | ხოჯონელა სანაძეს | 2 კუახი ღომი და 4 კოკა ღვნო. |
| მრთებს | კაკუელა სანაძეს | 2 კუახი ღომი და 4 კოკა ღვნო. |
| მრთებს | ბუქუელა სანაძეს | 2 კუახი ღომი და 4 კოკა ღვნო. |
| მრთებს | კაკუელა სანოძეს | 4 კუახი ღომი და 4 კოკა ღვნო. |
| მრთებს | ქიქია სანოძეს | 4 კოკა ღვნო და 3 კუახი ღომი. |
| მრთებს | ხახუტელა სანოძეს | 4 კუახი ღომი და 4 კოკა ღვინო. |
| მრთებს | კალუა სანოძეს | 4 კუახი ღომი და 4 კოკა ღვინო. |
| მრთებს | სალარაძეს ხუცეს | 4 კუახი ღომი და 8 კოკა ღვინო. |

მრთებს ხაზუა აქიმის შვილებს 4 კუახი ღომი და 5 კოკა ღვინო.
მრთებს კაჩელას 10 კუახი ღომი და 13 კოკა ღვინო.
მრთებს მამკაცა ჭავჭიანიძეს 3 კუახი ღომი და 5 კოკა ღვინო.
მრთებს სვმონა ქუთათელაძეს 4 კუახი ღომი და 5 კოკა ღვინო.
მრთებს დედულა ჭავჭიანიძეს 3 კუახი ღომი და 5 კოკა ღვინო.
მრთებს დავითელა ჭავჭიანიძეს 3 კუახი ღომი და 5 კოკა ღვინო.
მრთებს ივანდიდს ხუცეს ტაბიძეს კუახნახევარი ღომი და 6 კოკა ღვინო.
მრთებს ივანდიდს ლეკვა ტაბიძეს 3 კუახი ღომი და 20 კოკა ღვინო.
მრთებს კიდე ივანდიდს ჭიჭია ტაბიძეს კუახნახევარი ღომი და 6 კოკა ღვინო.
მრთებს კიდე ივანდიდს გოგია ტაბიძეს კუახნახევარი ღომი და 6 კოკა ღვინო.
მრთებს კიდე გიორგელა მაჭარაძეს 3 კუახი ღომი და 4 კოკა ღვინო.
მრთებს კიდე ივანდიდს ბოჭუა მაჭარაძეს 3 კუახი ღომი და 9 კოკა ღვინო.
მრთებს კიდე ივანდიდს ბუჭუელა ქუთათელაძეს 4 კუახი ღომი და 4 კოკა ღვინო.
მრთებს კიდე ივანდიდს გიორგელა სვმონიძეს 3 კუახი ღომი და 6 კოკა ღვინო.
მრთებს კიდე ივანდიდს ხუტალია მანაველიძეს 4 კუახი ღომი და 4 კოკა ღვინო.
მრთებს კუხს დავითელა ირემაძისშვილს 6 კუახი ღომი და 11 კოკა ღვინო.
მრთებს კუხს ბუჭუელა ირემაძეს 6 კუახი ღომი და 11 კოკა ღვინო.
მრთებს კიდევ კუხს მახარა ირემაძეს 6 კუახი ღომი და 11 კოკა ღვინო.
მრთებს კიდევ კუხს ლეკვია ირემაძეს 6 კუახი ღომი და 11 კოკა ღვინო.
მრთებს ობოლს ბალანჩივაძეს 5 კუახი ღომი და 5 კოკა ღვინო.
მრთებს მახარობელა კაკაბაძეს 5 კუახი ღომი და 5 კოკა ღვინო.
მრთებს მჭედელს კოსტავას
გაბრიელს 7 კუახი ღომი და 6 კოკა ღვინო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მართებს ივანა კოსტავას 7 კუახი ღომი და 6 კოკა ღვინო.
მართებს სეხნიელა კაკაბაძეს 5 კუახი ღომი და 5 კოკა ღვნო.
მართებს ხუცეს ჯიმშელეის-შვილს 7 კუახი ღომი და 6 კოკა ღვნო.
მართებს სეხნია ჯიმშელეის-შვილს 7 კუახი ღომი, 6 კოკა ღვნო.
მართებს ხუცია კაკაბაძეს 5 კუახი ღომი და 5 კოკა ღვნო.
მართებს დავითელა კაკაბაძეს 4 კუახი ღომი და 4 კოკა ღვნო.
მართებს გიორგელა კაკაბაძეს 4 კუახი ღომი და 4 კოკა ღვნო.
მართებს ლომინა სანოძეს 3 კუახი ღომი და 9 კოკა ღვნო.
მართებს მახარობელს კოპეშავძეს 2 კუახი ღომი და 3 კოკა ღვნო.
მართებს შაქარა კოპეშავძეს 2 კუახი ღომი და 3 კოკა ღვნო.
მართებს დავითელა კოპეშავიძეს 4 კუახი ღომი და 4 კოკა ღვნო.
მართებს ქაიხოსრო წიქუაძეს 5 კუახი ღომი და 8 კოკა ღვნო.
მართებს გაბრიელა წიქუაძეს 5 კუახი ღომი და 8 კოკა ღვნო.
მართებს მამუკელა წიქუაძეს 5 კუახი ღომი და 8 კოკა ღვნო.
მართებს ხოსიელა წიქუაძეს 5 კუახი ღომი და 8 კოკა ღვნო.
მართებს ბაკისუბანს ხატისკაცებს შაშიაშვილს ნასყიდელას 19 ცალი ღვინო, 3 რუბის კორცი.
მართებს გოჩია სალდაძეს 19 ცალი ღვინო და 3 რუბის კორცი.
მართებს გიორგელა სალდაძეს 19 ცალი ღვინო, 3 რუბის კორცი
მართებს გოგინა სალდაძეს 9 ცალი ღვინო და აბაზნახევრის კორცი,
მართებს მამუკელა სალდაძეს 9 ცალი ღვინო და აბაზნახევრის კორცი.
მართებს გიორგი ხუცეს ქაცარავას დეკანოზის ბეგარა ურმეული ღომი, 14 კოკა ღვინო, მარჩილის საკორცე, 1 ქათამი, 6 კუახი ცეხვლი ღომი, 6 ქათამი სამაჭრობო და კიდევ 6 ქათამი ნაშობევს, ნააღდგომევს საბატკობო, საყუელი-

ერთ ძღუჱნი, მაჴრობაზედ მაინძლობა, ნადობა და სამსახური, კორცის წამოღებაზე კელოსნის დაპატიჟება.

აგრევე მის განაყოფს ქრისტეკოჩის და ივანას მართებს.

**ძუჱლთა გუჯართაგნ დიდად შემცირებული და მოკლებული ღორის და ქათმის, ყუჱლის და კუჱრცხის და თევზის ბეგრები ხონის წ~ის გიორგის შეწირულთა გლეხთა, ახლად განწესებული მოხელეთაგან და შეკრებული.**

მართებს სეხნია წინწივაძეს 3 რუბის ღორი, 1 ქათამი, მისი ყუჱლი და კუჱრცხი.

მართებს კაცია წივწივაძეს 3 რუბის ღორი, 1 ქათამი და მისი ყუჱლი და კუჱრცხი.

მართებს ბეგარა გაბრიელა წინწივაძეს 3 რუბის ღორი, 1 ქათამი და მისი ყუჱლი და კუჱრცხი.

მართებს ბეგარა დავითელა წინწივაძეს 3 რუბის ღორი, 1 ქათამი, მისი ყუჱლი და კუჱრცხი, ოთხი ქათამი კიდევ.

მართებს გუაფაძეს 3 რუბის ღორი, 5 ქათამი,
მართებს კიდევ გაბრიელა წინწივაძეს 3 რუბის ღორი, 5 ქათამი,
მართებს დათვია წინწივაძეს 3 რუბის ღორი, 1 ქათამი,
მართებს საყუალა წინწივაძეს 3 რუბის ღორი, 1 ქათამი,
მართებს სჳმონა წინწივაძეს 3 რუბის ღორი, 1 ქათამი,
მართებს ჭყოლოფუა ლაითაძეს 3 რუბის ღორი, 1 ქათამი,
მართებს ივანე წინწივაძეს 3 რუბის ღორი, 1 ქათამი,
მართებს მიხელია წინწივაძეს 3 რუბის ღორი, 4 ქათამი,
მართებს მახარობელა ყუფარიძეს 5 შაურის ხორცი, 1 ქათამი,
მართებს პეტრე ბახტაძეს 3 რუბის ღორი, 1 ქათამი,
მართებს გაბრიელა ბახტაძეს 3 რუბის ღორი, 1 ქათამი,
მართებს სჳმონა ბახტაძეს 3 რუბის ღორი, 1 ქათამი,
მართებს ივანელა ბახტაძეს მარჩილის ღორი, 1 ქათამი,
მართებს მამაგულა ბახტაძეს მარჩილის ღორი, 1 ქათამი,
მართებს გიორგელა ბახტაძეს 2 რუბის ღორი, 1 ქათამი,
მართებს გ~იორგი ბახტაძეს 2 რუბის ღორი, 1 ქათამი,

} მისი ყუჱლი და კუჱრცხი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მართებს კიდევ გიორგელა ბახტაძეს მარჩილის ღორი, მისი ყუწლი და კუწრცხი და 1 ქათამი.

მართებს მოგელა ბახტაძეს მარჩილის ღორი, 1 ქათამი, მისი ყუწლი და კუწრცხი.

მართებს სვმონა ბახტაძეს მარჩილის ღორი, 1 ქათამი და მისი ყუწლი და კუწრცხი.

მართებს ბარძღიელა ბახტაძეს მარჩილის ღორი, 1 ქათამი,
მართებს გიორგელა ყიფარიძეს 3 რუბის ღორი, 1 ქათამი,
მართებს ბახუტა ჩხეკელს 2 რუბის ღორი, 1 ქათამი,
მართებს დათუელა მაღლაკელიძეს 3 რუბის ღორი, 1 ქათამი,
მართებს ზამკაცა ბახტაძეს მარჩილის ღორი, 1 ქათამი,
მართებს ახალკოჩა ბახტაძეს მარჩილის ღორი, 1 ქათამი,
მართებს ნიკოლოზ ბახტაძეს მარჩილის ღორი, 1 ქათამი,
მართებს დავით ბახტაძეს მარჩილის ღორი, 1 ქათამი,
მართებს ივანა ყიფრაძეს 3 რუბის ღორი, 1 ქათამი,
მართებს კაცია კუტიშაძეს 3 რუბის ღორი, 1 ქათამი,
მართებს მახარობელ კოტიშაძეს 3 რუბის ღორი, 4 ქათამი,
მართებს კაცია მაღლაკელიძეს 3 რუბის ღორი, 1 ქათამი,
მართებს კაცია ბახტაძეს მარჩილის ღორი, 1 ქათამი,
მართებს მამისთუალა ფანცულიას 2 რუბის ღორი, 1 ქათამი,
მართებს გიორგი ფანცულაიას მარჩილი ღორი, 1 ქათამი,
მართებს ხახუტელა ყიფრაძეს 3 რუბის ღორი, 1 ქათამი,
მართებს კაცობა ბახტაძეს მარჩილის ღორი, 1 ქათამი,
მართებს კეთილაძეს 3 რუბის ღორი, 1 ქათამი,
მართებს ნასყიდელა ბახტაძეს მარჩილის ღორი, 1 ქათამი,
} და მისი ყუწლი და კუწრცხი

მართებს ხახუტელა ჩხენკელის აბაზის ღორი, აბაზის სამთელი და 1 ქათამი.

მართებს ხუტალია ყვფრაძეს 3 რუბის ღორი, 1 ქათამი და მისი ყუწლი და კუწრცხი.

მართებს ხახუტა ბახტაძეს მარჩილის ღორი, 1 ქათამი,
მართებს ღედულიკა ყვიფრაძეს 3 რუბის ღორი, 1 ქათამი,
მართებს მამუკა ბახტაძეს მარჩილის ღორი, 1 ქათამი,
მართებს მოჯელა ფერლცხალაძეს 3 რუბის ღორი, 1 ქათამი,
} და მისი ყუწლი და კუწრცხი.

მართებს გაბრიელა მამფორიას მარჩილის ღორი, 1 ქათამი, მისი ყუწლი და კუწრცხი.

მართებს პაატელა ფარცხალაძეს 3 რუბის ღორი, 2 ქათამი,
მართებს საყუალა ფარცხალაძეს. 3 რუბის ღორი, 2 ქათამი,
მართებს სეხნია კოპეშავიძეს 3 რუბის ღორი, 1 ქათამი,
მართებს ლეკვა ფარცხალაძეს 3 რუბის ღორი, 1 ქათამი,
მართებს გაბრიელა ბახტაძეს მარჩილის ღორი, 1 ქათამი,
მაროებს ივანე ბახტაძეს მარჩილის ღორი, 1 ქათამი.
მართებს ბუჭუა კოპეშავიძეს 3 რუბის ღორი, 1 ქათამი,
მართებს ხოხონა ბახტაძეს მარჩილის ღორი, 1 ქათამი,
— მისი ყუწლი და კუწრცხი.

მართებს დ˜თ მამფორიას
მართებს ივანე ბახტაძეს
მართებს ხუხუჩელა ბახტაძეს
მართებს დათუნა ბახტაძეს
მართებს ივანა ბახტაძეს
მართებს ბახუტელა ბახტაძეს
მართებს დათვია ხარაზს
მართებს კოჩილა სანოძეს
მართებს მახარობელა სანოძეს
მართებს დავითელა ბახტაძეს
მართებს ხოსიკა ბახტაძეს
მართებს დათულია ბახტაძეს
მართებს მოგელია ბახტაძეს
მართებს სვმონ ძიძიგურს
მართებს მახარობელა ბახტაძეს
— მარჩილი ღორი, 1 ქათამი, მისი ყუწლი და კუწრცხი.

მართებს გიორგელა ბახტაძეს 3 რუბის ღორი, 1 ქათამი, მისი ყუწლი და კუწრცხი.

მართებს კაციელა ბახტაძეს მარჩილის ღორი, 1 ქათამი, მისი ყუწლი და კუწრცხი.

მართებს მათე სანოძეს მარჩილის ღორი, 1 ქათამი, მისი ყუწლი და კუწრცხი.

მართებს სვმონა სანოძეს მარჩილის ღორი, 1 ქათამი, მისი ყუწლი და კუწრცხი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მართებს ნასყიდელა თარგამაზეს (sic) 3 რუბის ღორი, 3 ქათამი, მისი ყუწლი და კუწრცხი.

მართებს ბუჭუა მებუკეს და ჭანტურიშვლს ორს მოსახლეს ერთს წელიწადს 3 რუბის ხორცი, მეორე წელიწადს აბაზის კორცი, თითო ქათამი, მისი ყუწლი და კუწრცხი.

მართებს კაცობა მებუკეს მარჩილის ღორი, 1 ქათამი, მისი ყუწლი და კუწრცხი.

მართებს საყუალა მებუკეს მარჩილის ღორი, 1 ქათამი, მისი ყუწლი და კუწრცხი.

მართებს გ"ი მებუკეს მარჩილის ღორი,<br>
მართებს მერცია კაკაბაძეს 3 რუბის ღორი,<br>
მართებს ხოხონა კაკაბაძეს 3 რუბის ღორი,<br>
მართებს ნასყიდელა კაკაბაძეს 3 რუბის ღორი,<br>
მართებს ბუჭუა ქუთათელაძეს 2 რუბის ღორი,<br>
მართებს გ"ი სანოძეს 2 რუბის ღორი,<br>
მართებს ობოლს სანოძეს 2 რუბის ღორი,<br>
} 1 ქათამი, მისი ყუწლი და კუწრცხი.

მართებს მამკაცა სანოძეს 2 რუბის ღორი, 1 ქათამი.

მართებს ბუჭუა სანოძეს 2 რუბის ღორი, 1 ქათამი.

მართებს კაკუელა სანოძეს 3 რუბის ღორი, 1 ქათამი.

მართებს ჭიჭელა სანოძეს 2 რუბის ღორი, 1 ქათამი.

მართებს მახარობელა სანოძეს 3 რუბის ღორი, 1 ქათამი.

მართებს ხახუტელა სანოძეს 3 რუბის ღორი, 1 ქათამი, მისი ყუწლი და კუწრცხი.

მართებს სადარაძეს ხუცეს 5 შაურის კორცი, 1 ქათამი,<br>
მართებს მახარობელა სადარაძეს 5 შაურის კორცი, 1 ქათამი,<br>
მართებს კახელს 3 რუბის ღორი, 1 ქათამი,<br>
მართებს მამკაცა ჭავჭიანიძეს 2 რუბის ღორი, 1 ქათამი,<br>
} მისი ყუწლი და კუწრცხი

მართებს სვიმონა ქუთათელაძეს მარჩილის კორცი, 1 ქათამი, მისი ყუწლი და კუწრცხი.

მრთებს ბუჭუელა კელოსანს 2 რუბის კორცი და 1 ქათამი.

მრთებს დედელა ჭავჭიანიძეს 2 რუბის ღორი, მისი ქათამი.

მრთებს დავითელა ჭავჭიანიძეს 2 რუბის კორცი და 1 ქათამი.

მრთებს ივანდიდს ლეკვია ტაბიძეს 3 რუბის საკორცე, 1 ქათამი, მისი ყუწლი და კუწრცხი.

მრთებს ივანდიდს დავით ტაბიძეს 2 რუბის თეთრი, 1 ქათამი.
მრთებს ქიქიელა ტაბიძეს 2 რუბი თეთრი და 1 ქათამი.
მრთებს მამკაცა ტაბიძეს 2 რუბის კორცი და 1 ქათამი, მისი ყუჱლი და კუჱრცხი.
მრთებს გ̃ი მაჭარაძეს მარჩილის ღორი, 1 ქათამი, მისი ყუჱლი და კუჱრცხი.
მრთებს ბუჭუა მაჭარაძეს მარჩილის ღორი, 1 ქათამი; მისი ყუჱლი და კუჱრცხი.
მრთებს ბუჭუელა ქუთათელაძეს 3 რუბის ღორი, მისი ქათამი, მისი ყუჱლი და კუჱრცხი.

მრთებს სვმონიძეს 5 შაურის კორცი,
მრთებს ხუტალა მანაველიძისშვილს მარჩილის ღორი,
მრთებს მახარა ირემაძეს მარჩილის ღორი,
მრთებს დავით ირემაძეს მარჩილის ღორი,
მრთებს ბუჭუელა ირემაძეს მარჩილის ღორი,
მრთებს ლეკვა ირემაძეს მარჩილის ღორი,
მრთებს მჭედელს კოსტავას 3 რუბის ღორი, მისი
მრთებს ჯიმშელავაშვილს ხუცეს მარჩილის ღორი,
მრთებს დავითელა ჯიმშელაშვილის მარჩილის ღორი,
მრთებს მახარობელა კაკაბაძეს 3 რუბის ღორი,
} 1 ქათამი, მისი ყუჱლი და კ.ჱრცხი.

მრთებს ობოლს ბალანჩივაძეს 5 შაურის კორცი და 1 ქათამი.
მრთებს დავითელა კაკაბაძეს 2 რუბის კორცი, 1 ქათამი.
მრთებს გაბრიელა კაკაბაძეს 2 რუბის კორცი, 1 ქათამი.
მრთებს გ̃ი ხუცეს სანოძეს ნახახულარევში 3 რუბის ღორი. 1 ქათამი, მისი ყუჱლი და კუჱრცხი.
მრთებს მახობელა კოპეშავიძეს 3 რუბის ღორი, 1 ქათამი, მისი ყველი და კვერცხი.
მრთებს ხოჯონა კოპეშავიძეს 3 რუბის ღორი, 1 ქათამი, მისი ყველი და კვერცხი.
მრთებს დავითელა კოპეშავიძეს 3 რუბის ღორი, 1 ქათამი, მისი ყველი და კვერცხი.
მრთებს შაქარა კოპეშავიძეს 3 რუბის ღორი, 2 ქათამი, მისი ყველი და კვერცხი.
მართებს მამიკეთილას მრჩილის კორცი და 1 ქათამი.

მართებს წიქუაძეს ქაიხოსროს მარჩილის ღორი და 1 ქათამი.
მართებს გაბრიელა წიქუაძეს მარჩილის კორცი და 1 ქათამი.
მართებს ხოსიელა წიქუაძეს მარჩილის კორცი და 1 ქათამი.
მართებს კოკონესშვილს 3 რუბის კორცი, 1 ქათამი, მისი ყუჱლი და კუჱრცხი.
მართებს კაცობელა ჩხეკელს 3 რუბის ღორი, 1 ქათამი, მისი ყუჱლი და კუჱრცხი.

**1803 წ.** პირობის წიგნი, მიცემული მხეიძეების მიერ, გელათის საბუთთაგან № 3, თეთრს ქაღალდზე ზომით 51×21 1/3 სანტიმ. ნიშნად ხშირად, მაგრამ არა ყოველ სიტყვის შემდეგ იხმარება თითო წერტილი.

ქ. ნებითა ღთისათა ესე საუდეო წიგნი და პირობა მოგეცით. ჩვენ მხეიძემ ფირან, ბერმა და ზალმა, ბექან თქვენ სოხასტრის წინამძღვარს იოსელიანს დავითს და თქვენის ეკლესიის სოხასტრის კაცებს გვეწაძეებს, პატრიძეებს და სხვათა ერთობით თქვენის ეკლესიის კაცებს.... თქვენ და თქვენის ეკლესიის კაცებს ადგილებს, მამულებს, საყანეებს და რაღაცეებს ვედევებოდით. ბატონის ჩვენის ხელმწიფის მეფე სოლომონის კარზედ მოვდექით, ვილაპარაკეთ, მაგრამ სამართლის გაჩენა აღარ ინებეს. ბატონის მეფე სოლომონის ბრძანებით, მათის ყდ უსამღვდელოესობის ქუთათელ მიტროპოლიტის დოსითეოს, გაენათელ მიტროპოლიტის ეფთვიმის და ჩვენის ხელმწიფის ერთობით დიდებულების ბრძანებით მოვრიგდით. ჩემი საზიარო მამული ჟუნტუბო გქონდათ და თქვენი კერძი ის ჟუნტუბოს მამული გამოგართვით, ცალიერს მიწას სახარდნესა და ზახორეს (sic) გარდა სხვა არაფერი გვითხოვია.... თქვენი კერძი მამული ჟუნტუბო რომ გამოგართვით, იმისი სამაგიერო ცალიერი მიწაც მოგვიცემია· არის ამისი მოწამე სახლთუხუცესი წერეთელი ზურაბ (ბეჭედი: ზურაბ) სარდალი წერეთელი ქაიხოსრო, წულუკიძე ოტია (ბეჭედი: წულუკიძე ოტია), წულუკიძე სეხნია, მაჩაბელი ზურაბ, ნიჟარაძე კაცია, ჭიჭინაძე ნიკოლოზ (ბეჭედი: ჭიჭინაძე ნიკოლოზ) და სხვანი ერთობით მეფის დიდებულნი, საეროni და სამღვდელონი, აღიწერა ხელითა მეფის კარის მღვდლის გრიგოლაშვილის იესესითა ქკნს ქეს აქეთ ჩყგ თვესა იანვარსა იდ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორი ჯვარი და ერთი ბეჭედი, რომლის წარწერა კარგად არ სჩანს, მაგრამ ზოგიერთ ასოების მიხედვით ბერი მხეიძეს უნდა ეკუთვნოდეს.

განზე: ქ. ჩვენ. სდ. იმერთა. მეფეთ: მეფე. დავითიანი მეორე. სოლომონ. ვამტკიცებ....

ბეჭედი ასომთ.: მეფე იმერთა სოლომონ.

ქ ყ̃დ სამღუდელო ქუთათელ მიტროპოლიტი დოსითეოს... ვამტკიცებ...

ბეჭედი: ყდ სამღვდელო ქუთათელ მიტროპოლიტი (ასომთ.:) დოსითეოს.

ქ ყდ სამღუდელო ჯუმათელ მიტროპოლიტი მაქსიმე.. ვამტკიცებ.. ხვეულად: მაქსიმე.

მეორე გვ. განზე: ქ: ჩვენ ყდ სამღვდელო გაენათელ მიტროპოლიტი ეფთვიმი მოწამე ვარ ამ მორიგების წიგნის და კიდეც ვამტკიცებ ნებითა ღვთისათა.

ბეჭედი: გენათელ მიტროპოლიტი (ასომთ.:) ეფთვიმი.

**1803 წ.** სოლომონ II-ს მიერ მიცემული წიგნი გელათის ტაძრისადმი, გელათის საბუთთაგან № 23, თეთრს ქაღალდზე ზომით $33^{3}/_{2} \times 21$ სანტიმ.

---მე---მეფემან მეფეთამან მეორემან სოლომონ დავითიანმან და ერთკორცმან ჩემმან დედუფალთ დედუფალმან დადიანის ასულმან მარიამ ვინებე წმიდისა შენისა ეკკლესიისა კნიონოდენისა ამის შეწირულობისა განახლება, ესე ვითარად რომ წულუკიძის ასულს დედუფალს გულქანს ნამაშევს მოჯალაბეთ ყოფილი ქითავა მათი̃ლო, დავითლა და გაბრიელა თავისის ცოლშვილით თავისის ძმის წულუკიძის გიორგისაგან დაეხსნა, ქუტირს თავის სამკვიდრო ადგილზედ დაესახლებინა. დედოფალი საწუთოსა ამისაგან გარდაიცვალა და ვითა ჯერ იყო ეკკლესიასა შენსა დასავალის მხრის კარის ბჭეს შინა მახლობელად სვეტისა ვედრებისა ღ̃ისმშობლის პირისპირ დაიმარხა და ამ ზედა აღწერილის გლეხის წმიდისა შენისა შეწირულობა ვსცანთ. რადგან მისი საკუთარი დახსნილი იყო, მეცა დავამტკიცე შეწირულობა და შევსწირე ტაძარსა შენსა გენათს ქუტირს ქითავა მათიელა თავისის ძმებით, მათის ცოლშვილით, მათი სამართლიანი

ბეგრით... და ესრეთ განმიწესებია, ახალს კვირეს ერთს მღვდელს გელათს ჩემთვის აწირვინებდეს და სულის წმიდის მოსვლის შაბათს თავისის დამსხნელის საფლავზედ გელათს აწირვინებდეს და ცხვარსაც დააკლევინებდეს და საწირავს ორივეს მღვდლისას ის გლეხი გაისტუმრებდეს.... ამ წერილისა მოწამე სარდალი წერეთელი ქაიხოსრო და სხვანი ერთობით კარისა ჩემისა დიდებულნი დარბაზის ერნი. აღიწერა ხელითა ქიქინაძის ნიკოლაოსისათა მაისს კზ წელთა უფლისათა ჩყგ.

ბეჭდები სოლომონ მეფისა და მარიამ დედოფლისა.

**1803 წ.** შეწირულობის წიგნი სოლომონ II-სა ქუთაისის ტაძრის საბუთთაგან № 28, კარგს თეთრს ქაღალდზე ზომით $49 \times 31^{1}/_{2}$ სანტიმ. ნიშნად იშვიათად იხმარება წერტილი და მძიმეც.

...ჩვენ... სდ იმერთა და სხუათა მფლობელ მპყრობელმან, იესიან დავითიან სოლომონიან პანკრატოანმან მეფემან მეფეთამან ძემან არჩილისმან მეორემან სოლომონ... შემოვსწირე წსა ტაძარსა შენსა (ქუთათისის ღვთისმშობელო) ქუთათისს მოსახლე აბელაშვილი მახარობელას ობლები ანდრია და გრიგოლ... აწ არიან ამა დამტკიცებისა მოწამენი წერეთელ (sic) სალთხუცესი ზურაბ, ბოქოულთუხუცესი წერეთელი ვახუშტი და ზოგად გამგენი კარისა ჩვენისანი. აღიწერა კელითა ნიკოლაოს დეკანოზ გაბაონისათა...: ჩყგ: 1803. თთვესა ივნისსა კთ 19 (sic).

ბეჭედი ასომთ.: მეფე იმერთა სოლომონ.

**1803 წ.** მარიამ დედოფლის შეწირულობის წიგნი, რომლის პირი დაცულია ხონის ტაძრის გუჯრების კრებულში № 103, 1803 წ. გადაწერილში ხუცურით ოსე გაბაონის მიერ.

....წო დიდო მოწამეთა მთავარო გ˝ი ხონის ეკლესიისაო, მე ყ˝ლისა სასოებისა და ცხოვრებისა ჩემისა შნ ზ˝ა დამდებმნ სდ იმერთა დედოფალთ დედოფალმნ დადიანის ასულმან მარიამ შნ მრჩობლთა ცხოვრებისა ჩნისა სიქადულსა მოგიძღუანე მწულილებრ მცირე არად

ეროვნული ბიბლიოთეკა

სარაცხი ძლუჩნი ესე ჩმ მრ მოსყიდული და დაკსნილი მეპატრონისა მისისა ჩიქოანის კაციას შვილებისაგნ თანა ნება რთვთა ძიძისა ჩმისა ქმარი წიქარიძე მხიარულა და შვილი მისი სვიმონიკა, გაბრიელა, ივანიკა და პაატელა და დავასახლეთ ჭყვშურში და აწ ყ̃ის კაცის უცილობელად შემოგვწირავს მისის ადგილმამულით და ყოვლით (sic) მისის საცხოვრებელით რლისაც მქონებელი არის და დავსდევით მს ბეგარა ესე ყოველს წელიწადს გიორგობას მთავარ მოწამეს გიორგის თითო ჩარექს სამთელს მიართუმდეს... აჰა არიან თანა მოწამე სიგლისა ამის წულუკიძე გ̃ი, ნიჟარაძე ხაბაზთუხუცესი და მოურავი კაცია, ჩიქოანი ოტია, სახლთუხუცის შვილი დავით ჩხეიძე, ლევან ნიჟარაძე, ზურაბ იმხნელი, დეკანოზი და მოძღვარი ჩნი სვიმონ. მე მღუდლის გაბაონს ოსეს დამიწერია და თანად მოწამეცა ვარ. აღიწერა წიგნი ესე ქეს აქათ ჩყგ თ̃ა ივნისსა კე დღესა.

**1803 წ.** სოლომონ II-ს წყალობის წიგნი, რომლის პირი დაცულია ხონის ტაძრის გუჯრების კრებულში № 103, 1803 წ გადაწერილში ოსე გაბაონის მიერ.

წყალობითა დაუსაბამოჲსა მმისა ღჲთა ჩ̃ნ იესიან დავითიან სოლომონიან პანკრატოანმან ს̃დ იმერთა და სხუათა მპყრობელმან მეფემან მეფეთამან ძემან არჩილისამან მეორემან სოლომონ ესე ამიერითგან უკ̃ე უცვალადო წყალობის წიგნი აღგიწერეთ და გიბოძეთ შ̃ნ ხონის წმინდის გიორგის ეკლესიის ყმას მღუდელს ტაბიძეს გიორგის და შენს ძმებს იესეს, ბეჟანიკას და გაბრიელას და სხუათა შვლთა და მომავალთა სახლისა თქნისათა, ესრეთ და ესე ვითარად რომე ადგილზედ ნაკლები კ̃ცი იყავით და მრავალგზის გუჩვედრეთ ადგილის ბოძებისათს და ჩნ ვისმინეთ ვედრება თქნი და თქნის მღუდლთმთავრის მთავარეპისკოპოსის ანტონის დასტურით ხონის წ̃ის გიორგის ეკლესიისათს ჭყვიშურის ადგილის წყალობა გიყავით და დაგასახლეთ, ყუმურის ღელე რომ რიონშიდ ჩაერთვის იმ ადგილზედ, გიბოძეთ შნი საყოფი სამოსახლო სამამულე და საყანე ჭალისთავიანათ პაატეის ლომინის ფშანი რომ ჩამოჰყვება ქაპნარის თავიანათ და ისევ ეკლესიას უნდა მსახურო, რლიც მისი ბეგარა

გემართა́ და მეფობისა ჩნისა წარსამართებელად და სულისა ჩნისა საოხად ამაღლებას დღეს ცხუარი უნდა დაჰკლათ და მღუდელს უნდა აწირვინოთ და სხჳ სათხოვარი ჩნგ̃ნ და ჩვენის მოხელისაგნ თქნ არა გეთხოს რა და ეს განწესება თქნგნ და თქუჱნის შვილისა და მამავალისაგნ ჩნ არას ჟამთა ვითარებისაგნ არ უნდა მოგუჱშალოს და რომელიც ჩნ წყალობა გიყავით, ეს წყალობა არც ჩნგნ და არცა ჩნთა შემდგომთაგნ თქუჱნ და თქუჱნს შვილსა და მომავალს არ მოეშალოს.... ბრძანებისა ამის ჩნისა შუამდგომელი და გამრიგედ მოწამე ყ̃დ სამღუდელო ქუთათელ მიტროპოლიტი დოსითეოს, წულუკიძე ოტია, მოურავი ლორთქიფანიძე ნიკოლოზ და ქილიფთართ-უხუცესი ნიჟარაძე როსტომ. ივლისის ერთს ქრისტეს აქეთ ჩყგ. ხ̃ მე კათოლიკოსის დეკანოზმნ ოსემ გაბაონმნ გარდმოვსწერე თანა მოწამებითა ღ̃ჲთა ვ̃ა იყო დედანსა ამისსა, არა მეტნაკლებად.

**1803 წ.** სოლომონ II-ს წყალობის წიგნი, რომლის პირი დაცულია ხონის ტაძრის გუკრების კრებულში № 103, 1803 წ. გადაწერილში ოსე გაბაონის მიერ.

ძლიერებითა და წყალობითა დაუსაბამოჲსა მამისა ღჲთა ჩ̃ნ იესიან დავითიან სოლომონიან პანკრატოანმან სდ იმერთა და სხუათა მპყრობელმნ მეფემან მეფეთმნ მეორემნ სოლომონ და თ̃ა ერთკორცმნ ჩემმნ დედოფალთ დედოფალმნ დადიანის ასულმნ მარიამ ესე ამიერითგან უკ̃ე უცვალადო და არაოდეს მოსაშალი წყალობის წიგნი დაგიწერეთ და გიბოძეთ შნ სანაძეს გოგიას და შენს ძმას კიკოლას, შვილთა და მომავალთა სახლისა თქუჱნისათა, ესრეთ რომ ხონის წ̃ის გიორგის ეკლესიას შეგწირეთ ჩნდა გნსაძლიერებელად და სულისა ჩნისა საოხად. ხონს ადგილზედ შეიწრებული იყავით და ვერ გასძელით და მათის ყ̃დ უსამღვდელოესობის მთავარეპ̃ის დოსტურით წყალობა გიყავთ და საჭილაოს დაგასახლეთ და ჩნი სახასო მიწა გიბოძეთ ოთხი ქცევა სამოსახლოთ მარანთან ნავენახარი, ოთხი ქცევა დობილო ბრელიძის ფონზედ ჭალაშიდ, სამოცი ქცევა საყანე ჯოლოხინში, ოცდაათი ქცევა საშეშე და საწკნელე არგუანში. ეს ალაგები ასრე ცხენის წყალს გაღმა თქ̃ნ ჩნს ერთგულებით მოსამსახურეს ფარეშისათ გოგიასა და კიკოლასათ მიბოძებია,

ყოველს აღდგომას თითო ჩარექს სამთელს ბეგრათ ხონის წმი გ̃ის ეკლესიას მიართმიდეთ და ყ̃ლს ღსმშობლობას დღს ხ დეკანოზს აწირვინებდეთ, ცხვარს დაუკლევდეთ ჩნთს გნსაძლო ბელად და სლისა ჩნისა საოხად და ამის მეტი ჩ̃ნი გარდასახადი არაფერი მოგადგესთ. თუ თქნ ჩნი ერთგული და ბრძანებისა მორჩილი იქმნეთ და ეს განწესება თქნ არ მოგვშალოთ, არც და არცა ჩნთა შემდგომთა მეპატრონეთაგან ეს წყალობა არც და არცა შვლთა და მომავალთა არა ოდეს არ მოეშალოსთ... ნებისა ამის ჩნისა გამრიგედ და მოწამედ მოლარეთუხუცესი თელი გ̃ი, მისი ძმა ქველი, ჭიჭინაძე ნიკოლოზ, ფარეშთუხ აბაშიძე ქაქუჩა, მოურავი კორძაია ზაალ და გრიგოლ. აღ კელითა კარისა ჩნისა მღუდლისა გრიგოლაშვილის იესესითა ქეს ჩყგ თუესა ივლისსა თ.

**1804 წ.** დოსითეოს ქუთათელის და ერისთვების მიერ დებული წიგნი, ქუთაისის ტაძრის საბუთთაგან N თეთრს ქაღალდზე ზომით $32^1/_2 \times 21^2/_3$ სანტიმ. ნ ზოგი სიტყვის შემდეგ იხმარება თითო წერტილი.

ქ ესე მტკიცე... წიგნი ესე აღვსწერეთ და დავსდევით თათისისა ღთისმშობელის წინაშე ჩვენ ყდ სამღუდელომ ქუთ მიტროპოლიტმან დოსითეოს, ერისთავმა დავით, იოანე, რო და ოტია.... ბაშური ჩვენი და თქვენი საერთო იყო და წინააღმდგომთა მტერობით მის სიმაღლეს მეფეს სხუა რიგა სინჯეს (sic) და ეს ჩვენი საზიარო ტევრი რომელიმე მღ უბოძა, რომელიმე ივანე მესხს და რომელიმე სხუათა და ამი დგომად ვიმეცადინეთ რაოდენ ძალ გვედვა და მეფემაც ინ წყალობა გვიყო და გვიბოძა ჩვენი სრულებით ჩვენვე.... ეს ბ და ტევრი გატეხილი თუ გაუტეხელი საზღურები რომ არის შუაში ჩვენი საზიაროდ იყოს, ნახევარი საქუთათლოდ და ნა საერისთოდ და როდესაც გაყოფა ვინებოთ, ძმურად შუაზე ყოთ.... არიან ამის მოწამენი ბერი ბუშისშვილი თეიმურაზ, თავისშვილი ნიკოლოზ, გამრეკლიძე ქველი, ლორთქიფანიძე მამუკა, დათიკა და ქაიხოსრო, მოურავი აბულაძე სვიმონ, მე

ეროვნული ბიბლიოთეკა

შვილი მოურავი დავით და ერთობით ჩვენი მოხელენი. აღიწერა კელითა ნიკოლაოს დეკანოზ გაბაონისათა.... ჩყდ აგვისტოს კვ.

ბეჭედი: 1) ყდ სამღუდელო ქუთათელი მიტროპოლიტი (ასომთ.:) დოსითეოს. 2) ერისთვისძე იოანე.

სამი ჯვარი,

**1804 წ.** ეფთვიმე გენათლის მიერ დადებული წიგნი, გელათის საბუთთაგან № 14, თეთრს ქაღალდზე დაწერილი.

მათის უმაღლესობის ჩემის კემწიფის მეფის სოლომონისაგან მე გაენათელ მიტროპოლიტმან ეფთვიმიმ გამოღმა ბოსლევს საიაშვილო სოფელი და ადგილმამული ვიქთამე და ჭუმბურიძეები და მიქაბერიძე დავასახლე. ჯერ უმალ ნეტარად ხსენებულს მეფე სოლომონს და მის ძმას კათოლიკოზს იოსებს დაესახლებინა, შვიდნახევარი პარტახი ყოფილიყო და მერვე პარტახზედ მიქაბერიძე დაესახლებინა და რომელიმე საქმისათვის ისევ აყრილიყვნენ და ვევედრე ჩემს კემწიფეს მეფე სოლომონს და როგორც შემეძლო, ქრთამიც ისე მივართვი და იაშვილის სეული მიწა წყალი და სადაც რამე მისი იყოს ბოსლევს შემავალი ადგილმამული, გელათს შესწირა და მოვიყვანე ეს ჩემი ეკლესიის გელათის ყმები ჭუმბურიძე და მიქაბერიძე და როგორც უმალ პარტახობით ექირათ, ახლაც იმ რიგათ დავასახლე და რვა პარტახათ მივეციყე. რამდენათაც განმრავლდეს და ან გაიყონ, ეს რვა ნახევარი პარტახი ისე დაიყონ და თავთავს სახლიდამ გასრულებს, ისე ერთმანეთს უზიარონ და ამ პარტახებს გარდა სერს ზეით საყანე სერსა და შარას შუა რკვიის საზღვარს ქვეით შარას გარდმოღმა და ქვეით რუსის ზღვარს ზეით აქეთ სოფლისვე შარას აქეთ ზოგი ჩემა გამოგზავნილმა კაცმა და ჩემა მოხელენმა ჩემის ბრძანებით, როგორც რვანახევარი პარტახი რვათ მიცემული ქონდათ, ეს სერს ზეით ამ ზღვრებს შუაც იმ რვა ნახევრის პარტახის მსგავსად რვა ნახევრათ გაგვიყვია და რვა პარტახის მსგავსად ზღვრები ჩაგვიყრია. თავათ თავის ნებითა და ერთმანეთის ნებადართულობით ასე დაიყვეს და ჩვენმა მაგიერმა კაცებმა და მოხელენმა ზღვრები ჩაუყარეს და ამ რიგათ გავარიგეთ და რომელიც ზღვარი ჩაუგდებელი და დაუყოფელი რკვიის საზღვრამდის

დარჩა შარას გარდმოღმა, ისეც ამის მსგავსად პარტახზედ დაიყონ და დაზღვრონ ეს ასე დამიმტკიცებია და გამირიგებია და ამას გარდა კიდე ბოსლევს მიწა საიაშვილო შარას გარდაღმა რაც ჩემის დავთრის მიწა არის, იმა საზანოელებსა და ჩვენ დეობა და ხარჯი მოგვივიდა და ბოლოს დავრიგდით და რომელიც ჩვენი დავთრის ალაგი იმ დიდ შარას გარდაღმა დარჩა, რაც მოსახლე კაცი ან ჭუმბურიძე დღეს იყოს, გაყრილი დაესახლოს და ან მიქაბერიძე, ისე კუამლზედ დაიყონ, შარას გარდაღმა კუამლზედ დაიყონ და შარას გარდმოღმა რვა პარტახზედ არის დაყოფილი და ისე დაიყონ და თავ თავისთვის მიიჩინონ. ჩემი ნაშოვარი არის, თეთრი ჩემი საკუთარი არის გამოღებული და ისე ნაყიდი მაქვს და ჩემის ეკლესიის გელათისათვის შემიწირავს და მისი სამკვიდრო ყმა ჭუმბურიძე და მიქაბერიძე დავასახლე და ასე დავამტკიცე. ეს გარიგებულობა არასოდეს არ მოიშალოს არც ჩემგან და არცა შემომდგომთა ჩემთა გენათელთაგან, ისე საუკუნოდ დამიმტკიცებია და თუ ამ ბოსლევს მოსახლემ ან ჭუმბურიძემ და ან მიქაბერიძემ ეს ჩვენგან გარიგებული შეშალოს და ამ წერილს გარდა ერთმანეთშიდ ჩხიკინი და დეობა დაიწყოს, ჩვენის ეკლესიის გელათის შეცოდებათ მოეკითხოს ჩემგანაც და ჩემის შემდგომის გენათლისაგანაც. არის ამისი მოწამე და თანდამსწრე ოთია მესხი, მოურავი კახიძე ვახტანგ, კანდელაკი სიმონ, აბაშიძე ქაიხოსროს შვილები სიმონ და დავით, ერგებლიძე ნიკოლოზ და მე წინამძღვარს დავითს დამიწერია და მოწამეცა ვარ ამისი. აღიწერა თვესა სეკდემბერსა: კზ: წელთა უფლისათა ჩყდ.

ბეჭედი: გენათელი მიტროპოლიტი (ასომთ.:) ეფთვიმი.

**1804 წ.** განჩინების წიგნი, მიცემული სოლომონ II-ის მიერ, დაცული ბიჭვინტის საბუთებში № 98, დაწერილია თეთრს ქაღალდზე ზომით 42×15 სანტიმ. ნიშნები დაცულია.

ქ: ყ~დ უსამღვდელოესმან ქუთათელ მიტროპოლიტმან, განმგებელმან საკათოლიკოზოთა მამულთამან. დოსითეოს სამართალში მოიტანა დავთარი ბიჭვინტის ღ~თის მშობლისა შეწირულნი მეფეთაგან, რომელშიაც აცხადებდა შეწირულობასა ორწყალ შუა ტყითა და მამულითაო და დავთრითა მით ედავებოდა ორწყალშუა მამულსა

და ალაგს მიქელაძეებს, მიქელაძეებმა აშორო უთხრეს, ასე რომ რომელიც თქვენ დავთარში ორწყალშუა შეწირულობა გიწერიათო, არც ის ორწყალშუა მამული ეს იყოსა, არც შეწირული იყოს ღ̃თის მშობლისა. და არც სამართლით თქვენ საქმე გქონდესთო: ამისი სამართალი ასე განვაჩინეთ. მივიდნენ ამ ზემოხსენებულის მამულის სამანზე მიქელაძე დავით შაქარაშვილი ზურაბიშვილი დავით და მიქელაძე მერაბ. და ასე უფიცონ რომელიც შეწირულობის დავთარში ორწყალშუა ტყე და მამული გიწერიათ ბატონო ქუთათელო. ეს ადგილი არც ის ორწყალშუა ადგილი იყოს და არცარა საქმე გქონდეს, თუ ესე დაიფიცეს დარჩებათ მიქელაძეებს, და თუ ვერ დაიფიცეს. დარჩება ბიჭვინტისა ღთისმშობლის ეკლესიას როგორც დავთარში უწერია ოკდომბერს ია ქკს უჟბ: თუმცა ასე მცირეს მამულზე. ამისთანა თავადების ფიცი არ გაჩნდებოდა, მაგრამ რადგან ეკლესია ედავებოდა შეწირულობის დავთრით ამ მიზეზით განვაჩინეთ და ასე უფიცონ.

ბეჭედი ასომთ.: მეფე იმერთა სოლომონ.

**1804 წ.** წყალობის წიგნი, მიცემული იმერთა დედოფლის ანნას მიერ, დაცული ბიჭვინტის საბუთებში № 89. დაწერილია ტყავზე ზომით $46^3/_4 \times 23^3/_4$ სანტიმ. ნიშნები სანიმუშოდ დაცულია.

ქ: წყალობითა ღუთისათა: ჩუენ სრულიად იმერთა დედოფალმან ანნამ ესე წყალობის წიგნი გიბოძეთ შენ ზემო სხოველს სულაძეებს: სვიმონიკას ძმასა შენსა გოგიტას თამაზას ივანეს კაციას: ასე რომ სამკვიდრებლათ საქათალიკოზო მიჭვრიტის (sic) მღუთის მშობლის ყმანი ჰყოფილხართ: მაქსიმე კათალიკოზი რუსეთს წაბძანდა იმ ჟამათ თქუენ მამა მოგკდომოდათ და თქუენ წურილი ობლები დარჩომილიყავით პატრონი და ბატონი რომ არვინ გყოლოდათ თქუენს მოურავს ჩაჩანიძე ხოსიას თავსთვინ ყმათ დაეჭირენით და გიმსახურებდათ. მოხუედით და ჩუენ მოგუახსენეთ და ჩუენ ეს დიდის გულსმოდგინებით გამოვიძიეთ და გავსჩხრიკეთ. სამკვიდრებლათ მამით და პაპით მიჭურიტისა მღუთისმშობლის ყმანი ჰყოფილხართ ჩაჩანიძეს უსამართლოდ ეჭირენით და ჩუენც ეს წყალობის წიგნი

გიბოძეთ ისავ თქვენის სამკვიდრებელს ღვთისმშობელს მოგართვით სანატრელისა მეფის დავითის მოსახსენებლათ და ძირსა მისისა კონტანტილეს სადღეგძელოდ და იმ ეკლესიას წელიწადში ერთს ლიტრა სანთელს მიართმევდეთ ამის მეტი არაფერი არა გეთხოებოდესრა არა ბეგარა არა ხარჯი არა კულუხი არა ხუნა არა თესვა არა გეთხოებოდეს მზისა და წვიმის მეტმა თქუენს კარზედ არამ გაიაროს და არც არავის თქუენთან ხელი აქუს...... დაიწერა კვლითა ქაშოეთის დეკანოს ძის მღუდლის პავლესითა. დეკემბერს იბ. ქკს უჲბ.

**1805 წ.** სოლომონ II-ის წყალობის წიგნი, ქუთაისის ტაძრის საბუთთაგან № 43, თეთრს ქაღალდზე ზომით 36×24 სანტიმ. საბუთი უნდა იყოს დაწერილი მეფის საკუთარი ხელით. ნიშნები დაცულია.

ქ. წყალობითა ღთინათა. ჩვენ იესიან, დავითიან, სოლომონიან პანკრატოანმან მეფემან ს̃დ იმერთა და სხუათამან სოლომონ ესე ყ̃დ უცვალებელი წიგნი წყალობისა მოგართვი თქვენ ქუთათელ მიტროპოლიტს დოსითეოს. დავით ერისთვის შვილსა და მის ბიძაშვილებს. ესრეთ რომ ბაშური თქვენი. და ერისთვის შვილების ყოფილიყო. და ჩვენმა მოხელეებმა სხუა რიგათ გაგუასინჯეს. და ეს თქვენი ტევრი ბუჭუა მდივანს და იოანე მესხს მივეცი წიგნით. და ამის შ̃დ თქვენ შემოგვევედრეთ. და სამართლიანის გზით განვიხილეთ. და თქვენის მოხელებისაგან. და ეგრეთვე ერისთვის შვილებისაგან თქვენი რომელიც იყო. სამართლით და ფიცით დაამტკიცეთ. და ამისთვის ჩვენც გიბოძეთ.... აღიწერა. იანვრის. ჲ. წელთა: ჩყე:.

ბეჭედი ასომთ.: მეფე იმერთა სოლომონ.

**1805 წ.** სათავდებო წიგნი, მიცემული ანტონ ხონელ მთავარეპისკოპოსისადმი, ხონის საბუთთაგან № 77, დაწერილი ლურჯს ქაღალდზე.

ქ ესე სათავდებო წიგნი და პირობა მოგართვი. მე თქუენმან მონამან კიკალიშვილმა ხუტუნიამ თქვენ ბატონს მთავარებისკოპოს, ასე რომ თქუენი კაცი გუტულია რუხაძე სხოგონ აპირებდა სამო-

სახლოთ წასულას და თქვენგან მეფეს მოხსენდა და ბოქაული ალავიძე სვიმონ გამოგზავნა მეფემ და უთავდებოთ არ ენდევით და მე თავდებათ დაუდექი. ასე პირობა მოგართვით, რომ თქვენი მორჩილი იქმნეს, როგორც შეძლოს ისე და თუ სადმე წავიდეს, ისიც მოგართვა ყოლისფრიანათ და სიმტყუნისათვის ასი მარჩილი მოგართვა.... არის ამისი მოწამე ალავიძე სვიმონ, მოურავი ქუთათელაძე მახობა, მერაბიკა გრიგოლაშვილი. დაიწერა ქორონიკონს ათას რვაას ხუთსა თვესა მარტს ათერთმეტს. მე მღდელს წიწეაძე (?) ნიკოლოს დამიწერია.

ჯვარი.

**1805 წ.** ნასყიდობის წიგნი, მიცემული გელათის სოხასტრის ეკლესიის წინამძღვრისადმი, დაცული ამავე ეკლესიის ს-ბუთებში № 2, თეთრს ქაღალდზე ზომით $30 \times 22^{1}/_{5}$ სანტიმ. ნიშნად თითქმის ყოველ სიტყვის შემდეგ თითო წერტილია.

ქ. შეწევნითა ღთისაითა ესე საუკუნოდ გასათავებელი.... ნასყიდობის წიგნი, პირი და საფიცარი მოგეცი თქვენ წმიდის მაცხოვრის სოხასტრის ეკლესის წინამძღვარს იოსელიანს დავითს მე ქუთაისის მოსახლემ პურისშვილმა დავითმა, ესრეთ და ასე ვითრად რომ ქუთაისის ქალაქის თავშიდ წულიკიძის სასახლის პირდაპირ ხულის დასადგამი ადგილი ხელმწიფისაგან წყალობათ მქონდა, დამჭირდა და შენ და შენს ეკლესიას მოგყიდე... არის ამისი მოწამე ბუჭუა იოსელიანი და კიდევ გიგია ნიჟარაძე და კიდევ ბერი პატარიძე და ხოსიკა ამირალაშვილი და მე დამიწერია დავითა გოგიტაშვილს.... აპრილის კზ ჩყე. ჯვარი.

განზე: ქ ჩვენ სდ საიმერეთოს დედოფალი მარიამ ვამტკიცებ წიგნსა ამას. ჩემი გამოსავალი იქენმ (sic) ნაყიდის ხულის საკმევლის ფასათ ეკლესიისთვის შემიწირავს.

ბეჭედი ასომთ.: დფლი მარიამ.

მეორე გვერდზე: ქ. სარდალმოურავი წულუკიძე სვიმონ მოწამე ვარ ამ წიგნის.

ბეჭედი ასომთ.: სარდალმოურავი წულუკიძე სვიმონ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**1805 წ.** ნასყიდობის წიგნი, მიცემული დოსითეოს ქუთათელისადმი, ქუთაისის ტაძრის საბუთთაგან № 16, თეთრს ქაღალდზე ზომით 39×21½ სანტიმ. ნიშნად თითქმის ყოველ სიტყვის შემდეგ თითო წერტილია.

ნებითა და წყალობითა ღისათა ესე მტკიცე და უცვალადო ნასყიდობის წიგნი მოგართვით თქვენ უფალს ქუთათელ მიტროპოლიტს დოსითეოსს ჩვენ ბეჟან ერისთვის ძემან დავით, ესრეთ და ესე ვითარად რომე თქვენს ყდ უსამღუდელოესობას და ჩვენ, ერისთვის შვილებს, ბაშურშიდ ადგილი გვქონდა საზიარო და მე ჩემი საწილადო ორმოცდახუთი ქცევა სადაც თქვენ ინებე იქ მოგყიდეთ ზმანით, ქცევა ოცდაათ ოცდაათი მხარი და რომ რაც გული შეგვიჯერდებოდა, ფასიც ისე სრული გამოგართვით.... არის ამის მოწამე პაპუნა ერისთვის შვილი ქაიხოსრო და თქვენი მოურავი აბულაძე სვიმონ, ჩვენი მოურავი საკანდელიძე დავით და სხვანნი ერთობით ჩვენნი ყმანნი. აღიწერა კელითა წულუკიძის შვილის დათიკისათა მაისის კბ წელთა უფლისათა ჩყე.

ბეჭედი: მონა ღთისა დავით ერისთვის ძე.

**1805 წ.** ნასყიდობის წიგნი, მიცემული გოგოლაშვილების მიერ, გელათის ტაძრის საბუთთაგან № 8, თეთრს ქაღალდზე დაწერილი. ნიშნად ზოგიერთ სიტყვის შემდეგ იხმარება ორი წერტილი.

ქ: ნებითა და შეწევნითა ღვთისათა ესე ამიერითგან უკუნისამდე საბოლოოდ გასათავებელი ნაყიდობის წიგნი და საფიცარი მოგართვით თქვენ ჩვენს ბატონს გაენათელ მიტროპოლიტს უფალს ეფთვიმის ჩვენ თქვენმა და თქვენის ეკლესიის გელათის მემკვიდრე აზნაურშვილებმა გოგოლაშვილმა ხოსიკამ, გოგოლაშვილმა ლევანიკამ, გოგოლაშვილმა იესიკამ, გოგოლაშვილმა პაპუნიკამ, გოგოლაშვილმა ბუქუამ და გოგოლაშვილმა სფირიდონამ და ჩვენმა ძემან და მომავალმან სახლისა ჩვენისამან, ესრეთ და ესე ვითარად რომ ჩვენი სახლის კაცი ბერიკელა ხოხიაშვილი უშვილოთ გარდაშენდა და მისი სეულობა ადგილმამული და ყმა ჩვენ გვიბოძეთ და ერთი მოსახლე სიმონიკა ალფაიძე იმ ჩვენის სახლისკაცის ქურივს დაუდევით

და სიცოცხლეშიდ აჰამეთ და მას ყავდა და მას მერმეთ ჩვენც ვინებეთ და მოგახსენეთ და თქვენც ინებეთ და იყიდეთ და ეს სიმონიკა ალფაიძე თავის ცოლშვილით, სახლკარით, ადგილ მამულით, საძებრ უძებრით, საფლავ სამარხით და თავის სამართლიანის მზღვრით თქვენთვის მომიყიდია და თქვენის დიდის ეკლესიის გელათისათვის იყოს, ფასიც სრული და კარგი გვიბოძეთ როგორც გული ჩვენი შეგვიჯერდებოდა. აწ დღეის იქეთ ამ სიმონიკა ალფაიძეშიდ და მის მომავალშიდ არც ჩვენ და არც ჩვენს შვილსა და მომავალს ხელი აღარა გვაქვს რა, ისე საუკუნოდ ხელი აგვიღია, ღმერთმან მოგახმაროსთ თქვენცა და თქვენს დიდებულს გელათის ეკლესიასაც. აწ იქმნა ამა წერილისა მოწამედ გელათის დეკანოზი იოანე, მისი ძმა მგალობელი ეგნატი, კანდელაკი ანდრია, მეღვინეთ უხუცესი გოგოლაშვილი სიმონ და სხვანი სულ გელათის კრებულნი ერთობით სამღვდელო და საერო და მე წინამძღვარს იოსელიანს დავითს დამიწერია და მოწამეცა ვარ ამისი. წელთა უფლისათა ჩყე მაისს კზ.

ხუთი ჯვარი.

განზე: ქ: ჩვენ ყოვლად სამღვდელომ გაენათელ მიტროპოლიტმან ეფთვიმიმ ამ ჩვენის აზნაურვილის (?) გოგოლაშვილებისაგან ეს გლეხი ვიყიდე და გელათის ეკლესიას და ხახულისა და გელათისა ღვთისმშობელს შევსწირე და გელათის ეკლესიას და გენათელს სახასოთ ყავდეს და ემსახურებოდეს. აწ დღეის იქეთ თვინიერ გელათის ეკლესიისა და გენათლის მეტს სხვათ ხელი არვის ექნეს და არც გაცემით და არც სააზნაურშვილოთ მიცემით ამ გლეხს ალფაიძეს ფიქრი არა ექნეს რა.... (წყვეტა).

ბეჭედი: გენათელი მიტროპოლიტი (ასომთ.:) ეფთვიმი.

**1805 წ.** სოლომონ II-ის შეწირულობის წიგნი, ნიკორწმინდის ტაძრის საბუთთაგან № 3, დაწერილი თეთრს ქაღალდზე

...მეფეთ მეფე იმერთა და სხვათა მპყრობელნი(sic) დავითიანი მეორე სოლომონ და თანაერთხორცი ჩემი დედუფალთ დედუფალი დადიანის ასული მარიამ ვკადრებთ ეკლესიასა შენსა ნიკოლაოზ წმინდას კნინ ოდენსა შესაწირავსა, ესრეთ რომ მათი ყ~დ უსამღვდელოესობა ძე წულუკიძისა ყ~დ სამღვდელო ნიკოლოზწმინდელ არხიეპისკოპოსი

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ჩვენი სარწმუნო და სასო სოფრომ მოიწია მეფობისა ჩვენისა წინაშე, გვევედრა და მიამბო ეკლესიისა შენისა ქუთაის ყმაზე იწროება და ვისმინეთ ღირსებისა მისისა ვედრება და შევსწირეთ ეკლესიასა შენსა ქუთათის შინა მკვიდრი სამეფო ყმა ქორქაშვილი ზურაბასშვილი დათილა, ზინზელა თავისი ცოლშვილით, თავისის ყოფით და რომლისაც მქონებელი იყოს, ყოვლისფერით უნაკლუ-ლოთ შამოგვიწირავს და შეიწირე მამაო დიდო მღვდელთმთავარო ნიკოლოოზ.... წერილისა ამის მოწამედ ერთგულებით კარისა ჩვენისა განმგე სახლთუხუცესი წერეთელი ზურაბ, სარდალი წერეთელი ქაიხოსრო, სიძე ჩვენი ქსნის ერისთვისძე ელიზბარ, წულუკიძე ოტია და სეხნია, მამასახლისი ბერი მესხი და სხვანი კარისა ჩვენისა დარბაისერნი. აღიწერა ხელითა კარისა ჩვენისა მღვდლის გრიგოლაშვილის იესესითა ქკნს ქეს აქეთ ჩყე თვესა ივლისსა თ.

ბეჭედი ასომთ.: მეფე იმერთა სოლომონ.

**1806 წ.** თავდებობის წიგნი, მიცემული ანტონ ხონელისადმი, ხონის ტაძრის საბუთთაგან № 79, მოლურჯო ქაღალდზე დაწერილი.

ქ ესე სათავდებო წიგნი და პირობა მოგართვი მე თქვენმა მონამან თქვენ ყოვლად სამღდელოს მთავარეპისკოპოს ანტონის დედულია რუხაძემ, ასე რომ ზოგი რომელიმე ადგილის იწროებისათვის აიყარნენ, ზოგი რომელიმე სხვას შეწუხებისათვის განიფანტნენ სხვას და სხვას სოფელში. ეს საქმეები ბატონს მეფეს მოხსენდა თქვენგან. მეფემ ბოქაულები წარმოავლინა მოსაბოჲჭათ. ბოქაულმა (sic) უთავდებოთ აღარ ენდნენ კინტრიას რუხაძეს. აწ ასე წიგნი დ პირობა მოგართვი, რომ კინტრია რუხაძე თქვენ და თქვენს ქვეყანას არ განეშოროს და შეძლებისაებრ გემსახუროს ერდგულად და არც მის ადგილს მამულს მოსცილდეს. თუ ამაში სიმყუნე (sic) გამოაჩნდეს, ეს კიტრია თავის ცოლშვილით მოგართვა, სიმტყუნისათვის ასი მარჩილ (sic). არის ამისი გამგენი ალავიძე სიმონ, მოურავი მახობა, გირგოლაშვილი მერაბ (sic). აღიწერა ქეს აქეთ ჩყვ თვესა მარტსა ი ხელითა მღდლის იესესითა.

ჯვარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**1807 წ.** ¹ წერეთლების მიერ სოფრონ ნიკორწმინდელისათვის მიცემული წიგნი, ნიკორწმინდის ტაძრის საბუთთაგან № 9, ლურჯ ქაღალდზე.

ჩვენ წერეთლებმა გიგიასშვილებმა და შვილისშვილებმან ზურაბმა, ფარსადანმა, კაციას შვილებმა გიორგიმ, ნიკოლოზმა, გიგილამ, დათუნას შვილებმა როსტომამ, დათიკამ, ლევანამ, ასე რომ გრიგოლს ბერს აბაშიძისაგან თომაძე ხუცესი ეყიდა ცოლიანშვილებიანათ და ადგილი ვერსა ეშოვნათ დასასახლებათ და მეტი სიყვარული ვგქონდა (sic) გრიგოლისაც და მისი მონასტრისაც, მევიდა და ალაგს გვევედრა. იმ ჟამზედ მამა ჩვენიც გიგია მიიცვალა და მისი უმაღლესობა ბატონი ნიკოლაოზწმინდელიც მობძანდა და მან უფრო გვიბძანა და მის ბძანებას ჩვენ ვერ დავაგდებდით და იწას ხვედელიანს იქთ (sic) რომ ყანა გვქონდა, ის ყანა მოვართვით, სხტე რომ ჩაყვება მას აქეთ და ხვედელიანს იქეთ, მთლათ თავიდგან ბოლომდისი მისის საწისქვილოიანათ. მას გარდა კიდე იწასავე ორმოცი მარჩილის ტყე მოგვირთმევია, ასთე რომ მამა ჩვენს გიგიას წელიწადშიდ სულთაობის ერთი მღდელმონაზონი უწირებდეს და მის შვილსა და შვილის შვილებს დავგლოცებდენ (sic). შეიწირე ღვთის მშობელო და მათ წმიდას წირვაშიდ ნაწილს დაგვიდებდენ და მოგვიხსენებდენ... (წყდება). კაცთაგან არის ამის მოწამე გიორგობიანი რამაზა და მეთე მღდელი გოგსაძე და წერეთლების შინაყმები ერთობით, კიდე ბერი ხუცესი იწას. მე მონას მღდელმონაზონს გრიგოლს დამიწერია და მოწამეცა და გამრიგეც მე ვარ ბატონის ჩემის ყოვლად სამღდელოს შეწევნით, ქრისტეს აქეთ ათას რვაას და შვიდს. თვესა მარტსა თოთხმეტს.

განზე: ქ. მე ყ˜დ სამღდელო ნიკოლაოზწმინდელი სოფრომ ვამტკიცეფ წერილსა ამას. დამამკიცებელსა ამ წერილისასა ვლოცავ და ვაკურთხევ და მომშლელს შევაჩვენეფ და დავსწყევლი.

ბეჭედი: ყდ სამღვდელო ნიკოლოზწმიდელ არხიეპ˜ზი (ასომთ.:) სოფრონიოს.

**1807 წ.** სოლომონ II-ს შეწირულობის წიგნი, გელათის მონასტრის ეკლესიის საბუთთაგან № 1, დაწერილი ლამაზი მრგვალის ხელით თეთრს ქაღალდზე ზომით $48^3/_4 \times 30^3/_4$ სანტიმ. ნიშნად იშვიათად იხმარება მძიმე და წერტილიც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქ ნებითა ღთისათა ჩვენ სრულიად იმერთა და სხვათა მეფემან მეორემან სოლომონ ესე... შეწირულობის დავთარი მოგართვით. თქვენ სოხასტრის მაცხოვრის ეკლესიას, ასე რომ ეკლესიასა ამას ზედა მაცხოვრისასა წინამძღვრად დადგინებული და პატიოსან ქმნილი უფალი იოსელიანი დავით,.. გვევედრა გულსმოდგინედ ყმათათვის სოხასტრის ეკლესიისათა საურის ამოკვეთას და ჩვენ... ამოუკვეთეთ საური სოხასტრის ეკლესიის ყმათ სადაც დღეს სახლობენ და ან ადგილის იწროობისათვის აწ ანუ მერმეთ დაესახლნენ ან ოკრიბას ან არგვეთს, ერთობით საური ამოგვიკვეთია.... ყოველს წელიწადს ღთისმშობლის დღეს ერთობით ღვდელს გვიწირვინებდენ... და წირვას უკან თემობით დაგვლოცევდენ.... არის ამისი გამრიგე და მოწამე თავადი წერეთელი ზურაბ, თავადი წერეთელი ქაიხოსრო, ქოქოულთხუცესი (sic) ვახუშტი, წულუკიძე კაცია, აბაშიძე დავით, მაჩაბელი ზურაბ, წულუკიძე ოტია, წულუკიძე სეხნია და მე მდივანბეგს სოლომონს თავადს ლიონიძეს დამიწერია და მოწამეცა ვარ. დაიწერა მარტის კ წელთა ჩყზ.

ბეჭედი ასომთ.: მეფე იმერთა სოლომონ.

მდარე ხელით: ქ სდ იმერთა უფლისწული მეფისძე კონსტანტინე ვამტკიცებ....

ბეჭედი ასომთ.: მეფის ძე კონსტანტინე.

ბატონიშვილი როსტომ ვამტკიცებ...

ბეჭედი: ბატონიშვილი როსტომ.

პირველ გვ. განზე, ლამაზად: ქ ჩვენ სდ საიმერეთოს დედუფალი მარიამ... ვამტკიცებ... (ბეჭედი). ჩვენ ყდ სამღუდელო ქუთათელ მიტროპოლიტი დოსითეოს, გაენათელ მიტროპოლიტი ეფთვიმი, მთავარეპისკოპოსი ანტონი ვამტკიცებ წერილსა ამას....

(სამივეს ბეჭდები).

**1807 წ.** მარიამ იმერთა დედოფლის მიერ ბოძებული წყალობის წიგნი, დაცული ხონის ტაძრის საბუთებში № 21, დაწერილია თეთრს ქაღალდზე.

...ჩვენ ყოვლისა საიმერეთოსა დედოფალთ დედოფალმან მარიამ ესე... წყალობის წიგნი გიბოძე..... ხონის წმიდის გიორგის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მკვიდრს ყმას და მებეგრეს მამფორიას მამუკას და შენს შვილს ხახუტას, შენს ძმას მიქელას და მისს შვილს ივანეს.... თქვენი შვილები ფარეშებათ გვახლავან და ჩვენ მიერი იმედი და საუკუნო სიმტკიცე და წმიდი გიორგის მკვიდრობა ითხოვეთ და მისი ბეგრის დაუკლებლობა და მარად ჩვენი მსახურება აღგვითქვით, აღდგომას წმიდა გიორგის ორს ჩარექს სანთელს თავისს ტაძარშიდ ხონს მიართმევდეთ და ჩვენთვის მღუდელს აწირვინებდეთ და ცხუარს დაგვიკლებდეთ მარიობას დღეს და ჩვენს მოხსენებას და ღ̃ის ვედრებას... თქვენ და თქვენი კაცი აღასრულებდეთ ჩვენთვის. თუმც ეს თქვენ მიერ აღთქმული არ მოგვიშალოთ და ან წმიდა გიორგის თავისი ბეგარა სანთელი არ დააკლოთ,.... თქვენ თქვენი შვილი და მომავალი და თქვენი ოჯახის კაცი არც თავადს, არც აზნაურს და არც სხუას საყმოთ არ მიეცეთ.... ამის მოწამე და შუამდგომელი ჩვენი მოძღვარი იშხნელი ნიკოლოზ, მგალობელი გიორგი და სხუანი დიდებულნი კარისა ჩვენისანი. დაიწერა ხელითა კარისა ჩვენისა მღუდლისა ქიქინაძის გიორგისათა, წელთა უფლისათა ქკონს ქქს აქეთ ჩყზ თთვესა აპრილსა ბ.

ბეჭედი.

განზე პირველ გვერდზე ამტკიცებს სოლომონ II, თან დასმულია მეფის ბეჭედი.

ქ ჩვენ უფლისწულმან მეფის ძემ კონსტანტინემ ვამტკიცებ.... ბეჭედი ასომთ.: მეფის ძე კონსტანტინე.

ქ მე სახლთხუცისძე წერეთელი სვიმონ მოწამეცა ვარ წიგნისა ამის. ბეჭედი ასომთ.: ს̃ნ.

**1807 წ.** ანდრია კანდელაკის შეწირულობის წიგნი, გელათის ტაძრის საბუთთაგან № 43, თეთრს ქაღალდზე დაწერილი ნიშნად იშვიათად იხმარება ერთი და ორი წერტილი.

....ჩვენ... კანდელაკმან პეტრეს შვილმან ანდრიამ (ეს წიგნი მოგეცითო გელათის ეკლესიას), ესრეთ და ესე ვითარად რომ პირველ ჩვენი მკვიდრი კაცი მამრიკიშვილი ივანა გაყიდული იყო და ქუთაის თათრებს ყავდა წაყვანილი და თათრისაგან ამირან მესხს დაეხსნა და რიონს მიეყვანა, დაესახლებინა, ყავდა და ემსახურებოდა

და ამირან მესხი ამ სოფლიდამ გარდაიცვალა და მისგან შვილად აყვანილი დავით მესხის შვილი პაატა მესხი მის დანარჩენს ყმასა და ადგილმამულზედ პატრონობდა და ეს მამრიკისშვილიც მას ყავდა.... ალალის თეთრით პაატა მესხისაგან ვიყიდე ივანა მაბრიკისშვილის (sic) შვილები მიქელია, კიკოლია და ლაზარია.... და ეკლესიას ყავრისა და სილის მოტანით, როგორც სხვა მისი სახლის კაცები და გვარები მსახურობენ, ამათაც ისე იმ რიგათ იმსახურონ.... და ჩემგან შეწირულმა ამათ თითო კაცმა ბატონს გენათელს თუ უბრძანოს და ინებოს, თან იახლოს და როგორც ინებოს, ისე ხელზედ იმსახუროს და სხვეფ ბეგრობით განწესებით გარდასახადი არ ემართათ და აღარც ჩვენ დავადევით, თვინიერ ხატის მსახურების მეტი..... (მოწამე) მოურავი კახიძე ვახტანგ, მოურავი ცირლილაძე სიმონ და კახიძე დავით და მე წინამძღვარს იოსელიანს დავითს დამიწერია ანდრიას სიტყვით და მოწამეცა ვარ ამა წერილისა, წელთა უფლისათა: ჩყზ: აპრილს: კგ: ჩემი ვედრება ის არის, რომ საზნაურშვილოთ აღარ შეიქნას და დიდის ეკლესიის გელათის სახასოდ და სამკვიდროთ მოსამსახურეთ იქნეს და გელათის ეკლესიას და ბატონს გენათელს ემსახუროს....

ბეჭედი: კანდელაკი ანდრია.

განჩ: ქ. ჩვენ ყდ სამღუდელო ქუთათელ მიტროპოლიტი დოსითეოს და ნიკოლაოსწმიდელი სოფრონ ვამტკიცებთ სიგელსა ამას....

ბეჭდები ორთავესი.

პირველ გვ.: ქ. ჩვენ. სდ. იმერთა მეფეთ მეფე დავითიანი მეორე სოლომონ. ვამტკიცებ.... (ბეჭედი).

ქ: ჩნ. სდ იმერთა დედოფალი მარიამ ვამტკიცებ... (ბეჭედი).

ქ. ჩვენ ყოვლად სამღვდელო გაენათელ მიტროპოლიტი ეფთვიმი მოწამე ვარ... და კიდეც ვამტკიცებ... ვინც გამოსწიროს ან საზნაურშვილოთ გახადოს (წყევა).... (ბეჭედი)

**1807 წ.** მარიამ დედოფლის შეწირულობის წიგნი, გელათის ტაძრის საბუთთაგან № 115, ნიშნად ყოველ სიტყვის შემდეგ თითო წერტილია.

(მე)... ს˜დ იმერთა დედუფალთ დედოფალმან დადიანის ასულმან მარიამ... გულქან დედუფალს ბუჭუა ჩხეიძისა და მისის შვილები-

ეროვნული ბიბლიოთეკა

საგან... სვიმონიკა ცერცვაძე... ეყიდა... გულქან დედუფალი რომ მიიცვალა, მასუკან ჩვენგან ჩვენთვის ხელდებული იყო... ეს სვიმონიკა ცერცვაძე თქვენთვის შემოგვიწირავს (ხახულისა და გელათისა ღვთისმშობელო).... თქვენის მღვდელთმთავრის მსახურების მეტი არც სამეფო და არც ჩვენი სამსახური, არც ბეგარა, არც საური, არც საუდიერო, არაფერი გარდასახადი... არ მიადგეს... წერილისა ამის მოწამედ ჩემი მოძღვარი მღვდელი იმხნელი ნიკოლოზ. აღიწერა მეფის კარის მღვდლის იესესითა ქკნს ქეს აქეთ ჩყზ თვესა სეკდემბერსა იზ.

ბეჭედი ასომთ.: ღფლი მარიამ.

**1807 წ.** პირობის წიგნი, მიცემული პატარიძეების მიერ გელათის სოხასტრის წინამძღვრისადმი, სოხასტრის საბუთთაგან № 19, თეთრს ქაღალდზე ზომით $26^1/_2 \times 12$ სანტიმ.

ქ: ნებითა ღისათა ესე წიგნი მოგართვით თქვენ სოხასტრის ეკლესიას და მისს წინამძღუარს იოსელიანს დავითს ჩვენ თქვენმა ყმებმა პატარიძემ მღუდელმა იოანემ, მჭედელმა დავითელმა, ზაქარიამ, ხუცის ძმამ ივანიკამ, გაბრიელმა და გოგიამ, ასე და ესე ვითარად რომ თეჯოლას მეფე დავითის ნაბოძებს ადგილზედ ვესახლეთ და თქვენი დავთრის ბეგრებს გაკლებდით და ამისთვის მეფე და განათლებული შეგვიწყრა და ისევე თქვენ შეგვედრეთ და თქვენ ისმინეთ ვედრება ჩვენი და ისევე შეგვიწყნარეთ და ჩვენ ყველას ერთობით ასე წიგნი მოგვირთმევია, დღეის ამას იქეთ რომელიც დავთრით განწესებული ბეგრები და სამსახური არის, ისეები არცეთ აღარა დავაკლოთ.... არის მოწამე ბოქაულთუხუცესი წერეთელი ვახუშტი, მაჩაბელი ზურაბ, ავალიშვილი ბექან და სხუანი ერთობით მეფის კარის დარბაზის ერნი. დაიწერა ქკონსა ქეს აქეთ ჩყვ თვესა ოკდომბერსა ზ.

სამი ჯვარი.

განზე: ქ: მაჩაბელი ზურაბ მოწამე ვარ ამ მორიგების:

ბეჭედი: მაჩაბელი ზურაბ.

ქ: მოურავი ავალიშვილი ბექან მოწამე ვარ ამ გარიგების.

ბეჭედი: ავალიშვილი ბექან.

ქ: მოურავი ალავიძე სვიმონ მოწამე ვარ ამ მორიგების.

ბეჭედი: ალავიძე მოურავი სვიმონ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**1807 წ.** ფალავების მიერ ანტონ ხონელისადმი მიცემული წიგნი, ხონის საბუთთაგან № 76, თეთრს ქაღალდზე დაწერილი.

ქ: ესე მტკიცე და უტყუველი საუდაო წიგნი მოგართვით თქვენ ჩვენ სასო წნდა მოწამეს ხონის წმინდა გიორგის, მის მღვდელ მთავარს მთავარეპისკოპოსის ანტონის ჩვენ ფალავენმა (sic) მურძაყანის შვილებმა ხუხუმ, ხიტუმ, ბექანმა და ვატამ, ზაალის შვილებმა მანუჩარმა, გიკომ და ტატიმ, ივანემ, კოჩასშვილებმა ილარიონმა და ლომკაციმ, ასე რომ ბაბუა ჩვენს ხუხუს ფალავას თქვენი ეკლესიის ძირის კაცი მამაგულა წირქვაძე დაწინდრებული ყოლებოდა. დღემდის უდროობისაგან არ გარიგდა ეს საქმე, ბერჯერ ლაპარაკი იყო მაგრამ და ახლა რათგან თქვენმა მეუფებამ მობრძანდა და გვიბრძანეთ, მოგართვით თქვენი ეკლესიის კაცი და ჩვენი ჩვენ ავიღეთ როგორც რიგი იყო და გული შეგვიჯერდებოდა... არის ამისი მოწამე გაბუნია ბერუკია, ფინთურია ბერუკია. აღიწერა ხელითა ლოლაბერიძის გერასიმესითა წელსა ჩყზ ოკდომბრის იზ.

შვიდი ჯვარი.

პირველ გვერდზე განზე: ვემოწმები წერილსა ამას დადიანისძე ბატონისშვილი ნიკო. ბეჭედი: ბატონიშვილი ნიკოლოზ.

ვემოწმები წერილსა ამას სახლთუხუცის ძე ჩიქოანი ოტია.

**1807 წ.** პირობის წიგნი. მიცემული ხონელ მთავარეპისკოპოსის ანტონისადმი, ხონის საბუთთაგან № 67, ლურჯ ქაღალდზე.

ქ: თქვენ ბატონს ყდ სამღუდელოს მთავარეპისკოპოსს ანტონის ესე მტკიცე და უტყუველი წიგნი და პირობა მოგართვით ჩვენ თქვენის სიწმიდის მსასოებელმან მოურავმან კორძაიამ გიორგიმ... თქვენი ეკლესიის ყმა დედულია წივწივაძე თქვენის მოურავის ჩამობარებით ჩემს მიწაზე დავასახლე და თქვენ პირობა გვთხოვეთ... რაც თქვენის ეკლესიის ბევარა ამ თქვენს კაცს მართებს, არაფერი არ დავაკლოთ და გაურჯელად თქვენს მოხელეს მივაბაროთ... როდესაც თავისს ადგილზე წამოსვლა ამათ ინებონ, ჩვენგან და ჩვენის მომავალისაგან არ დაეშალოს და თავისი ყოფით გამოუშვათ.... მოწამე დეკანოზი მიქაელ, მოურავი ქუთათელაძე მახობა, მღუდელი ჩხე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძე ლაზარე, ხელოსანი კოპეშავიძე სვიმონიკა. აღიწერა ხელითა მღუდლის ჩხეკელეს იოანესითა ქეს აქეთ ჩყზ თვესა დეკენბერსა ვ.

**1807 წ.** განჩინების წიგნი ხონის ეკლესიასა და ფალავებს შორის დავის შესახებ, დაცულია ხონის ტაძრის საბუთებში № 58, დაწერილია ლამაზი ხელით თეთრს ქაღალდზე ზომით $27^{1}/_{2} \times 19$ სანტიმ. ნიშნები დაცულია.

ქ დავსხედით ბჭვენი და მოსამართლენი და მთავარეპისკოპოსის მაგიერი კაცი მახობა ქუთათელაძე და მურძაყან ფალავასა და ზალ ფალავას შვილები გავაბჭვეთ:. მახობამ უჩივლათ დასაბამიდგან ხონის ეკლესია და წმინდის გიორგის ხატი რომ ხონს გაკეთებულა, მას დღეს აქეთ წირქვაძენი თავისი ყოფა ცხოვრებით ხატის არის და თქვენ გვართმევთ და არ ანებებთო და ვდაობთო:. ფალავამ უპასუხა მართალია წირქვაძენი ხატის ყმა არის და არც გეცილებით და არც გედავებით, მაგრამ ეს ერთი მოსახლე კაცი ჩვენს პაპას ყოლია ჩვენ მამის მამას ყოლია და ჩვენმა მამამ ჩვენ დაგვიტოვა და გვყავს ეს არც ხატის არის და არც სხვისი არის ჩვენი ჩვენ გვყავს თქვენ ხელი არა გაქვსთო:. მახობამ აშორო სთქვა თქვენს ძველს და არც ახალს იმ გლეხშიდ ხელი არ გქონდესთ რაც ხატის არ არისო:. აწ ეს გავსინჯეთ მაგრამ სიგელი არც ფალავას აქვს და არც ხატისა და ეკლესიის არის და ვერც სწორი და მომსწრე მოწამე ვნახეთ და ეს გლეხი. დიდის ხნით ფალავას ყოლია დღესაც ფალავას ყავს და სამართალი ფალავას დარჩა და ასე გავაჩინეთ იმ გლეხშიდ რამდენიც კაცისული (sic) იყოს იანგარიშონ და თითო კაცისულზედ ექვს ექვსი გლეხი კაცი დააფიცოს ფალავამ ასე რომ ჩემის პაპისა და მამის და ჩვენის ძველის რაც არ არის ის ერთი გლეხი წირქვაძე არც ხატის და არც ეკლესიის არ იყოს და არც ჩვენს მამაპაპას და არც ჩვენ იმაშიდ შემცილე კაცი გვყავდეს:. თუ ასე დაიფიცონ რას ვინმე ემართლება... და თუ ვერ დაიფიცონ და ტყუვილა დაუკავებია ფალავას დღემდის ძალით სჭირვია და დღეს ხატსა და ეკლესიას უნდა დაუტოვოს ფალავას იმ გლეხშიდ ხელი აღარ ექმნება.

ბეჭდები: ბატონიშვილი ნიკოლოზ; ლეჩხუმის სარდალ მოურავი გელოვანი ბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**1808 წ.** სათავდებო წიგნი, მიცემული წიწვაძეების მიერ სოლომონ II-სათვის, ხონის ტაძრის საბუთთაგან № 61, ლურჯ ქაღალდზე დაწერილი.

ქ. თქვენ ჩვენს ხელმწიფეს ბატონს მეფეს სოლომონს ესე წიგნი მოგართვით ჩვენ თქვენმან ფარეშებმა წიწვაძეებმა ივანიკამ და კიდევ ივანიკამ, ასე რომ ჩვენი ეკლესიის ყმები აიყარნენ და სხვა სოფელში წავიდნენ და ეს საქმე თქვენს უმაღლესობას მოხსენდა მთავარეპისკოპოსისაგან და ბოქაულით მოიყვანეთ და უთავდებოთ აღარ ენდევით და ახლა ეს სათავდებო წიგნი მოგვირთმევია, რომ გოგიელა და მამუკელა წივწივაძე თავის ქვეყანას და თავის ადგილს და მამულს არ მოსცილდეს.... (წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი) მოგართვათ და ასი მარჩილი სიმტყუნისათვის მოგართვათ. არის ამ საქმის მოწამე მოურავი მახობა და გრიგოლაშვილი მერაბა, ბახტაძე ჯოლონია. აღიწერა ხელითა მღვდლის ჩხეკელეს იანესითა ქეს ქეს (bis) აქეთ ჩყ რვასა თვესა მარტსა კა.

ორი ჯვარი.

**1808 წ.** შეწირულობის წიგნი კონსტანტინე ბატონიშვილისა, სვრის წმ. გიორგის საბუთთაგან № 4, თეთრს ქაღალდზე ზომით 42×25 სანტიმ.

....ჩვენ იესიან დავითიან სოლომონიან ბაგრატოვანმან ტომებით დავითიანმან მეფის ძემ კოსტანტინემ, ერთხორცმან და თანამეცხედრემან ჩემან დიდებულისა თავადის აბაშიძის ასულმან ანასტასიამ... შემოგწირეთ.. პატია წაქაძე მისის ცოლშვილით... ამ კაცისაგან უნდა მოგერთვას წელიწადში ბეგარა სამი კოკა ღვინო ზედაშათ, საჩვენო სახელმწიფო სათხოვარი არაფერი ეთხოვებოდეს სპენჯის მეტი, არც მუშაობა და არც არაფერი სხვა. ამისდა ნაცულად ერთს მღუდელსა და ერთს მთავარს ყოველს გიორგობას ჩვენთვის აწირვინებდეთ... ძეთა და ასულთა ჩვენთა საბოძებელად და აღსაზრდელად.... ამისი მოწამე და გამრიგე ბა( )ონისშვილი როს[ტო]მ, ჭუმბურიძე ქაიხოს[რო მო]ურავი, არხიმანდრიტი იოვანე, მოძღვარი სვიმონ და კარისა ჩვენისა დარბაზის ერნი ერთობით. მე დეკანოზის შვილს მთავარ დიაკონს იაკს (?) დამიწერია და მოწამეც ვარ ამისი. აღიწერა ქს აქეთ ჩყჱ თვეს მასსა (sic) დ.

ბეჭდები ასომთ.: მეფისძე კოსტანტინე; მეფის სძალი ანასტასია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**1808 წ.** სოლომონ II-ის შეწირულობის წიგნი, გელათის ტაძრის საბუთთაგან № 91, თეთრს ქაღალდზე. ნიშნად იშვიათად იხმარება თითო წერტილი.

...ჩვენ... იესიან დავითიან სოლომონიან პანკრატოანმა სრულიად იმერთა მპყრობელმან მეფემან მეფეთამან ძემან არჩილისამან მეორემან სოლომონ და თანა ერთხორცმან ჩემან დედოფალთდედოფალმან დადიანის ასულმან მარიამ ვიმრთმელეთ (sic) დავთარი ესე შეწირულობისა, ვინადგან საყმოთა გაენათის ეკლესიისა შენისათა აქვნდათ დამჭირნეობა დიდი ადგილისა და დროსა ამას ყ̃დ სამღვდელო უფალი გაენათელ მიტროპოლიტი ეფთვიმი დიდითა გულსმოდგინებითა გვევედრა. ამისთვის შევსწირეთ ჩვენი სახასო მიწა და ტყე... შუამთის ღელეს ნასელარასა და საჯავახოს სასაზღვროს კაპტონის ღელეს შუა, რაც მიწაწყალი და ადგილი, ეწერი, მტევრი, მთა და ვაკე ჩემი სახასო იყო, ყველა სრულებით შემომიწირავს..... (დაწვრილებით საზღვრების ნაჩვენები)... (მოწმენი:) სარდალი წერეთელი ქაიხოსრო, ბოქაულთუხუცესი წერეთელი ვახუშტი, მისი ძმა მოლარეთუხუცესი წერეთელი გიორგი, გამრიგე და მოწამე აბაშიძე დავით, წულუკიძე ოტია, მისი ძმა წულუკიძე სეხნია, მოურავი ლორთქიფანიძე ნიკოლოზ, წინამძღვარი იოსელიანი დავით, ავალიშვილი ბეჟან და სხვანი სრულებით ჩვენი დარბაზის ერნი, სამღვდელონი და საერონი. აღიწერა კარისა ჩვენისა მღვდლის გრიგოლაშვილის იესესითა ქკნს ქეს აქეთ ჩყჱ მაისის ით.

ბეჭდები ასომთ.: მეფე იმერთ სოლომონ; დფლი მარიამ

განზე ცუდის ხელით: ქ სდ იმერთა უფლისწული მეფისძე კოსტანტინე ვამტკიცებ წერილსა ამას ნებითა ღვთისათა.

ბეჭედი ასომთ.: მეფისძე კ̃ნე.

ჩვენ ყდ სამღუდელო ქუთათელ მიტროპოლიტი დოსითეოს ვამტკიცებ....

ბეჭედი: ყდ სამღვდელო ქუთათელ მიტროპოლიტი (ასომთ.:) დოსითეოს.

ჩვენ ყდ სამღუდელო ჯუმათელ მიტროპოლიტი მაქსიმე ვამტკიცებ ჩვენის კელმწიფისაგან შეწირულობის სიგელსა ამას...

ბეჭედი ასომთ.: მაქსიმე (გვირგვინით).

ამას მიყობა მინაწერი, ნიშნად იხმარება თითო წერტილი ქ: პირ-

ველათ მიქელაძეებს რომ ბატონმა ქჳვიშურშიდ ტყე უბოძა[illegible] სახლთუხუცესი წერეთელი ზურაბ ვიყავ ჩამბარებელი და იმ ტყის მცველები თან მახლდენ და მე დავთარჯე, ჩავაბარე და მივეცი მიქელაძეებს, როგორც ახალს დავთარშიდ უწერიათ. ახლა რომ ხელახალი დავთარი უბოძათ ბატონმა მეფემ და უწინდელს დავთარშიდ ცოტათ მრუნდათ იყო დაწერილი რომ შეცთომით მოემატებიათ ჩვენ რომ არ ჩავაბარეთ იმაზედ მეტი... საჯავახოსკე დავსტევეთ და ბატონმა მეფემ გელათს შესწირა... სამეფოთ დავსტევეთ, სიტყვა არა აქვს იმაშიდ კაცს, ბატონის იყო, როგორც შეუწირავს ისრე. ჩვენ სახლთუხუცესი წერეთელი ზურაბ მოწამე ვარ და... კიდეც ვამტკიცებ...

ბეჭდები: ზურაბ; წერეთელი ვახუშტი; წულუკიძე სეხნია.

**1808 წ.** მარიამ იმერთა დედოფლის შეწირულობის წიგნი, ხონის ტაძრის საბუთთაგან № 81, დაწერილი მდარე ღირსების მოშავო ქაღალდზე.

...ჩვენ... დადიანის ასულმან იმერთა დედუფალმან მარიამ... შემოგწირე ჩემი საკუთარი და სათავისთავო ჩემი ფარეშები ჯიხეიშ მოსახლენი. გლეხნი ახალაძე დავითელა, მისი ძმა მიქელია და ეგნატე მათის ცოლშვილით, სახლკარით... ეს გლეხი ახალაძე თავის მემკვიდრის ბატონისაგან თათარშიდ გაყიდული ყოფილიყო და ნეტარ ხსენებულს დიდ მეფე სოლომონს დაეხსნა თათრიდამ და თავის სამკვიდრო მიწა წყალზედ დაესახლებინა და მით ერჩინა და მის მერმეთ სახელმწიფო და სადედოფლო არის... მოერთმეოდეს ყოველს წელიწადს ხონის წმიდა გიორგის თითონ მის დღესასწაულზედ გიორგობას დღეს ოცდასამს ორი ჩარექი თაფლის სანთელი, ორი ქსანი სამთლის გული და ერთი სტილი საკმეველი. ამათ გარდა არასფერი სათხოვარი არ ეთხოვებოდეს.... მოწამე მიქელაძე შამა (?), ფალავა გოგია, ფარეშთუხუცესი აბაშიძე ქაქუჩა. აღიწერა ხელითა იშხნელის გრიგოლისათა ქორანიკონს ჩყჳ ივლისის იდ.

ბეჭედი ასომთ.: დფლი მარიამ.

**1808 წ.** შეწირულობის წიგნი ბარბარე ბატონიშვილისა ნიკორწმინდის ტაძრის საბუთთაგან № 2, თეთრს ქაღალდზე.

სიტყვისა ღ̃ისა სადგურსა და სიტყვიერთა ცხოვართა ჭეშმარიტსა მწყემსსა მცუელსა და მფარველსა წ̃ე საყდრისა ქესსა მდგომარესა დიდსა მღვდელმთავარსა, კიდეთა სოფლისათა განმანათლებელსა ნიკოლოზს გიძღვენი მცირედი ძღვენი მე ბატონიშვილმან მეფის ალექსანდრეს და მეფის ირაკლის შვილიშვილმან ბარბარემ და შემოგწირე სასოებით საოხად სულისა ჩემისა, რ̃ შენ ზედა მაქვს სასოება წარ.... შემოგწირე გლეხი ერთი რაჭას აგარას მოსახლე ბერიკი ბიბილაშვილი და მისი შვილები სიმონიკი და დავით და მისი ძმისწული ივანიკი თავისის ცოლშვილით, ადგილმამულით და რისაც მქონებელნი არიან, პეტრე სომეხი ქუთაისს მოსახლე ტატულას ძმა თავის ცოლშვილით და რისაც მქონებელი არის, აბრამა ურია მოშიაშვილი თავის ცოლშვილით და რისაც მქონებელი არის. ესენი შენდა მომართ ძღვნად დამიხამნ და შენის წ̃ის ეკკლესიისათვის შემოწირავს (sic) საოხად მდაბლისა მცოდველისა სულისა ჩემისა და აღსაზრდელად ძეთა და ასულთა ჩემთა ...არის ამისი მოწამე მათი ყ̃დ სამღვდელოება გაენათელ მიტროპოლიტი ევთიმი, ავალიშვილი ბეჟან, დედოფლის მოძღვარი იშხნელი ნიკოლოზ. მე არხიმანდრიტმან ზაქარიამ ავსწერე ეს შეწირულობის ავთრათი წელთა ჩყჟ აგვისტოს კდ.

ბეჭედი ასომთ.: ბატონიშვილი ბარბარე.

განჩე: ქ ჩვენ სდ იმერთა მეფეთ მეფე დავითიანი მეორე სოლომონ და თანაერთხორცი ჩემი დედუფალთ დედუფალი დადიანის ასული მარიამ დისა ჩემისა სასურველისა შეწირულობასა ამას ვამტკიცებთ ნებითა ღთისათა წელთა უფლისათა ჩყჟ.

ბეჭდები სოლომონ მეფისა და მარიამ დედოფლისა. შემდეგ ამტკიცებს ქუთათელი მიტროპოლიტი დოსითეოს და გენათელ მიტროპოლიტი ეფთვიმი.

ქ ჩვენ წულუკიძე დავით და ძე ჩემი ბერი ვამტკიცებ წიგნსა ამას ნებითა ღთისათა.

ბეჭედი: წულუკიძე დავით.

მე წულუკიძის ძე კიკო ვამტკიცებ წიგნსა ამას ნებითა ღთისათა.

ბეჭედი: ბერი იოანე.

ეროვნული ბიბლიოთეკა



**1808 წ.** წყალობის წიგნი სოლომონ II-ისა ბიქვინტის საბუთთაგან № 86, მოლურჯო ქაღალდზე. ნიშნებად იხმარება ყოველ სიტყვის შემდეგ თითო წერტილი.

ქ წყალობითა მღთისათა და მინდობითა მარიამ ზენაისა დედოფლისთა, მინდობილმან და მსასოვებელმან მფარველობისა მისისამან ჩვენ იესიან დავითიან სოლომონიან პაკრატიონმან ყოვლისა საიმერეთოსა მეფემან მეფეთამან მეორემან სოლომონ და ერთხორცმან ჩემმან დედუფალთდედუფალმან დადიანის ასულმან მარიამ ესე მარად უცვალადო და ყოვლისა მიზეზისა თავისუფალი წყალობის წიგნი დაგიწერეთ და გიბოძეთ თქვენ ფორჩხიძეს მღვდელს იოანეს, შენს ძმისწულებს გიორგისშვილებს, თქვენს შვილსა და მომავალს ესრეთ და ესე ვითარად, რომ კურთხეულის ნეტარ მოხსენებულის დიდებულის ბიძიჩემის მეფე სოლომონისაგან და დედოფლის მარიამისაგან დახსნილი გააზატებული და მიქვრიტისა მღვთისშობლის შეწირული იყავით და ახლა ისევ მე მევედრეთ და ვისმინეთ ვედრება თქვენი და ხელახლა დამიხსნიხართ და ჩვენი სასოო მფარველისა და განმაძლიერებელისა მიქვრიტისა მღვთისმშობლისათვის შემიწირავხართ და დამიმტკიცებია შეწირულობა ესე. ამას გარდა დამიც საუკუნოდ ოჯახსა თქვენსა ზედა ჩვენი მსახურება, ყოველს წელიწადს ჩვენს განსაძლიერებელად და სასულიეროდ სამს დღეს უნდა სწირევდეთ, სულის წმიდის მოსვლას, მღვთისმშობლის შობას და ლაზრობას, ამ სამს დღეს ჩვენთვის წირვა მოუშლელი უნდა იყოს. სხვა ამ ჩვენთვის წირვის მეტი გარდასახადი არც საურათ, არც საუდიეროთ და არც არაფერს გარდასახადათ თქვენს ოჯახს არაფერი ეთხოვებოდეს და ეს ჩვენი წირვა თქვენმა ოჯახმა მეორედ მოსვლამდის ვერ მოშალოთ. უკეთუ ვინმე მძლავრობით ხელყოს შლად წიგნისა ამის, იყავნ კაცი იგი წყევასა ქვეშე ყოველთა სამღვდელოთა კრებათაგან და რისხვეულ იქმნას იგი რისხვითა ზეგარდამოთა და დაისაჯოს დასჯითა საუკუნოთა, ხოლო დამამტკიცებელნი წერილისა ამის იყავ კურთხეულ კურთხევი-ზეგარდამოთა. ამა წერილის მოწამე სახლთუხუცესი წერეთელი ზურაბ, სარდალი წერეთელი ქაიხოსრო, მდივანბეგი სოლომონ და ერთობით კარისა ჩემისა დიდებულნი დარბაზის ერნი. აღიწერა ხელითა კარის დიაკვნის ცქიტიშვილის დავითისათა წელთა უისათ ჩყჱ.

ბეჭდები: მეფე იმერთა სოლომონ; დფლი მარიამ; აბაშიძე დავითის ძე ლევან; სარდლ წერთლი ქიხოსრო; წულუკიძე სეხნია; მოლარეთუხუცესი წერეთელი გ̃ი; წულუკიძე ოტია; სვიმონ; ვედრბალისა (?) არ დავლიო ანეტარებდეს სიყრმესა ჩემსა; ბატონიშვილი დარეჯან; სნ; ლორთქიფანიძე ნიკოლოზ; მსაჯული სამეფოთა ზედამდივანი მეფისა (ასომთ.:) სოლომონ (ამათში პირველი, მე-2, 4, 5, 8, 11 ასომთავრული წარწერით).

**1809 წ.** ჩხეიძეების მიერ ხონელ ანტონისადმი მიცემული წიგნი ნიშანის მიცემის შესახებ, ხონის ტაძრის საბუთთაგან № 41, ლურჯ ქაღალდზე ზომით 34×20 1/3 სანტიმ., დაწერილი ლამაზი ხელით. ნიშნად ყოველ სიტყვის შემდეგ თითო წერტილია.

ქ: თქვენ ყდ სამღუდელოს უფალს მამასა და მწყმსა ჩვენსა მთავარეპისკოპოს ანტონის ამა... წერილსა აღვსწერთ და მოგართვამთ ჩვენ... ხუთნი ძმანი ჩხეიძეები ბეჟან, როსტომ, ხოსია, ქაიხოსრო და სვიმონ... პირველად ნათესავნი ჩვენი ყოველნი არა იყვნენ სამწყსოსა შინა თქვენსა და არცა აქვნდათ სამარხად ეკლესია თქვენი, ად სამწყსოსა ყდ სამღვდელოებისა ქუთათელ მიტროპოლიტისასა გვაქვნდა სამარხი. შდ ჟამსა ამას ვიქმნენით სამწყსოსა შინა თქვენსა მკვიდრ და საფლავიც ვინებეთ მასვე სოფელსა შინა ჩვენსა. ამისთვის თქვენცა სიტყვა ჰყავთ ვითარცა მნემან ეკლესიისამან და ნიშანისა თხოვად ინებეთ, რომლისა არა გვაქვნდა ჩვეულება მიცემად. გარნა ვიდნ განსჯითა ფდითა და გამოძიებითა მათმან უმაღლესობამ მეფემან სოლომონ და ყდ სამღუდელოთა მიტროპოლიტთა ბრძანეს მსახურებად ეკლესიისა თქვენისა ჩვენ მიერ და ჩვენცა სათნო ვიჩინეთ კეთილი ესე ბრძანება და რომელიმე ვიპატივეთ და რომელიმე მივართმიდეთ ჩვენ და ყნი ნათესავნი ჩვენი საკ́უდ (sic) რომელსა აწ აღუვსწერთ თითოეულად. უკეთუ მამაკაცი მიიცვალოს, ნიშნად მივართმიდეთ პირველსა ტანისამოსა სრულებით და ლეკურსა და ცხენსა შეკაზმულსა და უკეთუ დედაკაცი მიიცვალოს, მივართმიდეთ ერთსა ხელსა ტანისამოსსა პირველსა თვისითა მოსასხამითა და ერთსა თასსა და, უკეთუ აქვნეს, აზარფაშაც და თუნგსა და ტაშტსა. ესრეთ მტკიცესა წერილსა ვამტკიცებთ

ბრძანებითა მათის უმაღლესობისა ჩვენისა კელმწიფისა მეფისა სოლომონისათა და მოწამეობითა ყდ სამღუდელოთა ქუთათელ მიტროპოლიტისა დოსითეოსისათა და ყდ სამღუდელოთა გაენათელ მიტროპოლიტისა ეფთვიმისათა, ყდ სამღუდელოთა ნიკოლაოსწმიდელ არხიეპისკოპოსი სოფრონისათა. აღიწერა ხელითა ჩხეიძე დავითისათა თვესა ივნისსა იზ წელთა უფლისათა ჩყთ.

ერთი ჯვარი და სამი ბეჭედი წარწერით: ჩხეიძე ბეჟან; (ასომთ.:) დავით; ჩხეიძე როსტომ.

**1809 წ.** წყალობის წიგნი დოსითეოს ქუთათლისა, დაცული ბიჭვინტის საბუთებში № 70, ლურჯ ქაღალდზე დაწერილი.

წყალობითა ღისათა ჩვენ ყ̃დ სამღუდელომ ქუთათელ მიტროპოლიტმან და გამგემან საკათოლიკოსოისამნ დოსითეოს ესე წყალობის წიგნი აღგიწერეთ და გიბოძეთ შენ ჩვენს არხიმანდრიტს ზაქარიას გაენათს წმინდის გიორგის ეკკლესიასა ზ̃ა მსხდომარეს, ესრეთ და ესე ვითარად რომელ ჩვენი თანაძმა მათი მეუფება ყ̃დ უსამღვდელოესი ნიკოლაოსწმიდლ არხიეპისკოპოსი სოფრონ შუამდგომლად შემოვიდა თქვენ მიერ ჩვენთან და შენი ვედრება მათის მეუფებისაგან მოვისმინეთ და რომელიც მათმა მეუფებამ ინება, ჩვენც დავემორჩილეთ და მათის შუამდგომლობით გიბოძეთ რაჭას საკათალიკოსო სოფელი კრიხი ადგილმამულით და გლეხნი მას სოფელსა შინ მოსახლენი საკათოლიკოსონი. შენ ჩვენგან და არცა შ̃დ̃თა ჩვენთაგნ არ მოვეგელოს (sic), უკეთუ შენ ჩვენი ბრძანების მორჩილი იქმნე და ერთგულ ერთ და კეთილის გონებით ჩვენი კეთილის მდომი, შენს სიცოცხლეშიდ ეს ჩვენ მიერ წყალობის წერილი არ მოეშალოსთ და შენ და შ̃დ როგორც საკათოლიკოსო იყო, აგრევე ისევ იქმნეს და შენგან შ̃დ მმნ წინამძღვარმან შენმან მოხარისხემან არავინ სთქვას. თუ რომ საწინამძღვროდ დაგვიძს: ოკდობრის ივ: წელთა ჩყთ.

ბეჭედი ასომთ.: დოსითეოს.

**1810 წ.** დოსითეოს ქუთათლის მიერ მიცემული წყალობის წიგნი, ბიჭვინტის ტაძრის საბუთთაგან № 64.

წყალობითა ღისათა ჩვენ ყ̃დ სამღუდელომ ქუთათელ მიტროპოლიტმან და გამგემან საკათოლიკოსოისამან დოსითეოს ესე მტკი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცე და უცვალოდო წიგნი წყალობისა ალგიწერეთ და გიბოძეთ შენ გუროლს მახარიკას, პაპუნიკას, სვიმონას, კიკოლას, სესიკს, ივანას და გოგიას და სხვათა შვილთა და მომავალთა თქვენთა, ესრეთ და ესე ვითარად რომელ ნუქიფისშვილის კაცი იყავი და მეტად ძალი დაგრთო და შეგაწუხა და მეტის შეწუხებისაგნ აიყარე და იკარგოდი და ჩვენის ქვეყნიდამ სხვის სამეფოშიდ საბრძანებელშიდ მიხვიდოდი და ჩვენ ვიგულეთ და ვიგულსმოდგინეთ და ჩვენის ეკკლესიისათვის აღარ დაგკარგეთ და შენდა სამაგიეროთ სხუა მივეცით და შევიჯერეთ ნუქიფისშვილი, როგორც გული შეუჯერდებოდა, ისე გავისტუმრეთ და თქვენი ჩვენის ეკკლესიის ბიჭვინტისა ღ̃ის მშობლისათვის მშობლისათვის (sic) დაგასახლეთ, ასე რომე აწ ნუქიფისშვილის გვარსა და მომავალს კაცს თქვენთან სიტყვა არ აქვსთ, ასე რომე თქვენი ბატონი ბიჭვინტისა ღ̃ის მშ̃ბლის ეკკლესია იქმნება და აწ არც ჩვენგან და ჩვენის შემდგომისაგან ეს წიგნი შენ არ მოგეღოს და არც ბიჭვინტის მღისმშობლის ეკკლესიის მეტი მეპატრონე გეყოლოს და თუ ვინმემ ეს წიგნი შეგიშალოს, ჩვენდა ნაცვლად განიკითხოს. არის ამის მოწამე მოურავი აბულაძე სვიმონ, ყიფიანი ბუჭუა, მოურავი ბარათაშვილი იოანე და სხუანი კარისა ჩვენისა სამღვდელონი და საეროონი და მოხელენი და ხელოსანი ხარება და ზაქარია. აღიწერა ხელითა წულუკიძის შვილის დავითისათა ფებერვლის ბ წელთა ჩყი.

ბეჭედი დოსითეოს ქუთაისელისა.

განზე: ბევრის საქმესაც გვევედრეთ და ბევარა სხუა ჩვენგან არა გეთხოვოს რა თვინიერ ერთის ჩარექის სანთლისა და ფარეშობის მეტი.

მისივე ბეჭედი.

**1810 წ.** ალექსანდრე ბატონიშვილის შეწირულობის წიგნი, გელათის ტაძრის საბუთთაგან № 92, თეთრს ქაღალდზე. ნიშნად ყოველ სიტყვის შემდეგ თითო წერტილია.

...ჩვენ... ძლიერისა მეფისა სოლომონ პირველისა შთამომავალმან ბატონისშვილის გიორგის ძემან ბატონისშვილმან ალექსანდრემ და დიმიტრიმ, რომელნი სიყრმითგან მოწყალებითა შენითა აღვი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზარდენით და მამითურთ ჩვენით გარდაცვალებულით მრავალთა განსაცდელთაგან ვიხსნენით და ჯერ იყო ჩვენდაცა მსახურება შენი, გარნა არა გვაქვნდა შეძლება მხოლოდ სასოებისა და ამა სასოებითა კადნიერ ვიქმნენით და სახსრად გარდაცვალებულისა მამისა ჩვენისა გიორგისა და წარსამართებელად ობლობისა ჩვენისა მოგართვით და შემოგწირეთ საჯავახოს მოსახლე სამკვიდრო და სათავისთაო ჩვენი ერთგული ყმა ნიკოლეისშვილი მამუკა და მისი შვილები დავით, გოგია, ლაზარე მათის ცოლშვილით... ერთს ჩარექს სანთელს მიართმევდეს ბევრათ ხახულისა და გელათისა ღვთისმშობელს და მამისა ჩვენისათვის ხუცეს აწირვიებდეს ეს კაცი და ცხვარს დაუკვლიდეს სულის წმინდის მოსვლას.... ამ ეკლესიის ბევრისა და მამის ჩვენის ცხვრის მეტი ყოვლისფერი ამოგვიწერია, არც მესადგომე ჩაუდგეს და, არც ცხენი დაებმოდეს.. ეს წყალობა დავითელას ერთგულობისათვის გვიყვია... ამისი გამრიგე და მოწამე დადიანის ძე ნიკოლოზ, ერისთავი ვახტანგ, ერისთავი ქაიხოსრო, წინამძღვარი იოსელიანი დავით, გელათის დეკანოზი იოანე, მღვდელი ჩვენი ჭირაქაძე გიორგი... ხელითა მთავარდიაკვნის იესე ჭიჭინაძისათა ქორონიკონს ქრისტეს აქეთ ჩყი: მაისის ზ.

ბეჭდები: ბატონიშვილი ალექსანდრე; ერისთვის ასული დარეჯან.

ცუდის ხელით: ბატონიშვილი დიმიტრი უამტკიცებ (sic) წერილსა ამას, ხელიც ჩემი რთაუს. (ჯვარი.)

**1805—1810 წ.** ამ წლებში უნდა იყოს დაწერილი არზა მეფის სახელზე, დაცული საკათალიკოზო გელათის წმ. გიორგის საბუთებში. საბუთი ფრიად დაზიანებულია.

ქ. ჩვენ---ეს ხელმწფის---თა მეფე---მათი. მთ----ვარციხეს გეახელით [დათეკი?] ალთეიშვილი და იოანე ბააძე გვიბოძე ბოქაულად. მათაც საბოქაულო აიღეს და ტყუვილად ჩამოიარეს და კაცები ახლაც იქ სოფელში გახლავან და ჩვენ ამ[ას] მოგახსენებთ. თუ თქვენსა და ჩვენსობას, ის კაცები---ცენ სხვა ადგილებზე და რო---თქვენ ნუ მომიკვდეთ შდ---ენსა იმ ეკლესიის ეპისკო[პოსს?]---ასს ამოყვანა აღარ შეემ---იმათი, და წყალობას ვითხო---რომელიც ჩვენი ეკლესი---ყმა

სალორთქფანიძოში---თქფანიძეებთან გახლეს (sic) ქვეყნებში წყალობა გვიყო (?) იმათ გამოართვან და ვიბოძოთ რომ თავის ეკლესიას აღარ დაეკარგვოს ბატონო თორემ როგორ გადაბრუნდება საქმე ვინ--დასელ (?) დაეკარგვის ეკლეს----

**1810 წ.** წერილი მარიამ იმერთა დედოფლისა ანტონ მთავარ-ეპისკოპოსისადმი, დაცული ხონის ტაძრის საბუთებში № 20, დაწერილია თეთრს ქაღალდზე ზომით $34^3/_4 \times 12^1/_2$ სანტიმ. ნიშნად ყოველ სიტყვის შემდეგ თითო წერტილია.

ქ მათს ყდ უსამღვდელოებას და ჩვენს სასოებას ულს ბტონს მთავარეპისკოპოს.

სიწმინდისა თქვენისა მსასოებელი დედუფალი მარიამ უმდაბლეს მსახურებას და წმინდას სამეუფოს მარჯვენეს ამბორებას მოგახსენებ. მერმეთ ვიცი თქვენის მოწყალებისაგან ჩვენს ამბავს მოიხსენებ და ეს არის რუსეთს წამიყვანეს. დიდი ხანი არის აღთქმა მქონდა თქვენის ეკლესიის, ეს გლეხები ახალაძენი უნდა შემეწირა. ეს ორი წელიწადი არის წიგნიც დაწერილი მაქვს და მიახლები (sic) წიგნიც და ეს ახალაძეებიც. თქვენ იცით და თქვენმა მამაშვილობამ რასაც მას მოუვლით, კაცს ხელი არავისა აქვს. თუ ვინმე მოსიტყვე მოდგეს, ეს წიგნი წარადგინე და პასუხი უბძანე. კდ ამას გევედრები, თქვენს წმინდას ლოცვაშიდ ნუ დაგვივიწყებთ, გახსოვდე, ულო. სხვას ამას გევედრები, თქვენის ეკლესიის შეწირული გახლავს ჩემი ძიძა და ძიძიშვილები და გებრალებოდეს, ურიგოთ არვინ რამე აწყენინოს, ულო.

ბეჭედი ასომთ.: დფლი მარიამ.

**1811 წ.** ვახუშტი ჩიჯავაძის მიერ ანტონ ხონელისადმი მიცემული წიგნი, ხონის ტაძრის საბუთთაგან № 60, ლურჯ თაბახიან ქაღალდზე დაწერილი.

ქ წყალობითა ღვთისათა ესე საბოლოოთ გასასრულებელი წიგნი აღგიწერეთ (მთავარეპისკოპოს ანტონს).... ჩვენ თავადმა მდივანბეგმან ჩიჯავაძემ ვახუშტიმ... თქვენის ეკლესიის ყმანი ბახტაძე და

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხვანიც ჩვენს სამკვიდროს ალაგში დავასახლეთ, რომელთამე მანადის (sic) მეფე სოლომონის არჩილისძისაგან ბოძებულნი ქონდათ წიგნით და ჩვენც დავამტკიცეთ ჩვენის მეფის წყალობა და ზოგთ ჩვენ მივეცით ჭყვიშს ჩვენი ალაგი და დავასახლეთ. აწ არც ჩვენ... არც მოურავმან და მოსახლემან ჩვენმან არც თქუენი და თქვენი ეკკლესის სამსახური და გადასახადი არ მოუშალოთ და არ დავაკლოთ ამ ჩვენის ალაგის მცხოვრებელთ კაცთაგან, არც ამ კაცებს ჩვენი და ჩვენის მეფის მოცემული ალაგი არავისაგ წაერთვას... თუ ამ კაცმან რომელმან მეინებოს და თავისსავე სამკვიდროსა ალაგს ზედა მოიქცეს, გინა ნასყიდსა თვისსა ალაგსა მივიდეს და იქ დაესახლოს, ჩვენგან და ჩვენის მოხელისაგა არას დროს არ მოეშალოს, არც საერისკაცოს ყმათ არავისგან არ განისაკუთროს. აწ არის ამისი მოწამე.... თავადი მდივანბეგი ჩხეიძე როსტომ, ლორთქიკანიძე ოტია და ჩვენი სახლთხუცის ძმა ახვლედიანი ბეჟან. მე ტატუა ლორთქიფანიძეს დამიწერია წელთა უფლისათ ქკნს ქეს აქეთ ჩყია აპრილის თვის კა.

ბეჭდები ასომთ.: მთავარეპისკოპოსი ანტონი; მდივანბეგი ჩხეიძე როსტომ; მდივანბეგი ლორთქიფანიძე ოტია.

**1803—1811 წ.** განჩინების წიგნი, მიცემული ნინო ოდიშის დედოფლის მიერ, დაცულია ხონის ტაძრის საბუთებში № 30, დაწერილია თეთრს ქაღალდზე ზომით $33^1/_2\times23$ სანტიმ.

ქ: უ˝ი მთავარებისკოპოსი ანტონი მოდგა და კურთხეულის დადიანის კაციას შეწირული ადგილის დავთარი მოიტანა ნაკვარნახუს (?) ალაგის შეწირულობის... და ის დავთარი ჩვენ წავიკითხეთ და ასე სწერია რომ თავისის სამართლიანის საზღვრით შემომიწირავსო და ამ საქმეზედ ჩვენ წავედით და რომელიც იმ ნაკვარნახუს ადგილის მოსაზღვრე იყვნენ, ხანიდოავებიც თან წავიტანეთ და დეიფანსა და ცხენისწყალს შუა ნაკვარნახოუთ დასდევს იმ ადგილების მოსაზღვრემ და ნოღელასა და დეიფანს შუა თავის საკუთარათ სთქვეს ხანიდრავებმა, ასე რომ... მისდღეჩი ეს ადგილი ჩვენი ყოფილა და ამით ვრჩენილვართო და დღეს რა სადეო აქვს მთავარეპისკოპოს ამ ადგილზედაო. ამ სიტყვაზედ მთავარებისკოპოსმა თავისი მოურავი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაგვატანა ადგილის დასარებათ და ცხენისწყალს აქეთ დეიფანის ღელე რომ ჩამოდის, იმ საზღვარს გამოღმა გამოვიდა და ნოღელამდის მთლათ ნაკვარნახუთ იდევა და ასე სთქვა, რომ ამ ადგილიდამ მრავალჯერ მოდი წაგვიღია და ეკლესიის შეწირული ადგილი არისო და შარშან კიდე ერთობით ხანიდრავებმა და ჩვენაც ერთად შემოვიარეთ, ბატონის დადიანის კაციც იყო და ის ადგილებიც დავიარეთ და ნოღელისა და დეიფანს შუა მომცროს მეტი ეკლესიისათვის დასდევით და ასე სთქვით, რომ ეს ადგილი ეკლესიის არისო... ამაზედ ხანიდრავებმა ვარი (sic) სთქვეს.... ამ საქმეზედ თითონ ჩვენ დავიარეთ ის ადგილი და ათას მარჩილათ დავაფასეთ და ფიციც ამ რიგათ გავაჩინეთ. წამოდგეს ხანიდრავები რომელიც თავთავი კაცი იყოს თითოს ოჯახიდამ თითომ და. რვა ხანიდრავა უნდა იქმნეს და ამასთან სამოცი სხვა გლეხი კაცი და ან ამავალი აზნაურშვილი და ასე სამართალი მისცეს მთავარეპისკოპოს. თქვენ რომ დეიფანს გამოღმა ნაკუარონახოუთ სდეობთ და ხატისათვის სდებთ, რაც დეიფანს გაღმა არ არის თქვენის ეკლესიის შეწირული და კვარნახიას სოული ადგილიც გამოღმა არც მიდღეჩი დადიანს ეკლესიისათვის შეეწიროს, არც აქედამ მთავარებისკოპოს მოდი წაეღებინოს, არა შარშან ჩვენ ეს გვეთქვას რომ ნოღელასა და დეიფანს შუა ეკლესიის არის თქო და არც ეს ადგილი კვარნახისოული იყოს. თუ ასე უფიცონ, ხანიდრავებს დარჩეს და თუ ვერ უფიცონ და ეკლესიის შეწირული ყოფილა და ისევ ეკლესიისთვის იყოს რომ კაცი ვერ მოედავება.

სამი ბეჭედი: სრულიად ოდიშის დედოფალი ნინა; ჭყონდიდელი მიტროპოლიტი (ასომთ.:) ბესარიონ; ბატონიშვილი ნიკოლოზ.

**1812 წ.** შეწირულობის წიგნი ნიკ. იაშვილისა, ჭელიშის მონასტრის საბუთთაგან № 11, მოთეთრო ქაღალდზე დაწერილი.

წყალობითა და ნებითა ღვთისათა სახსენებელად ცოდვილისა სულისა ჩემისა მე ნიკოლოოს იაშვილმან შევსწირე წმიდას მონასტერს ჭელიშის უდაბნოს წმიდის ღ̃ისმშობლის შობის სახელდებულს ეკლესიას ერთი გლეხი, რათამცა მასს მონასტერსა შინა მყოფნი წმიდანი მამანი მოიხსენებდენ საღთოთა შინა მათთა წმიდათა ლო-

ცვათა და ჟამსა მსხვერპლის შეწირვისასა დასტებდენ (sic) სულისათვის ჩემისა ნაწილსა ცხოველყოფისასა. შევსწირე გლეხი ერთ ჩემი˙ საკუთარი წილად ხვედრებული თამაზიკა ოშხერელი და მისი შვილი გოგია თავთავისი ცოლშვილით და კიდევ მისი შვილი ივანე, ესენი თავთავის ცოლშვილით, ადგილმამულით, საძებრით და უძებრით და რისაცა მქონებელნი არიან, ესენი შემიწირავს. მართებსთ ათი კასრი ღვინო, ხუთი კოდი პური, ხორცი ორი ხარჯი ან მარჩილის ან ყურუ·შის. ამ თავის მართებულის სამსახურით შემომიწირავს ამ ქელიშის უდაბნოსათვის.... არის ამის მოწამენი და თანადამსწრენი სვიმონ მღვდელი, მუსელიძე მამუკა ბუში, მოურავი პაპუჩა გველეთიანი და მათი ყდ სამღვდელობა ნიკოლოსწმიდელი არხიეპისკოპოსი სოფრონიოს თავისის კრებულით.... აღიწერა ხელითა არხიმანდრიტის ზაქარიასითა: წელთა ჩყიბ: ივლისს ი. (ბეჭედი).

შემდეგ ამტკიცებენ ქუთათელი დოსითეოს, მთავარეპისკოპოსი ანტონი, ნიკოლაოსწმინდელი სოფრონიოს. (ბეჭდები).

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დამატება

**1615—1620 წ.** ახლ. შეწირულობის წიგნი გიორგი ლიპარტიანისა, ბიჭვინტის საბუთთაგან № 15, თეთრს ქაღალდზე ზომით $31 \times 14^1/_2$ სანტიმ. ნიშნად ყოველ სიტყვის შემდეგ იხმარება სამი წერტილი.

ქ შენ ცათა უმაღლესო და ქერაბინთა უზეშთაესო ბიჭვინტისა ღთისმშობელო, ჩუენ ცვაფარვათა შენთა მიერ მონდობილმან და მსასოებელმან სიწმიდისა შენისამან ჩუენ ბატონისშვილმან ლიპარტიანმან ბატონმან გი͠გი და თანამეცხედრემან ჩუენმან ჭილაძის ქალმან ბატონმან დარეჯან შემოგწირე ერთი კვამლი კაცი ბონზოთს ნაჭყეპია მახარებელი მისის სახლკარითა და მამულითა და სანახევრო იყო და დაგისაკუთრებია და ბატონი კ͠ზი ჩუენდა სადღეგრძელოდ და სულისა ჩუენისა საოხად და ყმაშვილისა საბოძებლად ყოველს წელიწადს ჟამს გუიწირვიდეს. ამისი მოწამენი არიან თავად ღ͠თი და კაცთაგან ზებედე წინამძღვარი, მოვრავი სეხნიაი ნეუსაძე, კარის მესტუმრე ივანე რევია და სხუანი კარისა ჩუენისა კელის მქონებელნი. აწე ვიცა ესე მოგიშალოს, შენ მიერ წყეულნი იყოს და ასრე შემოგუიწირავს, რომე სხუა ჩუენი კელი არა შევა რა და გქონდეს და გიბედნიეროს ღნმან (sic) ამინ ამინ:

ბეჭედი: მონა ღთისა ლიპარტიანი გიორგი.

**1660 წ.** იმერთა მეფის ალექსანდრე III-ის მიერ მიცემული წიგნი ხონის ტაძრის გლეხების განთავისუფლების შესახებ სახვანთქრო გარდასახადისაგან, დაცულია ხონის ტაძრის საბუთებში № 9, თეთრს ქაღალდზე ზომით $32^1/_4 \times 20^1/_2$ სანტიმ. საბუთს თავი აკლია, ნიშნად ყოველ სიტყვის შემდეგ იხმარება წერტილი, ხშირია აგრეთვე ზედმეტი ა-ს ხმარება.

----მეფეთ მეფემან ბატონმან ალექსანდრე, თანამეცხედრემან ჩვენმან კახთა მეფეთა ასულმან დედოფალთ დედოფალმან პატრონმან

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნესტარდარიჯან, პირმშომან და სასურველმან ძემან ჩვენმან ბაგრატ ესე სა[ხ]ატო ჟამთა უკნისამდე საბოლოო და გასათავებელი წიგნი და სიგელი დაგიწერეთ მოგართვით თქვენ შვიდა წილ უძლეველს ღვაწლით შემოსილს წმიდა გიორგის ხონისას და ანჩისხტს პირს ხთისასა, ასე და ამა პირსა ზედაა. რომე ხვანთქრის ხარაჯას იმერეთს მოკრებდაენ, მოკითხული ვქენით და არ გარახდათ (sic) და ხონის წმინდის გიორგის ყმას და ხუთს კვამლს კაცს ილორის წმინდაის გიორგის ყმას, ასე და ამა პირსა ზედან რომე ჟამთა უკუნისამდე ჩვენმან ძემან და მომავალმან ანუ ჩვენთა შემდგომთა მეპატრონემან მეფემ ან დიდმან თავადმა ესე ჩვენგან მონართმევი წიგნი და სიგელი მოგიშალოს, შენს ყმას, ხუთს კვამლს კაცს ჭაუჭანიძეს ილორის ყმას ხვანთქრის ხარაჯა გარდაგახდევინოს, ეს წიგნი მოგიშალოს, მასამც რისხავს თავად დაუსაბამო ღმერთი და ყოველი მისი წმიდანი ზეცისა და ქვეყანისანი, ხორციელნი და უხორცონი და მათ მეორედა მოსლას ჩვენისა ცოდვისა ქრისთეს მეუფისა წინაშე პასხის გამცემი იყას (sic). არის ქათათლიკოზი (sic) ზაქარია, გამრიგე ჩხეიძე სახლთუხუცესი, ერითავი (sic) პაპუნა, აბაშიძე ხახუტა. დაეიწერა ბძანებითა ღთისათა ქორონიკონს სამას ორმოცდა რვასა ხელისა (sic) ჩვენისა მდივნისა პატას (sic).

ორი ჯვარი, ბეჭედი მეფის ალექსანდრესი, ხვეულად ხელის მოწერა: დარეჯან.

**1717 წ.** ბეჟან დადიანისა და შოშიტა რაჭის ერისთავის მიერ დადებული პირობის წიგნი, დაცული გელათის საკათალიკოზო წმ. გიორგის საბუთებში, თეთრს ქაღალდზე ზომით $36^1/_2 \times 17$ სანტიმ. საბუთი დაზიანებულია, ნიშნად ყოველ სიტყვის შემდეგ იხმარება თითო და ოროლი წერტილი.

ქ ბძანებითა და შეწევნითა ღთისათა [ესე] წიგნი ფიცი და პირი მოგართვით ჩვენ დადიანმა ბატონმა ბეჟან, მე ერისთავმა ბატონმა შოშიტამა თქვენ ჩვენს სჯულს (sic) თავს ბატონ კზს გრიგოლს, ასე რომე დიაღ ბევრს ცოდვასა ტყვის სყიდვაში ვიყავით. ახლა მოხვედით და შემოგვიკვეთეთ ან ტყვის სყიდვა გარდაავგდევით და ან მე დასტური მიბოძეთო რომ სხვას ქვეყანას წავიდეო· გავშინჯეთ და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენგან. თქვენი გამომეტება არ იქნებოდა. ახლა ჩვენ თქვეს (sic) მცნებასა და სიტყვაზედ დავდეგით. ასე პირობა მოგვიცემია, დღეის უკან ჩვენ ტყვე აღარ გავყიდოთ, არც ჩვენს ყმასა და ჩვენს კელ-ქვეთს კაცს არ გავასყიდვინოთ. თუ ვინმე გაყიდოს, მართებულად მოვიკითხოთ და კიდეც მოგიდგეთ. ამისად გასათავებლად მოგვიცია თავად ღ̃თი და ყოველნი მისი წმინდანი. კაცთაგან არის მოწამე და შუამავალი გენათელი ლიტრაპოლიტი (sic) ნიკოლაოზ და და (sic) ჯვარის მამა ზაბილონ, ერისთვის ძმა გენათელი გედევან, ლოლა-ბერიძე წინამძღვარი ევდემოზ. ვინც ეს წიგნი ჩვენ მოგვიშალოს, რაც თქვენს მიჭივტის (sic) დავთარში წმინდანი სწერიან, ისიმც რისხავს და აღესრულების მისზედა. დაიწერა წიგნი ესე ქრისტეს აქეთ ათას შვიდას და ჩვიდმეტსა თვესა ნოენბერსა ოცდახუთსა ქკს (მეტი არა რა).

ორი ჯვარი და ბეჭდები: დადიანობით მიკმობენ ეგრის მპყრო-ბელად ბექან ჩლიზ; მონა და მსახური ჯვარისა მპყრობელი რაჭისა ერისთავი შოშიტა.

**1720—1742 წ. ახლ.** პირობის წიგნი, რომელიც მიცემული უნდა იყოს გრი-გოლ კათალიკოზის დროს, დაცულია გელათის წმ. გიორგის საბუთებში, დაწერილია თეთრს ქაღალდზე. დიდად დაზია-ნებულია. ნიშნად ყოველ სიტყვის შემდეგ იხმარება ორი წერტილი.

---მახარებელმა ესაკია, ასე რომ ტყვირის მაცხოვრის კაცი ბექან დადიანს გაეცა და მას უკან [სადადიანოდ] იყვნენ. ახლა მო-ვედით შემოგეხვეწეთ და თქვენ მეფეს დაელაპარაკეთ და იშოვეთ ქრთამით და ისევე ტყვირს მისს [მიწა ადგილზე] დააყენეთ... ეს პირობა მოგვირთმევია, რომ რაც აჯა ჰქონდეს სამსახურისა და ერთ-გულობას ეცადოს და არც სადმე აღოლდეს და მოსახლობასაც კარ (sic) არ ეცადოს, თუ ამაში ვიმტყუნოთ ამის პასუხის გამცემი და გადამხდელი ჩვენ ვიყოთ... (მოწამე) დიდია გიორგი, ნემსაძე დავით, წინამძღვარი ნკზ.

ორი ჯვარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**1696—1742 წ.** პირობის წიგნი, მიცემული გრიგოლ კათალიკოსისადმი, დაცულია გელათის წმ. გიორგის საბუთებში, დაწერილია თეთრს ქაღალდზე.

...ესე წიგნი მოგართვი თქვენ ბატონს კჴს გრიგოლს მე გიორგი ბერძენმა კალფამ, ასე რომ ბედნიერი ჴვანთქრის ციხის [მო]სამსახურე ვიყავი და მერმე [ქრი]ტიანი და თქვენი სამსახურ და შესწავლა მოვინდომე და თქვენ... თეკლათს მოსახლე კაცი ფუცხუტია გვიბოძეთ... (ჩემს გარდა ამ ქვეყანას) თქვენს ნაპოძებს კაცთან კელი არავის ქონდეს არც თათარს და არც ქართველს, თქვენ იმაზე კაცმა ვერამ კაცმა ვერ გედაოს მე და ჩემი შვილის მეტმა. ამისი მოწამე... ხატურია სალაყაია, ხუტა სალაყაია, გოგიბერიძე მამუკა, ხუცესი სალაყაია იოვანე. დამიწერია მე ბატონი კ͠ზის მთავარ დიაკონს ჭყონია ნკზს და მოწამე ვარ ამისი. (ბეჭედი).

**1770 წ. ახლ.** პირობის წიგნი ხაინდრავებისა ხონის მთავარეპისკოპოსის მაქსიმესადმი ხონის ტაძრის საბუთთაგან № 73, ცუდის ხელით თეთრს ქაღალდზე დაწერილი. ნიშნად იხმარება თითო წერტილი ყოველ სიტყვის შემდეგ.

ქ: ესე წიგნი მოგართვით ჩვენ ხაინდრავებმა საზერელომა და კუჭუჭიმ და პაპუნამ გაბუელომ თქვენ მთავარეფისკოპოზს მაქსიმეს, ასე რომე ბატონმა დადიანმა ხატის მამული ნაკვარახსო (?) ძველოთაც წმიდის გიორგის ყოფილა და ხელ ახლათ ხატს მიართვა რთვა (sic). მერმეთ თქვენ მობძანდით, მოლისათვის მჭადის პატივს შევგეხუვეწეთ და წყალობა გვიყავით ამ ერთი წლის მერმეთ ყოველ წელიწადს მოგართვათ ღომიც და მჭადიც, არის ამისი მოწამე ახვლედიანი ხოსია, დეკანოზი მიქელო, ივანე ქუთათელაძე, ჯვარმტვირთველი იოვანე, სიმონიკა ხაინდრავა, ქოჯუა ბახთაძე, სულ ერთბით სახაინდრაო და ხონელო (sic) ჯოხაძე თამაზა.

**1777 წ.** ანტონ ხონელის შეწირულობის წიგნი, ხონის ტაძრის საბუთთაგან № 25, თეთრს ქაღალდზე ზომით $22 \times 10^3/_4$ სანტიმ. დაწერილია წვრილი ლამაზი ხელით. ნიშნები დაცულია.

....აწ მეცა ყდ უღირსმან მთავარეპისკოპოსმან საყდრისა მცხეთისამან ანტონი... შემოგწირე და გიწინაშეე: საეპისკოპოსო ბისონი შეკერილი ფრანგული ფარჩა, თავისის გაწყობილის აშიითა: კ῀დ დაბადება ერთი ახალი სტანბისა: კ῀დ მეტაფრასი ერთი კელით ნაწერი დიდის მარხვისა და ზატიკისა სრული: სამი ესე შესაწირავი კნინი. სურვილით შემოგწირე.... (გრძლად წყევა)... აღიწერა თთვესა ოკდომბერსა. ა: ქესითგან. ჩღოზ:

ბეჭედი ასომთ.. მთავარეპისკოპოსი ანტონი.

**1777 წ.** კაცია დადიანის მიერ დადებული წიგნი ცაიშის კათედრის აღდგენის შესახებ. იბეჭდება პეტერბურგის აზიურ მუზეუმში დაცულ პირის მიხედვით.

(გრძელ წინასიტყვაობის შემდეგ).... მპყრობელმან ოდიშ აფხაზთა სვანთა თაკვერთა და პონტოს ზღვისამან, ძემან დიდად სახელოვანისა ხელმწიფისა დადიანისა ოტიასამან, თვით დადიანმან მონამან შენმან კაციამ და თანამეცხედრემან ჩემმან დედუფალმან ბატონმან ანნამ და ძემან ჩვენმან პირმშომან გრიგოლ და სხვათა ძეთა ჩვენთა მანუჩარ, გიორგიმ, ლევან და ოტიამ მცირედ ძღვნად მიგიპყართ შენ შეხრილად და ასეულად მიმგებელსა შენდამი შემწირველთასა, ესრეთ რომელ ეკლესია შენი (ცაიშის ღვთისმშობელო) და მამულიცა ყოვლი ჟამთა რლთამე საეროდ ქმნილიყო და ეკლესია შენი ქვრივად ეგო და განსაკუთრებული შენი ადგილიცა და შვილნი შენისა ეკლესიისანი მიმოდაბნეულ იყვნენ, არცა იყო ეკლესიასა შინა შენსა განმგე ეპისკოპოსი უფროსად სამკვიდროდ, საეროდ ქმნილიყო. ამისთვის მრავლის ჟამითგან მწუხარება არა მცირედი მიპყრობოდა. გარნა ოდესცა მოწყალებითა ძისა შენისათა უმეტეს წარემატა ცხოვრება ჩემი, მაშინ შეწევნითა შენითა გამოვიხსენ ეკლესია შენი და ყმანიცა ეკლესიისა შენისანი მრავლის ჭირითა და ღვაწლის დადებითა და შენი შენდავე შევსწირე მინდობილმან შენმან არა განუნახველად და არცა მძლავრებით, არამედ ჭეშმარიტისა მსჯავრის დადებითა და სამართლითა გამოვიძიე და რაიცა ვპოვე საზღვარ დებულება მისი, თვისის საზღვრით ყმანიცა ეკლესიისა შენისანი განგისაკუთრეთ და ადგილიცა საზღურითი საზღურადმდე თავისის

მიწ·თ, წყლით, საყანით, სავენახით, სათევზით, სანადიროთი, რ̃ლიცა გამოვიძიეთ. მაშინ განგისაკუთრეთ და რ̃ლიცა მაშინ ვერ ვპოვეთ ჟამ დრო ცვლილებისაგან, შემდგომთა ძეთა ტახტისა ჩვენისა მპყრობელთა ვარწმუნეთ ზრუნვად და გამოძიებად, ვინათგან იგინიცა მფარველობასა შენსა შევვედრე, დედაო სიტყვისა ღთისაო და ესენი რა ესრეთ გამოვიძიე, მაშინ ძიება ვყავ გონებისა ხედვითა და თანა შეთქმულებითა ყ̃დ სანატრელისა კათალიკოსისა ულისა მაქსიმესითა და ერთხმა ქმნითა ყ̃დ სამღუდელოთა მიტროპოლიტთათა გამოვირჩიე კაცი სათნო ღთისა და სულიერითა ხედვითა აღსავსე, საწყური სულისა ჩემისა და სატრფო გონებისა ტომით ჩიქოანი ყ̃დ სამღუდელო მიტროპოლიტი, ხედვითა და საქმითა სათნოებათა შორის წარჩინებული, ღირსი ქებისა ული მიტროპოლიტი გრიგოლ და დავადგინეთ განმგედ ეკლესიისა შენისა და მას ვარწმუნეთ ეკლესიაცა შენი და ძენიცა შენისა ეკლესიისანი საკუთარნი ყმანიცა და ადგილნი შენნი ყლნივე და სამწყსოცა შენისა ეკლესიისა ხობის წყალს გაღმართი და ესრეთ განვათავისუფლეთ შენი ეკლესია, რომე ლაშქრობის მეტი სხვა ჩვენი სამსახური, არც საური, არც სხვა გადასახადი რამე, არც მუშაობა, არც ცხენის ჩაბმა, არავერი ჩვენგან არა ეთხოვებოდეს რა და ამ საქმეების დავთარიცა შენს ეკლესიაშიდ დავსდევით და მხოლოდ ეკლესიის სამსახური და მაზედ მჯდომარის მიტროპოლიტის ერთგულებით სამსახური ვარწმუნეთ და ესოდენი თავისუფლება ამისთვის დაუწერეთ შენის ეკლესიის ყმას ყლსავე; რ̃ლისა ჯერმჩინებელ და მოწამე არს უსანატრელესი კათოლიკოსი მაქსიმე და ფდ საწყური გონებისა ჩემისა და ტრფიალი სიბრძისა მოყვარებისა ფდ ბრძენი და ერთ სახელისა თვისისა მობაძავი ძმა ჩემი ყ̃დ სამღუდელო ჭყონდიდელ მიტროპოლიტი ანტონი, ფდ სასო გონებისა ჩემისა ყ̃დ სამღუდელო ცაგერელ მიტროპოლიტი სოფრონ, ძენი სახლისა ჩემისანი, საყვარელნი და საწყურნი გონებისანი, ძმანი ჩემნი ნიკოლაოს და გიორგი და ბიძა ჩემი მანუჩარ და ბიძისძე ჩემი კაცოს შვილი გიორგი. სულიერი მამა და მოძღვარი ჩემი არხიმანდრიტი გერმანე, მოურავი გელოვანი ქაიხოსრო, სახლთუხუცესი ჩიქოანი გი და ყლნი დიდებულნი სამფლობელისა შინა ჩემსა მკვიდრობისა მომგებელნი.... (წყევა გრძლად) აღიწერა ხელითა ჭყონდიდლის არხიდიაკონის იოსელიანისითა ქეს აქეთ ჩლოზ.

აქ დასმული ყოფილა ბეჭდები კაცია დადიანისა და ანნა დედოფლისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**1751—1784 წ.** ბრძანება, რომელიც უნდა ეკუთვნოდეს მეფე სოლომონ I-ს, დაწერილია თეთრს ქაღალდზე ზომით $16^1/_2 \times 7$--$8^1/_4$ სანტიმ.. დაცულია გელათის წმ. გიორგის საბუთებში.

ქ მეფე სოლომონ პატრონო ქრისტე კეთილად მოგიკითხავ მერმეთ ამ წყევლებს დაეხსენი ნურასას თხოვ იცოდე.

მეორე გვერდზე დასმულია ჯვარი და ბეჭედი ასომთ. წარწერით: მეფე იმერეთისა სოლომონ.

**1786 წ.** მხეიძეების მიერ გელათის წმ. გიორგის ტაძრის წინამძღვარის სილიბისტროსადმი მიცემული წიგნი, დაცული გელათის წმ. გიორგის საბუთებში, დაწერილია თეთრ ქაღალდზე ზომით $63^1/_2 \times 19$ სანტიმ. ნუსხა ხუცურით.

....ესე ....სიგელი აღგიწერეთ და მოგართვთ ჩონ გუარტომობით მხეიძემ.... გეორგიმ და სასურველთა ძეთა ჩმთა ფირან ბერმა და ზაალ თქნ უწმინდესის კზ მმთმთვრის უპლესსა.. დიდისა მოწმისა გეორგის (sic) ეკკლესიისა წინამძღუარს სილიბისტროს.... ძუწლითა მმაპაპათა ჩნთა საკთოლიკოზო მჟულიდამ ჩნი სამოურარკინა შეეწირათ. ვა ცხდ ყოფს ძუწლი მტიანე შეწირულობისა ჩნისა.... ვიკუღისკმე... და მმაპაპათა ჩნთა შენაწირი გნვახლე.... და შენ მას ზა მღდგომელსა წინამძღუარსა სილიბისტროს და შემდგომთა შნთა წინამძღუართა რნიცა საცხრებელდ ჩნდა უსისხლოსა მსხუწრპლსა შესწირავთ მარად წელ ჟამსა და დღესა დიდისა მოწმისა გეორგისსა.... (23 აპრილს) და თქნთვსც. ესრეთ გნვაწესეთ ვა ძველდ გუსმენოდა, სწირავად და მოსართმევდ. ესეცა სამურაოსაგნ ჩნისა რა ყოვლსა წლსა საწირეს და ბუეთს შა მყოფთა მოსახლე გლეხთა თითოსაგან თითო ქთამი მოგერთმეოდეს. რასაც შნის ეკლესიის ბევრა რკინა ემართოს ჩნგან შეწრლი მხოლოდ მთვნ.... აღიწერა თვესა ნოენბერსა ათორმეტსა კელითა ნიკოლაოს იობიან გბაონელისათა: წელთა ოისათა ჩღპვ..

**1788 წ.** ანტონ ხონელის შეწირულების წიგნი, ხონის ტაძრის საბუთთაგან № 29, თეთრს ქაღალდზე ზომით $38^1/_4 \times 23^1/_2$ სანტიმ. დაწერილია იმავე ხელით, როგორც ზემოდ დაბეჭდილი საბუთი № 25. ნიშნები დაცულია.

...აწ მეცა ყდ ღირსმან მთავარეპისკოპოსმან საყდრისა შენისამან ანტონი კნინო რაჲმე ძღუენი... შემოგწირე და გიწინაშეე: საეპისკოპოსო ბისონი შეკერილი, ფრანგული ფარჩა თავისის გაწყობილის არშიით: კდ დაბადება ერთი ახალი სტამბისა: კდ მეტაფრასი ერთი ხელით ნაწერი დიდ მარხვისა და ზატიკისა სრული: სხუა შენის ეკლესიის ასორმოც თხუთმეტი მარჩილი მემართა და ნაცულად ამისა ესენი დავდევ ეკლესიასა შინა შენსა: ერთი უცხო შეკერილი ბისონი: ერთი დავითნის თარგმანი: ერთი წის გიორგის გულსაკიდი ხატი; თავისის ვეცხლის ძეძკვით მოყვითლუული კდ ერთი პატარა წიგნი სწავლისა და ორი დიდდიდი კოლოფი თალაჲინით მოსილი: ამას გარდა ეკლესიისათვის შესამოსი ვიყიდეთ. ეკლესიის თეთრით, და კდ ჩვენი ათი მარჩილი მაზედა ძევს, და ჩვენგან აღებული ვალი ამაებით სრულ ვყავით ... (წუქვა გრძლად).. და კდ ზემოხსენებულს თეთრში, ერთი თვენის მეტფრასი დაგვიდვია, რომლიცა სიცოცხლესა შინა ჩემსა მე მაქუნდეს და შდ სოფლით განსლვისა ჩემისა. შენსა ეკლესიისა მოერთუას... აღიწერა თთვესა ოკდონბერსა კგ:...ჩღპჱ.

ოთხი ბეჭედი: დოსითეოს ქუთათლისა, ევთვიმე გენათლისა, ანტონ მთავარეპისკოპოსისა. მეოთხე ბეჭდის წარწერა არ ჩანს.

მეორე გვერდზე განზე: ქ. რომელნიცა ზემოწერილსა ამას ქაღალდსა შა დაგვიწერია: ამისა შედ: ეს წიგნები დავსდევით. სახარების თარგმანი მარკოსის და ლუკასი: ფასი ავიღე 80 მარჩილი ისე მქონდა ნაყიდი. ქ. სამღვდელმთავრო კონდაკი კარგი. შეკრული. ფასი ავიღე 27 მარჩილი. და ნაყიდიც ისე მქონდა ქ: დოღმატიკა შემოკლებული. და მისიც ფასი ავიღე 22 მარჩილი. ნაყიდიც ისე მქონდა. ქ: დამასკელის წიგნი სტამბისა: და მისიც 5 მარჩილი. ამიღია: ქ: მთავარ ანგელოზის წიგნი:. ნაყიდიც ისე მქონდა და 6 მარჩილი ავიღე ქ: სვინაქსარი 14 მარჩილათ მქონდა ნაყიდი და ამისი 15 მარჩილი. ავიღე ქ ანდრია სალოსის წიგნი. 6 მარჩილი: ავიღე მეც ისე მქონდა ნაყიდი: ესები ბოლოს ამისთვის დავსწერეთ რომ მერმეთ დავსდევით. და ფასი ამათი როგორც ჩვენ ვგქონდა (sic) ნაყიდი იმაზე არ მეტი ჩვენ წამოვიღეთ: ესები რომ შევსძინეთ წელი იყო ქს აქათი ჩღპია ივლისი ოცდამეათე.

ბეჭედი მთავარეპისკოპოსის ანტონისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



**17 99 წ.** პირობის წიგნი, მიცემული ზურაბ მაჩაბლის მიერ ხონის მთავარეპისკოპოსისადმი, ხონის ტაძრის საბუთთაგან № 59, ლურჯ ქაღალდზე, ნიშნად ყოველ სიტყვის შემდეგ იხმარება თითო წერტილი.

ქ. ესე. წიგნი და პირობა მოგართვით ბატონ ყდ სამღვდელოს მთავარეპისკ ოპოსს ანტონის ჩვენ მაჩაბელმან ზურაბ ესე და ასე ვითარად, რ ომ თქვენის ბრ ძანებით თქვენის ეკლესიის ყმა მახარობელი ხუცესი ყვიფარაძე და სახლა ჩემს მამულშიდ და ჩვენ ასე წიგნი და პირ ობა მოგვირთმე ვია თქვენთქვის (sic), თუ წამოსვლა როდისმე ისევ მოიმდომოს,. ... ა ოს წამოსვლა არ დაუშალოს, არც არაფერი უშავ დეს და არც თქვენი ბეგარა დააკლდესთ. აღიწერა ხელითა მოძღვრისშვილის წერეთლის გრიგოლისათა მაისს დ ქეს აქეთ ჩღჟთ.

ბეჭედი: მაჩაბელი ზურაბ.